...ველო ბეჭედ... ...ლისი – შიგ ჩ... ...ხში

®

• 4 – 10 მაისი • • ფასი 1,50 ლარი №18 (749)

www.tbiliselebi.ge



გვ. 58

არის თუ არა ალეკო ბეგალიშვილი დუდუსავით „მაგარი ტიპი“ და როგორი ბიძიების ეშინოდა მას

გვ. 59

შეძლო თუ არა ხატია შამუგიამ „ცდუნების მეფის“ – ანტონიო ბანდერასის მოხიბვლა და როგორ მოხვდა ის ჟან პოლ გოტიესთან ერთად სუფრასთან

გვ. 63

იყო თუ არა გვანცა კილასონიასა და თეიმურაზ გოგოლაძის სიყვარული სამსახურებრივი რომანი და როგორ დაითანხმეს „ერთი ერთშის“ წამყვანობაზე დუტა სხირტლაძე, რომელსაც ეკრანიდან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი



გვ. 55

როგორ შემოატარა რესტორნები ლევან სუხიტაშვილმა გასაბერ ქალს და რატომ ხდება მისი ჩაცმულობა მის ორიენტაციაზე საუბრის მიზეზი



გვ. 11

გოჩა ლაღიძის რა ნამუშევარი ინახება უცხოელი მულტიმილიონერის ოჯახში და რომელ შეკვეთაში გადაუხადა მას დიდი ფული ზურაბ წერეთელმა

რისი შიში აქვს სოფო გელოვანს და როდის აპირებს ის მეუღლესთან ერთად ახალ სახლში ცალკე გადასვლას



გვ. 10



გვ. 29

რა უწინასწარმეტყველა ინდურ სერიალებს ქართულ ტელესივრცეში დავით ბეჟიტაშვილმა და რატომ ფიქრობენ ბოლივუდელი პროდიუსერები საქართველოში ბევრი ინდური ფილმის გადაღებას

# გილოცავთ გიორგობას!

# რატომ ირჩევენ და რისი გამოკვლევა შეუძლიათ თინა ბუკიას ლაბორატორიაში პაციენტებს

**ადგილი, სადაც გამორჩეულად ზუსტ ლაბორატორიულ კვლევებს ატარებენ და რომელიც ჩვენი მკითხველების გამოკითხვების უპირობო ლიდერია ამ მიმართულებით – თინა ბუკიას სახელობის კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია მართლაც რომ ზუსტი ანალიზის ცენტრია თბილისში და, როგორც ჩანს, ამიტომაცაა, რომ მას ნდობას არა მხოლოდ თბილისის, არამედ საქართველოს მასშტაბით უცხადებენ.**

**თინათინ ბუკია** *(მინი-დოსიე): თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ლაბორატორიული მედიცინის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი და სულისჩამდგმელი საქართველოში. ქართულ-ავსტრიული კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის დამფუძნებელი, რომელიც მისსავე სახელს ატარებს. ასევე, თსსუ-ის ლაბორატორიული საქმის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს ლაბორატორიული მედიცინის ასოციაციის თავმჯდომარე.*

**– ქალბატონო თინა, როდის დაიწყო ფუნქციონირება თქვენმა ლაბორატორიამ?**

– ფუნქციონირება დავიწყეთ 2010 წლის ნოემბრიდან. ჩვენს ლაბორატორიაში მიმდინარეობს მრავალმხრივი გამოკვლევები: ჰემატოლოგიური, ზოგადკლინიკური (სადაც შედის შარდსასქესო სისტემის გამოკვლევა, თავზურგტვინის სითხის გამოკვლევა და სხვა), ბიოქიმიური, ჰემოსტაზიოლოგიური. გარდა ამისა, ჩვენს ცენტრში მიმდინარეობს იმუნოლოგიური და ვირუსოლოგიური გამოკვლევები, რომლებიც სრულდება როგორც ლუმინისცენტური მიკროსკოპის საშუალებით, ასევე იმუნოლოგიური ანალიზატორების მეშვეობით. ყველა პროცედურა სრულდება ჩვენთან, ადგილზე. ვირუსების კვლევა ლუმინისცენტური მიკროსკოპის საშუალებით საჭიროებს განსაკუთრებულად დიდ სიზუსტესა და გამოცდილებას. ეს მეთოდი იძლევა ზუსტი პასუხის გაცემის საშუალებას. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს ქალისა და მამაკაცის გენიტალიური სისტემების შესწავლა. ჩვენთან მოდიან ბაქტერიოსკოპიული ანალიზებისთვის, პროსტატის მდგომარეობისა და ფერტილობის შესასწავლად. სპერმის ანალიზი ხდება ორმაგი წესით, როგორც ვიზუალური მიკროსკოპის საშუალებით, ასევე, გვაქვს ისრაელის წარმოების ანალიზიტორი, რომელიც ახდენს სპერმატოგენეზის ზუსტ განსაზღვრას. ლაბორატორიული კვლევების დიდ წილს შეადგენს ჰორმონების გამოკვლევა. გარდა ამისა, სტანდარტულად შესაძლებელია სისხლის ყველა რუტინული გამოკვლევა.

სადღეისოდ ლაბორატორია პაციენტებს სთავაზობს 200-მდე სახეობის კვლევის ჩატარებას. მაღალი ხარისხის რეაგენტები, კვლევის წარმოების ავტომატიზაცია, გამოკვლევის თანამედროვე მეთოდები, მაღალკვალიფიციური პერსონალი წარმოადგენს მიღებული შედეგების სიზუსტისა და ხარისხის გარანტს.



**– რა კატეგორიის პაციენტები მოგმართავენ და რამდენად ზუსტია თქვენი ლაბორატორიის შედეგები?**

– ჩვენი ლაბორატორიის კონტინგენტი თითქმის ყველა კატეგორიის პაციენტია. მათი დიდი ნაწილი თბილისელებია, თუმცა ხშირად ჩამოდიან რეგიონებიდანაც, ბათუმიდან, გორიდან... ბუნებრივია, სიზუსტეა ჩვენი ლაბორატორიის ნომერი პირველი სამუშაო კრიტერიუმი. პირველ ყოვლისა, ეს განისაზღვრება პერსონალის მაღალი კვალიფიკაციითა და ჩვენს დიაგნოსტიკურ ცენტრში არსებული მაღალი დონის უცხოური აპარატურით; ასეთივე დონისაა რეაქტივებიც. გარდა ამისა, ლაბორატორია წელიწადში რამდენჯერმე აწარმოებს ანალიზების სიზუსტის შემოწმებას. ხარისხის კონტროლი გვაქვს ავსტრიაში, OQUASTA-ს ფირმაში. ასევე, ვმონაწილეობთ საქართველოში არსებული ლაბორატორიების ხარისხის კონტროლში, რომელსაც აწარმოებს ფირმა „ჰუმანი". კვლევის სიზუსტე ლაბორატორიულ დიაგნოსტიკაში, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენც ამ მაგისტრალურ ხაზს მივყვებით. სწორედ ამიტომაც, წლების განმავლობაში იგრძნობა პაციენტების ნდობა ჩვენი შედეგებისადმი. მინდა აღვნიშნო, რომ ლაბორატორიაში მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. აქ გადიან მომზადებას სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის როგორც სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები, ისე, რეზიდენტები ლაბორატორიული მედიცინის მიმართულებით. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო მუშაობაც. მიხარია, რომ ჩვენს ცენტრში ექიმ-ლაბორანტების მომზადება დღემდე გრძელდება, რითაც ახალგაზრდების ამ მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლებას ვუწყობთ ხელს.

**მედეა აზარაშვილი** *(მედიცინის დოქტორი, კლინიკის დირექტორი):* პაციენტების ნდობის ხარისხს უპირველესად განსაზღვრავს სწორედ ქალბატონი თინას ავტორიტეტი და მისი განსაკუთრებული გამოცდილება და პროფესიონალიზმი ამ სფეროში. ქალბატონი თინა სამედიცინო უნივერსიტეტის ლაბორატორიული მედიცინის მიმართულების ხელმძღვანელია; აღზარდა ექიმ-ლაბორანტთა მრავალი თაობა, გახლავთ ლაბორატორიული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი და, ბუნებრივია, რომ წლობით ნაგროვები კვალიფიციურობა აისახება სწორედ მისი სახელობის კლინიკისადმი პაციენტების დიდ ნდობაზე.

**ლელი შანიძე** *(მედიცინის დოქტორი, კლინიკის მენეჯერი):* ქალაქის წამყვან სპეციალისტთა დიდი ნაწილი – უროლოგი, სექსოლოგი, რეპროდუქტოლოგი, ენდოკრინოლოგი და ასე შემდეგ, უპირატესობას ანიჭებს ქალბატონი თინას დასკვნებს პაციენტის მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრისას. სწორედ ქალბატონი თინას გამოცდილება და ავტორიტეტი, მის მიერ ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა და სათანადოდ აღჭურვილი ბაზა გახლავთ ჩვენი ლაბორატორიის წარმატებული მუშაობის საფუძველი.

***მისამართი: თბილისი, შარტავას ქუჩა №16. ტელ.: 237 61 50.***

**ანა თაბაგარი**

**მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ბაზარზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისთვის განკუთვნილი საღებავების ბუმია, ხარისხიანი საღებავის შეძენა კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. მომხმარებლისთვის მთავარი თავსატეხი, ხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა საღებავის ყიდვაა. ზოგჯერ ოჯახებში სარემონტო სამუშაოების დროს გამოყენებული საღებავების წყალობით, ინტოქსიკაციის შემთხვევებიც ფიქსირდება: განსაკუთრებით სათუთი ეს თემა მაშინაა, როცა საქმე ბავშვის ოთახის შეღებვას ეხება. სად და რომელი ხარისხის საღებავი უნდა შეიძინონ მშობლებმა ბავშვების ოთახის შესაღებად, რომელია ყველაზე ხელმისაწვდომი და ამავე დროს, ეკოლოგიურად სანდო საღებავი საქართველოში და რა უნდა იცოდეს რიგითმა მოქალაქემ, როცა ის საღებავს ყიდულობს, ამ და სხვა პრობლემატურ საკითხებზე, „კაპაროლ ჯორჯიას" პროდუქტ-მენეჯერი, სანდრო კვანტალიანი გვესაუბრება:**

# რატომ უნდა აირჩიოთ „ალპინას" საღებავი ბავშვის ოთახისთვის და რა ზიანი შეიძლება გამოიწვიოს არასწორად შერჩეულმა საღებავმა

**– ბატონო სანდრო, სახლის ინტერიერისთვის კედლების საღებავის შერჩევა ქართველი მომხმარებლისთვის სერიოზული პრობლემა გახდა. აუხსენით ჩვენს მკითხველს, რას უნდა მიაქციოს ყურადღება ოთახებისთვის კედლების საღებავის არჩევისას?**




– ინტერიერის საღებავის შერჩევისას მომხმარებელმა რამდენიმე ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს. უპირველესად, აქცენტი უნდა გაკეთდეს ეკოლოგიურ მხარეზე. საქართველოში ამ თვალსაზრისით, არჩევანი საკმაოდ მწირია. ამიტომაც, კონსულტაცია უნდა იყოს ზუსტი, რომ მომხმარებელი მოტყუებული არ დარჩეს. არსებობს სტერეოტიპი, რომ ფასადის საღებავის გამოყენება კარგია ინტერიერში, ის უფრო მედეგია, უძლებს წვიმას, ნესტს და ასე შემდეგ. ამიტომ, ხშირად იყენებენ ხოლმე ფასადის საღებავს საცხოვრებელი ბინის შიდა კედლების შესაღებად. იხდიან მეტ თანხას, შედეგი კი, არაადეკვატურია, რადგან ფასადის საღებავში ძალიან ბევრი ისეთი კომპონენტია დამატებული, რომელიც ზრდის სწორედ მის ფასადისთვის გამოყენების საჭირო მედეგობას. თუმცა, ინტერიერში მისი გამოყენება არარელევანტურია. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ შეიძინო ამა თუ იმ ინტერიერის ოთახისთვის შესაბამისი საღებავი. მაგალითად, აბაზანისა და სამზარეულოსთვის სხვა კაგეტორიის საღებავია საჭირო, ხოლო ბავშვის საძინებელი ოთახისთვის სხვა კატეგორიის საღებავი..

მოგეხსენებათ, „ალპინა", ისევე როგორც „კაპაროლი", წარმოადგენს „DAW" ფირმათა ჯგუფის კომპანიას და არის ყველაზე გაყიდვადი საღებავების მწარმოებელი გერმანიაში. მის მიერ წარმოებული პროდუქცია იმსახურებს გერმანელ მომხმარებელთა ნდობას წლების განმავლობაში. „ალპინას" ბრენდმა ქართველ მომხმარებელს გაუადვილა არჩევანის გაკეთება, რადგან ასორტიმენტი დაყოფილია იმისდა მიხედვით, თუ რომელი ოთახის შეღებვა სურს მომხმარებელს – აბაზანის, სამზარეულოსა თუ ბავშვის ოთახის. სამზარეულოსა და აბაზანის შემთხვევაში, ის უძლებს ნესტს, წმენდამედეგია და ხელს უშლის სოკოსა და ობის გაჩენას. როდესაც მომხმარებელი მიდის დახლთან, ის საღებავის ეტიკეტზე უკვე ხედავს მის ფუნქციას და ირჩევს დანიშნულებისდა მიხედვით. რა თქმა უნდა, „ალპინას" ბრენდი მოიცავს ინტერიერისთვის საჭირო ყველა ტიპის საღებავს, ასევე მისაღები ოთახისთვის, ჰოლისთვის და ასე შემდეგ. თუმცა, გამორჩეულად მნიშვნელოვანია სპეციფიკური საღებავები.

**– იქნებ უფრო დეტალურად ბავშვის ოთახის საღებავზეც მოგვითხრობთ, მშობლების უმეტესობამ, ალბათ, არ იცის, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია მათი შვილების ჯანმრთელობის უსაფრთხოების თვალსაზრისით...**

– რა თქმა უნდა, მაგალითად, ევროპაში ბავშვის ოთახის შეღებვა ხდება მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულად ეკოლოგიურად სუფთა ინგრედიენტებით შეზავებული მასალებით და ამ ტიპის საღებავები მთლიანად ორიენტირებულია ბავშვის ჯანმრთელობაზე. მაგალითად, „ალპინას" ბრენდს უკვე მეორე წელია, აქვს განახლებული ხაზი, რომელშიც შედის ბავშვის ოთახის საღებავები – გამორჩეულად სუფთა ინგრედიენტებით გაზავებული და მიზანმიმართული იმ ზონაზე, რასაც ბავშვის ოთახი ჰქვია. მისი ძირითადი ფუნქცია, ეკოლოგიურობის გარდა, არის წმენდამედეგობა. ბავშვის ოთახის კედლები ხშირად ჭუჭყიანდება; ბავშვი კედელს სვრის ხელით, ფეხით, ნახატით, ბურთით თუ ასე შემდეგ. ამიტომაც, მშობელს გაუმარტივდება ოთახის მოვლა, რომ ხშირად არ დასჭირდეს გადაღებვა და წმენდამ საღებავი არ გააფუჭოს. ამას გარდა, „ალპინას" აქვს საღებავების ფერთა დიდი ასორტიმენტი სპეციალურად ბავშვის ოთახისთვის. ბავშვების ოთახის ფერი განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მათ განწყობაზე, ფსიქოგარემოზე... ამიტომაც, ხალისიანი და საბავშვო ფერების დიდი არჩევანი გვაქვს. სასურველია, ხალისიანი და ნათელი ფერები, რაც ბავშვს განაწყობს პოზიტიურად. განსაკუთრებით მოთხოვნადია ხასხასა მწვანე ფერები. „ალპინას" საღებავი მშობელს არ ზღუდავს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშობელმა სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. ამასთანავე, „ალპინა" არ არის ძვირად ღირებული პროდუქტი. ის არ არის გათვლილი საზოგადოების ვიწრო წრეზე – ხელმისაწვდომია ყველა სეგმენტის მომხმარებლისთვის. მას უკავია საკუთარი ნიშა და დღეისთვის ის გაყიდვების ჰიტია.

**– საღებავის ეკოლოგიურობა დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „ალპინა" ამ მხრივაც გამორჩეულია...**




– საღებავის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი გახლავთ ორგანული, აქროლადი ნაერთები, ანუ იგივე გამხსნელები, რომელთა წილი საღებავში განსაზღვრავს სწორედ მის ეკოლოგიურ ხასიათს. როდესაც კედელზე ხდება საღებავის დატანა, ის რამდენიმე დღის განმავლობაში გამოყოფს ამ აქროლად ნაერთებს, რომლებიც ხშირად ტოქსიკურიცაა. „ალპინა" აკმაყოფილებს გერმანული ინდუსტრიული ნორმების ყველაზე მოთხოვნად კრიტერიუმებს. ფასადის საღებავებში აქროლადი ნაერთების შემცველობა 30 მილიგრამი, ანუ 3 პროცენტამდეა, ხოლო ინტერიერის საღებავებში კი 1 პროცენტზე ნაკლები. რაც ნაკლებია ამ შემკვრელი ნაერთების შემცველობა საღებავში, მით უფრო სუფთაა ეკოლოგიურად ეს საღებავი. ბუნებრივია, ხშირად საღებავების ეტიკეტზე დატანილია ეს ინფორმაცია, თუმცა თურქულ თუ სხვა უცხო ენაზე ინფორმაციის ზუსტად ამოკითხვა, ძნელია. „ალპინას" შემთხვევაში კი, ცნობილია, რომ ბავშვის ოთახისთვის განკუთვნილი საღებავი ნაკლებ აქროლად ნაერთებს შეიცავს და შესაბამისად, უფრო უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, მომხმარებელმა ზუსტად იცოდეს, როგორ შეარჩიოს საღებავი ინტერიერისთვის და რატომ უნდა აირჩიოს „ალპინას" პროდუქცია.

**ეკა ნაკაიძე**

# „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა“?!

მართალია, **ქართველი დემოგრაფები წლება, ირწმუნებოდნენ**, რომ **საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა – 4 მილიონ 300 ათასზე** ოდნავ მეტი – **არ შეესაბამებოდა რეალობას** და **ქვეყანაში ამ ციფრზე 500-700 ათასით ნაკლები ადამიანი ცხოვრობდა,** მაგრამ **ცენტრალური საარჩევნო კომისია მაინც ჯიუტად ადგენდა ამომრჩეველთა რიცხვად** სამ-ნახევარ მილიონზე მეტს.

**საყოველთაო აღწერის წინასწარი მონაცემებით კი გაირკვა**, რომ საქართველოს მოსახლეობა **2002 წლიდან 2015-მდე 642 000 ადამიანით შემცირებულა** და 2015 წლის 1 იანვრის წინასწარი მონაცემებით, სულ რაღაც **3 მილიონ 700 ათასზე ოდნავ მეტნი დავრჩენილვართ**. –



ისიც შევიტყვეთ, რომ **მოსახლეობის 57,4 პროცენტი ქალაქად სახლობს**, დანარჩენები – სოფლად; რომ **კვლავ მამაკაცების დეფიციტია** – 47,7-პროცენტიანი მაჩვენებლით, **ქალები კი**, რაოდენობით, **2 მილიონს ვუკაკუნებთ.**

სამწუხარო ის არის, რომ **ყველაზე დიდი კლება** – როგორც ქალებში, ისე კაცებში – **10-19 წლის ასაკობრივ ჯგუფებშია,** თუმცა, **სასიხარულოა, რომ მატებაა 0-4 წლის ასაკობრივ ჯგუფში**, ხოლო, **რაკი დაბერებული ერი ვართ,** ყველაზე **მრავალრიცხოვანნი 50-59 წლისანები ყოფილან**.

ასეა თუ ისე, უფრო დეტალურად წლის ბოლოს შევიტყობთ, **რამდენნი დავრჩით და როგორი შემადგენლობით,** რაც იმაშიც დაგვეხმარება, **განვსაზღვროთ 2002-დან 2015 წლამდე ჩატარებული არჩევნების გაყალბების მასშტაბი;** რადგან, **თუ მოსახლეობა იმაზე 14 პროცენტით ნაკლები ყოფილა, ვიდრე საქსტატი გვარწმუნებდა,** ესე იგი, **ამომრჩეველიც იმაზე ნაკლები გვყავდა, ვიდრე ცესკო გვარწმუნებდა**. –

# იძულება სიყვარულისთვის!

## „ჩვენ ერთმანეთს ვერ გაგვყრიან...“

გასულ კვირას რფ-ის ნომერ **პირველმა დიპლომატმა ფართო საზოგადოებას აუწყა, რომ „რუს და უკრაინელ ხალხს ვერავინ წააჩხუბებს,** მიუხედავად „ომის პარტიის“ მცდელობებისა.“



მეტიც, ბ-ნი ლავროვის თქმით, **რუსეთის ქმედებებს ერთადერთი მიზანი აქვს – შეინარჩუნოს უკრაინა როგორც ერთიანი სახელმწიფო და უზრუნველყოს ლუგანსკო-დონეცკელი სეპარატისტების პირდაპირი დიალოგი კიევთან** („ტყუილი, ტყუილი, პაპიროსი პირში!“).

რფ-ელი ნომერ პირველი **დიპლომატის თქმითვე, მათი უკრაინელი მეგობრები განიცდიან მომხდარს**, ოღონდ, **დარწმუნებულია, რომ ისინი არ იზიარებენ ულტრარადიკალიზმს** და **არ დაუშვებენ განხეთქილებას რუს ხალხთან** (სულაც რომ მიწასთან გაასწოროს უკრაინა რუსულმა ბომბდამშენებმა?!). მაგრამ, იმავდროულად, აღნიშნავს, რომ **აპირებენ, კვლავაც დაუჭირონ მხარი თავიანთ თანამემამულეებს უკრაინაში.**

ერთი სიტყვით, **ლოგიკა, ჩვეულებისამებრ, ურთიერთგამომრიცხავია,** თუმცა, **მოქმედების სტილი – ბუნებრივი**: თუკი 2008-ში ჩვენ წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციას **„იძულება მშვიდობისთვის“** ერქვა, **უკრაინის შემთხვევაში უფრო მეტი რომანტიზმია – „იძულება სიყვარულისთვის“...** რადგან, თანახმად რუსული საყველპურო გამონათქვამისა: **Муж бьет, значит любит...**

# „ლექვთა“ თანასწორობა

## მეთორმეტე > ოცდამეერთეზე

**პოლიტიკურ პარტიებში ქალების კვოტირების თემა ვერ მოენელებინათ,** ძირითადად, ჩვენს თანამემამულე მამაკაცებს, რომ **აქეთ – ქართველი მოჭადრაკე ქალები გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები**, იქით კი – **თავდაცვის მინისტრად ქალი ინიშნება**. და თუმცა **ცდილობენ, რომ უკმაყოფილება პარტიულ კალაპოტში გადაამისამართონ**, თინა ხიდაშელის დანიშვნის გამო ამტყდარი ვნებათაღელვა გვაფიქრებინებს, რომ **ოცდამეერთეში მეთორმეტეზე უკან წავსულვართ**; მეტიც, თითქოს არ იცოდნენ, რომ **თავდაცვის მინისტრი სამოქალაქო პირია** და **შეიარაღებულ ძალებს კვლავაც გენშტაბის უფროსი უხელმძღვანელებს.**

მეორე მხრივ, ფაქტია, რომ **ქართულ პოლიტიკურ სცენაზე თვისებრივი გადაჯგუფებებია** და **ეს პროცესი ჩვენი ოკეანისგაღმელი და სულზე უტკბესი პარტნიორის გარეშეც არ ჩატარებულა.**

**მინისტრთა კაბინეტის განახლებამდე აშშ-ის ელჩი ბ-ნი ნორლანდი შუშის სასახლეში ეწვია ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ივანიშვილს** და, თუმცა **ბმა მთლად პირდაპირი არ არის** და დანამდვილებითაც **ვერ ვიტყვით, რომ** მაინცდამაინც **იქ გადაწყდა საკადრო ცვლილებები,** მოვლენები კი ამ თანმიმდევრობით განვითარდა: თავდაპირველად, **პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა ორი მინისტრის გამოცვლის შესახებ განაცხადა**, ხოლო მოგვიანებით (დროში – ზემოხსენებულთა შეხვედრის შემდეგ), **ორი სამად იქცა.**

მართალია, **ორის სამად ქცევის შემდეგ ბ-**ნმა **ნორლანდმა განაცხადა**, რომ ბიძინა **ივანიშვილთან შეხვედრისას თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ არ უსაუბრია**, თუმცა, **რაკი არც საუბრის თემა დაუკონკრეტებია,** არ არის გამორიცხული, **გაერჩიათ თემა: რას გვასწავლის „ვეფხისტყაოსანი”?!**

აი, **შოთა კი ჯერ კიდევ როდის გვასწავლიდა ლეკვთა თანასწორობას**?! –


**ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“**

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ქეთი კაპანაძე, ეთო ხურციძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუწუნიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ალექს ხარიტონაშვილი

მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52

სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53

დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com


ჟურნალში გამოყენებული სტატიებისა და ფოტოსურათების მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე ისჯება კანონით

# მანქურთები

მაშინ, როდესაც **ქართული შეიარაღებული ძალები თავის დღეს აღნიშნავდა, „რუსთავი2-მა“ სიურპრიზი მოუმზადა** და, არც მეტი, არც ნაკლები, **გაავრცელა ინფორმაცია, რომ თითქოს ქართველი ჯარისკაცები ცენტრალურ აფრიკაში ბავშვებზე სექსუალურად ძალადობდნენ,**



თანაც, **ვითომ ფრანგულ წყაროზე დაყრდნობით.**

ჩვეულებისამებრ, ეს **ინფორმაცია სხვა ქართულმა სააგენტოებმაც აიტაცეს** და მხოლოდ **მკითხველ-მაყურებლის ჯანმრთელი რეაქციის შემდეგ გაირკვა**, რომ **ფრანგულ წყაროში ქართველი სამხედროები მოძალადეებად ნახსენები არ ყოფილან**, იმას გარდა, რომ, იმ ნაწილში, რომლის ფრანგი წევრები მსგავს დანაშაულში არიან მხილებულნი, ქართველებიც მსახურობდნენ.

მეტიც, **დანაშაულის სავარაუდო ჩა-**

## „დავახრჩობ დედას, მოვგუდავ მამას“

**დენის მომენტში ქართველი სამხედროების მისია ცენტრალურ აფრიკაში არც კი იყო დაწყებული.** კერძოდ, საფრანგეთის სამხედრო ატაშემაც (ანდრე ევრარიმ) განმარტა, რომ **არანაირი მინიშნება არ არსებობს, რომ ქართველი ჯარისკაცებიც არიან ჩარეული ცენტრალურ აფრიკაში ბავშვებზე სექსუალურ ძალადობაში.** მომყავს ციტატა: „საქმე გასულ წელს ცენტრალურ აფრიკაში ფრანგი ჯარისკაცების მხრიდან ბავშვებზე სექსუალურ ძალადობაში ეჭვის საფუძვლის გაჩენას ეხება. ეს გასულ წელს იყო და **საფრანგეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქმის გამოძიება, რაზეც იუსტიციის მინისტრი და პარიზის ტრიბუნალი მუშაობს. ასე რომ, გამოძიება მიმდინარეობს.“**

მეორე მხრივ, **ქართულმა მედიამ ისეთივე ჟინით აიტაცა ეს ინფორმაცია, როგორც**, თავის დროზე, ითქვა: **„დავახრჩობ დედას, მოვგუდავ მამას“**, და თუმცა „ნულოვანი ვარიანტით“, **დამოუკიდებელმა საქართველომ უარი თქვა საბჭოთა კავშირის მემკვიდრეობაზე** (არც ქონება მოითხოვა და არც ვალების გასტუმრება მოინდომა), როგორც ჩანს, **სულიერი მემკვიდრეობის ძაფები კვლავ მტკიცეა.** ახლა ისღა დაგვრჩა გასარკვევი: **მანქურთად იბადებიან თუ დროთა განმავლობაში თანდათანობით ხდებიან?! –**

# გარე-გარე

## ანუ იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის

ვიდრე ჩვენ **აქეთ – ვალუტა გაგვჭირვებია, იქით – მინისტრების ორომტრიალი,** ჩვენი **ყოფილი და თვით ძებნილი პრეზიდენტი ბაქოს ესტუმრა**, ოღონდ, **როგორც უკრაინის ოფიციალური პირი**, თუმცა **აზერბაიჯანის დედაქალაქში ჩასვლის მოტივი ექსპრეზიდენტებისა და მთავრობის მეთაურთა სამიტზე დასწრება იყო.**

ადგილობრივ მედიას კი განუცხადა, რომ, **„მიუხედავად იმ წინააღმდეგობისა, რომელსაც მიქმნიდა საქართველოს ხელისუფლება,** რათა აღეკვეთათ ჩემი ბაქოში ვიზიტი, **მე მაინც აქ ვარ, ჩემს მეგობრებთან.“** და ისიც **დასძინა, რომ,**



თურმე, „ყოველგვარი საუბარი იმის შესახებ, რომ ინტერპოლი მეძებს, სხვა არაფერია, თუ არა პროფანაცია“, **ანუ საუბრები ჩემი „პოლიტგარდაცვალების“ შესახებ ნაადრევია.**

ჩვენ არ ვიცით, **რატომ მიჰყვა საქართველოს მეგობარი აზერბაიჯანი არანაკლებ მეგობარი უკრაინის გზას**, მაგრამ **ვიცით** (გამოცდილებამ გვასწავლა), რომ, **ვინც მოითმენს, ის მოიგებსო** (ანუ, ამის გამო არც უკრაინასთან უნდა გავიფუჭოთ ურთიერთობა და არც – აზერბაიჯანთან; მეტიც, **შეგვიძლია, ვუსურვოთ, რომ მათაც ეწვინოთ მმართველობის ის გემო, რაც ჩვენ გავიარეთ –** ).

იმის დასტურად, რომ **ყველაფერი,** რაც შეიძლება, **საუკეთესოდაა**, საქართველოს **ექსპრეზიდენტმა ფოტოც გამოაქვეყნა,** რომელზეც თავად და აზერბაიჯანის პრეზიდენტი გულიანად იცინიან, ქართულმა მედიამ კი დაასკვნა, **სააკაშვილი საქართველოს მთავრობას ბაქოდან დასცინისო.** თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **მთავარსარდალმა მიხეილ სააკაშვილმა ომში დამარცხებულ ქართულ ჯარს მხატვრულ ფილმში დამარცხებული ქართული ჯარისავე როლი ათამაშა**, ბაქოში ვიზიტი ამასთან შედარებით სიყვარულის ახსნაა.

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# მე, მთავარსარდალი

## ანუ „უჩემოთ ვით იმღერითა“

თუმცა **ორი მინისტრის ცვლილებას ველოდით**, მაგრამ, **საქმე საქმეზე რომ მიდგა, სამი აღმოჩნდა**. ასე და ამგვარად: **საქართველოს მთავრობას სამი ახალი მინისტრი ეყოლება** სამ პოზიციაზე: **გარემოს დაცვაში, თავდაცვასა და სპორტში.** ხოლო, რაკი **შეცვლილი მინისტრების რაოდენობამ 7-ს გადააჭარბა,** ამ ჩვენი **კონსტიტუციის თანახმად,** ამ **ჩვენმა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ** ამ **ჩვენსავე მთავრობას ნდობა ხელახლა უნდა გამოუცხადოს**, ხოლო **პროცედურა ამ საქმეში**, მართალია, **ფორმალურად**, მაგრამ **ითხოვს პრეზიდენტის ჩართვას**: მან **ხელი უნდა მოაწეროს პრემიერ-მინისტრის მოთხოვნას**, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა და **პარლამენტს წარუდგინოს.**

მაგრამ, **რაკი ეს ჩვენი კონსტიტუცია ამისათვის პრეზიდენტს ერთკვირიან ვადას აძლევს**, ბ-ნმა **მარგველაშვილმა ვადა გამოიყენა და პრემიერ-მინისტრ ბ-ნ ღარიბაშვილს შეუთვალა**, რომ **თავის ბეჭედს ამ დოკუმენტს მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ დაასვამს** (პათოსით: კარგად დაფიქრდით, ნაჩქარევი არაფერი მიიღოთ, მათ შორის, არც გადაწყვეტილებაო, **თითქოს არ სცოდნოდეს**, რომ **ანუშკამ ზეთი უკვე დაღვარა,** ანუ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **აშშ-ის ელჩი ნორლანდი უკვე ეწვია შუშის სასახლეში ყოფილ პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს**).

ბ-ნმა **მარგველაშვილმა თავის განცხადებაში** (მე მინდა, მივცე შესაძლებლობა როგორც პრემიერ-მინისტრს, ასევე პარლამენტს, უფრო მშვიდ გარემოში განახორციელონ კონსულტაციები, ჩამოყალიბდნენ კანდიდატურებზე და ვიყენებ კონსტიტუციით მონიჭებულ ერთადერთ უფლებამოსილებას და ერთი კვირით გადავწევ ხელმოწერას) **პრემიერ-მინისტრი მთავრობის მეთაურად მოიხსენია, საკუთარი თავი კი** იქვე – **მე, როგორც მთავარსარდალი.**

ცხადია, **ორივე დეფინიცია მართებულია,** ხოლო **მთავარსარდლობის ხაზგასმა, სავარაუდოდ, უნდა გამოხატავდეს** ძველ და მშობლიურ ქვეტექსტს – **„უჩემოთ ვით იმღერითა“.** თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ **მთავრობას უცხოური ვალუტის შემოტევა ვერ მოუგერიებია, მთავარსარდალს კი – ოკუპანტების,** ვითომ ღირდა ამის შეხსენება?! მით უფრო, რომ, **ვისაც პირველ მწვადს მიართმევენ, პირველი ტყვიაც მან უნდა გასინჯოსო?! –**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**რუსულ მედიაში, რატომღაც, უკვე წრეგადასულად აქტუალურია პანკისის ხეობის ისლამური ტერორისტული სახელმწიფოს „ბოევიკების“ მომმარაგებლად წარმოჩენის საკითხი. კავკასიის საკითხებში ექსპერტის, მამუკა არეშიძის აზრით, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ამზადებს საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს საიმისოდ, რომ საქართველო ტერორიზმთან კავშირშია, რითაც, საჭიროების შემთხვევაში, გაამართლებს მის ტერიტორიაზე შემოჭრის ანტიტერორისტულ ოპერაციას. რა საშიშროება ემუქრება ჩვენს ქვეყანას ამ მიმართულებიდან და როგორ არის შესაძლებელი მისი თავიდან აცილება? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემას კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარესთან, ზაალ კასრელიშვილთან, ერთად შევეცდებით.**

# რა შემთხვევაში გამოიყენებს რუსეთი პანკისის ხეობას საქართველოში სპეცოპერაციის ჩასატარებლად და რატომ აქვს მას სტრატეგიული მნიშვნელობა მთელი კავკასიის გასაკონტროლებლად

**– რა მოტივაცია შეიძლება, ედოს საფუძვლად რუსული მედიის ძალისხმევას პანკისის ტერორისტებთან კავშირის დასამტკიცებლად, მაშინ, როდესაც რუსეთის მოქალაქეებითაა გავსებული ტერორისტული სახელმწიფოს რიგები, ზედა თუ ქვედა ეშელონები?**

– ამ თემებზე გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან ვლაპარაკობთ და განგაშის ზარს ვრეკავთ, მაგრამ ყველა ხელისუფლება, იმ დროიდან მოყოლებული, ვიდრე დღემდე, ცდილობს, პანკისის ხეობის პრობლემა თავისი მმართველობის პერიოდში გააუვნებელყოს ტკივილგამაყუჩებლებით, პრობლემა კი პრობლემად რჩება. ვამბობდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ მესამე სიმაღლე კავკასიონზე არის პანკისი. პირველი იყო ქლუხორი, მეორე – ცხინვალის მიდამოები. ვინც პანკისის ხეობას აკონტროლებს, ის აკონტროლებს ჩეჩნეთსაც, ინგუშეთსაც, დაღესტანსაც, აზერბაიჯანსაც, საქართველოსაც. თავის დროზეც ვაფრთხილებდით ხელისუფლებას შევარდნაძის დროს, არ დაგვიჯერეს და ორი ბომბი ჩამოყარა რუსეთმა; შემდეგ შემოგვთავაზეს ერთობლივი სპეცოპერაციის ჩატარებაც. წინა ხელისუფლების პერიოდში ეს ხეობა ისე დაიხურა, რომ, სანამ ლაფანყურის ინციდენტი არ მოხდა, არავინ იცოდა, რა ხდებოდა, თუმცა ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიცოდით.



**ტრადიციულადაც, ისტორიულადაც და პოლიტიკურადაც, თუ აკონტროლებ საქართველოს, ავტომატურად აკონტროლებ სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც**

**– რატომ მოადუნა რუსეთმა წინა ხელისუფლების პერიოდში ყურადღება პანკისისადმი? იმიტომ რომ სხვა სტრატეგიულ ადგილზე – ცხინვალზე იყო კონცენტრირებული?**

– ჩვენმა წინა ხელისუფლებამ დალუქა ხეობა, თითქოს იქ არანაირი პრობლემა არ იყო, სინამდვილეში სწორედ წინა ხელისუფლების პერიოდში გამრავლდნენ რადიკალური ისლამის მიმდევრები პანკისის ხეობაში და ხელისუფლებასთან შეხმატკბილებულადაც მოქმედებდნენ. ყოველ შემთხვევაში ლაფანყურის სპეცოპერაციის შემდეგ გაირკვა, რომ იქ მნიშვნელოვანი მოძრაობები იყო. ასე რომ, ჩვენთვის უცხო არ არის, რაც ხდება დღეს პანკისის ხეობის გარშემო და მინდა, გითხრათ, რომ პანკისის ხეობის თემამ გაიჟღერა არა მხოლოდ რუსული, არამედ დასავლური მედიასაშუალებებითაც, როდესაც პანკისი წარმოჩენილია, როგორც ხალიფატის მოკავშირე.

**– ძალიან უცნაურია, ცნობილია, რომ „ბოევიკები“ თურქეთიდან გადადიან ისლამურ სახელმწიფოში, მაგრამ დასავლური მედიის ყურადღების ცენტრში ხვდება პანკისი, რომელიც არც კი ესაზღვრება ან რამდენი ადამიანი უნდა წავიდეს პანკისიდან?!**

– არაფერი უცნაური არ არის, მოტივაცია ჩვენ უკვე ვთქვით: ამ ხეობის სტრატეგიული მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, ისლამურ ხალიფატში გადადიან თურქეთიდან და არავინ არაფერს ამბობს პანკისიდან – თურქეთში და თურქეთიდან – სირიაში მარშრუტზე და არც ეგრეთ წოდებულ გამცილებლებზე და ეს შემთხვევით არ ხდება. აზერბაიჯანიდანაც გადადიან, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებიდანაც და რუსეთის ფედერაციის თითქმის ყველა მუსლიმანური რესპუბლიკიდან არიან გასულები, მაგრამ მაინცდამაინც პანკისი ამოიჩემეს და, თუ რატომ ჩვენ ეს უკვე ავხსენით. გეოგრაფიაც ვნახეთ: ვინც აკონტროლებს კავკასიონის ქედზე ამ სამ წერტილს, ის აკონტროლებს როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიას და ჩვენ არ ველოდებით, რომ ამ თემაზე საუბარი შეწყდება. ამას ემატება ზოგიერთის საეჭვო აქტიურობა როგორც ამ ხეობაში, ისე ხეობის გარეთ პანკისის ხეობის მკვიდრების სახელით და რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ცდილობს, მთელ მსოფლიოს აჩვენოს, თითქოს ეს არის უმართავი ხეობა, იქ მიმდინარე პროცესებიც უკონტროლოა და უქმნის საფრთხეს მის სამხრეთ საზღვრებს.

**– მხოლოდ ჩვენ ხომ არ ვიცით, რომ პანკისის ხეობას სტრატეგიული დანიშნულება აქვს რუსეთისთვის? დასავლეთი, რომლის ინტერესი არ არის რუსეთის მიერ მორიგი სტრატეგიული ხეობის დაკავება საქართველოს ტერიტორიზე, რატომ პასიურობს? იქიდან რომ დაარტყას რუსეთმა საქართველოს ტერორისტების განადგურების მოტივით, ამის შემდეგ კიდევ უფრო დაუცველი არ რჩება საქართველო რუსული გავლენისგან?**

– დასავლეთი ვერ ხედავს იმ საფრთხეებს, რასაც – რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა; დასავლეთის აზრით, იქ მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. ამ ბოლო დროს მოვისმინეთ ზოგიერთი ავტორიტეტული პოლიტიკოსის განცხადებები დასავლეთიდან, რომ საქართველოს ხმა ამ გლობალური პოლიტიკური პროცესების დინებაში, რომელიც ეხება რადიკალურ ისლამს ჩვენთვის გასათვალისწინებელია. როგორც ჩანს, ახლა უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ ხეობას. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ამასაც არ ამბობდნენ. მეტსაც გეტყვით: რუსეთის მედიაში არანაკლები ყურადღება ექცევა თრუსოს ხეობასა და ყაზბეგის რაიონს.

**– დიახ, რომ ეს ისტორიული „ოსეთია“.**

– სამწუხაროდ, ამაზე ჩვენთან არ ლაპარაკობენ. ჩრდილო ოსეთში კი არიან ორგანიზაციები და ადამიანები, რომლებიც პირდაპირ ამბობენ, რომ ეს არის მათი და რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სთხოვენ გააქტიურებას, რომ ეს ტერიტორიები მათი გავლენის ქვეშ მოექცეს. ეს არის ჩვეულებრივი პროპაგანდა, საინფორმაციო და, სამწუხაროდ, ასეთი აგიტაცია-პროპაგანდა ყოველთვის წინ უძღვის ხოლმე მზაკვრულ ჩანაფიქრებს და ჩვენ ეს უკვე ვიწვნიეთ საკუთარ ტყავზე. გათვლილია რუსეთის შიდა პოლიტიკურ ბაზარზე: მოსახლეობის შესამზადებლად და იმ სამხედრო პირების მოტივაციის გასაძლიერებლად, რომლებიც შეიძლება, ჩართონ ამ პროცესებში, ანუ სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ოპერაციის ჩატარებაში. ჩვენ არ გვგონია, რომ ეს შემთხვევითია. რაღაც პრობლემები არის პანკისის ხეობაში, რაც ბუნებრივია, როდესაც ახალი რელიგიური მიმდინარეობა ჩნდება, მაგრამ ისეთი საფრთხე, რომ რუსეთის ჯარებმა დაამყარონ წესრიგი, იქ ნამდვილად არ არის. თქვენს მკითხველს შევახსენებ, ჩრდილოეთ კავკასიაში გასული საუკუნის 90-ან წლებში ჩეჩნეთში სწორედ ასეთი დაპირისპირებით დაიწყო რუსეთის გააქტიურება: როდესაც ვაჰაბისტებსა და სუნიტებს შორის ვითარება დაიძაბა, სუნიტმა ლიდერმა ახმად კადიროვმა დახმარება სთხოვა კრემლს ამ პრობლემის მოგვარებაში და შედეგიც მოვიღეთ – რუსეთმა პირწმინდად აიღო მთელი ჩრდილოეთ კავკასია.

**– იმედი მაქვს, მთლად ორი მხრიდან არ შემოგვესევიან: ან პანკისს აირჩევენ ან თრუსოს მიმართულებას, მაგრამ რა შემთხვევაშია რეალური ეს საფრთხე: თუ უკრაინაში ჩიხში შევიდა მოვლენები თუ, პირიქით, თუ წარმატებას მიაწლევს რუსეთი უკრაინაში? ანუ რა მომენტს შეიძლება, ელოდებოდეს?**

## ლევან მარგიანის გახსენება

## შვილო ლევან!

სამი წელი გავიდა, ცრემლიანი სამი წელი. მენატრები უსაზღვროდ. შენ, დედი, როგორ გაძელი უჩვენოდ?! სიცოცხლით სავსე ახალგაზრდას რამ გაჯობა, შვილო, 31 წლის გახდი, შენი შვილი კი – 10-ის. ხშირად გახსენებთ. ახსოვხარ ყველა ახლობელს. ძალიან მიჭირს შენი ნაღვლიანი თვალების იმ სურათებიდან ცქერა, რომლებსაც ყოველდღე ვუყურებ. ენატრები შენს უბედურ მამას, გიორგის, ეკას, ჯუკას, სალის, ანზორიკოს. ლევან, დედი, ჩემო სულით მორიდებულო, თურმე, რამდენი რამ გჭირვებია და ვერ მიგიხვდი. მაპატიე, დარწმუნებული ვარ, ეს ლექსი ჩემისთანასა და შენისთანაზეა დაწერილი:



დედა შვილისთვის ყველაფერია,
შვილი დედისთვის – სევდა,
ფიქრით და დარდით გაჭაღარავდი,
განა ვერ ვამჩნევ? ვხედავ.
გკოცნი, გეხვევი, გეალერსები,
თვალცრემლიანი რომ ხარ,
შეცდომებს აღარ გავიმეორებ,
თუკი მეორედ მოხვალ.

**მოხვალ თუ არა, მე მოვალ შენთან.**

**გელოდები შეხვედრამდე.**

**ოჯახი**

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**



ჟუჟუნა საველიძე *(67 წლის, თბილისი).*

დიაგნოზი: *წელის მალების ოსტეოქონდროზი, მუხლში სითხე და მარილები (გონართროზი).* სამი წლის წინ საშინელი ტკივილები დამეწყო წელის არეში, რომელიც მთელ ფეხში გადაეცემოდა. აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი. არ დამრჩა ექიმი, რასაც კი ყურს მოვკრავდი, ყველგან დავდიოდი, მაგრამ, ოდნავაც ვერავინ მიშველა. არ მშველიდა არანაირი წამალი თუ გამაყუჩებელი. ვერც ვწვებოდი, ვერც ვდგებოდი, ძილი მენატრებოდა. როდესაც ყველა იმედი გადამეწურა, მაშინ შევიტყვე ქალბატონი მანანა ალექსიშვილისა და მისი კლინიკის შესახებ. მივედი და ჭეშმარიტი სასწაული მოხდა: პირველივე სეანსის შემდეგ ვიგრძენი შვება და ღამით ნორმალურად მეძინა. 15 სეანსის შემდეგ სავსებით განვიკურნე. მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ მანანას და მთელ პერსონალს პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისთვის.

# ბუასილი მარტივად იკურნება

**მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, წვა, ქავილი, კოლიტი, დისბაქტერიოზი – თემის დელიკატურობის გამო პაციენტები ხშირად ერიდებიან ექიმთან დროულად მისვლას, დაავადება კი უფრო მძიმდება და საქმე ქირურგიულ ჩარევამდე მიდის. „ალექსიშვილის კლინიკაში“, სადაც ექიმი დედაშვილი ქალბატონი მანანა და ბატონი სოსო მოღვაწეობენ, ბუასილს მარტივად, არაქირურგიული გზით მკურნალობენ. მათ მეთოდს საოპერაციო შემთხვევების დიდი უმრავლესობა ექვემდებარება.**

ომარ ვაშაძე *(52 წლის. მძღოლი. რუსთავი).*

– 10-15 წელია, ბუასილი მაწუხებს. თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ, ბოლო ორი-სამი წელია, მდგომარეობა მკვეთრად გამიუარესდა – დამეწყო ძლიერი ტკივილები, რომელიც 7-8 საათს გრძელდებოდა. აფთიაქში რა სანთელი და მალამოც არსებობს, ყველაფერი გამოვცადე, თუმცა, შედეგი ვერ მივიღე. შემდეგ პროქტოლოგს გავესინჯე და დიდი ზომის ნაპრალი აღმომაჩნდა. გავიკეთე ოპერაცია, მაგრამ, მალე ისევ ტკივილები დამეწყო. აქ ახლობელმა მომიყვანა. რომ მივედი, ტკივილისგან სკამზე ვერ დავჯექი. მკურნალობა დავიწყე. იმ საღამოსვე ვიგრძენი შეღავათი, მეორე დღეს კი ტკივილი თითქმის გაქრა. ასევე, მომიწესრიგდა კუჭის შეკრულობა, შეწყდა სისხლდენა. ნეტავი თავიდანვე აქ მოვსულიყავი. აშენდა ამათი ოჯახი!

*მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 16 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.*

**თამუნა ნიჟარაძე**


– ერთი ფაქტია, ის მუდმივად ქმნის საფრთხეს ამ ხეობის სახით და ამ მასალებს ავრცელებს რეგულარულად. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებას, როდის და რა მხრიდან: ჩვენ ამას წინათ მოვისმინეთ რუსეთის ხელმძღვანელობის განცხადება, რომ რუსეთი მზად არის იბრძოლოს სამი მიმართულებით და ეს სამი მიმართულება, თუ ცხელ წერტილებს გავითვალისწინებთ, არის უკრაინა, ალბათ, შავი ზღვის აკვატორია და კავკასია. ასე რომ, ჩვენ არაფერს გამოვრიცხავთ.

**– და ამ კავკასიაში არ იგულისხმება სომხეთი და აზერბაიჯანი.**

– ტრადიციულადაც, ისტორიულადაც და პოლიტიკურადაც, თუ აკონტროლებ საქართველოს, ავტომატურად აკონტროლებ სომხეთსაც და აზერბაიჯანსაც. დიდი გათვლები ამას არ სჭირდება. თუ აკონტროლებ ბაქო-ფოთის მიმართულებას, აკონტროლებ ყველა მიმართულებით მოძრაობას და დღეს აქტუალურია აღმოსავლური ენერგომატარებლების ტრანსპორტირება კავკასიის გავლით დასავლეთში.

**– ირანის ენერგომატარებლებისთვის სანქციების მოხსნა გაააქტიურებს რუსეთის სტარტეგიულ ინტერესს კავკასიაში?**

– პირდაპირ კავშირშია ირანთანაც. ირანიდან ორი მიმართულებაა: სომხეთის გავლით საქართველოს პორტებისკენ და აზერბაიჯანიდან საქართველოს გავლით შავი ზღვის პორტებისკენ. თუმცა, ჩვენ ვფიქრობთ, ირანისთვის მომგებიანია სომხეთის გავლით მარშრუტი. მილსადენებიც კი არის ძველი, თუ არ ვცდები და მთელი ამ წლების განმავლობაში სომხეთი ირანიდან იღებს ენერგომატარებლებს. იმის თქმა მინდა, რომ ასაშენებელი არფერია, ეს ხაზი მოქმედებს. ამდენად, ჩანაფიქრი დიდია. მაგრამ ის, როდის დასჭირდება და რა ფორმით რუსეთს, ალბათ, მაინც დამოკიდებულია სანქციების ხანგრძლივობაზე და უკრაინასთან კონფლიქტის სიმძაფრეზე, თუმცა რუსეთი ცხელ წერტილს არ აციებს და თვეში ერთხელ მაინც აფიქსირებს, რომ აქ არის ცხელი წერტილი.

**– პუტინმა განაცხადა „როსიას“ ეთერში, რომ რუსულმა სპეცსამსახურებმა დაადასტურეს ამერიკული სპეცსამსახურების თანამშრომლობა ჩრდილო კავკასიელ „ბოევიკებთან“. ვის რა უთხრა ამით პუტინმა?**

– ეს არ არის მხოლოდ შიდა პოლიტიკურ ბაზარზე გათვლილი განცხადება, ის გათვლილია საერთაშორისო საზოგადოებაზეც. რომ გაუმაგროს პოზიციები რუსეთის აგრესიულ ქმედებებს. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა გრძნობს თავის აგრესიას პოსტსაბჭოთა სივრცეში და დასავლეთის თვალში ცდილობს, გაამართლოს ის ისტორიული სამართლიანობის აღდგენისა და საფრთხეებთან ბრძოლის მოტივებით. რომ ეს აგრესია იძულებითია და ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც და ზოგადად, დასავლეთთან დაპირისპირება არ არის მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის დაბრუნებისთვის ბრძოლა, არამედ ეს არის რეალურ საფრთხეებთან ბრძოლა. ანუ ის დასავლეთის სახით მტრის ხატს ქმნის მთელი მსოფლიოსა და თავისი მოსახლეობის თვალში.

**– კადიროვის ბრძანება ჩეჩენი ძალოვანებისადმი, რომ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გაუხსნან ცეცხლი რუსეთის ნებისმიერი სხვა რეგიონის ძალოვნებს, თუ ისინი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ჩაატარებენ სპეცოპერაციას, ანტიპუტინური ჟესტია?**

– არა. პირიქით, კადიროვი თავს მიიჩნევს პუტინის წარმომადგენლად ჩრდილო კავკასიაში. მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებში რუსეთის იმპერიის კართან დაახლოებული ქართველი დიდგვაროვნები კავკასიაში ჟანდარმის ფუნქციებს ასრულებდნენ. ისტორიიდან გვახსოვს, როდესაც რუსეთის იმპერიის საამებლად ქართველი თავადები თავგამოდებით ებრძოდნენ თავისუფლებისთვის მებრძოლ ჩრდილო კავკასიელებს.

**– მთლად საამებლადაც არა, სულს გვიმწარებდნენ ჩრდილო კავკასიელები თავიანთი შემოსევებით.**

– კი ბატონო. ამჟამად ეს ფუნქცია იტვირთა კადიროვმა. კადიროვი არის კრემლის თვალი და ყური ჩრდილო კავკასიაში და მისი განცხადება არის გაფრთხილება ყველა ჩრდილო კავკასიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებისთვის და, რა თქმა უნდა, იმ სამხედრო ნაწილებისა, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მთელი რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედებენ და არ უთანხმებენ ამას წინასწარ კადიროვს. მისი განცხადება ცალსახად პუტინის საწინააღმდეგო ნამდვილად არ არის, თუმცა პუტინის გარემოცვისა და ფედერალური სუბიექტების ხელმძღვანელების რადიკალური გაფრთხილება ნამდვილად არის. ანუ კადიროვმა პუტინის გარდა ყველა გააფრთხილა.

**– გაითვალისწინებენ?**

– აუცილებლად. იმიტომ რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც კადიროვი ფედერალურ ძალებს უპირისპირდება და მას ეს დაპირისპირება არც დაუმალავს არასდროს. ერთხელ ოფიციალურადაც კი გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ მან ერთგულება შეჰფიცა პუტინს და არა – რუსეთს. მისი ასეთი ტიპის განცხადებები აძლიერებს პუტინის პოზიციებს იმ ინტრიგების ფონზე, რომლებიც ყოველთვის იყო და არის კრემლში.

**– ჩვენი დეპუტატები იყვნენ პანკისის ხეობაში, ალბათ, იმ კონტექსტში, რომ იქ არაფერი ხდება განსაკუთრებული. რა ტიპის ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ თავი დავიცვათ რუსეთის საინფორმაციო შემოტევისგან?**

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ლომის წილი შევიტანეთ, სიტუაცია გავანეიტრალეთ და ხელისუფლების წარმომადგენლები ვაიძულეთ, პრობლემისთვის სათანადო ყურადღება მიექციათ და ახლა დაველოდებით დანაპირების შესრულებას. აქამდეც იყო დაპირება, მაგრამ არ შესრულდა. მხოლოდ სპორტული დარბაზის მშენებლობა დაიწყო, ახლა დავაკვირდებით, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები როგორ შეასრულებენ. გააჩნია, რა მიზანი აქვს ჩვენს ხელისუფლებას, თუ უნდა, რომ ყოველი ახალი ხელისუფლების პერიოდში ჭრილობა გაიხსნას და ტკივილგამაყუჩებლებით დავიამოთ, მაშინ ეს დაუსრულებელი პროცესი იქნება.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0902 200 200

SMS – 93094



დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**იმის გამო, რომ საკრედიტო კულტურა ჩვენთან არც ისე მაღალია, განსხვავებით კრედიტების საპროცენტო განაკვეთებისგან, არც თუ მცირეა იმ ჩვენი თანამოქალაქეების რიცხვი, რომლებმაც საბანკო კრედიტის გამო, უკვე დაკარგეს საცხოვრებელი ან დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დგანან. სულ ახლახან იპოთეკით დაზარალებულთა კიდევ ერთი საპროტესტო აქცია გაიმართა, რომელზეც მათ თავიანთ გასაჭირში, არც მეტი, არც ნაკლები, მთავრობა დაადანაშაულეს. მეორე მხრივ, არა მხოლოდ იპოთეკით დაზარალებულებმა, არამედ ზოგადად საზოგადოებამ, წესითა და რიგით, მაღალი საპროცენტო განაკვეთები უნდა გააპროტესტოს და, რაც მთავარია, სესხის აღებისას რისკების გათვლა ისწავლოს. მანამდე კი ეკონომიკის ექსპერტ ლია ელიავასთან ერთად განვიხილავთ, თუ ვინ არის პასუხისმგებელი საპროცენტო განაკვეთებზე და რომელ ინსტიტუტს ეკისრება პასუხისმგებლობა არა მხოლოდ იპოთეკარების, ზოგადად კრედიტებით დაზარალებულთა წინაშე.**

# რა როლი მიუძღვის ეროვნულ ბანკს კერძო ბანკების მაღალ საპროცენტო განაკვეთებში და რატომ აძლევს სახელმწიფო ბანკებს მოსახლეობის ძარცვის საშუალებას

– ეს პრობლემა ორად უნდა გავყოთ. პირველია დევნილი იპოთეკარების პრობლემა, რის მოგვარებაც თავის თავზე იტვირთა სუბარის სამინისტრომ და ეს სწორი მიდგომაა, რადგან დევნილების პრობლემა, ბოლოს და ბოლოს, უნდა გადაიჭრას. ყველაზე დიდი უბედურება, რაც შეიძლება, ადამიანს შეემთხვას, ეს არის საკუთარი ჭერის არქონა. ამისთვის დევნილთა სამინისტრომ გამოყო სპეციალური თანხა და მივესალმები ამ პროგრამას. ოღონდ იმედი მაქვს, რომ ის იქნება ერთჯერადი და ამას არ ექნება სისტემატური ხასიათი, რადგან ამ მომსახურებას სახელმწიფო უბრალოდ ვერ აუვა, მით უფრო, რომ დევნილთა შთამომავლებიც დევნილებად ითვლებიან. ამდენად, ამას ოდესმე უნდა დაესვას წერტილი.

**– თუ არ ვარ დევნილი და ვერ გავთვალე რისკი, სახელმწიფომ რატომ უნდა მომიგვაროს პრობლემა?**

– არიან პირები, რომლებმაც აიღეს სესხები უძრავი ქონების გირაოს სანაცვლოდ, მაგრამ არ არიან დევნილები. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან მათი პრობლემის გადაწყვეტას აქვს ორი მხარე: მორალური და სახელმწიფოებრივი. მორალურად მისასალმებელია, როდესაც სახელმწიფო გეხმარება, მიუხედავად იმისა, დაუშვი თუ არა შეცდომა, მაგრამ, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, დევნილებისთვის საბანკო ვალების ანაზღაურება გამოიწვევს კატასტროფულ შედეგებს ქვეყნის სასესხო ბაზარზე. როდესაც სახელმწიფო მოსახლეობის ერთ კატეგორიას უნაზღაურებს ვალებს, მაშინ მეორე კატეგორია ჩვეულებრივ ფიქრობს, მე პატიოსნად ვიხდი ჩემს ვალდებულებებს და მე რატომ არ უნდა ამინაზღაუროს სახელმწიფომ დავალიანება, რით ვარ სხვებზე უარესი?! ამან შეიძლება, გამოიწვიოს არგადახდების ტალღა, რაც საკმაოდ მძიმედ აისახება გამსესხებლების ფინანსურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით, კომერციული ბანკების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამდენად, სახელმწიფო ძალიან ფრთხილად უნდა მიუდგეს დავალიანებების ანაზღაურების საკითხს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

**– იპოთეკით დაზარალებულებმა მოაწყვეს აქცია მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ არავინ აწყობს აქციებს ადეკვატური საპროცენტო განაკვეთების დადგენისთვის, რაც, თავისთავად, იქნებოდა გამოსავალი.**

– პირადად მე, როგორც ეკონომისტი, ვერ გავამართლდებდი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას ადამიანების დავალიანების ასანაზღაურებლად. თუმცა აქვე მინდა, ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოში, ისევე, როგორც ყველა განვითარებად და ჩამორჩენილ ქვეყანაში, საპროცენტო განაკვეთები არის უსამართლოდ მაღალი. ანუ სამევახშეო საპროცენტო განაკვეთებია და, შესაბამისად, სახელმწიფო და უპირველესად, ეროვნული ბანკი უნდა იღვწოდეს იმისთვის, რამენაირად შეამციროს ეს საპროცენტო განაკვეთები. გარდა ამისა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და მინდა გითხრათ, რომ, რაც უნდა გაიზარდოს მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა, მოსახლეობა ამას ვერ იგრძნობს თავის ჯიბეზე, ვინაიდან მთლიანი შიგა პროდუქტი მეტწილად იზრდება მომსახურების ხარჯზე. შესაბამისად, თუ მთავრობა იზრუნებს ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე, ეს ბუნებრივად გაზრდის მოსახლეობის შემოსავლებს და მათთვის უფრო ადვილი იქნება საკრედიტო ვალდებულების გასტუმრება. ამ ორი მიმართულებით ხელისუფლების ძალისხმევა, ფაქტობრივად, გადაწყვეტდა იპოთეკარების პრობლემას. რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა მსესხებლების გადახდისუნარიანობაზე მიმდინარე წლის სავალუტო კრიზისმა და ის შეეხო არა მარტო იმ პირებს, რომლებსაც სესხი აქვთ უცხოურ ვალუტაში, შემოსავალი კი – ლარში. სავალუტო კრიზისის შედეგად გაიზარდა ფასები, ანუ მოსახლეობას დააწვა დამატებითი ხარჯი და, თუ პიროვნება ანგარიშობდა, რომ ის გადაიხდიდა, გინდაც, ლარში საკრედიტო ვალდებულებას ამა და ამ პერიოდის განმავლობაში, ახლა, როდესაც მას გაეზარდა ოჯახის შენახვის ხარჯი, შეექმნა გადახდის პრობლემა, ვინაიდან ოჯახს ხომ ვერ აშიმშილებს, რომ ბანკში შეიტანოს თანხა?! ასე რომ, ეკონომიკური პრობლემები და განსაკუთრებით, სავალუტო კრიზისი, ასევე, გახდა ამ საკრედიტო დავალიანებების გასტუმრების გამწვავების მნიშვნელოვანი საფუძველი.



**ევროპაში არც ერთი კომერციული ბანკი არ მიიღებს თქვენს იპოთეკურ ქონებას, თუ თქვენ მის გარდა სხვა რამე საცხოვრებელი არ გაგაჩნიათ**

**– სანამ საპროცენტო განაკვეთები დაიწევს, თუ, რა თქმა უნდა, დაიწევს და ეკონომიკის რეალური სექტორი განვითარდება, არის სახელმწიფოს მიმართ პროტესტი საფუძვლიანი?**

– იმის გამო, რომ საპროცენტო განაკვეთები მაღალია, პროტესტი უნდა გაცხადდეს არა მთავრობის, არამედ ეროვნული ბანკის მიმართ, რომელსაც შეუძლია საპროცენტო განაკვეთების მართვა, გონივრული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით.

**– და ეს არ იქნება კერძო ბანკების საქმიანობაში ჩარევა?**

– ეროვნულ ბანკს აქვს კანონით მინიჭებული ყველა უფლება, რომ მან შეძლოს, ეკონომიკური მეთოდებით მართოს საპროცენტო განაკვეთები და არა მარტო ეკონომიკური, ადმინისტრაციული მეთოდებითაც. ამდენად, პრობლემა შექმნილია სწორედ არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად ჩამოყალიბებული მაღალი საპროცენტო განაკვეთებით. ადამიანს პირდაპირ აზარალებს სახელმწიფო, თუ წაართმევს სახლს, მანქანას, მაგრამ, როდესაც პიროვნება თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთით აიღოს სესხი თავისი უძრავი ქონების გირაოთი, ეს მისი გადაწყვეტილებაა და აქ სახელმწიფოს როლი არის ირიბი. ამიტომ პროტესტი უნდა იყოს გამოხატული არა იმით, გინდა თუ არა, ამინაზღაურე ჩემი დავალიანება, არამედ უპრიანი იქნებოდა, პროტესტი წარმართულიყო იმ მიმართულებით, რომ კომერციულ ბანკებს არ ჰქონდეთ ვალდებულება, სასწრაფოდ ამოიღონ გირაოში ჩადებული ქონება და ასეთი ვალდებულება კომერციულ ბანკებს გააჩნიათ ეროვნული ბანკის სპეციალური მარეგულირებელი დოკუმენტებით. კომერციულ ბანკს ევალება, ქონება გაასხვისოს სასწრაფოდ, ვინაიდან ამ დასაკუთრებულ ქონებაზე ის იძულებულია, შექმნას რეზერვები და თავისი შემოსავლის ნაწილი შეინახოს. თუ ეროვნული ბანკი შეასუსტებს ამ რეგულაციებს და არ დაავალდებულებს კომერციულ ბანკებს, სასწრაფოდ გაყიდონ გირაოდ ამოღებული უძრავი ქონება, შეიძლება, მსესხებელს გაუჩნდეს რაღაც პერიოდი, რომ მოიგვაროს ფინანსური პრობლემები და შეძლოს თავისი უძრავი ქონების გამოსყიდვა. ანუ აქ საჭიროა უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარება ეროვნული ბანკის მხრიდან. რაც შეეხება სხვა გამსესხებლებს: იქ ეროვნული ბანკი ვერაფერს გააკეთებს, იმიტომ რომ, ისინი არ არიან მოქცეულნი ეროვნული ბანკის რეგულაციის ქვეშ. ამიტომ სასწრაფოდ უნდა შეიქმნას ფინანსური სექტორის მარეგულირებელი რამე ორგანო, რომელსაც დაექვემდებარება აბსოლუტურად ყველა გამსესხებელი საფინანსო ბაზარზე და რომელთა მიმართ მიიღებენ გარკვეულ რეგულაციებს. სხვა შემთხვევაში პროტესტით, გინდა თუ არა, ამინაზღაურე ჩემ მიერ არაგონივრულად აღებული სესხი, ამ საკითხის გადაჭრა ხელისუფლებას არ შეუძლია და ვერც შეძლებს, იმიტომ რომ, ამან შეიძლება, ააგოროს არგადახდების ტალღა.

**– თუმცა, თუ ბანკები დასწევენ საპროცენტო განაკვეთს, ავტომატურად დაიწევს მიკროსაფინანსოებისა და მევახშეების საპროცენტო განაკვეთებიც.**

# როგორ მოახერხა მარიამ საჯაიამ 2014 წელს შემოსავალზე მეტი ხარჯის გაწევა

ყველაზე ნორჩი პარლამენტარი მარიამ საჯაია, რომელმაც 21 წლის ასაკში გაინაღდა დეპუტატის მანდატი, 1991 წლის 15 მარტსაა დაბადებული. უმაღლესი განათლება მან კავკასიის უნივერსიტეტში მიიღო და მიენიჭა სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაცია. მისი შრომითი ბიოგრაფია 2010 წელს დაიწყო – „ადამიანის უფლებათა დაცვა და 21-ე საუკუნე" არასამთავრობო ორგანიზაციაში. 2012 წელს რამდენიმე თვე სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალისტად იმუშავა, ვიდრე 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შედეგად, საარჩევნო ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სიით, არ მოხვდა საკანონმდებლო ორგანოში. თუმცა ისე მოხდა, რომ პარლამენტარობა მალევე მიატოვა და აშშ-ში სასწავლებლად გაემგზავრა. შესაბამისად, აგერ უკვე მეორე წელია, ოკეანის გაღმა იღრმავებს ცოდნას, ოღონდ ისე, რომ პარლამენტარის ხელფასსაც იღებს და იმ დანამატებითაც სარგებლობს, რასაც კანონი უდგენს დეპუტატს საკუთარი უფლებამოსილების შესასრულებლად (და მერე რა, თუკი დეპუტატი არ ასრულებს ამ უფლებამოსილებას).

თავისი პირველი დეკლარაცია მარიამ საჯაიამ 2012 წელს შეავსო, ბუნებრივია, როგორც პარლამენტის წევრმა და ოჯახის წევრებად მიუთითა: შვილი, 2010 წელს დაბადებული მერაბ სამარგულიანი და დედა, 1955 წელს დაბადებული ნაზი არონია.

იმხანად მათი ქონება შემდეგნაირად გამოიყურებოდა: მარიამ საჯაიას საკუთრება იყო საცხოვრებელი ბინა თბილისში, ცინცაძის ქუჩაზე (ფართობი – 58 კვ. მ.); ნაზი არონიაც ფლობდა იმავე მისამართზე საცხოვრებელ ბინას, ოღონდ მისი ფართობი 80 კვ. მ. იყო. მარიამ საჯაიას ჰყავდა 2002 წლის „მერსედესი", ნაზი არონიას – 2005 წლის „ინფინიტი FX35".



მარიამ საჯაიას ანაბარი ჰქონდა გახსნილი „ლიბერთი ბანკში", რომელზეც 16 500 ლარი ერიცხებოდა. რაც შეეხება შემოსავლებს: 2011 წლის განმავლობაში მარიამ საჯაიამ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ხელფასის სახით, 5 400 ლარი აიღო, ხოლო ნაზი არონიამ, როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ქუთაისის ოფისის აპარატის უფროსმა, 24 480 ლარი.

2013 წელს შევსებული დეკლარაციით ვიგებთ, რომ მარიამ საჯაია შვილთან ერთად ცხოვრობდა, შესაბამისად, ქონების გრაფაში მხოლოდ ზემოხსენებული ბინა იყო ჩაწერილი და ავტომანქანა „მერსედესი". მას აღარც ანაბარი ჰქონდა. რაც შეეხება შემოსავლებს, 2012 წლის განმავლობაში, მარიამ საჯაიამ, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასაქმების პროგრამის სპიკერმა და სპეციალისტმა, 12 600 ლარი აიღო, ხოლო, როგორც პარლამენტის წევრმა, ორიოდ თვეში, 9 720 ლარი.

მას, რატომღაც, დეკლარაცია არ შეუვსია 2014-ში, ამდენად, მარიამ საჯაიას მიერ ბოლოს შევსებული დეკლარაცია 2015 წლით თარიღდება, მართალია, პარლამენტის წევრის რანგში, თუმცა ის სხდომებს არ ესწრებოდა, რადგან აშშ-ში სწავლობდა და ახლაც იქ არის. ამასობაში, მას ცინცაძის ქუჩაზე მდებარე ბინისთვის კიდევ ერთი ბინა დაუმატებია ბროსეს ქუჩაზე (43 კვ. მ. ფართობის), რომელშიც 40 000 აშშ დოლარი გადაუხდია 2013 წელს და ავტომანქანაც გამოუცვლია: ამჟამად ჰყავს 2005 წლის „ლექსუს RX", რომელიც 2014 წელს შეუძენია 15 000 აშშ დოლარად.

ხოლო იმ პერიოდში, ანუ 2014 წლის განმავლობაში, სანამ აშშ-ში სასწავლებლად იმყოფებოდა, მას, როგორც პარლამენტის წევრს, 56 426 ლარი აუღია (სავარაუდოდ, იგივე თანხა აიღო მან 2013 წელსაც).

2014 წელს მარიამ საჯაიამ ორი სამომხმარებლო სესხიც აიღო: 8 316 და 9 015 ლარის ოდენობის, რომელთა მომსახურება 2014-ში 3 800 ლარი დაუჯდა.

**ნინო ხაჩიძე**

---

– ბუნებრივია, პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული ბანკებისა და ფინანსური ბაზრის სხვა მოთამაშეების საპროცენტო განაკვეთები. ამიტომაც ეროვნული ბანკი უნდა იღვწოდეს იმისთვის, რამენაირად შეამციროს კერძო ბანკებში საპროცენტო განაკვეთები და მას ამის გაკეთება შეუძლია. მაგალითს მოგიტანთ: რამდენიმე წლის წინათ, ვადაზე ადრე დაბრუნებულ სესხზე კომერციული ბანკები იღებდნენ 8-10 პროცენტ საკომისიოს – პირგასამტეხლოს. ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს დაუგზავნა წერილი, რომელშიც პირდაპირ მიუთითა, რომ ასეთი პირგასამტეხლო არ უნდა აღემატებოდეს 2 პროცენტს. მხოლოდ წერილი მისწერა, კომერციულმა ბანკებმა ეს წერილი მიიღეს, როგორც ეროვნული ბანკის ბრძანება და ყველამ დაუწია საპროცენტო განაკვეთი 2 პროცენტამდე. ანუ ეროვნულ ბანკს გააჩნია ადმინისტრაციული რესურსი, რომ შეამციროს საპროცენტო განაკვეთებიც და საკომისიოებიც. არსებობს ეკონომიკური რესურსიც – ეს არის რეფინანსირების განაკვეთის შემცირება, რამაც შესაძლოა, დადებითი გავლენა მოახდინოს საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე და, ასევე, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტები; შესაძლებელია კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთების დაწევა, თუ ამას მოინდომებს ეროვნული ბანკი და ეს წაადგება როგორც მოსახლეობას, ისე მთლიანად ეკონომიკას.

**– რატომ არ უნდა უნდოდეს ეს ეროვნულ ბანკს? რა ემატება მას მაღალი საპროცენტო განაკვეთებით და რა დააკლდება მათი შემცირებით?**

– საქმე ისაა, რომ ეროვნული ბანკი ჩამოყალიბდა, როგორც კომერციული ბანკების მომსახურების სააგენტო და ის, ფაქტობრივად, ატარებს კომერციული ბანკებისთვის ხელსაყრელ პოლიტიკას. რა თქმა უნდა, კომერციული ბანკი ცდილობს, მიიღოს რაც შეიძლება, მეტი მოგება. მით უმეტეს, როდესაც ხედავს, რომ ჩვეულებრივი მაღაზიებიც კი, რომლებიც იმპორტულ საქონელზე მუშაობენ, იღებენ 1 000-2 000-პროცენტიან მოგებას. და ბუნებრივია, კომერციულ ბანკებსაც უნდათ, რომ ასეთივე დიდი შემოსავალი მიიღონ. ანუ ეს არის ბიზნესის ლოგიკა, როდესაც ბიზნესი არ რეგულირდება და მას ხელისუფლება აძლევს საშუალებას, გაძარცვოს მოსახლეობა, ყოველთვის ვიღებთ აი, ასეთ ნეგატიურ შედეგს. ეროვნულ ბანკს აკლია სახელმწიფოებრივი ხედვა, რომ ეს პრობლემა გადაწყვიტოს და ქვეყნის განვითარებას შეუწყოს ხელი. საფინანსო სექტორი იმდენად რთულია, რომ მოსახლეობას ჰგონია, მათ უბედურებაში დამნაშავეა მთავრობა. არადა, მთავრობას არაფერი ესაქმება საპროცენტო განაკვეთებთან. ეს არის ეროვნული ბანკის პრეროგატივა. ეროვნული ბანკი უზარმაზარ თანხას ხარჯავს საკუთარ თავზე, რაც შეიძლებოდა, დახარჯულიყო მოსახლეობის პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლებიც დაზარალდნენ ეროვნული ბანკის არასწორი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკით. ხალხი კი რატომღაც მიადგება ხოლმე მთავრობას და არა – ეროვნულ ბანკს.

**– ერთია, რომ დაზარალებულები იმის მიმართ არ გამოხატავენ პროტესტს, ვისაც ეს ეხება, მაგრამ მეორე და მთავარი, როდის გავაცნობიერებთ, რომ მიღებულ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლები ვართ თავად და არა ვინმე სხვა?**

– ადამიანის ბუნება ყველა ქვეყანაში ერთნაირია, მიუხედავად ეროვნებისა, რელიგიისა და რასისა. მაგრამ ცივილიზებულ ქვეყნებში სახელმწიფო იცავს თავის მოქალაქეებს შეცდომის დაშვებისგან. ჩვენ ხელი მოვაწერეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და იქ ავიღეთ ვალდებულება, რომ ჩვენი კანონმდებლობა უნდა იყოს ჰარმონიზებული ევროპულ კანონმდებლობასთან. რას გულისხმობს ეს საფინანსო სექტორთან მიმართებაში? უპირველესად, უნდა ჩამოყალიბდეს სესხის გაცემის ერთიანი წესი, რომელსაც დაარეგულირებს კანონი საკრედიტო საქმიანობის შესახებ. დასარეგულირებელია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობა. იქ აუცილებლად უნდა იყოს გაწერილი მომხმარებლის უფლება, როგორიც არის ევროპაში: სესხის აღებიდან ორი კვირის ან ერთი თვის შემდეგ მიხვდებით, რომ სესხი არ გჭირდებათ ან ვერ იხდით, გქონდეთ უფლება, დააბრუნოთ ეს სესხი ყოველგვარი ჯარიმის გარეშე; აუცილებელია, მიღებულ იქნას კანონი იპოთეკის შესახებ, რომელშიც ეწერება, რა არის იპოთეკა, ვის შეუძლია იპოთეკური სეხის აღება. მაგალითად, ევროპაში არცერთი კომერციული ბანკი არ მიიღებს თქვენს იპოთეკურ ქონებას, თუ მის გარდა, სხვა საცხოვრებელი არ გაგაჩნიათ; დასახვეწია კანონი რეკლამის შესახებ და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი – სამთავრობო პროგრამების განსახორციელებლად უნდა შეიქმნას სახელმწიფო ბანკი, რომელიც გაატარებს ამ პროგრამებისთვის გამოყოფილ სახელმწიფო სახსრებს და არ ანდობს სახელმწიფო სესხების გაცემას კომერციულ ბანკებს. ანუ სახელმწიფო პროგრამები არ უნდა ხორციელდებოდეს კომერციული სტრუქტურების მეშვეობით. ეს დიდი შეცდომაა.

**ნინო ხაჩიძე**

**„სულ მიყვარდა ისტორიული იარაღი, მაინტერესებდა საქართველოს, მსოფლიოს ისტორია. საბრძოლო იარაღი ჩემთვის ისტორიის ნაწილია, ძვირფასი სამკაული, რომელსაც განსაკუთრებული მოპყრობა სჭირდება. როგორც კი დავინახავ ნივთს, უკვე ვიცი, რა და როგორ უნდა გავაკეთო – ეს მთელი პროცესია. მთავარია, თავიდან როგორ დაინახავ, მერე უკვე ის გამოდის, რაც ჩაფიქრებული მაქვს ან იმაზე უკეთესი“, – ეს სიტყვები ქართველ მესაჭურვლეს, გოჩა ლაღიძეს ეკუთვნის, რომელიც ორი ათეული წელია, ჰოლანდიაში ცხოვრობს. მისმა ჯადოსნურმა ხელებმა არაერთ ისტორიულ სიძველეს გაუკეთა რესტავრაცია და ქართულ იარაღსა თუ აბჯარს უცხო ქვეყანაშიც გაუთქვა სახელი.**

# გოჩა ლაღიძის რა ნამუშევარი ინახება უცხოელი მულტიმილიონერის ოჯახში და რომელ შეკვეთაში გადაუხადა მას დიდი ფული ზურაბ წერეთელმა

**გოჩა ლაღიძე:** ამჟამად საქართველოდან მაქვს დიდი დაკვეთა და სხვათა შორის, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ეს პირველი სერიოზული დაკვეთაა საქართველოდან, უბრალოდ, სანამ არ დამთავრდება, მანამდე დეტალებზე ვერ ვისაუბრებ. ერთი შემიძლია ვთქვა, რომ განსაკუთრებული ხმალია, შემოქმედებითი მიდგომით კეთდება და უნიკალური ნივთი გამოვა. გარდა ამისა, განვაგრძობ ჩემს საქმიანობას – ანტიკვარული იარაღის რესტავრაციას: საჭურვლის – ხმლების, თოფების. განსაკუთრებულად მიხარია, როდესაც კავკასიური იარაღი მოდის და მათზე მიწევს მუშაობა, თუმცა, ძირითადი დატვირთვა მაინც ფრანგულ ხმლებზეა – ნაპოლეონის პერიოდის უძვირფასესი ხმლებია, მაღალი ხარისხის, უკვე ზეპირად ვიცი, რა სჭირდება, რამდენი დრო. არის ადრინდელი შუა საუკუნეების საჭურველიც – აბჯრები, მუზარადები, ფარები. ასევე, იაპონური, ჩინური თოფები მოაქვთ რესტავრაციისთვის. შვიდი წელია, რაც შემოქმედებითი საქმიანობიდან რესტავრაციაზე გადავედი, თუმცა შემოქმედებითად სულ ვმუშაობ. ყველამ იცის, რას ვაკეთებ, სად ვარ და ამიტომ ხშირად მომმართავენ კოლექციონერები. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიაში ვცხოვრობ, ყველაზე მეტი დაკვეთა მაინც ბელგიიდან და ნორვეგიიდან მოდის. ამ ნივთების უმრავლესობის ფასი საკმაოდ დიდია, თუმცა ზოგჯერ ნივთი ისეთი დაზიანებულია, რომ რესტავრაცია უფრო ძვირი ჯდება, მაგრამ, თუ ფანატიკოსი კოლექციონერია, ამაზეც მიდის. ყველაზე მეტად მაინც კავკასიური იარაღები მაოცებს – ჩემი საკუთარი რომ არის, ქართული წარმოშობის, უფრო მეტად მიხარია. მიმუშავია ჭავჭავაძის, დადიანების, გურიელის, ბაგრატიონ-მუხრანელის ხმლებზე. ერეკლე მეორის ხმალზე სამი წელი ვმუშაობდი; საავტორო ასლია, ყველაფერი ზუსტია, უბრალოდ, ეს ახალია, ის – ძველი.

**– ოცი წელია, უცხოეთში ცხოვრობთ და ძალიან წარმატებულად საქმიანობთ. ამ ეტაპზე რას ფიქრობთ, რამ მოგიტანათ ყველაზე დიდი წარმატება?**

– ხევსურულმა საჭურველმა მომიტანა წარმატება როგორც საქართველოში, ასევე ჰოლანდიაშიც. თბილისში, 1988 წელს აღვადგინე თავიდან ბოლომდე, მერე დაბეჭდეს პრესაში ამის შესახებ, შემდეგ იყო ტელევიზია და დაიწყო დაკვეთების ბუმი. 1990 წლამდე ძალიან ბევრი სამუშაო მქონდა – პროკურორები, ცნობილი მხატვრები, ზურაბ წერეთელიც კი მიკვეთდა სამუშაოს. მერე, როდესაც ჰოლანდიაში ჩამოვედი, აქაც ძალიან მოეწონათ ხევსურული აბჯარი, მაშინვე სიმპათიურად განეწყვნენ და ძალიან მალევე მომივიდა მოწვევა ნიდერლანდების სამეფოს საარმიო მუზეუმიდან – პრინც მაურიც ორანელის, ნიდერლანდების მმართველის საბრძოლო აბჯრის ასლის დამზადებაზე. დღემდე ცნობილი მისი ერთადერთი აბჯარი ვენის ხელოვნების მუზეუმშია დაცული, რომლის ასლის შესრულებაც მე დამავალეს. ყველა დეტალი გაწერილი იყო, საბოლოოდ ერთი წელი მოვუნდი მუშაობას.

**– რას გიკვეთდათ ზურაბ წერეთელი?**

– როდესაც ჩემ შესახებ პირველად დაიბეჭდა „ახალგაზრდა კომუნისტში“, ჩემმა მასწავლებელმა ჯუანშერ ჯურხაძემ მირჩია, წადი და ზურაბ წერეთელს აჩვენეო. მივედი, დახედა გაზეთს და მითხრა, ზუსტად ასეთი გამიკეთეო და გავუკეთე ხევსურული აბჯარი, მთელი კომპლექტი, მივუტანე. ძალიან დიდი



თავიც კი გაიმართლეს: რამდენიმე წელია, ქართული სახელის გარშემო ვტრიალებთ. გვინდა, სხვასაც მივცეთ შანსი, მაგრამ გოჩა არ უტოვებს არავის შანსსო. ბელგიაშიც მაქვს აღებული ოქროს თასი, პარიზშიც და ლუქსემბურგშიც

თანხა გადამიხადა, შემდეგ დაკვეთაც მომცა: ახლა რაც მომიტანეთ, ეს ორჯერ გაადიდეთო. საკმაოდ რთული იყო, ერთი წელი ვიმუშავე და, რომ მივუტანე, 25 ათასი მანეთი გადამიხადა – „ნოლ სემიც“ ვიყიდე და ფულიც დამრჩა. მაშინ 21 წლის ვიყავი და თავი ზღაპარში მეგონა. ახლა რომ ვფიქრობ, ეს იყო ყველაზე დიდი დაკვეთა და, კიდევ ერთი – ჰოლანდიაში.

**– ისეთ ნივთებთან გიწევთ ურთიერთობა, ალბათ, მუშაობის პროცესში მთელი ისტორია ცოცხლდება თქვენ თვალწინ.**

– თავისთავად. მაურიცის აბჯარს რომ ვაკეთებდი, თავად მაურიცს ისეთი ისტორიები ჰქონდა... თან, ახალი ჩამოსული ვიყავი უცხო ქვეყანაში და თავი სულების სამყაროში მეგონა – პრინცმა იქიდან მომცა დაკვეთა-მეთქი. ზოგჯერ რაღაცეები ხდება – სიზმარში რომ რაღაც ან ვიღაც მოვა და მერე აღარ გახსოვს. არის ამაში მისტიკა, უბრალოდ, ახსნა მიჭირს.



**– პრიზებითაც ძალიან განებივრებული ხართ. სადაც გაგაქვთ ნამუშევრები, ყველგან უმაღლეს შეფასებას იმსახურებთ, გრანპრის იღებთ.**

– ჰოლანდიაში წელიწადში ერთხელ ტარდება მხატვარ-მეირალეების შეკრება, გამოფენა-გაყიდვა. მთელი მსოფლიოდან ჩამოდიან მონაწილეები, ყველას აქვს თავისი მაგიდა და იქ გამოფენენ ხოლმე ნამუშევრებს. ასეთ გამოფენებზე გავდივარ არა მხოლოდ ჰოლანდიაში, არამედ ბელგიაში, საფრანგეთში. ჰოლანდიაში, ზედიზედ უკვე მეხუთე წელია, ვიღებ პრიზს Best of Show-ში, რომელიც, ფაქტობრივად, პირველი ადგილია. გამოფენას ჰყავს თავისი ჟიური, ისინი დილიდან დადიან და ათვალიერებენ მაგიდებს, სვამენ კითხვებს. არის პრიზები: „საუკეთესო გასახსნელი დანა“, „საუკეთესო სანადირო დანა“, სულ ხუთი პრიზია და ყველაზე მნიშვნელოვანია Best of Show, რომელსაც, უკვე ხუთი წელია, მე მაძლევენ. თავიც კი გაიმართლეს: რამდენიმე წელია, ქართული სახელის გარშემო ვტრიალებთ. გვინდა, სხვასაც მივცეთ შანსი, მაგრამ, გოჩა არ უტოვებს არავის შანსსო. ბელგიაშიც მაქვს აღებული ოქროს თასი, პარიზშიც და ლუქსემბურგშიც.

**– ჰოლანდიის გარდა, კიდევ რომელი ქვეყნიდან გქონიათ სახელმწიფო დაკვეთები?**

– ერთ-ერთი ძალიან დიდი დაკვეთა მქონდა შვეიცარიიდან. საარმიო მუზეუმიდან შემიკვეთეს მუზარადები. ერთს რომ ვამთავრებდი, მეორეს ვიწყებდი – ურთულესი სამუშაო იყო. ვინც შემიკვეთა, ის იყო სამხედრო მუზეუმის დირექტორი და თავისი კოლექციისთვის სჭირდებოდა – თავსაბურავების კოლექცია აქვს და იმისთვის უნდოდა. ოთხი ნამუშევარია მასთან, რომლებიც ძირითადად მეხუთე, მეცხრე და მეთოთხმეტე საუკუნეების პროტოტიპებია. სამი აბჯარი ჰოლანდიის საარმიო მუზეუმში, სახელმწიფო კოლექციაშია; ერთი ნამუშევარი – გოთური აბჯარი – არის ჰოლანდიაში, მერიის მუზეუმში; რამდენიმე ნამუშევარი ინახება მულტიმილიონერის ოჯახში, რომელიც პრინცი ბერნარდის ძმაკაცი იყო, მეცენატი. მასთან არის ჩემი ყველაზე ძვირადღირებული ნამუშევარი – მაურიცის აბჯრის ოთხჯერ დაპატარავებული ვარიანტი.

**ნათია უტიაშვილი**

**რამდენიმე თვის წინ სოფო გელოვანი მეორე ბიჭის დედა გახდა. პატარა აკა, რომელიც მეოთხე თვეში გადავიდა, ცოტა ხნის წინ მოინათლა და მისი ნათლიები ნოდიკო ტატიშვილი და მიშა ბალათურია არიან. სოფოს კარიერაშიც სიახლეა: ნიჭიერი და ყველასთვის საყვარელი მომღერალი ანსამბლ „აფხაზეთის" სოლისტი გახდა.**

# რისი შიში აქვს სოფო გელოვანს და როდის აპირებს ის მეუღლესთან ერთად ახალ სახლში ცალკე გადასვლას

**სოფო გელოვანი**: ორი ბიჭის დედობა უფრო მეტი პასუხისმგებლობაა და რაც მთავარია, უფრო მეტად აღვიქვი დედობა. დათას დროს უფრო პატარა ვიყავი, ახლა უფრო მშვიდად ვარ. ადრე დათა რომ ტიროდა, ვნერვიულობდი: ვაიმე, რამე ხომ არ სჭირს, რამე ხომ არ აწუხებს. გამოცდილებამ ბევრი რამ მომცა და შესაბამისად, უფრო მშვიდად ვარ. არ არის ადვილად გასაზრდელი ბავშვი. ხელში უყვარს ყოფნა – რომ ტირის, უნდა აიყვანო. ჩემზეა ძალიან მოჯაჭვული და ფაქტობრივად, მხოლოდ მე ვამშვიდებ.



სახლში რომ მოვდივარ, გაგიჟებულები მხვდებიან. ამიტომ ვისაც ვუტოვებ დიდხანს, ისინი უფრო მეტად მეცოდებიან

**– ალბათ, შეგიცვალა გეგმები და ისე ხშირად ვეღარ გადიხარ სახლიდან.**

– დიდი ხნით ვერ გავდივარ სახლიდან. ბებიები მეხმარებიან, რჩებიან ბავშვთან. მაგრამ, მერე სახლში რომ მოვდივარ, გაგიჟებულები მხვდებიან – ამიტომ ვისაც დიდხანს ვუტოვებ, ისინი უფრო მეტად მეცოდებიან. ვაგრძელებ მუშაობას, გამოვალ სახლიდან, მერე მივირბენ, ვაჭმევ და ისევ მივდივარ.

**– დათამ როგორ მიიღო ძმა?**

– თავიდან ცოტა გაურკვევლობა ჰქონდა – გაჩნდა ვიღაც, რომელმაც დედა წაართვა, რადგან იმდენ ყურადღებას ვეღარ ვაქცევდი. ცოტათი ეჭვიანობის მომენტი ჰქონდა. მაგრამ ძალიან თბილი ბავშვია, კარგად მიიღო, ახლა ეფერება და მეხმარება. ზოგადად, ძალიან რთულია, როცა ბიჭების მშობელი ხდები. შეიძლება, ვინმე შემედავოს, მაგრამ მგონია, რომ ბიჭების გაზრდა უფრო რთულია. უფრო მეტი საფიქრალი გაქვს, არ უნდა მოდუნდე. უფრო მეტი ყურადღება სჭირდებათ და მეც წინ ბევრი რამ მელოდება.

**– აკა ღამეებსაც გათენებინებს?**

– ბუნებრივ კვებაზეა ბავშვი და მთელი ღამე არ მიწევს ძილი. საოცრებაა ის, რომ დილით გგონია ვერ ადგები, თავს ვერ ასწევ საწოლიდან, ძალიან დაღლილი იქნები, მაგრამ უცებ ისეთი ენერგია გეძლევა, შენც გიკვირს. ბავშვი იმხელა ძალასა და ენერგიას გაძლევს, არ გაქვს უფლება, მოდუნდე – მობილიზებული ხარ.

**– ნოდი გეხმარება?**

– ღამე თუ ბავშვი ძალიან გაჭინჭყლდა, მეხმარება. უბრალოდ, იმას იმდენი საქმე აქვს, არ ვაწუხებთ, თორემ ყველაფერი იცის და შეუძლია: პამპერსის გამოცვლაც და ბავშვის მიხედვაც. დამიტოვებია კიდეც მისთვის, უსეირნებია – ჩართულია, ზოგადად, ბავშვების გაზრდისა და აღზრდის საკითხში. ბებიები მეხმარებიან. ნოდის დედა. დედაჩემს ბევრი შვილიშვილი ჰყავს: ჩემს ძმას – 3, პლუს ჩემი და ანო, რომელიც სკოლაში დადის, გასაზრდელი ჰყავს. მაგრამ რამე თუ დამჭირდება, გამოიქცევა ხოლმე. დედა ისეთია, არასდროს იღლება შვილისთვის, შვილიშვილებისთვის. ძიძა არც დათაზე მყოლია, ახლაც ვფიქრობ, ავირიდო, მაგრამ როგორ ავირდებ, არ ვიცი. ცალკე ვაპირებით მე და ნოდი გადასვლას და ალბათ, დამჭირდება. ცოტა ცალკე გადასვლისაც მეშინია, რადგან ყველაფერი საკუთარ თავზე უნდა ავიღო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. მარტო ყოფნა, ცალკე ცხოვრება ჩვენ გავიარეთ მაშინ, როცა პეტერბურგში ვიყავით და ვიცით, რას ნიშნავს. მას მერე, ყველა ერთად ვცხოვრობთ და იმხელა კომფორტია – ისე მიყვარს, როდესაც ბევრი ხალხია სახლში. მეც ასეთ ოჯახში ვარ გაზრდილი – სულ ბევრნი ვიყავით. მიყვარს, როცა ბავშვი ბებიასთან და ბაბუასთან იზრდება, სულ სხვა სიყვარულს იღებს.



**– რა კარგი სახელი ქვია აკას.**

– აკა – ჩემი ძმის სახელი დავარქვი. დათას – ბაბუის, დავით ლანდიასი. ჩემი ძმა განსაკუთრებულად მიყვარს, ჩემს ბაბუასაც აკაკი ერქვა და მოკლედ, გავინაწილეთ. ბიძა უბედნიერესია, თან გოგონების მამაა და აკაზე დიდი ამბავი სჭირს. ცოტა ხნის წინ მოინათლა აკა, ნათლიები არიან: მიშა ბალათურია, თავის სპორტულ ნიჭს, ჟინს დაანათლებდა, იმედია; მეორე ნათლია ნოდიკო ტატიშვილია. ვუთხარი: შენი მიზანდასახულობა, შრომისმოყვარეობა დაანათლე-მეთქი. მიშა არაჩვეულებრივი პიროვნებაა და მისი სახით ახლო მეგობარი შევიძინე, რომელსაც არასდროს დავკარგავ. ძალიან კარგი ადამიანია. ნოდიკოზე აღარფერს ვამბობ, უკვე იმდენი ხანია, ვმეგობრობთ. მესამე ნათლია ნოდის მეგობარი – გიორგი სურმავაა, არაჩვეულებრივი ადამიანი.

**– ცოტა ხნის წინ ანსამბლ „აფხაზეთის" სოლისტი გახდი.**

– ჩემს სოლო კარიერას ვაგრძელებ ჩვეულებრივ, მაგრამ პარალელურად, ამ ანსამბლის სოლისტი ვარ. რამდენიმე თვის წინ შემეხმიანა ფოლკლორული ანსამბლის, „შავნაბადას" ლოტბარი, დათო ცინცაძე, მითხრა: იქმნება სახელმწიფო ანსამბლი „აფხაზეთი" და ვეძებთ გოგო სოლისტსო. რა თქმა უნდა, დავფიქრდი, რადგან ეს ეხება ფოლკროლს, ჩვენს ფესვებს, აფხაზეთს, ყველაფერს ღირებულს. გვიწევს ძველი აფხაზური სიმღერების მოძიება, რომელსაც საოცარი ისტორია აქვს. განსაკუთრებული მელოდია, უნდა გაითავისო, რომ იმღერო. მე არ მქონია სერიოზული შეხება ქართულ ფოლკლორთან, ამიტომ ცოტა შევშინდი, ფრთხილად შევხედე ამ საკითხს. მაგრამ, ბიჭები იმხელა პროფესიონალები არიან, იმდენს ვსწავლობ მათგან, რომ როგორც კი მათი ნამღერი მოვისმინე, მაშინვე დავთანხმდი. თან, ისეთ მნიშვნელოვან თემას ეხება, როგორიც აფხაზეთია – ეს დიდი პასუხისმგებლობაა. გვაქვს რეპეტიციები, ვაკეთებთ რეპერტუარს, სამომავლოდ ბევრი გეგმა გვაქვს. დიდი ოჯახი დამხვდა, კარგად მიმიღეს და ყველანაირად მიწყობენ ხელს. ვსწავლობ ხალხურ მუსიკას, აფხაზურს და ზოგადად, ეს საქმე დიდ სიამოვნებას მანიჭებს. სერიოზული პროექტია და მოგვიწევს სხვადასხვა ქვეყანაში გასვლითი კონცერტების ჩატარება – ეს ერთგვარი გზავნილი, პირდაპირი მინიშნება იქნება იმის, რომ აფხაზეთი ჩვენია, ჩვენი კულტურის ნაწილი. ცოტა ხნის წინ „დღის შოუში" ვიმღერეთ აფხაზური ნანა, ძალიან მძიმე სიმღერაა და ამ ეთერის შემდეგ „ფეისბუქში" აფხაზებისგან ბევრი წერილი მომივიდა: კარგად, თბილად მიიღეს და კომპლიმენტები მომწერეს – ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ფაქტობრივად, მესიჯი გაიგზავნა.

**– ამ გადაცემის წინა ბლოკში იმყოფებოდნენ ცნობილი მუსიკოსები: რიშარ გალიანო და ერიკ ტრუფაზი, რომლებიც გულგრილი ვერ დარჩნენ თქვენი შესრულებული აფხაზური ნანას მიმართ, აღფრთოვანდნენ.**

– ჩვენამდე იყვნენ და უკვე წასვლას აპირებდნენ, როცა დავდექით სამღერლად. რომ დავიწყე სიმღერა, დადეს ჩანთა და ბოლო წუთამდე გვისმენდნენ. ბოლოს მოვიდნენ, გაგვეცნენ – ძალიან თბილი ადამიანები. არ ერიდებათ ყურადღების გამოხატვა. ბიჭებმა დისკები მისცეს, კონტაქტები გაცვალეს. სამომავლოდ, ვნახოთ, რა იქნება. ჩემს მიმართაც ძალიან თბილი დამოკიდებულება იყო, გალიანო ჩამეხუტა, მომეფერა, თბილი სიტყვები მითხრა. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**ნათია უტიაშვილი**

**დეპუტატი დემურ ბაშალეიშვილი საქართველოს პარლამენტში მრეწველთა სიით მოხვდა – მხატვრობის, ჟურნალისტიკისა და სამეცნიერო მუშაობის შემდეგ. ჯავრობს, რომ პოლიტიკა სულ არ აღმოჩნდა ისეთი, როგორიც წარმოედგინა. ერთი სული აქვს, ძველ და საყვარელ საქმეებს დაუბრუნდეს. ასეთი კი მის ცხოვრებაში საკმაოდ ბევრი იყო – ოფიციალური „სივის" მიხედვით, პროფესორი დემურ ბაშალეიშვილი ხუთასამდე პუბლიკაციისა და ნარკვევის, 30 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მისი ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები ინახება მსოფლიოს ოცამდე ქვეყნის გალერეებში, მუზეუმებში, კერძო კოლექციებში. არის თბილისის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. ამ რეგალიებს მიღმა მის „შრომით წიგნაკში" კიდევ ბევრი საინტერესო და უცნაური ისტორიაა – „სივში" არ წერია, როგორ და სად ხვდებოდა დემურ ბაშალეიშვილი უცხოპლანეტელებს და არც ის, თუ რა წოდებას ანიჭებს ის ადამიანებს, რისი უფლებაც წლების წინ მოიპოვა.**

# ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲓᲔᲛᲣᲠ ᲑᲐᲨᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲘᲤᲔᲚᲘᲡ ᲙᲝᲨᲙᲗᲐᲜ ᲣᲪᲮᲝᲞᲚᲐᲜᲔᲢᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲞᲐᲢᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ ᲛᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲐᲤᲚᲐᲝᲔᲑᲖᲔ

**დემურ ბაშალეიშვილი:** ეს რა არის? ჩემი ცხოვრების უმეტეს წლებში ამ კაბინეტზე დიდი კაბინეტებიც მქონია. პირიქით, ახლა მდგმურები მყავს შემოსახლებული, ჩემი კოლეგები არიან. მათი კაბინეტები „იბიარდის" ლონისძიებისთვის დაიკავეს. პატიოსანი მდგმურები მყავს, დროებით „ოკუპირებული" კი ვარ, მაგრამ არა უშავს.

**– ბატონო დემურ, როგორ გახდით პარლამენტის წევრი და როგორ დაუკავშირეთ ცხოვრება პოლიტიკას?**

– ეს გრძელი ისტორიაა და მოგიყვებით. პროფესიით ვარ მხატვარი. მხატვრობის შემდეგ ჟურნალისტის პროფესიაც შევიძინე, შემდეგ კი გადავედი სამეცნიერო მუშაობაში. დღეს ვარ ამ სამკუთხედის ცენტრში. პოლიტიკა არ ყოფილა ჩემი არჩევანი, იმიტომ რომ, პოლიტიკამ მე წამართვა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი – დრო, რომელსაც ვუთმობდი მხატვრობას, პუბლიცისტიკასა და მეცნიერებას.

**– პოლიტიკაში მოხვედრა არ ყოფილა ჩემი მიზანი და არჩევანიო, აბა აქ, პარლამენტში შემთხვევით და „გავლით" ხართ?**

– არა, არავითარ შემთხვევაში, ძალიან გთხოვთ, ჩემთან ისაუბრეთ ზუსტად. საქმე ისაა, რომ მე გავლით და შემთხვევით არსად დავდივარ. ჩემ აქ ყოფნას აქვს თავისი ისტორია. მე, ყოველთვის ვიყავი აქტიური მოქალაქე. ჟურნალისტიკაში ვარ 1960 წლიდან, ვმუშაობდი სხვადასხვა რედაქციაში. პირველად, როგორც ჟურნალისტმა, მუშაობა დავიწყე რედაქციაში „მალადიოჟ გრუზიი", შემდეგ გაზეთ „სოფლის ცხოვრების" რედაქტორმა, მიხეილ დავითაშვილმა შემომთავაზა, მასთან გადავსულიყავი შეთავსებით. მე მას ვუთხარი, რომ შეთავსება ნიშნავს გაყოფას, ვერც თქვენ გკადრებთ მოგცეთ ჩემი სულის ნაწილი, ვერც ჩემს მეგობრებს „მალადიოჟ გრუზიის" რედაქციაში-მეთქი. დრო მოვითხოვე საფიქრალად და გადავედი „სოფლის ცხოვრებაში", სადაც პირდაპირ განყოფილების გამგედ დავინიშნე. ახალგაზრდა ჟურნალისტი ვიყავი და ძალიან აქტიურად ჩავერთე ამ საქმიანობაში როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. სწორედ იმ პერიოდს უკავშირდება ჩემი სამეცნიერო მუშაობა, რომელსაც არც მეტი არც ნაკლები, სრულიად შემთხვევითი მიზეზი ჰქონდა. ვაგროვებდი მასალებს მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების შესახებ, წიგნის გამოცემა მინდოდა. ერთხელაც, მატარებლით მივდიოდი პოლონეთში, უნდა გაგვევლო ბრესტი, სადაც მატარებლის ვაგონებს ბორბლებს უცვლიდნენ. ამ პროცესს სამი საათი მაინც სჭირდებოდა. როცა ერთ-ერთ მესაზღვრეს ჩემი პასპორტი ვაჩვენე, გამომელაპარაკა: ქართველი ხარ, ბიჭოო? მეც გამოველაპარაკე, ასე გავიცანი პრაპორშიკი ვარლამ კუბლაშვილი, რომელმაც მოგვიანებით, სტუმრობისას, გამაცნო დასავლეთ ევროპის სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი. მისგან შევიტყვე, რომ ბრესტის ციხესიმაგრეში, სადაც უამრავი მეომარი დაიღუპა, ბარელიეფზე არც ერთი ქართველის გვარი არ იყო მითითებული. არადა, 1939 წელს ნავთლუღის ვაგზლიდან გავიდა ეშელონი ქართველი წვევამდელებით, რომელიც უკან აღარ დაბრუნებულა. ეს ეშელონი ჩავიდა ბრესტში. სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი – უკან დაბრუნებულმა დავიწყე მუშაობა ამ თემაზე. ამას მოჰყვა ჩემი წასვლა პოდოლსკში, სადაც საბჭოთა არმიის სამხედრო არქივი იყო. იქ საკმაოდ ბევრი ტექნიკური პრობლემის გადალახვა მომიწია, თუმცა ორი თვის განმავლობაში ბევრი მასალა მოვიძიე. შემდეგ ვიმუშავე გერმანიის, პოლონეთის, ჩეხეთის არქივებში და ორი წიგნი გამოვეცი, მათ შორის, ცნობილი „ეშელონი უკან ბრუნდება". რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ, მე შევძელი, რომ ბრესტში გაჩნდა მემორიალური დაფა, რომელზეც ბევრი ქართველი ჯარისკაცის გვარია მითითებული. ამ ციხესიმაგრის მუზეუმში კი ჩემივე ხელით არაერთი ექსპონატია შეტანილი. მკვლევრის მუშაობა ჰგავს ჭაობში ჩავარდნილ ადამიანს, რომელსაც სურს, თავი დააღწიოს ჭაობს, მაგრამ უფრო და უფრო ქვემოთ მიდის. ზუსტად ასე დამემართა მეც.



უცხოპლანეტელებს თვრამეტჯერ შევხვდი

**– და საქართველოს პარლამენტი?**

– ჩემი მეცნიერული მუშაობის შემდეგ გამიჩნდა ბევრი შესაძლებლობა, გამეცნო სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. გადავწყვიტე, გამომეკვლია სიტყვა „მეცენატი", რომელსაც კაცობრიობა 20 საუკუნეა იყენებს. მეცენატია ადამიანი, ვინც არ არის წუწურაქი და თავისი სიმდიდრის ნაწილს ხელოვანებს უწილადებს. როცა გავიგე, რომ მეცენატის ოფიციალური წოდება არ არსებობდა, გადავწყვიტე, დამეცვა და დამეპატენტებინა საავტორო უფლებები მეცენატის წოდების უფლების მინიჭების შესახებ. მე ასევე, დავაპატენტე ჩემ მიერ გაკეთებული ოქროს მედალი, რომელიც მეცენატის ოფიციალური წოდების დასტურია.

**– როგორც ვხვდები, ეს მედალი და წოდება პირველად თქვენ მიერ ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს ერგო. დღეს რამდენი მეცენატია თქვენს „ანგარიშზე"?**

– ნუ ჩქარობთ, ეს ნუსხა ძალიან მწირია. ამ მხრივ არ ვარ ხელგაშლილი. რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მას შემდეგ, რაც მე ეს წოდება დავაპატენტე, გავხდი უფლებამოსილი, მეცენატის წოდება მიმენიჭებინა, მივედი ბიძინა ივანიშვილთან. მან მითხრა: მე სადმე ვთქვი, რომ მეცენატი ვარ – ამას დავეხმარე, ამას დავუდექი გვერდითო? მოკლედ, ოფიციალური წოდება მქონდა, მედალიც და არ მყავდა პრეტენდენტი. მერე გადავწყვიტე, ეს წოდება მიმენიჭებინა ერთი ჩემი მეგობარი ბიზნესმენისთვის, რომელსაც არც მეტი არც ნაკლები, იმ პერიოდისთვის მილიონზე მეტი ჰქონდა გაღებული.

**– ეს უკვე ქართული მეგობრობის ამბავია.**

– არა, ეს არ იყო ქართული ამბავი. მან ეს დაიმსახურა. დღეს სულ ორი მეცენატია ამ „ანგარიშზე", ერთი ქართველია, მეორე – ამერიკელი ბანკირი, რომელმაც 128 მილიონი დოლარი დახარჯა. ამ ჯილდოს ქართველი პრეტენდენტი გახლავთ ბატონი გოგი თოფაძე, რომელიც დღესაც ჩემი მეგობარია. ჩვენ პარლამენტში ვართ კოლეგები – მე გახლავართ დიასპორისა და კავკასიის ხალხთა საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

**– თქვენი ფინანსური წონით კატეგორიაც ისეთივეა, როგორც მრეწველთა უმეტესობის?**

– მე, როგორც მხატვარ-მონუმენტალისტს, ძალიან დიდი ჰონორარები მქონდა საბჭოთა პერიოდში. ერთხელ, ამერიკაში ყოფნისას, ედუარდ შევარდნაძემ ჩემი ჰონორარები ჩემთან შეუთანხმებლად აიყვანა სახელმწიფო ვალში, თითქოს მე ვასესხე თანხა სახელმწიფოს. ეს აღმოვაჩინე საქართველოში დაბრუნებულმა. ჩვენ მაშინ შესაშური ჰონორარები გვქონდა, მაგალითად, ჩემი უამრავი მოზაიკაა ზესტაფონში. ერთ-ერთ მოზაიკაში, რომელიც 180 კვადრატული მეტრია, 360 ათასი საბჭოთა მანეთი ავიღე. ეს იმ პერიოდისთვის საკმაოდ კარგი ფული იყო.

**– ქართული პოლიტიკის კულისები როთუ-**

**ლია, რომელი თქვენი პროფესია გეხმარებათ ამ როლის მორგებაში?**

– როგორც შევამჩნიე, ამ საქმეში ძალიან მეხმარება მეცნიერება და ჟურნალისტიკა. ჩემში, როგორც მეცნიერში, მხატვრობიდან გადავიდა ის ფსიქოლოგიური ალღოს ამოცნობა, რაც მხატვარშია. მე არ ვაწუხებ ჩემში მხატვარს, ის დოზა, რაც პიროვნების ამოცნობას სჭირდება, მეცნიერშიც საკმარისია. ამას წინათ ერთმა ჟურნალისტმა დაწერა ჩემზე: მისი ბიოგრაფია და ტიტულები, მაპატიეთ და სულ ფეხებზე მკიდია, თუ ტრიბუნიდან ერთ ნაციონალს მაინც არ ეტყვის „შე ჩმოროო”. ცხადია, მე არ ვუპასუხე მას, სხვადასხვა წონით კატეგორიაში ვართ. პარლამენტში მე იმიტომ არ მოვსულვარ, ვილაცას „ჩმორო” ვეძახო. მართალია. ტრიბუნასთან ხშირად არ გამოვდივარ, მაგრამ ვმუშაობ კომიტეტში. სანამ დეპუტატი გავხდებოდი, ორი წლის განმავლობაში მეორე არხზე, მქონდა გადაცემა განათლებაზე, მეცნიერებაზე, ქართული ენის სიწმინდეზე, რომელიც ჩვენ მიერვეა გაუპატიურებული. ამას ჩვენ არავინ გვაძალებს. ქართული ენის დაცვაზე ზრუნვა იყო ჩემი მიზანი პარლამენტშიც, ასე დავიწყე მუშაობა. რამდენიმე თვეში, ფრაქციის სხდომაზე დავაანონსე, რომ ვმუშაობდი სახელმწიფო ენის კანონპროექტზე. თუმცა, თემა დარჩა თემად. შესწავლილი მასალა მზად მაქვს, მაგრამ თამაშიდან გამოვედი – ერთ მშვენიერ დღეს, ერთ-ერთმა კომიტეტმა, გააკეთა განაცხადი ამ კანონპროექტის შესახებ.

**– ჩვენს პარლამენტშიც არის პლაგიატი?**

– აი, ასე მოხდა. გავბრაზდი, მეწყინა და გამოვედი ამ ამბიდან. როცა ვმუშაობდით განათლების რეფორმაზე, მე ძალიან კრიტიკული სიტყვით გამოვედი, რაც შეეხებოდა რექტორების დანიშვნას. დარწმუნებული ვარ, კიდევ მომეცემა საშუალება ვიმუშავო ამ თემებზე. უფრო მეტიც, როგორც კი პარლამენტში აღარ ვიქნები, გავაგრძელებ სამეცნიერო მუშაობას.

**– ამას წინათ, ერთ-ერთ გადაცემაში თქვით, რომ არაერთხელ შეხვედრიხართ უცხოპლანეტელებს, მაინცდამაინც თქვენ რატომ „ამოგიჩემეს”?**

– ეს არ ვიცი, თუმცა გეტყვით, რომ უცხოპლანეტელები ვნახე თვრამეტჯერ და დავაფიქსირე თორმეტჯერ – ფოტო გადავუღე მათ. ადგილები, სადაც მათ შევხვდი, საკმაოდ მრავალფეროვანია: დუშეთი, თბილისი, რიკოთის უღელტეხილი, კოპიტნარის თავზე. ასევე, მათ შევხვდი უცხოეთში – პარიზში, ავსტრიაში. უცნაური იყო კონტაქტი პარიზში. ეიფელთან ახლოს მეგობარს ველოდი, ლევილში უნდა წავსულიყავით. სანამ მეგობარი მოვიდოდა, ხან მარჯვნივ ვიყურებოდი, ხან მარცხნივ. როცა ზევით ავიხედე, დავინახე რომ ზუსტად ეიფელის კოშკის თავზე წამომჯდარი არიან ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელები თავისი ტრანსპორტით. ისინი იქიდან მიჭყიტინებდნენ, მე – აქედან „ვათვალიერებდი” მათ. წესად მაქვს, ყველგან ფოტოაპარატით დავდივარ – ავდექი და გადავიღე ფოტო, რომელიც შემდეგ მოხვდა ფელიქს ზიგელის ცნობილ გამოცემაში, სადაც მან ოთხი გვერდი დაუთმო ჩემს ისტორიებს და უნიკალურ ფოტოებს. მე და უცხოპლანეტელები შევხვდით ვენაშიც, სასაფლაოზე. ვუყურებ მიწისქვეშა ავსტრიას, ვარ მიწისზედა ავსტრიაში და უცებ ზევიდან გამომეცხადნენ უცხოპლანეტელები, ისევ სამკუთხედი, ისევ სამი განზომილება ***(იცინის).*** დიდი ხანია, წესად მაქვს, როცა პირველად ჩავდივარ ამა თუ იმ ქვეყანაში, მივდივარ მათ სასაფლაოებზე. ამაზე დიდი ნარკვევი მაქვს დაწერილი, რაც შეიძლება, საეცნიერო ნაშრომსაც გაუტოლდეს. სასაფლაოზე კარგად ჩანს, თუ როგორ უვლის ამა თუ იმ ერის წარმომადგენელი თავის წარსულს, რომელიც მიწაშია. შეიცნობთ მათ სულს, ხასიათს და უფრო იოლად დაამყარებთ კავშირს ამ ხალხთან. ამის შესახებ გეტყვით, რომ მე მოვიარე საქართველო, გადავიღე საფლავები. ამაზეც ავიღე პატენტი და უფლება, რომ ეს თემა, რომელიც ქართულ ხასიათზე მიუთითებს, მე აღმოვაჩინე. ამ თემას „მიწისქვეშა საქართველო” ჰქვია.

**– უცხოპლანეტელებს, რაც დეპუტატი გახდით, კვლავ ხვდებით თუ დაგანებეს თავი? აქაც ხომ არ გესტუმრებიან ხოლმე?**

– უცხოპლანეტელებს ჩემთვის თავი არ დაუნებებიათ. გარკვეული მიზეზების გამო, უცხოპლანეტელები ჩვენს პარლამენტში არ ხვდებიან. გარწმუნებთ, არც არასდროს მოხვდებიან, თუმცა ჩვენ კვლავ გვაქვს კონტაქტი. ამაზე აღარ ვსაუბრობ და აღარ ვამჟღავნებ. ჩემი მასალები სხვის გამოცემებში არ უნდა მოხვდეს. დრო მოვა, ამაზე მე თავად დავწერ წიგნს, თუმცა ეს თემა სამომავლოდ გადავდოთ.

**თამუნა სამადაშვილი**

# ქილების მასაჟი

**– ქალბატონო მარი, რა ვუყოთ აკრეფილ კილოგრამებს, როცა გვინდა, რომ კარგად გამოვიყურებოდეთ?**

– ადამიანი ცხოვრების რაღაც მონაკვეთში წონაში იმატებს და თუკი ადრე ამ მომატებულს მალევე და ადვილად იკლებდა, ახლა უკვე დიდი ძალისხმევითაც ვერ ახერხებს ამას. ზოგიერთი ეგუება ამ ფაქტს, ხელს ჩაიქნევს და განაგრძობს მატებას. ზოგიერთი კი ტანჯვა-წამებით დაკლებულ 2-3 კილოგრამს მალევე ორმაგად იბრუნებს. ისინი, ვინც თვეში ნახევარი კილოგრამის მომატებას არაფრად არ აგდებენ, ერთი წლის შემდეგ აღმოაჩენენ, რომ თურმე ექვსი კილოთი მეტს იწონიან. ვაკუუმ-თერაპია ყველაზე ეფექტური მეთოდია ჭარბ წონასთან და ცელულიტთან ბრძოლაში. სხეულზე პროცედურები კეთდება დიდი და საშუალო ზომის ქილებით. ისინი ქმნიან ძლიერ ვაკუუმს, რის შედეგადაც ცელულიტი ჯერ რბილდება და შემდეგ მცირდება. წარმოიდგინეთ, ერთდროულად დასმული ათი ნახევარლიტრიანი ქილების დიამეტრის ვაკუუმი. ეს ძალიან დიდი ძალაა, გარდა ამისა, თერმულ-მექანიკური ზემოქმედებაც ხდება და კანი, რაც არ უნდა მოიკლოთ, არ დაკარგავს ელასტიკურობას და არ „ჩამოეკიდება“.

**– რამდენი კილოგრამის დაკლებაა შესაძლებელი საშუალოდ და რა ღირს ერთი პროცედურა?**

– 8-10 კილოგრამის დასაკლებად 15-20 პროცედურაა რეკომენდებული, სეანსი ერთი საათი გრძელდება და 35 ლარი ღირს. ერთდროულად პაციენტს ენიშნება სწორი კვება (სისხლის ჯგუფის, ცხოვრების წესის მიხედვით), თუ არ არის წონის პრობლემა, მაგრამ საჭიროა სხეულის ცალკეული ნაწილების (გალიფე, თეძოები, დუნდულები, წვივები, მხრები) კორექცია, ამ შემთხვევაში იგივე პროცედურები უტარდებათ, ოღონდ დიეტის გარეშე. ზოგიერთი მეკითხება: „თუ დიეტა დავიცავი, ხომ ისედაც დავიკლებ, რაღა საჭიროა მასაჟი?“ გარწმუნებთ, მარტო დიეტის დაცვით ამ ადგილობრივ პრობლემებს ვერ მოიგვარებთ, მოიკლებთ ყველგან, გარდა იმ ადგილებისა. თანაც მიიღებთ ნატანჯ-ნაწამებ სახის გამომეტყველებას. უფრო მეტად გაღიზიანებულები, კონფლიქტურები და დეპრესიულები გახდებით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, რა თქმა უნდა, წონის დაკლებისას დანიშნული სწორი კვების რეჟიმის მკაცრი დაცვა აუცილებელია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, „დიეტიდან“ გამოსვლა, ანუ, მიღებული შედეგის შენარჩუნება. იმიტომ რომ, ამ დროს ორგანიზმი არასწორად იღებს საკვებს ცხიმების სახით, აი, საიდან მოდის დიეტის შემდეგ კვლავ წონის მომატება. აუცილებელია, მიეცეს პაციენტს სწორი რჩევა-დარიგებები, თუ როგორ მოიქცეს შემდგომში იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს „რიკოშეტის“ რეაქცია. პროცედურების დროს ჩვენ პარალელურად ვიყენებთ თაფლს, შავ შოკოლადსა და ყავას. მათ გააჩნიათ ანტიცელულიტური მოქმედება. ქილებით დამუშავებულ და გახსნილ ფორებში, კანქვეშა ცხიმიდან ქსოვილებში აღწევენ და შლიან მათ. სწორედ ამიტომ აღნიშნავენ პაციენტები, რომ რამდენიმე კილოგრამის დაკლებითაც კი უფრო გამხდრად გამოიყურებიან, ვიდრე სინამდვილეში არიან დაკლებულები, რადგან ვიზუალური კლება სანტიმეტრების ხარჯზე ხდება.

**– ამავე მეთოდით ხდება სახეზე ნაოჭების გასწორება. გამიგია, რომ ამ მასაჟის შემდგომ შეიძლება, ლაქები გაჩნდეს, ტანზე კიდევ არა უშავს, მაგრამ სახეზე?**

– მეთოდი იგივეა – ვაკუუმთერაპია, მაგრამ სახეზე, სხეულისგან განსხვავებით, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიყენებთ მცირე და საშუალო ზომის პარამეტრებს და შესაბამისად არანაირი ლაქები არ რჩება.

ამ პროცედურების გაკეთება ექიმისგან დიდ სიფრთხილეს, ყურადღების კონცენტრირებას, პროფესიონალიზმსა და გამოცდილებას მოითხოვს. ეს მეთოდი აძლიერებს სისხლის მიკროცირკულაციას კანქვეშ და ნაოჭები ქვევიდან, სიღრმიდან სწორდება. კრემები (რაც უნდა ხარისხიანი და ძვირად ღირებულიც არ უნდა იყოს), კი ზედაპირზე მოქმედებს და მათი ეფექტი მოკლევადიანია. დოზირებული ვაკუუმით სახის კანზე ჩვენ ვახდენთ ღრმა ზემოქმედებას ნაწიბურებზე, ნაოჭებზე. ამ დროს 4-5-ჯერ ძლიერდება მიკროცირკულაცია. „ცოცხლდებიან“ დისტროფიული უჯრედები და „გაზარმაცებულ“ კაპილარებში სისხლის დიდი ნაკადი მიედინება. აი, რაშია ამ მეთოდის უნიკალურობა და შეუდარებელი გამაახალგაზრდავებელი ეფექტი!

**– ამ შემთხვევაში რამდენი პროცედურაა ჩასატარებელი და რა ღირს ერთი მასაჟი?**

– სახის მასაჟი 40-50 წუთი გრძელდება და 20 ლარი ღირს, თავიდან დღეგამოშვებით კეთდება, სანამ სისხლის და ლიმფის მიმოქცევა აღდგება, შემდეგ კი, მიყოლებითაც შეიძლება. პროცედურები არ ტარდება ჩირქოვანი გამონაყარის, ჰერპესისა და სოკოვანი დაავადებების დროს.

აღსანიშნავია, რომ პაციენტთა უმეტესობა პირველივე სეანსების შემდეგ აღნიშნავს, რომ კანს უბრუნდება ჯანმრთელი ელფერი (ამას განსაკუთრებით მწეველები ამბობენ), წვრილი, მიმიკური ნაოჭების რაოდენობა მცირდება, ხოლო ღრმა, ფუნქციური ნაკეცები ნაკლებად გამომხატველი და თვალში საცემი ხდება (დერმატოლიფტინგის ეფექტი). მომდევნო სეანსების შემდეგ კანის სტრუქტურა მკვეთრად უმჯობესდება. მცირდება შეშუპებები და ლაქები თვალების გარშემო, მყარდება სახის კუნთოვანი კარკასი და პაციენტი 5-8 წლით უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. ვაკუუმთერაპია ებრძვის ძველ, უკვე არსებულ და ახალ მიმიკურ ნაოჭებს. გარდა ამისა, კურსის დამთავრების შემდეგ აბსოლუტურად ყველა პაციენტი აღნიშნავს, რომ არსებული პრობლემების მოგვარების გარდა, მკვეთრად გაუმჯობესდა მათი ზოგადი მდგომარეობა. აღნიშნავენ ენერგიის მოზღვავებას, ძალის მოწესრიგებას, უმიზეზო თავის ტკივილებისა და დეპრესიული მოვლენების ალაგებას, უმჯობესდება ადამიანის გუნება-განწყობა და პაციენტი აქტიურ ცხოვრებას უბრუნდება.

**ექიმი მარინა ლომიძე 593-30-00-08.**

**როდესაც მაცხოვარმა მოციქულები აიყვანა ელეონის მთაზე, დაასხა ხელი, მიჰბერა მათ სულიწმიდა, ანუ სამღვდელო მადლი და უთხრა: ვისაც მიუტევებთ ცოდვებს – მიეტევებათ, ვისაც არ მიუტევებთ – არ მიეტევებათო. ცოდვის მიტევება-არმიტევების ხელმწიფება იესო ქრისტემ მისცა მოციქულებს, სამოციქულო ეკლესიის წიაღს.**

# რისთვის სჭირდება ადამიანს სულიერი მოძღვარი და რის გარეშე ვერ შეძლებს ის სწორ ეკლესიურ ცხოვრებას



არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როდესაც ადამიანი თავის ნებას აღასრულებს და თან ამას თავის მართლებაც ერთვის, ის საერთოდ არ სჩადის სიკეთეს

**მამა გიორგი** ***(თევდორაშვილი, ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი):*** დღეს ეკლესიაში სულიწმიდის გარდამოსვლა აღესრულება მირონის ცხებით. ადრე, როდესაც მოციქულები ნათლავდნენ ადამიანებს, მათი ხელდასხმით გადმოდიოდა ადამიანებზე სულიწმიდა. რადგან ნათლისღების მსურველთა რაოდენობა ბევრი აღმოჩნდა, ამიტომ ეკლესიაში დადგინდნენ მოციქულების მიერ ნაკურთხი ხუცესები, იგივე მღვდელმსახურები, რომელთაც კეთილსურნელების სახით მირონი გადაეცათ. მირონის ცხებით, ნათლისღების საიდუმლოს დროს, ადამიანს ენიჭება სულიწმიდის მადლი. ბევრმა არ იცის, რომ ნათლისღების დღეს ის ორ საიდუმლოში მონაწილეობს. პირველი – ეს არის ნათლისღება, ხოლო მირონცხებით, ადამიანს ენიჭება სულიწმიდის მადლი, რომლის გარეშეც მას არ შეუძლია, თქვას აღსარება, ეზიაროს, იაროს ეკლესიაში და რაც მთავარია, ვერ ცხონდება. ნათლობის დროს ადამიანს მღვდელი მირონს სცხებდა და ამიტომ, ნათელღებული პიროვნება ცხრა დღის განმავლობაში მირონცხებული დადიოდა. შემდეგ მას მშობლების მიერ სპეციალურად შერჩეული ქრისტიანი ჩამობანდა, რომელიც „განმბანელად“ იწოდებოდა. დღეს, სამწუხაროდ, ამ ტრადიციამ სახე იცვალა და ნათლისღების დროს განბანას თვით მღვდელმსახური აღასრულებს. ეს გამოწვეულია შემდეგით: ადამიანი, რომელიც მირონცხებული იყო, წმიდად და ბეჭედდასმულად ითვლებოდა. მისთვის მოფერება, კოცნა და შეხება, ყველას ეკრძალება და ეს საკმაოდ რთული შესასრულებელი იყო. ამიტომ, ამ საიდუმლოს დაცვისა და მირონის მიმართ უფრო მეტი მოწიწებისთვის, ეს წესი შეიცვალა და მღვდელი ნათელღებულს მირონს, მეცხრე დღის ნაცვლად, ნათლობისთანავე ჩამოჰბანს.

**– როგორც ცნობილია, ცოდვების მიტევება-არმიტევება ხდება მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიაში.**

– სხვა ეკლესიები ამ ძალაუფლებას არ ფლობენ, რადგან, ისინი გამოეყვნენ, განუდგნენ მართლმადიდებელ დედაეკლესიას. როდესაც მაცხოვარი ელეონის მთაზე ამაღლდა, მოციქულები უყურებდნენ ქვევიდან ზევით და მათ ეჩვენათ ორი ადამიანი სპეტაკი სამოსით. ბუნებრივია, აქ ლაპარაკია ანგელოზების სიწმიდეზე, რომლებმაც უთხრეს: „კაცნო, გალილეველნო, რატომ იყურებით ზეცად? ეს არის იესო, რომელიც ამაღლდა თქვენდა და რომელსაც ასევე, იხილავთ ზეცად მომავალს“. როგორც მოციქულებმა იხილეს, როგორ ამაღლდა მაცხოვარი ზეცად, ასევე, მთელი კაცობრიობა იხილავს მაცხოვრის მეორედ მობრძანებას. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაცხოვრის მეორედ მოსვლის წინ, მრავალი ცრუ წინასწარმეტყველი მოვა. ისინი იტყვიან: „მე ვარ იესო ქრისტე“. ამიტომ, გაგვაფრთხილა ეკლესიამ, რომ, როგორც მოციქულებმა იხილეს ხილული ქვეყნიდან ზეცად აღმავალი მაცხოვარი, ასევე, ყველა ადამიანი იხილავს ზეციდან მის დაბრუნებას. მაცხოვარმა აღდგომით გამოიხსნა ადამიანები, მაგრამ, ამ საქმის ბოლომდე მიყვანა, უფალთან ბოლომდე შერიგება, კაცობრიობის სულიერი განვითარება მხოლოდ ამაღლების შედეგად გახდა შესაძლებელი. ამიტომ, მაცხოვარმა თავისი ამაღლებით აღდგომაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი რამ მოიმოქმედა: რომ არა მაცხოვრის ამაღლება, მოციქულებისთვის დაპირებული კაცობრიობის ნუგეშისცემა, მაშინ ადამიანების გამოხსნის საქმეც არ იქნებოდა დაგვირგვინებული, ბოლომდე მიყვანილი. უფალმა დაგვიტოვა მაგალითი იმისა, რომ ყველა ადამიანი ლოცვით, სწორი სულიერი ცხოვრებით, მაცხოვართან ერთად იწყებს ამაღლებას. როგორც მაცხოვარი ამაღლდა, ისევე ამაღლდება ადამიანიც.

**– და როგორ შეძლებს ის ამას, ამისთვის ალბათ სჭირდება დახმარება.**

– ადამიანებს ყოველთვის სჭირდებათ სხვისი დახმარება – მწყემსი, რომელიც მათ დამწყემსავს, სწორ გზას უჩვენებს. ეშმაკს ყველაზე მეტად სწორედ ის სწადია, რომ ადამიანს მწყემსი, მოძღვარი არ ჰყავდეს. ვინც მოძღვრის ნებას არ მიჰყვება, ის დასაწყისში მხურვალედ ლოცულობს, მარხულობს, სიმშვიდე, სიმყუდროვე აქვს, კეთილ საქმეებს აღასრულებს, მაგრამ შემდეგ გულმხურვალეობა თანდათანობით უნელდება. ვინც თავის ნებას მისდევს, წინამძღვარი არ ჰყავს, რათა კვლავ აღაგზნოს მისი მხურვალება, დაეცემა და ეშმაკის გასათელი გახდება. ხოლო ისინი, ვინც თავისი მოძღვრის ნებას მიჰყვებიან, ენდობიან, მის რჩევებს ითვალისწინებენ, არ დაეცემიან, რადგან ქრისტე მათ შეეწევა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როდესაც ადამიანი თავის ნებას აღასრულებს და თან, ამას თავის მართლებაც ერთვის, ის კაცი საერთოდ არ სჩადის სიკეთეს. ამიტომ, ყველას გირჩევთ, სანამ რამეს გააკეთებთ, ჰკითხეთ მოძღვარს აზრი. ის დაგიცავთ შეცდომისგან, სწორ რჩევას მოგცემთ და, თუ მას დაუჯერებთ, ეშმაკს თქვენი აზრების განსჯა და გამოაშკარავება გაუჭირდება. ვერ იხელთებს დროს თქვენთვის სავნებად და მთელი მისი მზაკვრობა ჩაიშლება.

> **ამ საიდუმლოს დაცვა და მირონის მიმართ უფრო მეტი მოწიწების გამოჩენა რომ მოხდეს, ეს წესი შეიცვალა და მღვდელი ნათელღებულს მირონს მეცხრე დღის ნაცვლად ნათლობისთანავე ჩამოჰბანს**

**– ადამიანი ხშირად ახალ-ახალ ცოდვას სჩადის და ამბობს: არა უშავს, მივალ ჩემს მამაოსთან, კეთილია და მომიტევებსო...**

– ეს არის ფარისევლური, საშინელი მდგომარეობა. ადამიანი არასრულყოფილი არსებაა და მას არ შეუძლია სრულყოფილი არათუ აღსარება, არამედ, არანაირი საქმიანობა. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია ლოცვაში და, როდესაც ქრისტიანი აღსარებას ამთავრებს, მოძღვარმაც და თავადაც, იციან, რომ მისი აღსარება არასრულყოფილი იყო. ამიტომ, რაც არ გახსენებია მას, რაც უნებლიეთ ჩაუდენია, ამას მოძღვარი საკუთარ თავზე იღებს და ევედრება უფალს: „მიუტევე ცოდვანი მისნი, ნებსითნი და უნებლიეთნი”. მთავარია, ადამიანმა ყველაფერი გულით გაიხსენოს და გულთამხილველი ღმერთი ყველაფერს მიუტევებს. კარგია, თუ დავიწყებული ცოდვები გაგვახსენდება და მათ აღსარებაში ვიტყვით. განსაკუთრებით საყურადღებოა ბავშვობასა და სიჭაბუკეში ჩადენილი ცოდვები... ბევრი იხსენებს მას, მაგრამ, ერიდება, მოძღვართან აღიაროს. თუ გახსოვს და არ ამბობ, ეს ნიშნავს, რომ ამპარტავანი ხარ და, ამპარტავნებიდან გამომდინარე, გერიდება მოძღვართან მისი წარმოთქმა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოძღვარიც ადამიანია და ის იცნობს ყველანაირ ადამიანურ სისუსტეს. ისიც იყო ახალგაზრდა და მასაც ჰქონდა ჭაბუკური ცოდვები, რომლებიც მოინანია. ადამიანი თუ არ არის უფალთან, ის ავტომატურად ეშმაკთანაა. ამიტომ, არჩევანი თქვენზეა. დიდი მამები ასეთ სწავლებას გვაძლევდნენ: ახალმოსულს რა ცოდვაც არ უნდა ჰქონდეს ჩადენილი, მაშინვე უნდა ვაზიაროთ, რადგან ამ დროს მისი სინანული გულწრფელია – ნანობს ყველაფერს. თუმცა, უნდა ავუხსნათ: შენ არ ხარ ზიარების ღირსი, მაგრამ რადგან ეკლესიაში მოხვედი, ჯილდოვდები და ღმერთი გასაჩუქრებს წმიდა ზიარებითო. ჩვენ იმიტომ კი არ დავდივართ ეკლესიაში, რომ მაშინვე რაღაც პრობლემები მოვაგვაროთ, არამედ ეკლესიაში მთავარი სულის ცხონების შესახებ სწავლებაა და სულიერი გადარჩენის სურვილი. სხვა დანარჩენი პრობლემა, თუ დავიმსახურებთ, ღმერთის ნებით, მოგვარდება.

**ნათია უტიაშვილი**

# ზოგრაფის ღვთისმშობლის ხატის სასწაული

მეცამეტე საუკუნის ბოლოს დაუძლურებული ბიზანტიის იმპერია რომის ეკლესიის მხრიდან მძლავრ შემოტევებს განიცდიდა. რომის პაპი ყველანაირად ცდილობდა, მართლმადიდებელი ეკლესია თავისი მორჩილების ქვეშ მოექცია. ამ დროს, ათონის წმიდა მთაზე, ზოგრაფის მონასტრის ახლოს, ერთი განდეგილი ბერი მოღვაწეობდა. წმიდა მამას ჩვევად ჰქონდა თავის სენაკში დაბრძანებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე ყოველდღე რამდენჯერმე დაუჯდომელის წაკითხვა. ერთხელ, როდესაც იგი ჩვეულებისამებრ ლოცულობდა და გამუდმებით იმეორებდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების ლოცვას, უეცრად, სიტყვას „გიხაროდენ" რომ წარმოთქვამდა, მას ხატიდან მოესმა: „შენც გიხაროდენ, უფლის მსახურო". ბერი შეშინდა, მაგრამ ხატიდან ხმა კვლავ გაისმა: „ნუ გეშინია, ახლავე წადი მონასტერში და ილუმენსა და ძმებს აუწყე, რომ მტერი სავანეს უახლოვდება. ვინც სულიერად უძლურია, განსაცდელს განერიდოს და თავი მთებს შეაფაროს, ხოლო ვისაც უფლის სახელისთვის მოწამეობრივი სიკვდილის დათმენა ძალუძს, დაე დარჩეს. წადი, იჩქარე".

ბერი უმალ გამოვიდა სენაკიდან და მონასტერს მიაშურა. როგორც კი მონასტრის კარიბჭეს მიუახლოვდა, ის ხატი, რომლის წინაშეც თავის სენაკში ლოცულობდა და რომლისგანაც ბრძანება მიიღო, უკვე კართან მყოფი იხილა. ბერი ხატის წინ ლოცვით დაეცა მუხლებზე, მკერდზე მიირქვა და მონასტრის ილუმენს წარუდგა. მტრის მოახლოების ცნობამ სავანის ძმობა მეტად შეაშფოთა. ისინი, ვინც მოწამეობრივი აღსასრულისთვის უძლურად მიიჩნია თავი, ათონის მთებსა და ხევებს შეეფარნენ, ხოლო 26 ბერი, მათ შორის ილუმენი და განდეგილი, მონასტერში დარჩნენ და კოშკში ჩაიკეტნენ. მალე ლათინთა ლაშქარიც გამოჩნდა. მათ მონასტერში კარდახშულ ბერებს ჯერ ლიქნა დაუწყეს – სთხოვდნენ, გაეღოთ კოშკის კარი, ეცნოთ რომის პაპის მეთაურობა მსოფლიოს ეკლესიაზე და პაპის ურიცხვი წყალობა და ოქრო მიეღოთ. „ჩვენ ეკლესიის მეთაურად იესო ქრისტე გვყავს, – უპასუხეს კოშკში ჩაკეტილმა მამებმა, – და უწინ დავიხოცებით, ვიდრე თქვენს ნებას ავასრულებთ. არასდროს მოგცემთ იმის უფლებას, რომ ეს წმიდა ადგილი შეარაცხყოთ".

„მაშ, დაიხოცეთ", – იღრიალეს ლათინებმა და კოშკს ყოველი მხრიდან გამხმარი ფიჩხი შემოუწყვეს. მალე ცეცხლის ალი ცას მისწვდა. კოშკში მყოფმა ბერებმა უფალი განადიდეს და მას მტერთათვის ცოდვათა შენდობა სთხოვეს. ლოცვაში ჩაძირული წმიდა მამები ცეცხლში აღესრულნენ. ეს 1276 წლის 10 ოქტომბერს მოხდა. მოწამეობრივად აღსრულებულ მამათა სახელები ზოგრაფის „სინოდიკში" და ბულგარულ „თვენშია" ჩამოთვლილი.

სავანეში დაბრუნებულმა ძმებმა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი, რომელმაც განდეგილ ბერს მტრის მოახლოება აუწყა, ჩამოქცეული და დამწვარი კოშკის ნანგრევებსა და ღველფში მთელი და უვნებელი იპოვეს. მას სახელად „დაუჯდომელი" ეწოდება. ბულგარელები დღესაც სალვთო ლიტურგიისას, მის წინაშე დაუჯდომელს გალობენ.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: მინდა, რომ ვიცხოვრო უფლის მცნებებით, მაგრამ ძალიან განვიცდი, რას ამბობენ ჩემზე, ხომ არ მჭორავენ. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** ნუ შეგეშინდებათ ადამიანთა მიერ თქმული ჭორისა და დაცინვის, ეს ეშმაკის სენია. იმაზე იფიქრეთ, რას იტყვის თქვენზე უფალი, ანგელოზები და წმიდანები.

**კითხვა: როგორ მოვიქცე, რომ ჩემი თავი გავწვრთნა მოთმინებაში?**

**პასუხი:** თუ ვინმემ უდანაშაულოდ გაწყენინათ, გაიხსენეთ ის ცოდვები, რომლებიც უფლის წინაშე გაქვთ ჩადენილი და ამ შეგნებით დამდაბლდით. ამ გზით წარემატებით ამ სათნოებაში.

**კითხვა: რა არის მთავრობისმოყვარეობა?**

**პასუხი:** მთავრობისმოყვარეობა არის ძალაუფლების მოპოვების აულაგმავი წყურვილი, რაც როგორც წესი, უჩნდებათ საამისო უნარის არმქონე ადამიანებს. მათ არ აქვთ კეთილი განზრახვა – სარგებლობა მოუტანონ ხალხს, საქმეს, პირიქით ამოძრავებთ ერთადერთი უგუნური მიზანი – დაიკმაყოფილონ სიამაყე, პატივმოყვარეობა, ანგარება. ისინი ხშირად ძალაუფლებისკენ ქვეძრომით მიისწრაფვიან. ასევე, სხვა მდაბალი ხერხებით.



**კითხვა: თუ ზედმეტი მოვიდა საკვების მიღება, როგორ გამოვასწორო ჩადენილი?**

**პასუხი:** თუ საკვებით დამძიმდებით, დასაძინებლად კი არ დაწვეთ ან დასასვენებლად, არამედ, ფიზიკურ გარჯას მიჰყავით ხელი, გააკეთეთ რამე კეთილი საქმე ან ილოცეთ, რათა არ შეიბილწოთ უწმინდური ოცნებებით.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### მხოლოდ სიზმარი

ერთხელ, დილით, ამბა არსენის სენაკს მისი ორი მოსწავლე ეწვია და ბერს თავისი სათნო საქმეების შესახებ თხრობა დაუწყო. ისინი ერთმანეთში ხშირად კამათობდნენ, თუ ვინ უფრო მართალ ცხოვრებას ეწეოდა და ახლა ამის განსასჯელად მოძღვართან მოსულიყვნენ. მაგრამ იმ დილით მამა არსენი უჩვეულოდ მდუმარე იყო.

– ღამით უცნაური სიზმარი ვიხილე, – წარმოთქვა მან ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, – ხმა მომესმა, რომელმაც მომიწოდა: „წამოდი, კაცთა საქმენი უნდა გიჩვენო!" მეც გავყევი. ხმამ ტყეში წამიყვანა. იქ ვიხილე ერთი კაცი, რომელიც ფიჩხს აგროვებდა. მას უკვე იმდენი ფიჩხი მოეგროვებინა, რომ ძვრას ვერ უზამდა. მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ ფიჩხის ნაწილი სადმე ცალკე გადაეწყო, იგი იმავე ადგილზე იდგა, ფიჩხს იხუტებდა და ჩეხას განაგრძობდა... შემდეგ მობრუნდა და უეცრად დავინახე, რომ იგი უცნაურად წააგავდა ერთ-ერთ თქვენგანს...

– შეუძლებელია! – წამოიძახა იმ მოსწავლემ, ვისაც მოძღვარმა მეტყველი მზერა მიაპყრო, – რას ამბობ, მამაო! მე ასეთ სიბრიყვეს არასდროს ჩავიდენდი!

– მეც ასე ვიფიქრე, – მიუგო მოძღვარმა და თხრობა განაგრძო: – შემდეგ ხმამ მითხრა: „განა ასე არ იქცევა ამქვეყნად მრავალი ადამიანი? ნაცვლად იმისა, რომ ამპარტავნება დააცხროს და მარადიულობაში ნაკლებად ცოდვილი გადავიდეს, რატომღაც, ტვირთს სულ უფრო მეტად იმძიმებს".

შემდეგ ჭასთან აღმოვჩნდი. ვიხილე ერთი კაცი, რომელიც გულმოდგინედ ასხამდა წყალს ძირგატეხილ კოკაში და ასე ამაოდ ცდილობდა კოკის ავსებას. წყალი ძირს იქცეოდა, კოკა ცარიელი რჩებოდა და კაცი სულ ფუჭად ირჯებოდა. მაგრამ შემდეგ მან მოიხედა და...

– არა, მამაო, ალბათ, შეგეშალა! ნუთუ, ვერ შევამჩნევდი, რომ კოკა გატეხილია?! – სწრაფად წამოიძახა მეორე მოსწავლემ, როცა მოძღვრის მისკენ მიმართული მეტყველი მზერა შენიშნა.

– მეც ასე ვიფიქრე, – მშვიდად მიუგო მოძღვარმა და განაგრძო: – ხმამ მითხრა, რომ კაცი, რომელიც წყლის ავსებას გატეხილ კოკაში ცდილობს, ისეთ ადამიანს განასახიერებს, რომელიც, თუმცა სათნო საქმეებს იქმს, მაგრამ იქვე ბოროტსაც შეურევს და ამით ყოველივე საუკეთესოს ჩანასახშივე სპობს. შემდეგ კი მკითხა: „განა ასე არ იქცევა დედამიწაზე მცხოვრებთა უმრავლესობა?"

ვერაფრის თქმა ვერ მოვასწარი, რადგან, უეცრად უმშვენიერეს ტაძართან აღმოვჩნდი. იქ ორი მხედარი ვიხილე. მათ ხელში მორი ეჭირათ ორივე ბოლოდან და ასე ცდილობდნენ ქალაქის კარიბჭეში შესვლას, მაგრამ, ვინაიდან არცერთ მათგანს მეორისთვის გზის დათმობა არ სურდა, მორმა შესასვლელი გადაუკეტა, მხედრები გარეთ რჩებოდნენ და ილანძღებოდნენ.

– ნუთუ ეს ჩვენ ვიყავით? – ერთხმად წამოიყვირეს მოწაფეებმა.

– არ ვიცი, ზურგიდან ვხედავდი და მათი სახეები არ მინახავს, – ამოიხვნეშა მოძღვარმა და დასძინა: – ხმამ მითხრა: „შეხედე ამ ადამიანებს, მათ „სიმართლის მორი" მოაქვთ, მაგრამ ამას დიდი ამპარტავნებით იქმან. არცერთ მათგანს არ სურს, პირველმა დაიმდაბლოს თავი, რომ გამოსწორდეს, ამის გარეშე კი ვერცერთი მათგანი ღვთის სასუფეველში ვერ შევა!"

მიხვდნენ მოწაფეები, ვის გულისხმობდა მოძღვარი და დამწუხრდნენ.

– ეს მხოლოდ სიზმარია! – გაეღიმა მოძღვარს, – გიხაროდეთ, რომ ჯერ კიდევ გაქვთ დრო გასაღვიძებლად.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**



## ეგზემის დროს აუცილებელია დიეტის დაცვა და სწორი კვება

ეგზემას ახასიათებს კანზე სხვადასხვა ზომის წითელი ლაქების გაჩენა. დაავადების განვითარებას ხელს უწყობს ნერვული, ენდოკრინული, იმუნური სისტემების მოშლა, ნივთიერებათა ცვლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის დარღვევა, დისბაქტერიოზი და ალერგია, ნერვული სტრესები, უარყოფითი ემოციები, ფიზიკური და გონებრივი დაძაბვა, არასწორი კვება.

ეგზემის დროს კარგია მცენარეული ნაყენი, რომელიც მზადდება კატაბალახას ძირების, ორკბილასა და გვირილის ყვავილებისგან; კალენდულას, ძირტკბილას, უკვდავასა და ფარსმანდუკისგან. ყველა ჩამოთვლილი მცენარე თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს. 1 სადილის კოვზ ნარევს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, დაახურეთ თავზე და დადგით ნახევარი საათით. ნაყენი მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა, დღეში ორჯერ, ჭამის შემდეგ. აბაზანის მისაღებად, შეგიძლიათ, გამოიყენოთ. სალბის, ორკბილას, კრაზანას, გვირილის, პიტნისა და მრავალძარღვას ნარევისგან დამზადებული ნაყენი. ასევე, კარგია სახამებელიანი და მუხის ქერქის აბაზანები.

ეგზემის გამწვავების პროფილაქტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დიეტის დაცვას. ავადმყოფის საკვები უნდა იყოს სრულფასოვანი და საკმაო რაოდენობით შეიცავდეს ვიტამინებსა და მიკროელემენტებს. რაციონიდან გამორიცხეთ ციტრუსი, მარწყვი, ჟოლო, ნესვი, ანანასი, კაკაო, ყავა, შოკოლადი, რძე, შებოლილი პროდუქტები, მწარე და ცხარე საკვები, ალკოჰოლი. მენიუში ჩართეთ ვეგეტარიანული პროდუქტები, ასევე, საქონლის ხორცი, რძემჟავა პროდუქტები – მაგალითად: მაწონი და ხაჭო, მზესუმზირის ზეთი, ვაშლი, ქლიავი, ალუბალი. ყოველდღიურად ჭამეთ ბოსტნეულის სალათები. მკურნალობის მნიშვნელოვანი ნაწილია ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისა და წიდებისგან. ამიტომ, ყურადღება მიაქციეთ კუჭ-ნაწლავის მუშაობას. ამისთვის კარგი საშუალებაა რძემჟავა პროდუქტები, ჭარხალი და ნიახური. ჭარხალი მოხარშეთ და დილა-საღამოს მიირთვით, კერძებში კი გამოიყენეთ ნიახური. შეგიძლიათ, სვათ ნიახურის წვენი, კერძოდ, 1 ჩაის კოვზი, დღეში სამჯერ.

## ნუ გააღიზიანებთ კუჭს

იმისთვის, რომ კუჭი ზედმეტად არ გააღიზიანოთ და საჭმლის მომნელებელი ფერმენტების გამოყოფა შეამციროთ, იკვებეთ ხშირად და მცირე ულუფებით. სადილი და ვახშამი ერთსა და იმავე დროს მიირთვით. ამით კუჭი მიეჩვევა, საჭმლის მომნელებელი წვენი მხოლოდ მაშინ გამოყოს, როცა ის ნამდვილად საჭიროა. სადილამდე ერთი საათით ადრე, დალიეთ ერთი ჭიქა გაზგასული მინერალური წყალი. ის მდიდარია ტუტე ლითონებით და მათი მარილებით. ამიტომ, ის ბლოკავს კუჭის წვენის სეკრეციას, რაც ამცირებს შიმშილის შეგრძნებას. ასევე, რაც უფრო დიდხანს გრძელდება საჭმლის მიღების პროცესი, მით მეტად ძლიერდება დანაყრების გრძნობა. არ დაგავიწყდეთ, უნდა ჭამოთ მშვიდად და აუჩქარებლად. ამ დროს დასანაყრებლად გაცილებით ნაკლები კალორია გყოფნით.

მოერიდეთ გაზიან და ტკბილ სასმელებს, რადგან, პირის ღრუს და კუჭის ლორწოვან გარსს აღიზიანებს და შიმშილის გრძნობას იწვევს. ცარიელ კუჭზე მიღებული მლაშე საჭმელი კი, მწნილი იქნება ეს თუ მცენარეული სალათა, ზრდის მადას. ამიტომ, უმჯობესია, ჯერ მთავარი კერძი მიირთვათ და ზემონახსენები საკვები შემდეგ დააყოლოთ.

შიმშილის ცენტრს სისხლში არსებული გლუკოზა აღიზიანებს და მადის სიძლიერესაც ეს ფაქტორი განაპირობებს. ეცადეთ, გვიან საღამოს არ ჭამოთ ტკბილეული, ცომეული და მსუყე საკვები, განსაკუთრებით ნამცხვარი, შოკოლადი, თაფლი, მურაბა და არ დალიოთ ტკბილი წვენები.

## კამა ბევრ დაავადებას კურნავს

ხალხურ მედიცინაში არსებობს რეცეპტები, უძველესი დროიდან რომ იყენებდნენ და უამრავი დაავადება ბუნებრივი საშუალებით იკურნება. ამ მხრივ გამოირჩეოდა კამა.

კუჭ-ნაწლავის ტონუსის დაქვეითებისას, ერთ სუფრის კოვზ დანაყილ კამის თესლს დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და დააყენეთ ნახევარი საათის განმავლობაში. მიიღეთ ნახევარი ჩაის ჭიქა თბილი ნაყენი, ჭამამდე, დაახლოებით თხუთმეტი წუთით ადრე.

ქრონიკული კოლიტის დროს, ერთი სუფრის კოვზი კამის თესლი ჩაყარეთ ორ ჭიქა მდუღარე წყალში და კარგად მოურიეთ. გააჩერეთ ნახევარი საათით. დალიეთ ნახევარი ჭიქა სამჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

ნაწლავთა გაუვალობის, ყაბზობისა და ნერვული გადაღლის დროს, დალიეთ ერთი სუფრის კოვზი კამის თესლისა და ერთი ჭიქა რძის ნაზავი. ოღონდ რძე და კამა ათი წუთით უნდა ადუღოთ ნელ ცეცხლზე.

სისხლნაკლებობის დროს აიღეთ ერთი სუფრის კოვზი კამის თესლი ან თავად კამა, დაასხით ერთი ჭიქა რძე, ადუღეთ ათი წუთი. წვენი მიირთვით დღეში სამჯერ.

ღამით, შარდის შეუკავებლობის დროს, აიღეთ ერთი სუფრის კოვზი კამის თესლი, დაასხით ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და გააჩერეთ ოთხი საათი თავდახურულ ჭურჭელში. ნახარში დალიეთ ვახშმის შემდეგ.

## გააკონტროლეთ საკვების მიღების დრო

დილა ბრინჯის ფაფით დაიწყეთ, რადგან, ის მდიდარია სახამებლით, რომელიც ორგანიზმს ეხმარება საკვების უკეთ გადამუშავებაში. ასევე, მას აქვს თვისება, გამოიმუშაოს სეროტონინი, რომელიც აუმჯობესებს განწყობას. სეროტონინის გამომუშავების შემდეგ გამოიყოფა ძილის ჰორმონი, რასაც, ასევე, ხელს უწყობს შემდეგი პროდუქტები: ბანანი, პური, მაკარონი, ხახვი, ნიორი, თბილი რძე და ასე შემდეგ. თუ ამ პროდუქტებს ერთ ფინჯან ყავასაც მიაყოლებთ, თავს უფრო მხნედ იგრძნობთ.

ფიზიკური აქტივობა და სპორტი ენერგიის გამოცლასა და დაღლას იწვევს, მაგრამ ძილს მაინც არ მოგგვრით. დაძინებამდე სამი-ოთხი საათით ადრე უარი თქვით ყველანაირ ვარჯიშზე. ასევე, ეცადეთ, ყოველდღე ერთსა და იმავე დროს დაწვეთ დასაძინებლად და ძილის წინ არ იფიქროთ საქმეებზე.

საღამოს საათებში, ძილის წინ, ნუ შეჭამთ შემწვარ ხორცს, სოსისსა და შებოლილ პროდუქტებს, რადგან ეს საკვები კუჭ-ნაწლავის გადატვირთვას იწვევს და ღამით მშვიდი და ნორმალური ძილის საშუალებას არ მოგცემთ. ძილის წინ ნურც შოკოლადს, ყავას, ჩაისა და ტკბილ გაზიან სასმელს მიირთმევთ, რადგან ეს პროდუქტები კოფეინს შეიცავს, რაც ორგანიზმის აგზნებას იწვევს.

ასე რომ, გააკონტროლეთ საკვების მიღების დრო და ნუ დაურღვევთ ორგანიზმს სიმშვიდეს გარკვეული პროდუქტების გარკვეულ პერიოდში მიღებით.

## ორგანიზმში ქოლესტერინის ცვლაზე საკვების გარდა, სხვა ფაქტორებიც ახდენს გავლენას

ქოლესტერინი ორგანული ნაერთია, რომელსაც თითქმის ყველა ცოცხალი ორგანიზმი შეიცავს. ის ისევე აუცილებელია ორგანიზმისთვის, როგორც წყალი, ვიტამინები, ცილები, ნახშირწყლები და სხვა ნივთიერებები.

ორგანიზმის უჯრედები ქოლესტერინს მემბრანების საშენ მასალად იყენებს. მისგან ხდება სასქესო ჰორმონების, ნაღვლის მჟავისა და $D_3$ ვიტამინის სინთეზი. ამ ნივთიერებას დიდი რაოდენობით საჭიროებს და მოიხმარს საკვერცხეები, სათესლე ჯირკვლები, თირკმელზედა ჯირკვლები და პლაცენტა.

განსაკუთრებული მოთხოვნილება ქოლესტერინზე აქვს თავის ტვინსა და ნერვულ სისტემას. სისხლის წითელ უჯრედებს, ანუ ერითროციტებს ჰემოლიზური შხამებისგან სწორედ ეს ნაერთი იცავს. ზოგიერთი ცხოველის ორგანიზმში ქოლესტერინის მუდმივი დონე რეგულირდება უკუკავ-

შირის პრინციპით, კერძოდ, საკვებთან ერთად ქოლესტერინის ჭარბად მიღებისას მისი ბიოსინთეზი უჯრედებში ითრგუნება. ადამიანს კონტროლის ეს მექანიზმი არ გააჩნია, ამიტომ ქოლესტერინის შემცველობამ სისხლში შეიძლება, მნიშვნელოვნად მოიმატოს, განსაკუთრებით 40 წლის შემდეგ, ეს კი ხელს უწყობს ორგანიზმისთვის მავნე პროცესთა განვითარებას, მაგალითად: ნაღველში კენჭების წარმოქმნას, ნაღვლის სადინარების დაცობას, ღვიძლის ცხიმოვან ინფილტრაციას და სისხლძარღვთა კედლებში ათეროსკლეროზული ბალთების ჩალაგებას.

გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი არ არის დამოკიდებული სისხლში ქოლესტერინის შემცველობის დონეზე. ასევე, გაირკვა ისიც, რომ ადამიანმა მხოლოდ ხილი და ბოსტნეული რომ მიირთვას, რომლებშიც ფაქტობრივად, არ არის ქოლესტერინი, მისი ორგანიზმი საკუთარი რესურსებიდან თავად მოახდენს ამ ნივთიერების წარმოქმნას, რადგან ქოლესტერინის დაახლოებით 40 პროცენტს ვიღებთ საკვებთან ერთად, დანარჩენს კი ორგანიზმი თავად გამოიმუშავებს ცხიმოვანი მჟავებისგან.

ცხიმიანი საკვების მოყვარულებს, ქოლესტერინით მდიდარ, განსაკუთრებით – ღორის ხორცის ხშირად მომხმარებლებს, ზოგჯერ სისხლში ქოლესტერინის სრულიად ნორმალური დონე აქვს, ზოგი კი უმკაცრეს დიეტას იცავს და ამ ნივთიერების სისხლში რეგულირებას მაინც ვერ ახერხებს. არადა, იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ ათეროსკლეროზული პროცესების განვითარება დაკავშირებულია ცხიმოვანი საკვების მიღებასთან.

ქოლესტერინის ცვლაზე საკვების გარდა სხვა ფაქტორებიც ახდენს გავლენას, კერძოდ: კვების რეჟიმი, სიგარეტის მოწევა, ასაკი, გუნება-განწყობის ცვლილება, ფიზიკური დატვირთვა, გონებრივი მუშაობა და ასე შემდეგ.

# ექიმის რჩევები

**კითხვა**: **მყავს 7 წლის გოგონა. ჰქონდა ჩანითლებული ყელი და ხველა. ტემპერატურა დაეწია 35-მდე. გავუკეთე სისხლის საერთო და შაქრის ანალიზები, მაგრამ, არაფერი არ აღმოაჩნდა. რისი ბრალი შეიძლება იყოს? როცა გამოკეთდა, ტემპერატურაც აეწია და ახლა ნორმაში აქვს.**

**პასუხი**: ეს ნიშნები ვირუსული ინტოქსიკაციით აიხსნება.

**კითხვა**: **რა იწვევს ვოლფ პარკინსონ-უაიტის სინდრომს და არის თუ არა ის გენეტიკური?**

**პასუხი**: ვოლფ-პარკინსონ-უაიტის სინდრომის მიზეზია გულში ელექტრული იმპულსის დამატებითი გამტარი გზის არსებობა, რაც იწვევს ტაქიკარდიის შეტევების აღმოცენებას. შემთხვევათა 3,4 პროცენტში მსგავსი სიმპტომატიკა აღინიშნება პაციენტის ახლო ნათესავებში, რაც გენეტიკური ფაქტორის მოქმედებაზე მეტყველებს.

**კითხვა**: **თუ შეიძლება, მითხარით, რა არის დამახასიათებელი ლარინგიტისა და ლარინგო-ფარინგიტისთვის?**

**პასუხი**: ლარინგიტისა და ლარინგო-ფარინგიტისთვის დამახასიათებელია ხველება, სისუსტე, მადის დაქვეითება, რეგიონალური ლიმფური კვანძების გადიდება, აფონია, ანუ ხმის დაკარგვა. აღნიშნული დაავადება შეიძლება, გამოწვეული იყოს სხვადასხვა სახის ინფექციური აგენტებით, ესენია: ადენოვირუსული ინფექცია და ტრაქეის მექანიკური გაღიზიანებით. მაგალითად, უცხო სხეულის მოხვედრით, ხანგრძლივი ყეფით, ცივი საკვების ან წყლის მიღებით, მოჭრილი საყელოთი.

**კითხვა**: **მაინტერესებს, რა არის დამახასიათებელი სასუნთქი გზების დაავადებებისათვის?**

**პასუხი**: ქვემო სასუნთქი გზების დაავადებებისთვის დამახასიათებელია ღრმა, სველი ხველა საერთო მდგომარეობის დათრგუნვით, უმადობითა და მოწყენილობით. ქრონიკული ბრონქიტისთვის კი დამახასიათებელია მშრალი ჩუმი ხველა, რომელიც პერიოდულად გაივლის ხოლმე, რაც შემდგომში სხვადასხვა სახის პათოლოგიით რთულდება. მაგალითად, როგორებიცაა: ათელექტაზი, ფილტვების ემფიზემა, ბრონხოექტაზია, ფილტვის ფიბროზი. ალერგიული ბრონქიტი მიმდინარეობს მწვავედ როგორც ალერგიული რეაქცია. ახასიათებს მწვავე შეტევითი ხასიათის ხველა. ბრონქებში უცხო სხეულით გამოწვეული ბრონქიტის დროს ამოხველებითი ხასიათის ხველაა და გრძელდება მანამ, სანამ უცხო სხეულს არ მოიცილებს ორგანიზმი.

**კითხვა**: **მაქვს საყლაპავი მილის თიაქარი. ბოლო დროს მიჭირს სუთქვა. მაინტერესებს, თუ არის ეს ჩივილი ამ დაავადებასთან დაკავშირებული?**

**პასუხი**: საყლაპავის თიაქარი ასეთი ჩივილით არ ხასიათდება, თქვენი ჩივილის გამომწვევი მიზეზების დასადგენად უნდა მიმართოთ ოჯახის ექიმს.

**კითხვა**: **შეიძლება თუ არა, ნაწლავის ამოკვეთის შემდეგ მუცელში რამე შეხორცება განვითარდეს? როგორც ვიცი, ერთხელ „გახსნილ" მუცელში ამის დიდი შანსია. შესაძლებელია თუ არა ამის თავიდან არიდება?**

**პასუხი**: ნებისმიერი ქირურგიული ოპერაციის შემდგომ თეორიულად მოსალოდნელია შეხორცებების განვითარება. პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა მაღალკვალიფიციურ დონეზე ჩატარდეს ქირურგიული ოპერაცია და სწორად წარიმართოს პოსტოპერაციული პერიოდი.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

### ვისაც ტკბილეული უყვარს, სექსში პრობლემა არ ემუქრება

ქინძი კარგი საშუალებაა სექსუალური პრობლემების მოსაწესრიგებლად. ის ამაღლებს სექსუალურ პოტენციას, ხელს უწყობს მამაკაცებში სპერმატოზოიდების, ხოლო ქალებში – რეპროდუქციული სისტემის გააქტიურებას.

მიხაკ-დარიჩინი კარგი საშუალებაა ადამიანის სექსუალურობის ასამაღლებლად, თუმცა, მისმა გადამეტებულმა მოხმარებამ, შესაძლებელია, გამოიწვიოს სექსუალური აგრესია და აგზნება.

ასევე, მუსკატის კაკალიც სასიკეთო ძვრებს იწვევს ორგანიზმში, თუმცა, მისი გადამეტება საპირისპირო შედეგს იძლევა, კერძოდ, ადუნებს ორგანიზმს.

ვისაც ტკბილეული უყვარს, მას სექსში პრობლემა არ ემუქრება, რადგან ვანილი, რომელსაც ტკბილეული შეიცავს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სექსუალური პოტენციის ამაღლებაზე, კერძოდ, ადამიანი მისი მიღების შემდეგ განსაკუთრებით აქტიურია.

### მზესუმზირის, სიმინდისა და სოიის ზეთებზე მომზადებული საკვები დაბერების პროცესს ანელებს

E ვიტამინი ბევრია მზესუმზირის, სიმინდისა და სოიის ზეთებში. ის ანელებს სიბერის პროცესს, ასევე, შესანიშნავი ბუნებრივი ანტიოქსიდანტია და ეწინააღმდეგება ორგანიზმის დაბინძურებას ჟანგვის პროდუქტებით, რომლებიც ნაადრევ სიბერეს იწვევს.

მარგარინისა და კარაქის მოყვარულებს უფრო ხშირად აწუხებთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, იმუნური და ნერვული სისტემების მოშლა, ვიდრე მათ, ვინც მცენარეულ ცხიმს ანიჭებს უპირატესობას.

ცხოველური ცხიმების მოყვარული ადამიანები უფრო აგრესიულები, გაუწონასწორებლები არიან და ასევე, ცუდად იტანენ სტრესს. მათი კანი მალე ბერდება, კარგავს ბუნებრივ ელასტიკურობასა და სიმკვრივეს.



გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ

**როცა ადამიანის ემოციები და გუნება-განწყობა უარყოფითი ენერგიით არის დამუხტული, ამას საცხოვრებელი სახლიც შეიგრძნობს. თუ სრული ჰარმონიის, ბარაქისა და იდილიის შექმნა გსურთ ოჯახში, სახლს მეტი ყურადღება მიაქციეთ და გაითვალისწინეთ ის, რასაც, ეზოთერიკოსი, ქალბატონი ნელი გირჩევთ. ასე რომ, უიღბლობას, ცუდ განწყობას და უფულობას ადვილად დააღწევთ თავს, თუ ეზოთერიკაში აპრობირებულ საკმაოდ მარტივ რჩევებს გაითვალისწინებთ და საკუთარ თავს დააძალებთ, იყოთ მომთმენი და შეძლოთ სწორი არჩევნის გაკეთება.**

# როდის დგება ადამიანის ცხოვრებაში აღმავალ-დაღმავალი კარმული პერიოდები და აგებს თუ არა პასუხს ბინის დიზაინი ჩვენს მატერიალურ კეთილდღეობაზე

**– ქალბატონო ნელი, ამბობენ, კარმული ჩავარდნების პერიოდში ადამიანს, უიღბლობა უფრო ემატებაო. ეს რას ნიშნავს, როდის დგება მსგავსი პერიოდი ჩვენს ცხოვრებაში და როგორ გავიაროთ ეს დრო სერიოზული დანაკარგების გარეშე?**

– დიახ, ყოველი ჩვენგანისთვის არსებობს კარმული აღმავლობისა და ჩავარდნების პერიოდი. კარმული აღმავლობის დროს ადამიანი ადვილად აღწევს წარმატებებს, არ ექმნება პრობლემები და წინაღობები, ცხოვრება მშვიდად და ჰარმონიულად მიდის, მაგრამ, როგორც კი დაიწყება კარმული ჩავარდნების პერიოდი, ის უბარაქობის მსხვერპლი ხდება, რაც, შეიძლება, გაგრძელდეს თვეები და წლებიც კი; მაგრამ, ამას ისევ მოსდევს აღმასვლა და ამიტომ დეპრესიაში არ უნდა ჩავარდეთ. ხომ გაგიგიათ, აღმართს დაღმართი მოსდევს და დაღმართს აღმართიო. სწორედ ეს პრინციპი მოქმედებს ადამიანის კარმაზეც. ამას ვერცერთი ჩვენგანი ვერ ასცდება ცხოვრების გზაზე. უბრალოდ, კარმული დაღმასვლის პერიოდში მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოთ, უნდა აკონტროლოთ საკუთარი ქცევა, სიტყვები, ურთიერთობები, ფინანსები და სურვილებიც კი. რაც შეეხება კითხვას, როგორ გავარკვიოთ, როდის დგას ჩვენთვის ესა თუ ის კარმული პერიოდი, ახლავე გიპასუხებთ. მოკლედ, თუ ენერგიის მოზღვავებას გრძნობთ, ეს აღმასვლის კარმული პერიოდია და ის მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ წინსვლისა და სიტუაციების დარეგულირებისთვის. არ იზარმაცოთ, აკეთეთ ბევრი საქმე, თამამად გადადგით ნაბიჯები და წინ წაიწიეთ წარმატების მისაღწევად. ეს როგორც პირად ცხოვრებას, ასევე ფინანსურ სფეროსაც ეხება.



**– ანუ, კარმული აღმასვლის პერიოდში ადამიანი მაქსიმალურად უნდა დაიხარჯოს და შეძლოს საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების დემონსტრირება?**

– სწორად გამიგეთ ***(იცინის).*** დიახ, ასეა და, ადამიანი კოსმოსში საკუთარი თავისა და ბედის პროგრამას კარმული დაღმასვლის პერიოდში გზავნის. ამას ვგულისხმობდი, როცა ვამბობდი, ამ დროს მეტად ყურადღებით უნდა იყოთ და მეტი სიფრთხილე გამოიჩინოთ-მეთქი. რაც უფრო ფრთხილად გაივლით ამ პერიოდს, მით მეტი წინსვლის საშუალება მოგეცემათ მომავალში.

**– კარმული ჩავარდნის პერიოდს ადამიანი რა მინიშნებებით გრძნობს?**

– კარმული ჩავარდნის პერიოდში ადამიანს არ უმართლებს, ხშირად იღებს მცდარ გადაწყვეტილებებს, მაქსიმალური დანახარჯით აღწევს მინიმალურ შედეგს. ამიტომ, ამ პერიოდში თავი უნდა შეიკავოთ ზედმეტი აქტიურობისგან, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისგან, ცხოვრებაში რაიმე ცვლილებების შეტანისგან და უნდა შემოიფარგლოთ ყოველდღიური საქმიანობით.

**– პირად საუბარში აღნიშნეთ, ბინის დიზაინი ადამიანის მატერიალურ კეთილდღეობაზე აგებს პასუხსო. ამაში რს გულისმობდით?**

– არსებობს რჩევები და წესები, რომლებიც ადამიანს წარმატების მიღწევაში ეხმარება და ამ მხრივ საქმეს უიოლებს. მთავარია მათი ცოდნა. კერძოდ, საცხოვრებელ ბინაში არსებობს ზონები, რომლებიც ფინანსებზეა პასუხისმგებელი და, რემონტისა და ბინაში დიზაინის შეცვლის დროს სწორედ ამ ადგილებზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება. მაგალითად, უნდა იცოდეთ, რომ მისაღები ოთახის დასავლეთ მხარეს არ დადგათ ტექნიკა და არ ჩამოკიდოთ სარკე – ამან უბარაქობა იცის, მაგრამ, თუ ამ ადგილას დადგამთ ლარნაკს და ჩაყრით ხურდა ფულს, აუცილებლად მოიმატებს ფინანსური წყარო და შემოსავლებიც გაიზრდება. ოღონდ, ეს ფული კი არ უნდა დახარჯოთ, პირიქით, დროდადრო უნდა ჩაამატოთ. კარგი იქნება, თუ მისაღები ოთახის აღმოსავლეთ მხარეს დადგამთ დივანს, სკამსა და მაგიდას – ეს ხელს შეუწყობს ახალ კონტაქტებსა და წარმატებულ ნაცნობობას, რაც საქმეში დაგეხმარებათ. ასევე, ის უზრუნველყოფს საქმეში პარტნიორების მოზიდვას. შესასვლელში დადგით ქოთნის მარადმწვანე ყვავილები, რომ კარიერაში წინსვლა გქონდეთ; ასევე, რემონტის დროს გაითვალისწინეთ, რომ ოქროსფერში გადაწყვეტილი მისაღები ოთახი მატერიალურ კეთილდღეობას უზრუნველყოფს, ღია ვარდისფრად შეღებილი საძინებლის კედლები – მშვიდ სასიყვარულო ურთიერთობებს, ხოლო ცისფრად ან სალათისფრად შეღებილი სამზარეულო ოჯახის წევრების ჯანმრთელობის საწინდარია. არ არის აუცილებელი სახლის ძვირად ღირებული ნივთებითა და ავეჯით გადატვირთვა, მთავარია, იცოდეთ, სად რა დადგათ და რა ფერებში შეღებოთ კედლები. მხოლოდ ლამაზი სახლი კომფორტსა და ფინანსურ დოვლათს ვერ მოგიტანთ, მისი რემონტი და ინტერიერი უნდა დაგეგმოთ სწორად.

**არ არის აუცილებელი სახლის ძვირად ღირებული ნივთებითა და ავეჯით გადატვირთვა, მთავარია, იცოდეთ, რა სად დადგათ და რა ფერებში შეღებოთ კედლები**

**– ისიც გამიგია, რომ, ის ნივთები და სამკაულებიც კი, რომლებსაც სახლში ვინახავთ, მეტწილად ჩვენს ბედ-იღბალსა და კეთილდღეობას განსაზღვრავს ფინანსებსა თუ პირად ურთიერთობებში. ამ მხრივ რა რჩევებს მოგვცემთ?**

– ის ზარდახშა, სადაც სამკაულებს ინახავთ, აუცილებლად უნდა შეინახოთ საძინებელი ოთახის ჩრდილოეთ მხარეს. ტანსაცმლის კარადა აღმოსავლეთით დადგით, ხოლო საწოლი – ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომ სასიყვარულო პარტნიორთან ჰარმონიული დამოკიდებულება გარანტირებული გქონდეთ. ბევრი ასეთ რამეებს ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს თქვენსავე კეთილდღეობაზეა პასუხისმგებელი. საკუთარი ძალებით შეძლებთ მატერიალური დოვლათის მიზიდვას, ბინაში კეთილდღეობისა და იდილიის შექმნას, თუ საცხოვრებელს სწორად მოაწყობთ. თუკი გსურთ, ფული არ გამოგელიოთ ოჯახში, აუცილებლად მოაწესრიგეთ სახლში სველი წერტილები. თუ წყალი ჟონავს, ამ გამდინარე წყალს თქვენი ფინანსებიც ნელ-ნელა გაჰყვება; ასევე, მწყობრში უნდა გქონდეთ სააბაზანო ოთახი და ნუ გადატვირთავთ მას სარკეებითა და ათასგვარი დეკორატიული ნივთით. რაც უფრო სადაა აბაზანის ოთახი, მით მეტ სიმშვიდეს იგრძნობთ დილა-საღამოს, როცა ამ ოთახში წესრიგდებით. ნურც ჭუჭყიან, ტალახიან ფეხსაცმელს შეიტანთ სააბაზანოში და იქ ნუ გაწმენდთ, ჯობია, ეს ეზოში გააკეთოთ. დაძინებამდე ყველა ოთახი მოაწესრიგეთ, აალაგეთ ზედმეტი ნივთები, არ დატოვოთ გასარეცხი ჭურჭელი და მიყრილ-მოყრილი ტანსაცმელი, მიალაგეთ და იმაზე ფიქრით დაწექით მშვიდად, რომ ხვალინდელი დღე უფრო იღბლიანი და წარმატებული იქნება, ვიდრე წინა დღე იყო. დამიჯერეთ, სამყაროში ყოველ კონკრეტულ ქცევას თავისი შედეგი მოჰყვება და, სავალდებულოა, ეს ყველამ კარგად გავაცნობიეროთ. გაზაფხული რემონტისა და სახლში დიზაინის შეცვლის სეზონია. ყველა ცდილობს, ბინა უკეთ მოაწყოს და ოჯახურ სივრცეში კომფორტულად, ბედნიერად და მშვიდად იგრძნოს თავი. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბინის ინტერიერის სწორად შერჩევა თქვენი ბედის, ფინანსური კეთილდღეობისა და კარიერული წინსვლის საწინდარია. ასე რომ, თუ ბინის რემონტი ან ინტერიერის შეცვლა გადაწყვიტეთ, აუცილებლად გაითვალისწინეთ მარტივი და აპრობირებული ეზოთერიკული რჩევები. სახლი ის ადგილია, სადაც ადამიანები დაძაბული დღის რეჟიმის შემდეგ ძალების მობილიზებას ახდენენ, ისვენებენ და სიმშვიდეს პოულობენ. თუმცა, ბევრისთვის საკმარისია, სახლში შეაბიჯოს და მაშინვე ახსენდება უიღბლობა, უფულობა, წარუმატებელი ბედი, წინაღობებით სავსე პირადი ცხოვრება, კარიერა თუ საყოფაცხოვრებო პრობლემები. როგორც ეზოთერიკოსმა, შემიძლია, თამამად განვაცხადო, რომ ეს მხოლოდ თქვენი არასწორი ცხოვრების ბრალია. თითოეულმა ჩვენგანმა ისე უნდა მოაწყოს საცხოვრებელი ბინა, რომ თავი ენერგიულად, დაცულად და კომფორტულად იგრძნოს. რასაკვირველია, ყველა ადამიანი თავისი გემოვნებით აწყობს საცხოვრებელ გარემოს, მაგრამ, მე მაინც გირჩევთ, თქვენი გემოვნება თქვენსავე სასარგებლოდ „გადააწყოთ".

**ნონა დათეშიძე**

# „კამელინის" დადებითი შედეგები უროლოგიასა და გინეკოლოგიაში და რა განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა „კამელინ მ4" – სანთლები

ქართული პრეპარატის, „კამელინის" სხვადასხვა ფორმების სამკურნალო თვისებების შესახებ არაერთხელ გვისაუბრია. ასევე, ცნობილია ისიც, რომ დღეს მიმდინარეობს „კამელინის" თვისებების ახლებური კვლევა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებში. როგორც ცნობილია, „კამელინი" 100 პროცენტით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატია, არატოქსიკური, ჰიპოალერგიული; გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, მარეგენირებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი. არის ძლიერი ანტიოქსიდანტი, არეგულირებს იმუნური სისტემის მუშაობას, აძლიერებს იმუნომოდულატორულ აქტივობას. თუმცა, „კამელინის„ მოქმედება ინდივიდუალურია, მაგრამ ის უპირობოდ აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს, საგრძნობლად ამცირებს ტკივილებს, დადებითად მოქმედებს დაავადების მიმდინარეობაზე. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, უროლოგებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს „კამელინის" გამოყენება უროლოგიური დაავადებების, ქრონიკული ბაქტერიული პროსტატიტების, ქრონიკული ურეთრიტებისა და პროსტატის ადენომების დროს. *ექიმ-უროლოგის, ზაზა ბაინდურაშვილის თქმით: კლინიკაში ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანი იყო, „კამელინით" მკურნალობის ეფექტურობის შესწავლა უროლოგიური დაავადებების დროს. ასეთია: ქრონიკული პროსტატიტები, ქრონიკული ურეთროცისტიტები და პროსტატის ადენომა. კვლევა ჩაუტარდა 30 პაციენტს (31-66 წლამდე მამაკაცს), რომელთაც ჰქონდათ ქრონიკული ბაქტერიული პროსტატიტი, თანდაყოლილი ცისტიტითა და ურეთრიტით. სამ გამოსაკვლევ პაციენტს ჰქონდა პროსტატის ადენომა პირველი-მეორე ხარისხის. პაციენტებს აღენიშნებოდათ ძირითადი ჩივილები: ტკივილი და უსიამოვნო შეგრძნება შორისის არეში, გახშირებული შარდვა, წვა შარდვის დროს, პოტენციის დაქვეითება, ნაადრევი ეაკულაცია. დიაგნოსტიკური კვლევების შედეგად დადგინდა დიაგნოზი და მკურნალობა დაიწყო დილით 2 მილილიტრი „კამელინის მ1-ის" ინიექციით, ღამით ძილის წინ – „კამელინ მ4-ის" სუპოზიტორიით რექტალურად. მკურნალობის ხანგრძლივობამ შეადგინა 20 დღე. მკურნალობა მიმდინარეობდა, როგორც მონოთერაპიულად (20), ასევე კომპლექსურად – ანტიპროტოზოული და ანთების საწინააღმდეგო საშუალებებთან ერთად (10 პაციენტი). ჩატარებული მკურნალობის შედეგად, პაციენტების მდგომარეობა გაუმჯობესდა, რაც გამოიხატა პროსტატის სეკრეტში ლეიკოციტოზის სარწმუნო შემცირებითა და პროსტატის მასის შემცირების სარწმუნო დინამიკით. აგრეთვე, პროსტატის ჯირკვლის ფუნქციური მდგომარეობის გაუმჯობესებით. მკურნალობის მაღალი თერაპიული ეფექტი მიიღეს 15 შემთხვევაში (50%); კარგი თერაპიული ეფექტი – 11 შემთხვევაში (36,6%), დამაკმაყოფილებელი – 4 შემთხვევაში (13,3%). რაიმე გართულებას ან გვერდით მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ პრეპარატ „კამელინის" „მ1" და „მ4" ფორმების გამოყენება მონო და კომპლექსური თერაპიის სახით, ქრონიკული პროსტატიტებისა და ქრონიკული ურეთრიტების დროს, მაღალეფექტურია. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, „კამელინის„ გამოყენება მიზანშეწონილად მიგვაჩნია უროლოგიური დაავადებების დროს.*



5 აპრილს კი სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა ჯანდაცვის პროფესიონალთა ლიგის მესამე გაერთიანებული კონგრესი – გინეკოლოგიასა და სტომატოლოგიაში სახელწოდებით: „ქალის განვითრების ციკლში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური ცვლილებების გამოვლენა გინეკოლოგიურ და სტომატოლოგიურ პრაქტიკაში". კონგრესში მონაწილეობდა ფარმაცევტული კომპანია „კამელინიც". საპატრიარქოს, წმიდა ანას და იოაკიმეს სამშობიარო სახლის, ორსულთა პათოლოგიის გამგემ, მეან-გინეკოლოგმა დავით ლანდიამ საზოგადოებას გააცნო კლინიკური კვლევების შედეგები. მისი თქმით, სანთლები გამოიცადა 500-ზე მეტ ორსულსა და მელოგინეზე. აწარმოებდნენ მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ ნაცხების მიკროსკოპიულ კვლევას. რომლის საფუძველზეც „კამელინ მ4"-ის დადებითი მოქმედება ლეიკოციტებზე, ასევე გრამ პლუს და გრამ მინუს ჩხირებზე აშკარა იყო. გარდა ამისა „კამელინის" ხსნარით ამუშავებდნენ გინეკოლოგიურ და საკეისრო ჭრილობებს. ამ შემთხვევაშიც, პრეპარატმა გამოავლინა რეგენერაციის მაღალი უნარი – ხელი შეუწყო შეხორცებითი პროცესების დაჩქარებას ყოველგვერი გართულებების გარეშე. „კამელინი მ 4" – სანთლები ძალზე ეფექტური აღმოჩნდა ორსულებში ბუასილის დროს – 3-4 პროცედურა საკმარისი იყო უსიამოვნო სიმპტომების სრულიად გასაქრობად. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, „კამელინის" სანთლებს არავითარი უკუჩვენება არ გამოუვლენია. კვლევაში ჩართულები იყვნენ აგრეთვე მეძუძური დედებიც. ჩატარებული კლინიკური კვლევების საფუძველზე, ვასკვნით, რომ „კამელინის" სანთლები ორსულებსა და მელოგინეებში ვაგინალური და პროქტოლოგიური გამოყენებისთვის შესანიშნავია.

**კობა გურიელიძე** ***(„კამელინის" აღმასრულებელი დირექტორი და სამეცნიერო პროექტების ხელმძღვანელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი):*** „კამელინის" ხუთივე ფორმა ყველა სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს. მაგალითად, მალამო ძალიან კარგია დამწვრობაზე, ჭრილობების შესახორცებლად, სახსრებისთვის, როდესაც ის ელექტროფორეზითა და ფონოფორეზით შეჰყავთ უშუალოდ კერამდე. სანთელი ძალიან კარგია ბუასილის, ქალური დაავადებების მკურნალობისას. ამ პრეპარატს არ აქვს უკუჩვენება და მისი გამოყენება ორსულ ქალებსაც შეუძლიათ. კიბოს საწინალმდეგოდ, მისი პროფილაქტიკისთვის ძალიან კარგი საშუალებაა ნემსები. რაც შეეხება კაფსულებს, ძალიან კარგი, მსუბუქი, მისაღები ფორმაა. „კამელინი" აბსოლუტურად არატოქსიკურია და მისი გამოყენება ხანგრძლივი დროითაც კი არავითარ გვერდით მოვლენებს არ იწვევს. როგორც უკვე აღვნიშნე, ძალზე ეფექტურია პროფილაქტიკური დანიშნულებითაც.

*განსაცვიფრებელი შედეგი ჰქონდა 55 წლის ქალბატონის შემთხვევაში, რომელიც საბერძნეთში ცხოვრობდა წლების განმავლობაში. სწორედ იქ დაუსვეს მას მკერდის სიმსივნის დიაგნოზი – მეორე სტადიიდან მესამეში გარდამავალი ავთვისებიანი სიმსივნე. გაიკეთა ოპერაცია და განაგრძო მკურნალობა: ჩაიტარა ქიმიოთერაპია, სხივები. 5 წლის განმავლობაში ყოველ 6 თვეში ერთხელ, იკეთებდა ანალიზებს და არ ჰქონდა კარგი პასუხები. საქართველოდან ახლობლებმა, ექიმთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, გაუგზავნეს პრეპარატი და მან დაიწყო „კამელინის" კაფსულების სმა, ასევე, სანთლების გაკეთებაც. სულ ჩაიტარა მკურნალობის ოთხი კურსი და, როგორც თავად ამბობს, თავს ძალიან კარგად გრძნობს, არ აწუხებს ტკივილები. ცოტა ხნის წინ კი, ჩაიტარა გამოკვლევები და აღმოჩნდა, რომ სრულიად ჯანმრთელია. ის მთელი მკურნალობის განმავლობაში მხოლოდ „კამელინს" იღებდა.*

*P.S. ვისაც გაქვთ „კამელინთან" დაკავშირებული კითხვები ან გსურთ კონსულტაცია, დამატებითი ინფორმაციის მიღება ქართული წარმოების პრეპარატთან დაკავშირებით, შეგიძლიათ, დარეკოთ ტელეფონის ნომრებზე: 599 33-10-89; 599 23-03-33; 2-98-57-78; 2-71-04-80; 2-22-26-68; 2-93-20-87; 2-98-62-25 (ოფისი).*

**ნათია უტიაშვილი**



# ანგრევს თუ არა ცოლ-ქმრის ურთიერთობას ხანმოკლე განშორებები და როდის გრძნობს ზოგიერთი ცოლი თავს მიტოვებულად

**კაცები ფიქრობენ, რომ ქალები მესაკუთრეები და ეგოისტები არიან; უნდათ, რომ აბსოლუტურად აკონტროლებდნენ ქმრებს და მათი მართვის სადავეებიც ხელში ჰქონდეთ. კაცების უმრავლესობას ეს ძალიან აღიზიანებს და ამიტომ, ცდილობენ, როგორმე „გაძვრნენ" სახლიდან, ცოლებს კი თავიანთი სიმართლე აქვთ – ისინი ქმრებს არ ენდობიან მამაკაცების შერყეული რეპუტაციის გამო...**

**მაკო** *(31) წლის*: არც ეჭვიანი ვარ და არც არანორმალური, რის დამტკიცებასაც ცდილობს ჩემი ქმარი, რადგან ამით თავისი დანაშაულის გადაფარვა უნდა. სამი წელია, ვითმენ და ჩემს ნერვულ სისტემაზე ამ ყველაფერმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. გასაკვირი იქნებოდა, მშვიდად და ჰარმონიულად რომ თანავარსებობდე ადამიანთან, რომელიც საერთოდ არ ფიქრობს ჩემზე. რომ ჰკითხოთ, ძალიან ვუყვარვარ, მაგრამ, ტყუილია, საკუთარი თავის გარდა არავინ უყვარს. ამას საქმით ამტკიცებს და, რა აზრი აქვს, სიტყვებით რას მეუბნება?!

**– კონფლიქტი გაქვთ?**

– შეიძლება ასეც ითქვას. მე რაც არ მომწონს, ის ამით ბედნიერია და, შესაბამისად, არც აპირებს, რამე შეცვალოს. ანუ, შეცვალოს თავის ცხოვრებაში ის „რაღაც", რაც ჩვენს ურთიერთობას გამოასწორებს და გააჯანსაღებს.

**– როგორც ვიცი, მთავარი პრობლემა მეუღლის ხშირი მივლინებებია.**

– დიახ. ხშირი აღარ ჰქვია მაგას, ჩანთა და ჩემოდანი სულ მზად აქვს. მეტი აღარ შემიძლია. ვიცი, ვგრძნობ, რომ შეუძლია, იყოს ჩემ გვერდით და ასე ხშირად არ დამტოვოს, მაგრამ არ აკეთებს ამას. არ უნდა, ურჩევნია, თავისუფლად იწანწალოს. მაგიჟებს ეს – ჩემი სურვილის სრული იგნორირება.

**– თქვენ ეჭვიანობთ. ფიქრობთ, რომ ის ამ მივლენებების დროს გღალატობთ?**

– ჯერ ერთი, სრული უფლება მაქვს, ასე ვიფიქრო. რატომ უნდა ვენდო? შეიძლება კაცის ნდობა? რა თქმა უნდა, არა. მეორეც – ზუსტად ვიცი, მე ასე არ მაწანწალებდა წინ და უკან, ფეხს არ გადამადგმევინებდა მარტოს. თვითონ კი, უნდა ნახოთ, როგორი აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით ალაგებს ხოლმე ნივთებს. სახე უბრწყინავს, უხეიროდ ხუმრობს, იცინის და ცერცეტობს. ვერ ვიტან ქარაფშუტა და სუსტ კაცებს, ჩემი ქმარი კი იმ მომენტში ისეთი აცერცეტებულია ხოლმე, გული მერევა, ეგრევე ვცოფდები.

**– როცა ცოლად მიჰყვებოდით, არ იცოდით, რომ მივლინებებში ივლიდა?**

– არა, ამაზე საერთოდ არ გვილაპარაკია. რას წარმოვიდგენდი. საქორწინო ხელშეკრულებას ხომ არ დავდებდი და შიგ ომ არ ჩავუწერდი, ამდენი და ამდენი დღე სულ ჩემ გვერდით უნდა იყოს, მივლინება წელიწადში ერთხელ არის დასაშვები-მეთქი?! ერთი სიტყვით, ძალიან მალე მივხვდი, რომ ადვილი და ტკბილი ცხოვრება არ მექნებოდა. მივლინებები მალევე დაიწყო. თავიდან საკმაოდ მშვიდად შევხვდი, ვიფიქრე, ეს ჩემი ქმრის სამუშაოს ნაწილია, მნიშვნელოვანია და ამაზე თავს ვერ გავიგიჟებ-მეთქი.

**– პრობლემად როდის იქცა?**

– ერთ საღამოს როცა სახლში ბედნიერი სტვენით მოვიდა, ჩანთა გამოიღო და მთხოვა, სამი დღით მივდივარ და ჩამილაგე ტანსაცმელიო, უცებ გამახსენდა, რომ იმ თვეში ეს უკვე მესამედ ხდებოდა, თან, უხაროდა, რომ მიდიოდა. ერთბაშად ავფეთქდი. ჯერ ნაძალადევი სიმშვიდით ვკითხე, ამჯერად სად მიდიხარ-მეთქი. ჩვენი ფირმის ფილიალი იხსნება რეგიონში და იქ უნდა ვიყოო. შენ მაგივრად სხვა წავიდეს, მინდა, შაბათი და კვირა ერთად გავატაროთ-მეთქი, რომ ვუთხარი, გადაირია. ეტყობა, უპასუხისმგებლო გგონივარ, მაგას რომ მეუბნები. ვის ვანდო ასეთი სერიოზული საქმე? აუცილებლად მე უნდა წავიდეო. ძალიან ხშირად დადიხარ აქეთ-იქით, მე მარტოს მტოვებ და უკვე აღარ შემიძლია ამდენი ნერვიულობა-მეთქი. ისე შემომხედა, როგორც ვიღაც ისტერიჩკას, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა. ამან გული ძალიან მატკინა და ცრემლები წამომივიდა. იმის მაგივრად, რომ დავემშვიდებინე და მომფერებოდა, შემომიტია: დებილი, სულელი ქალი ხარ, არაადეკვატური და ეჭვიანი. რას იგონებ? ეს ჩემი სამსახურია და ასეთი საქციელით მხოლოდ ნერვებს მიშლიო. მეც რომ წამიყვანო, რა მოხდება-მეთქი, ვკითხე და ისევ გავილანძღე – არანორმალური და ჩერჩეტის იარლიყი მომაწება, თვითონ კი, რა თქმა უნდა, წავიდა. პირველი დიდი ჩხუბი სწორედ მისი ამ მივლინებიდან ჩამოსვლის შემდეგ მოხდა.

> **არც აპირებს შეცვალოს ის „რაღაც", რაც ჩვენს ოჯახსა და ურთიერთობას საფრთხის წინაშე აყენებს**

**– ეჭვიანობაც იყო, ალბათ...**

– რა თქმა უნდა, იყო, ამას ვერ უარვყოფ. თქვენ არ იეჭვიანებდით ჩემს ადგილას? გავგიჟდი, ეჭვიანობის ისეთი შემოტევა დამემართა. გადავირიე. ჩვენი ურთიერთობა დღითი დღე ფუჭდება და ნგრევისკენ მიდის. ჩემი ქმარი ისევ განაგრძობს მივლინებებში სიარულს და, ჯიბრით, ყოველი წასვლის წინ სიხარულს არ მალავს.

**– თქვენ კი ჩხუბობთ.**

– ჰო, ვჩხუბობ, თან – ძალიან... თავს ვერ ვიკავებ. ვეჭვიანობ და ვერ ვმალავ. ვერც ვერავინ დამალავდა ჩემს ადგილას. არ მეგულება ქალი, რომელიც ასეთ უყურადღებობასა და ქმრის მხრიდან ფეხებზე დაკიდებას მშვიდად აიტანს. ვერც მე ვიტან.

**– რომ ამბობენ, ხანმოკლე განშორებები ცოლ-ქმრის ურთიერთობას ამყარებსო?**

– ტყუილია ეგ. ხანმოკლე გამიგია წელიწადში ერთხელ, როცა მართლა მოგენატრება ადამიანი და არა თვეში სამჯერ. ძალიან ცუდად ვარ. ვტირი, დავნერვოზდი და დეპრესიამდე ცოტაღა მიკლია. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ქმარს განქორწინებაზე უნდა დაველაპარაკო.

**– აპირებთ, რომ გაშორდეთ?**

– არა, არ ვაპირებ. არ ვარ ოჯახის დანგრევისთვის მზად. უბრალოდ, მინდა, რომ შევაშინო. თუ, ეს კიდევ უფრო დიდი სისულელე იქნება?! მოკლედ, აღარ ვიცი, რა გავაკეთო.

**– ისე ნორმალური ურთიერთობა გაქვთ? – სიახლოვეს ვგულისხმობ.**

– ხშირად ვჩხუბობთ. თუმცა, სიახლოვე გვაქვს. რომ გითხრათ, სიყვარულად და სინაზედ იფრქვევა ჩემი ქმარი-მეთქი, მოგატყუებთ, მაგრამ, მეუბნება, სულ მეჩხუბები და შენი მოფერების სურვილი როგორ უნდა გამიჩნდესო. მივლინებები ჩემზე მეტად უყვარს. არც კი მერიდება და არც ცდილობს, დამალოს ის ემოცია, რომელიც მივლინებაში წასვლის წინ აქვს. დახტის სიხარულისგან.

**– რას უნდა აკეთებდეს იქ უთქვენოდ, როგორ გგონიათ?**

– არ ვიცი. პრინციპში, რა მნიშვნელობა აქვს? ყველაზე ცუდი ხომ ის არის, რომ ჩემ გვერდით არყოფნა უხარია – ეს ამბავი მამწარებს და ჭკუიდან მშლის.

**– ანუ, ეს უფრო წყენაა, ვიდრე ეჭვიანობა?**

– ყველაფერი ერთად არის. ნერვიულობისგან დანგრეული და განადგურებული ვარ. ხასიათი უარესობისკენ შემეცვალა. სულ მზად ვარ ჩხუბისა და კამათისთვის. არ მინდა, მაგრამ, ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული. ჩემი ქმარი კი თითსაც არ ანძრევს სიტუაციის უკეთესობისკენ შესაცვლელად.

**დალი მიქელაძე**

## მითი? არა, რეალობა...

არცთუ იშვიათ ქალბატონები ვფიქრობთ, რომ ქალური მეგობრობა უმეტესწილად არ ამართლებს. ამბობენ კიდეც – ქალები მანამდე უდგანან მხარში და მანამდე იჩენენ ერთგულებას ერთმანეთის მიმართ, სანამ მათ შორის მამაკაცი ჩადგებაო. მეგობრობა წლებით გამოიცდება. ორი ადამიანის სიახლოვემ უნდა გაუძლოს ბევრ გამოცდას, გადალახოს ბევრი დაბრკოლება, რათა იქცეს ჭეშმარიტ მეგობრობად. ქალების მეგობრობა არ არის მითი – ეს რეალობაა. თუკი შენი მეგობრის პირადი ბედნიერება არ გახარებს, თუკი მის ცხოვრებაში გაჩენილი სიყვარული გასევდიანებს და თუნდაც სულ მცირე შურს გგვრის, აღარ გაქვს უფლება, საკუთარ თავს მისი მეგობარი უწოდო. ანუ, დაიწყეთ საკუთარი თავიდან: მოთხოვნები წაუყენეთ ჯერ საკუთარ თავს და ჰკითხეთ – ხართ კარგი მეგობარი, გულწრფელი და უანგარო? როცა პასუხი ზუსტად გეცოდინებათ, მხოლოდ ამის მერე განიხილეთ მეგობრის საქციელი. ნუ გარისკავთ და ნუ გამოცდით თქვენს მეგობრობას. არ შეიძლება ემოციებზე, გრძნობებზე თამაში. შეცდომა მოსდის ყველას და შეუძლებელია იდეალური ურთიერთობა. დათმეთ იქ, სადაც დასათმობია და უთხარით თქვენს მეგობარს საყვედური, როცა მისი საქციელი თუ ქმედება გულს გტკენთ. ყოველთვის იფიქრეთ იმაზე, რომ გამოთქმა: „არ არსებობს მეგობრობა ქალებს შორის, რადგან ქალებმა მეგობრობა არ იციან" – მითია, თანაც, კაცების მოგონილი მითი!

## ჩხუბი?! – არა!

ჩხუბი ურთიერთობის ნაწილია. შეუძლებელია, ადამიანები ერთად იყვნენ, ერთად ცხოვრობდნენ და არაფერზე იკამათონ. ერთი აზრი ვერ ექნებათ. ასე არ ხდება, მაგრამ მცდარია მოსაზრება, თითქოს ჩხუბი საყვარელ ადამიანთან პოზიტივის მომტანი იყოს. დაიმახსოვრეთ – ჩხუბი არ არის სექსუალურობისა და ვნების მაჩვენებელი, მაგრამ, ტრაგედიადაც არ უნდა ვაქციოთ. ადამიანები ზოგჯერ ჩხუბობენ და ეს ნორმალურია. თუმცა, ნორმალურია მხოლოდ ზოგჯერ ჩხუბი და არა რეგულარულ რეჟიმში... თუ ატყობთ, რომ ჩხუბი თქვენი ურთიერთობის თანამდევი გახდა, უთხარით მას – „არა!", მოერიდეთ კამათის გამწვავებას, თუკი საყვარელი ადამიანის დაკარგვა არ გინდათ. როგორ განასხვავებთ ჩხუბს კამათისგან? ეს ძალიან ადვილია. ჩხუბის დროს აგრესია მეტია და სიტყვებსაც შეურაცხმყოფელს ირჩევთ, ისეთებს, რომლებიც თქვენს პარტნიორს განსაკუთრებით ატკენს გულს; კამათისას კი გაცილებით ფრთხილი ხართ.

ჩხუბს არა აქვს გამართლება. ჩხუბში ერთმანეთს არ ინდობენ. შეყვარებულ ადამიანებს შორის კი, შეიძლება იყოს საუბარი არდანდობაზე?! მაშინ, სადღაა სიყვარული, რომელიც ბუნებრივად გულისხმობს კომპრომისს?!

## რას მალავენ მამაკაცები...

მამაკაცები გულმოდგინედ მალავენ თავიანთ კომპლექსებს. დიახ, მათ ისევე აქვთ კომპლექსები, როგორც ქალებს და ამაში არაფერია გასაკვირი, თუმცა, გულდასმით ცდილობენ მათ გადაფარვას სხვადასხვა მეთოდებით; ქალები კი, უმრავლეს შემთხვევაში, კომპლექსებს საერთოდ არ მალავენ და სწორედ ეს განასხვავებს ერთმანეთისგან ქალებსა და მამაკაცებს.

რისი კომპლექსი შეიძლება აწუხებდეს კაცს?

საკმაოდ მრავალფეროვანი სურათი წარმოგიდგებათ.

მამაკაცების ძალიან დიდ ნაწილს აწუხებს სიდაბლის კომპლექსი – დაბალი მამაკაცები ამას ძალიან განიცდიან. მართალია, არ აღიარებენ, მაგრამ, მთელი ცხოვრება ნერვიულობენ. თუ დაბალი მამაკაცი თანამდებობას მიაღწევს, შეეცდება, თავის გარშემო მაღალმა მამაკაცმა არ გაიჭაჭანოს...

ასევე, კაცებს აქვთ გამელოტების შიში – მას თმა სცვივა, ის თავს გადაიპარსავს, რათა ეს პრობლემა შეუმჩნეველი გახადოს; გაგიკვირდებათ, მაგრამ, მამაკაცს აქვს პაემნის შიში, მით უმეტეს – პირველი პაემნის. ამას ის არავითარ შემთხვევაში არ აღიარებს, მაგრამ, შეიძლება, ქალს საერთოდ არ შეხვდეს, თუ თავად ქალმა არ იაქტიურა; კაცებს ეშინიათ მამობის, თუმცა, ძნელად მოძებნით ისეთს, რომელიც ამას ხმამაღლა აღიარებს.

მამაკაცებს (ყოველ შემთხვევაში, მათ საკმაოდ დიდ ნაწილს) ძალიან ეშინია... სიბერის. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ, ასაკის მატებასთან ერთად, თავისზე გაცილებით უმცროს ქალთან ურთიერთობის სურვილი უჩნდებათ – ასე ცდილობენ, დაძლიონ კომპლექსი. ქალებმა უფრო ეფექტურ საშუალებას მიაგნეს – სიბერეს თანამედროვე მეთოდებით ებრძვიან; კაცები კი... რა ქნან – კომპლექსთან გამკლავება ადვილი არ არის...

## ანგელოზი... შორიდან

მამაკაცები ხშირად უჩივიან იმას, რომ უყვარდათ ერთი ქალი, მაგრამ ის ქალი ქორწინების შემდეგ სულ სხვა არსებად ტრანსფორმირდა. სხვათა შორის, იგივე პრობლემა, არცთუ იშვიათად, აწუხებთ ქალებსაც... რა ხდება, რა არის ამის მიზეზი? იქნებ ის, რომ, როცა შეყვარებული ვართ, რეალობას ვერ ვხედავთ და, მერე, როცა თვალები აგვეხილება, ვნანობთ?! თუმცა, როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, მიზეზი, ერთი შეხედვით, საკმაოდ მარტივია – ჩვენ პარტნიორი კი არა, ჩვენივე წარმოსახვის ნაყოფი გვიყვარდება, ჰოდა, შარშიც ამიტომ ვყოფთ თავს... რატომ?! იმიტომ, რომ წარმოსახვასთან ვერ იცხოვრებ. ძალიან სწრაფად აღმოაჩენ, რომ „ამას" „იმასთან" კავშირი არა აქვს და ციური კოშკებიც ხელის ერთი მოსმით ნადგურდება. ეს პრობლემა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ქალებისთვის, კაცებიც არცთუ იშვიათად ებმებიან წარმოსახვის მახეში.

შორიდან, შეიძლება, საფრთხობელაც ანგელოზად მოგეჩვენოს, ამიტომ, ჯობია, ახლოს მიხვიდე, ჯერ კარგად შეათვალიერო და მერე შეიყვარო... ანუ, აუცილებელია, კარგად გაიცნო ადამიანი, რომელთან ერთადაც აპირებ ცხოვრებას. შეიძლება, ყველაფერი ისე მაინც არ განვითარდეს, როგორც დაგეგმავ, მაგრამ განსხვავება ბევრად ნაკლები იქნება და, შესაბამისად, გულიც ნაკლებად გეტკინებათ... არ შექმნათ გმირი წარმოსახვაში, მით უფრო – არ შეიყვაროთ. ის მხოლოდ შორიდან არის ანგელოზი, ახლოს მოსული ჩვეულებრივ ცოდვილ ადამიანად გადაიქცევა და თავის ნაკლსაც დაგანახვებთ...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**როგორ დავიცხრო ემოციები და ვისწავლო სიმშვიდის შენარჩუნება? ოჯახურ ცხოვრებაში ძალიან მჭირდება, ვიყო უფრო გაწონასწორებული, უემოციო და ზოგჯერ გულგრილი, თორემ სკანდალებს ვერ ავცდები ქმართან. ყველაფერზე ვფეთქდები და განვიცდი. ასე არ შეიძლება. რა ვქნა?**

**გამოხმაურება:** შეეცადეთ, განსაზღვროთ პრიორიტეტები, ანუ, რაზე შეიძლება ნერვიულობა და რაზე – არა! ემოციური ადამიანისთვის რთულია, აკონტროლოს საკუთარი საქციელები და რეაქცია, მაგრამ, თუ მართლაც მოინდომებთ, აუცილებლად შეძლებთ. მთავარი ხომ სურვილია და ემოციურებს ეს კარგად ესმით.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაქიძე**

# გიული ჩოხელის ცხოვრების ტრაგიკული ისტორიები – რატომ დასდევდა მას მუხიანის აგარაკზე უცნობი მამაკაცი ნაჯახით და რატომ დაშორდა მეუღლეს

„...მე მსურს, გაგიზიაროთ ჩემი ცხოვრების გამოცდილება; თუმცა, გულახდილად გეტყვით, თუ თქვენ ჩემი ცხოვრების გზა გეუცხოებათ, ან ეს ამბები საკუთარ თავზე არ გამოგიცდიათ, მეორე ფურცლიდანვე დახურავთ ჩემს წიგნს, არადა, მართლაც საინტერესოა აღიარებული ვარსკვლავის ცხოვრებაში ჩახედვა – მე გაძლევთ ამის უფლებას ჩემი გულღია მონოლოგით. ჩემ მეტი თქვენ ვერავინ მოგიყვებათ სრულ სიმართლეს," – ამბობს თავის დღიურებში გიული ჩოხელი.



„მედგრად გავუძელი ყველა მოულოდნელ დარტყმას. ზოგი სასიკდილოდაც მიმეტებდა... სცენიდან ჩამოვედი და ჩავეშვი ცხოვრების უფსკრულში. თითქოს იქ არ მოვხვდი, სადაც სიმღერა დავიწყე. ჩემი მოძღვარი – დედა – უკვე მოხუცი და მძიმე ავადმყოფი დამხვდა... მასთან მხოლოდ მე ვიყავი. აქ, მძიმე პირობებისა და უმუშევრობის გამო, ჩემი ერთადერთი შვილი, თავისი ოჯახით, სხვა ქვეყანაში გაიხიზნა. ჩემს შვილს, წლების მანძილზე, ცოდნა და უმაღლესი განათლება არ გამოადგა, არ შველოდა... მიმზიდველი, ქალური შეხედულების გამო სიძნელეებს აწყდებოდა. ჰპირდებოდნენ სამსახურს, თუკი მათ ღამღამობით ლოგინს გაუთბობდა... წლების მანძილზე ვმოგზაურობდი, ვმართავდი სოლო კონცერტებს. გაუთავებელი სასტუმროები, უხარისხო რესტორნებისა და კაფეების კვება, შეხვედრები სრულიად უცხო ადამიანებთან, ლოთი მუსიკოსები – მათი დაშოშმინება... ოჯახი, შვილი ძალიან მენატრებოდა. ჩემს შვილთან, ოჯახთან მხოლოდ სიზმარში ვიყავი. ძილში ვიქანცებოდი ემოციებით, გაღვიძებულს ენერგია მღალატობდა და ისევ დაქანცული ვიძინებდი და დაქანცული ვიღვიძებდი. საღამოს – კონცერტი... მე და ჩემი მეუღლე გაუთავებლად ვმართავდით სოლო კონცერტებს. მძიმე ცხოვრება განვვლე... მამაკაცის მიმართ სიყვარული ორჯერ განვიცადე და მხოლოდ ერთი, დღემდე ბუდობს ჩემს გულში – ჩემი ბორისის სიყვარული, ის ხომ ჩემი შვილის მამაა. აი, სექსი კი უფრო მეტი მქონდა. მათი სახეებიც კი არ მახსოვს... ალბათ, შემოქმედისთვის ესეც საჭირო იყო, როგორც ალმაფრენის დოპინგი – მე მიყვარს სექსი...



***

...დრო კატასტროფულად სწრაფად მიჰქროდა... სიყრმის მეგობრებს დღედაღამ ვკარგავდი. ზოგი სამშობლოდან გარბოდა, ზოგი ზეცისკენ მიაშურებდა. მარტო დავრჩით მე და ჩემი საყვარელი ავადმყოფი დედა, რომელიც ხელიდან მეცლებოდა... გიჟური აზრი დამებადა. ვიფიქრე, მე ხომ არასოდეს მითხოვია დახმარება, მოდი და, ჩემს ძველ მეგობარს, მხატვარს, არქიტექტორს (მაშინ თბილისის მხატვრის საბჭოს ხელმძღვანელობდა) მივაკითხავ. წავედი სალოცავად და, სანამ ეკლესიაში შევიდოდი, აზრას მივაქციე ყურადღება. ზუსტად იქ აღმოვჩნდი – ოთარ ლითანიშვილის ორგანიზაციის რეკლამასთან... ეკლესიაში ვილოცე და ავედი გვერდით, ძველ, გრძელ კიბეზე. კარი რომ შევაღე, ოთარი კაბინეტში იჯდა და ქაღალდებში იყო ჩაფლული.

თითქმის რამდენიმე საათი დავყავი მასთან. მოვუყევი მთელი ჩემი მძიმე სიტუაცია... სწორედ იმ დროს დაიწყო პირველი ტალღა კოოპერატივებისა. ჩვენი საუბრის დროს მას გაუჩნდა იდეა – მოდი და, რამე მოისაზრეო. მე გახარებული დავბრუნდი სახლში. რამდენიმე დღეში ისევ ვეახლე ოთარს და ჩემი გეგმა გადავუშალე, წვრილად მოთხრობილი და დახატული. მოეწონა და მითხრა: მე შევძრავ ქვეყანას და დაგეხმარები, ოღონდ, შენ ადგილი შეარჩიე, რომელიც მხოლოდ ქალაქს ეკუთვნისო... მოვუყევი იმ ადგილის – პატარა ბაღის შესახებ, მე რომ მომეწონა. დამიბარა, იქითა კვირის შემდეგ მოდი და ყველაფერი დავგეგმოთო. გამოჩნდნენ სპონსორები... საქმე ოფიციალურად დაიძრა და არაჩვეულებრივ სკვერში რესტორანი „არაგვის" მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაიდგა პატარა, ლამაზი კულტურული კაფე-ბარი „გიული." ჩემს ბარში ძალიან კარგი საზოგადოება სტუმრობდა. საზღვარგარეთელი სტუმრები... მე დავივიწყე, მომღერალი რომ ვარ. მე უნდა მეშველა ჩემი ოჯახისთვის და სპონსორების ვალი უნდა გამესტუმრებინა. ამიტომ, კარი ჩავუკეტე ჩემს წარსულს და უჩვეულო ცხოვრებაში ჩავეშვი. ჩემი „რიჟა ზაპოროჟეცი" როგორც მომმარაგებელს მეხმარებოდა; ბარში გავიხსენე დედაჩემის ნასწავლი ხაჭაპური, სოკო, დესერტი, წვენები, კოქტეილები. დედაჩემის კომპოტებისა და მურაბების რეცეპტების გამოყენებით ავაწყვე ბარის სიცოცხლე.



ბარი „გიული" ყვაოდა, ძვირფასი წამლები კი ჩემს დედიკოს შველოდა...

... მე და ჩემი მეუღლე დავშორდით. მე მარტოს მომიწია ჩემი აღორძინება. ბევრი შრომა დამჭირდა, რომ ეს მომხდარიყო... 1995 წელს ამერიკაში დავიწყე პოლიეთილენის პარკებით კომპოზიციების შექმნა. მეგობრებმა არ გამომიშვეს. მატარებდნენ გალა კონცერტებზე, კაფე-ბარებში, სადაც ჯაზის ვარსკვლავები მღეროდნენ და უკრავდნენ. ათი დღე არ ვეხმაურებოდი მეგობრებს. ვთხოვდი, ცოტა ხნით დაევიწყებინათ ჩემი იქ ყოფნა... 10 თვის განმავლობაში 100 ნამუშევარი შევქმენი. ოლეგმა ცოხოში მიმიყვანა. იქ გამაცნო მესაკუთრე, გალერეის მფლობელი მხატვარი და ჩემთან მოიყვანა კანადელი ემიგრანტი ამერიკელი. გადაირია – თქვენ პირველი ქალი ხართ, ვინც ამ მასალით ეს საოცრება შექმენით. ცელოფანი ქვეყნის მტერია, რომელმაც თავი მოგვაბეზრა და თქვენ ასეთი ხედვით შემაყვარეთ ეს მასალაო. მოაწყო გამოფენა თავის გალერეაში... განცვიფრდნენ – ნუთუ საღებავს არ ხმარობთო... გამოგიტყდებით, მქონდა ეშმაკის ცდუნება, დავრჩენილიყავი ამერიკაში. ჩემს სამშობლოში არეულობაა, მძიმე ცხოვრებაა, აქ კი ყველა მეფერებოდა, მაქებდა, უამრავი მეგობარი შევიძინე. ოლეგი თავის სახლს მითმობდა სანაპიროზე – დარჩიო...

იყო პერიოდი, როცა დავიღალე სოლო კონცერტებით და გადავწყვიტე, ერთწლიანი შესვენება გამომეცხადებინა. დედამ იცოდა, რომ მე ძალიან მინდოდა, რამე შემეძინა სოფლად ან თბილისის გარეუბანში. გაირკვა, რომ თეატრის ერთ მსახიობს მუხიანში ჰქონდა აგარაკი და იმან მოგვცა ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ტელეფონის ნომერი. მოკლედ, შევიძინე მიწა და დანგრეული ძველი ქოხი, რომლის გაცოცხლება შესაძლებელი იყო. მინდოდა იქ, სიჩუმეში, ბუნებაში, რომელიც მე სიგიჟემდე მიყვარს, წიგნი მეწერა – ჩემი მოგონებები. ეს აზრი არ მასვენებდა. მუხიანის სახლში დაიწყო რემონტი. ჩემმა ნაცნობმა მხატვარმა უსასყიდლოდ დაიწყო ბუხრის შენება. ხის მასალით ავაწყვეთ ფიცრების კიბე და მანსარდზე ასვლა იყო შესაძლებელი. ბუხარი მხოლოდ პირველი სართულის ჭერამდე იყო ამოსული. კედლების გაჯით შელესვა დაგვჭირდა. სცენიდან ჩამოსული მომღერლისთვის ლესვა და გაჯი – აღმოჩენა იყო, მისი შოვნა კი – პრობლემა. მირჩიეს, აეროპორტის გზაზე „პეპელა" არის და იქ სამშენებლო მასალები იყიდებაო.

ხომ იცით, რა ტიპი ვარ – იდეა იმწუთში მიმაქროლებს ასრულებისკენ. ვერაფერი ველარ შემაჩერებს, ჰოდა, დავიქოქე. ჩემმა „რიჟა ზაპოროჟეცმა მიმაქროლა „პეპელაში". მიმასწავლეს. კაბინეტში შევედი. დირექტორი ზის... „ბატონო, გაჯი მჭირდება, გთხოვთ, დამეხმარეთ, – შემდეგ წარვუდგინე თავი: მე გიული ჩოხელი ვარ!"

დირექტორი, პატარა ტანის ჩაკუნთული კაცი, ფეხზე წამომიდგა, ხელი გამომიწოდა – მე გაიოზ ჯეჯელავა ვარო! – ფეხბურთელი? – შევკივლე მე. დიახ, ფეხბურთელიო.

„ზაქრო, მანქანა დატვირთე, ქალბატონს გაჯი უნდა, ოღონდ, ტომარაშიო..."

ტელეფონის ნომრები გავცვალეთ, დიდხანს ვისაუბრეთ... მოკლედ, დავმეგობრდით. მასში ახალგაზრდა სული ჩქეფდა. გარეთ, მანქანისკენ რომ გავიხედე, გული გამისკდა – მანქანა გატენილი იყო გაჯით. ფული არავითარ შემთხვევაში არ გამომართვა. მიიყვანე, სადაც გეტყვისო...

– მე სულ ხუთი ტომარა მჭირდება და ამდენს რა ვუყო, ბატონო გაიოზ-მეთქი? დაარიგეო. ამოვიყვანე მლესავი და დაიწყო ლესვა. ორი დღე იმუშავა კარგად. მესამე დღეს ჩემი „ზაპოთი" ამოვედით, რომ გაგვეგრძელებინა სამუშაო და, რას ვხედავთ – არცერთი ტომარა აღარ დაგვხვდა. იქაურმა მიგვასწავლა, ვინც წაიღო გაჯი. ჩვენც მივედით იმ პიროვნებასთან. გამოვიდა ძალიან მაღალი, წარბაწეული, მსხვილი, ლოთი, წითური კაცი. მე არაფერი წამიღია და სანანებლად გაგიხდებათო. მართლაც, ამიხდინა დანაპირები. ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი. აგარაკზე ავედი და ვარდებს მოვუარე, ცოტა თოხნაც დავიწყე – ვიფიქრე, ბაღს მაინც მოვუვლი და, ჯანდაბას გაჯი, მეორე და მესამე პირის გალესვა აღარ მჭირდებოდა. ახლა ვწერ და თვალწინ მიდგას ეს საშინელება.

„ზაპო" ეზოში დგას. შებინდება დაიწყო... მე მეცვა სარაფანი, მუშაობის დროს ლიფი მიშლიდა ხელს და ჩანთაში ჩავდე. ვემზადები, ვარ მეორე სართულზე. უცებ შემომესმა ხმაური. ვიღაცა ბრახუნითა და გინებით ამოდის კიბეზე. „ვინ ხარ?" – შევყვირე. ვერ მოვასწარი გაცნო-

# მაღალი ხარისხი, საიმედოობა, მისაღები ფასები – ეს GERMANY CLINIC პრიორიტეტებია

**გერმანულ კლინიკაში** 24 საათის განმავლობაში მოგემსახურებათ აკადემიური კარიერისა და მაღალი პროფესიონალიზმის მქონე მედპერსონალი.




ასევე აღსანიშნავია, რომ ქართველ მედიკოსებთან ერთად, თქვენ მოგემსახურებათ **გერმანიიდან და თურქეთიდან** მოწვეული მაღალკვალიფიციური პროფესორები. იმ პაციენტებს კი, რომელთა განკურნება საქართველოში ვერ ხერხდება, კლინიკის ხელმძღვანელობა ეხმარება, გაემგზავრონ **„გერმანული კლინიკის ფილიალში, თურქეთში“** და ჩაიტარონ ყველა საჭირო მკურნალობის კურსი.

კლინიკაში ასევე, წარმოებს თვალის დაავადებათა გამოკვლევა და მკურნალობა უახლესი აპარატურით. კლინიკის მომსახურებაში შედის **სტომატოლოგიური, კარდიოლოგიური და გინეკოლოგიური მომსახურება.**

ჩვენი პრიორიტეტია, მოვიპოვოთ პაციენტის ნდობა და ვცდილობთ, სრულყოფილი პასუხი გავცეთ ყველა კითხვას მისი დაავადების შესახებ: რატომ უტარდება ესა თუ ის გამოკვლევა ან პროცედურა; რამდენად სერიოზულია მისი მდგომარეობა; რა გართულებებია მოსალოდნელი და როგორ აიცილოს თავიდან დაავადების რეციდივი. კლინიკაში ქალბატონებს შეუძლიათ, შეარჩიონ სასურველი და უსაფრთხო კონტრაცეფციის მეთოდი. პაციენტს ასევე, შეუძლია ზოგიერთი რეკომენდაციის მიღება ტელეფონით. განმეორებითი რეცეპტის გამოწერა უფასოა.




რაც შეეხება მედიკამენტებს, გამოიყენება მაღალი ხარისხის პრეპარატები, ხოლო მომსახურების ფასები განსაზღვრულია ყველა ფენის მოსახლეობისთვის.

კლინიკის დირექტორის, **Prof. Dr. RAMAZAN AKTASH**-ის განცხადებით: „გერმანული კლინიკის ხელმძღვანელობა აპირებს, კიდევ უფრო გააუმჯობესოს მომსახურებისა და პროფესიონალიზმის დონე, რომ აღნიშნული კლინიკის მომსახურებით ისარგებლონ არა მარტო საქართველოში მცხოვრებმა პაციენტებმა, არამედ საზღვარგარეთიდანაც ჩამოვიდნენ აქ მათ სამკურნალოდ.







**მის.: გორგასლის №51;**
**ტელეფონი: 275-34-34, 577 43-75-48.**

---

ბიერება, რომ კბილებში მომხვდა მოქნეული ნაჯახის ტარი. ვიკივლე. სისხლი, მოფამფალებული წინა ორი კბილი. „დღეს მოგკლავ და შენს თავს ღორებს შევაჭმევო,” – გამომიქანა ნაჯახი და თავში, მარცხენა მხარეს ჩამარტყა ნაჯახის პირი. თქრიალით მომდიოდა სისხლი. ვემუდარებოდი: „არ მომკლა, აი, ეს ბეჭედი, შენი იყოს! რაც გინდა... გინდა, ეს აქაურობაც შენი იყოს?”

მოკლედ, რატომღაც, ჩემკენ ზურგით მოტრიალდა – ალბათ, შეეშინდა, სისხლი თქრიალით რომ მომდიოდა. დრო ვიხელთე და, არ ვიცი, გავფრინდი თუ ჩემმა მფარველმა ანგელოზმა ხელი მკრა, ბუხრის დაუმთავრებელ განიერ მილში ჩავცურდი და ტუალეტის უკანა კედელს მივეკარი. ჩემ უკან ღობის ბადეა, წინ კი – ფიცრის კედელი და ორმო. მკვლელი წინ და უკან დარბის, გინებით მეძებს. მე გატრუნული ვარ, სუნთქვაც კი შევწყვიტე. ჭიშკრიდან გავარდა, მეძებს. ყვირის – მაინც გიპოვიო. უკვე დაბნელდა. გონებას მოვუხმე, გავმაგრდი, გადავძვერი ბადეზე და დავეშვი სირბილით. სულ პირდაპირ ვირბინე გაუჩერებლივ და გზაზე აღმოვჩნდი. მანქანებს ვაჩერებ, არავინ მიჩერებს – დასისხლიანებული ვარ, სახეც კი არ მიჩანს, ფერშეცვლილია. ქოშები გადავყარე – ვერ მოვრბოდი. ბოლოს ერთმა „მოსკვიჩმა” გამიჩერა. გიული ჩოხელი ვარ, მიშველეთ, გთხოვთ, ჩემს აგარაკზე მკვლელი დამესხა თავს-მეთქი, – ვტირი. წარმოიდგინეთ, ღამით აგარაკებიდან დასისხლიანებული კახპა ითხოვს შველას – ალბათ, მძღოლებს ასე ეგონათ და იმიტომ არ მშველოდნენ. გამოჩნდა ერთი ღვთისნიერი კაცი და საავადმყოფოში მიმიყვანა.

6-სანტიმეტრიანი ნაკერი დამადეს – გადარჩენილხარ, ის საფეთქელში გიმიზნებდა და სიბნელემ გიშველაო. ბუხარი რომ ყოფილიყო დამთავრებული და მილი სახურავამდე ამოსული, მე აღარ მექნებოდა გასაქანი. მეორე დილას გაგიჟებული დედა და მეზობელი საავადმყოფოში მოვიდნენ... ჩანთა და მანქანის გასაღები გადაგდებული იპოვეს და მანქანაც ჩამომიყვანეს.

მეორე დილას მკვლელი აბაშიძე, კაიფში, მუხიანის ბაღის სკამზე იყო წამოწოლილი – ეტყობა, გამოიქცა დასამალად. აიყვანეს და რვა წელი მიარჭეს... მე ის ადგილი მივატოვე. გავანადგურე მესაკუთრის საბუთები და დავივიწყე ეს საშინელი თავგადასავალი. ალბათ, ვინმე უსახლკარომ ან გაჭირვებულმა დაიკავა ის ადგილი, ის სახლი...”

**ეკა პატარაია**

# იმუნიტეტის გასაძლიერებელი დიეტა

გაზაფხული წელიწადის ის დროა, როცა ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ დიეტის შერჩევისას. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჯობია, თუ ამ სეზონზე საერთოდ შევიკავებთ თავს მკაცრი დიეტებისგან. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ, ვისაც ზაფხულისთვის ფორმაში ჩადგომა სურს, მაინც ყველაფერი მიირთვას, რაც მოესურვება, იმ მიზეზით, რომ ზამთრის განმავლობაში ორგანიზმი დასუსტებულია და ვიტამინების ნაკლებობას განიცდის.

პირველ ყოვლისა, ცხადია, ტრადიციულად, უნდა შევამციროთ ულუფები და მენიუდან გამოვრიცხოთ ცხიმიანი, ცხარე, მჟავე, შემწვარი კერძები; ასევე, ცომეული, ტკბილეული და ეს ყველაფერი ჩავანაცვლოთ მოხარშული ხორცითა და თევზით, ბოსტნეულითა და ხილით. მაგრამ, შესაძლოა, ამ პროდუქტებში არსებული ვიტამინები და მიკროელემენტები საკმარისი არ აღმოჩნდეს იმუნიტეტის გასაძლიერებლად. ამ დანაკლისის შესავსებად არსებობს მარტივი ხერხი: უნდა მიირთვათ გაღივებული და ახლად ამოწვერილი ხორბალი, სიმინდი, წიწიბურა, ოსპი, არაქისი, ბოლოკი და კომბოსტო. თესლი შეიძინეთ ვეგეტარიანულ მაღაზიებში, რათა დარწმუნებული იყოთ მათ უვნებლობაში (არ უნდა იყოს ქიმიურად დამუშავებული). დათესვის წინ გადაარჩიეთ და გარეცხეთ. თუ დათესვიდან ორი დღე-ღამის შემდეგ თესლი არ გაღივდა, საკვებად არ გამოიყენოთ – ეს იმას ნიშნავს, რომ ის ქიმიურად არის დამუშავებული. ასევე არ გამოიყენება საკვებად ის გაღივებული თესლი, რომელიც მაცივარში შენახვისას გამუქდა.



ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი პროდუქტით (გაღივებულით) დამზადებული კერძი მაცივარში უკეთ ინახება, თუ მას მოაწურავთ ცოტა ლიმონის წვენს ან მოასხამთ ცოტაოდენ თაფლს, მაგრამ, უმჯობესია, თუ ასეთ კერძს მომზადებისთანავე მიირთმევთ – ასე გაცილებით მეტ ცოცხალ ვიტამინსა და მიკროელემენტს მიიღებთ.

ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა მიირთვათ დღეში 100 გრამი გაღივებული მარცვლეულით (ან ზემოთ ჩამოთვლილი სხვა მცენარით) მომზადებული სალათები, წვნიანი ან ფაფები.

თესლის გაღივება რთული არ არის: ჯერ ერთი ღამით ჩაალბეთ წყალში, მეორე დღიდან კი მხოლოდ შეასველეთ ხოლმე; ასევე, შეგიძლიათ, თესლი ჩაყაროთ მინის ქილაში, დააფაროთ დოლბანდი და რეზინი შემოუჭიროთ – თუ დანამვისას წყალი ზედმეტი მოგივიდათ, ადვილად გადაწურავთ. გაღივების მთელი პროცესი მოიცავს 5 დღეს. დანამვა უნდა მოხდეს დღეში 2-ჯერ. ქილა დადგით თბილ, ნათელ ადგილას, ოღონდ, მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს.

ყველაზე სასარგებლოა 2-3 სანტიმეტრი სიგრძის ყლორტები. გახსოვდეთ, რომ ისინი დიდხანს არ ინახება – მაქსიმუმ, 48 საათი „გაძლონ“, ისიც, მაცივარში.

**იკრძალება:**

***** სხვადასხვა მარცვლეულის, პარკოსნებისა და თესლის (გაღივებულის) ერთმანეთში შერევა კერძის დამზადების დროს;*

***** გაღივებული ყლორტების შეკაზმვა ნიგვზით, თხილით ან მაიონეზით;*

***** ყაბაყის, ლობიოს, ნესვის, საზამთროს, კარტოფილის, პომიდვრის, წიწაკისა და ბადრიჯნის თესლის გაღივება – მათი ყლორტები ტოქსიკურია;*

***** არ შეიძლება გაღივებული ყლორტების ჭამა მათთვის, ვისაც აწუხებს კუჭის წყლული.*

# სასწაულმოქმედი სახტუნაო

სახტუნაო – ეს არის ყველაზე ეფექტური და ყველაზე იაფი კარდიოტრენაჟორი, რომელიც გაგათავისუფლებთ როგორც ზედმეტი კილოგრამების, ისე არასასურველი ცელულიტისგან.

შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ დადგენილია, რომ სახტუნაოთი 15 წუთის განმავლობაში ხტუნაობა წვავს 200-300 კალორიას, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე ამდენივე ხნის სირბილის შედეგად დაწვავთ. გარდა ამისა, სახტუნაოთი ვარჯიში ააქტიურებს სისხლის მიკროცირკულაციას, რის ხარჯზეც ახენს ცელულიტის პროფილაქტიკას და, თანაც, წმენდს ორგანიზმს წიდებისგან. ყველა ამ სიკეთესთან ერთად, სახტუნაოს აქვს კიდევ ორი, არცთუ მეორეხარისხოვანი პლუსი: პირველი – ღირს ძალიან იაფი და, მეორე – სახტუნაოთი ვარჯიში შეგიძლიათ ყველგან: სახლში, ეზოში, სკვერში, ქუჩაში და სამსახურშიც კი (მაგალითად, შესვენებაზე, სადმე დერეფანში).



სავარჯიშოდ გამოგადგებათ ნებისმიერი მასალის სახტუნაო, ოღონდ, თოკი არ უნდა იყოს ძალიან მსუბუქი; ამას გარდა, აუცილებლად უნდა შეარჩიოთ თქვენი სიმაღლის შესაფერისი სიგრძის სახტუნაო; მაგალითად, თუ თქვენი სიმაღლე 152-დან 167 სანტიმეტრამდეა, უნდა ივარჯიშოთ სახტუნაოთი, რომლის სიგრძეც 210 სანტიმეტრია; 167-183 სანტიმეტრი სიმაღლის შემთხვევაში – 280 სანტიმეტრი სიგრძის სახტუნაო შეგეფერებათ; ხოლო თუ თქვენი სიმაღლე 183 სანტიმეტრს აღემატება, 310-სანტიმეტრიანი სახტუნაო უნდა შეიძინოთ.

იმისათვის, რომ ხტუნვითი ვარჯიშები ხანგრძლივი იყოს, სახტუნაო ატრიალეთ მხოლოდ ხელის მტევნებით (და არა მკლავებისა და მხრების ჩართვით). დაიწყეთ 30-წამიანი ვარჯიშითა და 30-წამიანი შესვენებით. შესვენებაში არ იგულისხმება წამოწოლა, ჩამოჯდომა ან უძრავად დგომა. ამ 30 წამის განმავლობაში გააკეთეთ ერთი ნაბიჯი მარცხნივ და ფეხი ფეხს მიადგით; შემდეგ კი მარჯვნივ და ისევ მიადგით ფეხი ფეხს. ერთი სესიის ხანგრძლივობა (თავისი შესვენებიანად) 10 წუთია. როდესაც ამ რიტმს შეეჩვევით, ვარჯიში (ხტუნვა) 1 წუთამდე გაზარდეთ, შესვენება კი ისევ 30-წამიანი იქნება, ხოლო სესიის ხანგრძლივობა 15 წუთამდე გაიზრდება. ამ რიტმის ათვისების შემდეგ ნელნელა გაზარდეთ ვარჯიშის დრო.

კარგი იქნება, თუ მონაცვლეობით იხტუნავებთ ჯერ ერთ, მერე მეორე ფეხზე, ხტუნვის დროს კი მაქსიმალურად შეეცდებით, მაღლა ასწიოთ მუხლები – ასეთი მეთოდი გაგიმაგრებთ მყესებს, აამაღლებს ორგანიზმის კარდიოფუნქციას და საგრძნობლად გაამაგრებს ფეხებისა და მუცლის კუნთებს.

მნიშვნელოვანი წვრილმანები:

* არასდროს დაიწყოთ სახტუნაოთი ვარჯიში 5-10-წუთიანი წინასწარი მოთელვის გარეშე.

* აუცილებლად ჩაიცვით მოხერხებული ფეხსაცმელი (უმჯობესია ბოტასები ან სქელძირიანი კედები) და სპორტული ტოპიკი, რომელიც მკერდზე მჭიდროდ გექნებათ მოჭერილი.

* არ ივარჯიშოთ ქვის ან ცემენტის იატაკზე – ამით შესაძლოა, მუხლებისა და ტერფების სახსრების დაზიანება მიიღოთ.

* ნახტომები არ უნდა იყოს მაღალი, მხოლოდ მუხლები ასწიეთ ზემოთ.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა:** **ხშირად ვისვამ ეგრეთ წოდებულ „ავტორუჯს“, მაგრამ, ყოველთვის არათანაბარი გამოდის: ზოგან მუქია, ზოგან – ბაცი. როგორ უნდა წავისვა, რომ ლაქებივით არ დამაჩნდეს?**

**პასუხი:** ავტორუჯი თქვენთვის სასურველ ადგილას უნდა წაისვათ დაბალხაოიანი პირსახოცით. არის ალტერნატიული საშუალებაც: შეიძინეთ სპეციალური ხელთათმანები, რომლებითაც იდეალურად გაანაწილებთ მას მთელ სხეულზე. რუჯის ფერი 3 საათის შემდეგ გამოიკვეთება.

**კითხვა:** **რა შემთხვევაში არ არის მიზანშეწონილი მისაწებებელი წამწამების გაკეთება და რომელია უკეთესი – ბუნებრივი მასალისგან დამზადებული თუ ხელოვნურისგან?**

**პასუხი:** მისაწებებელი წამწამების ტარება მიზანშეწონილი არ არის მათთვის, ვისაც აწუხებს თვალის ინფექციური დაავადება, აქვს ჭარბცხიმიანი ქუთუთოები და ალერგიულია წებოში შემავალი კომპონენტების მიმართ. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ, ხელოვნური მასალისგან დამზადებული წამწამები უფრო ბუნებრივად გამოიყურება, ვიდრე ნატურალური ბეწვისგან. ეს იმით აიხსნება, რომ ხელოვნური ბეწვი უფრო პლასტიკური, ელასტიკური და ჰიპოალერგენულია; ამასთან, ყველა ღერს აქვს ერთნაირი სიგრძე, სისქე და მოხრილობა.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# ინტიმური საუბრები

## საქმრო ძველებურად აღარ მიყვარს

მყავს საქმრო, რომელსაც თითქმის ორი წელია, ვხვდები. მთელი ამ ხნის განმავლობაში სიგიჟემდე მიყვარდა, მაგრამ ახლა, როცა უკვე დავნიშნეთ ქორწილი, თითქოს ეჭვი მეპარება ჩემს გრძნობაში. ძალიან მეშინია – ვაითუ აღარ მიყვარს და, როგორ უნდა გავატარო მთელი ცხოვრება იმ ადამიანის გვერდით, რომლის მიმართაც აღარ მექნება არც ალმაფრენა, არც აღტაცება და არც მონატრება?!

თვითონ ისევ ისე ვუყვარვარ (ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობს), მაგრამ, მე მაინც ვგრძნობ, რომ ჩვენ შორის აღარ ანთია ის ცეცხლი, რაც ასე გვაგიჟებდა ორივეს. არ ვიცი, რისი ბრალია ეს; შეიძლება იმის, რომ ორი წლის განმავლობაში სულ ერთად ვიყავით და ზედმეტად შევეჩვიეთ, ან, სულაც მოგვბეზრდა ერთმანეთი? მობეზრება კი მაშინ იწყება, როცა საყვარელ ადამიანში რაიმე ახლის აღმოჩენა აღარ შეგიძლი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის აღარ არის შენთვის საინტერესო პიროვნება. კიდევ მაშინ იწყება მობეზრება, როცა გეზარება მისთვის რამე ორიგინალური სიურპრიზის მოფიქრება და გაკეთება; როცა გეზარება, ან, სულაც, არ გახსენდება, რამე ელემენტარულით გაახარო... მოკლედ, ამ თემაზე ძალიან ბევრს ვფიქრობ და, შემიძლია, თეზისებადაც კი ჩამოვაყალიბო მიზეზები და შედეგები, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის – ერთ თვეში ქორწილი გვაქვს და, თუ ამ ხნის განმავლობაში არ გავერკვიე საკუთარ გრძნობებში, შეიძლება, მთელი ცხოვრება ვინანო.

სიმართლე გითხრათ, გოგიტას ძველებურ სიყვარულშიც აღარ ვარ ბოლომდე დარწმუნებული. ასე მგონია, უბრალოდ, შემეჩვია; ჩემთან მყუდროდ და კომფორტულად გრძნობს თავს; ეჭვი არ ეპარება ჩემს ერთგულებაში; დარწმუნებულია, რომ ვიქნები კარგი ცოლი და კარგი დედა... ერთი სიტყვით, ყველანაირად აწყობს ჩემნაირი ცოლი, მაგრამ, ეს ხომ სიყვარული არ არის?!

ხანდახან ისე ჩაივლის ხოლმე ჩვენი პაემანი, აღარც კი ვიცით, რაზე ველაპარაკოთ ერთმანეთს. ახლა რომ ასეა, რამდენიმე წლის შემდეგ როგორ ვიქნებით?

ვცდილობ, არ შევიმჩნიო, რასაც განვიცდი, მაგრამ გოგიტა აშკარად გრძნობს რაღაცას, რადგან, სულ დაძაბული მიყურებს თვალებში, თუმცა არაფერს მეკითხება. სიმართლე გითხრათ, ამაზეც ვბრაზდები – არ უნდა მკითხოს, რა მოგივიდაო?! მოვალეობის მოხდის გამო რომ მხვდება, არანაირ კომპლიმენტს აღარ მეუბნება და ლამის ნახევარი წელია, ერთი კონა ია არ მოურთმევია, აღარ მიაჩნია საჭიროდ? ქართველი კაცების ცნობიერება ხომ ასეთია – ცოლს ქათინაური და ელემენტარული პატივისცემა მხოლოდ იმიტომ აღარ სჭირდება, რომ უკვე ცოლი ჰქვია. მართალია, ჯერ ოფიციალურად არ დავქორწინებულვართ, მაგრამ, ცოლად ხომ დამიგულა?! ჰოდა, ესეც საკმარისია, აღარ არის საჭირო რაინდისა და კარგი ტიპის როლის თამაში – გარანტირებულად მისი ვარ.

მე კი არ მინდა, მხოლოდ „კუხნის ცოლი“ ვიყო, ისევ ჩვენი ადრინდელი სიყვარული მენატრება, რომელიც, ალბათ, აღარ დამიბრუნდება.

**ელე, 23 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# როგორი მეგობრობა შეგიძლია?

*თუ გინდათ, კარგი მეგობარი იყოთ, ის მოთხოვნები, რომლებსაც თქვენს მეგობრებს უყენებთ, უპირველესად, საკუთარ თავს წაუყენეთ; ანუ, მეგობრობა ორმხრივია და ბევრი რამ დიდწილად მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული.*

*ნახეთ, ამ ტესტის მიხედვით, როგორი მეგობრობა შეგიძლიათ და თავად გააკეთეთ სათანადო დასკვნები.*



**1. მეგობარი გთხოვთ, საყიდლებზე გაჰყვეთ. თქვენ ფული არ გაქვთ და, შესაბამისად, არც განწყობა. როგორ მოიქცევით?**

ა) გავყვები. ის ხომ ჩემი მეგობარია;

ბ) დიდი სიამოვნებით გავყვები. მერე რა, რომ ფული არ მაქვს;

გ) არ გავყვები და მოვუბოდიშებ.

**2. ერთი და იგივე ნივთი მოგეწონათ მაღაზიაში, მაგრამ ის ერთადერთი ეგზემპლარია... დაუთმობთ?**

ა) აუცილებლად. ნივთი მეგობარზე ძვირფასი ვერ იქნება;

ბ) შევთავაზებ, ორივემ უარი ვთქვათ ამ კონკრეტულ ნივთზე;

გ) ყველაფერს გავაკეთებ, რომ ნივთი მე დამრჩეს.

**3. თქვენი მეგობრის ახალი შეყვარებული გაიცანით და საშინლად არ მოგეწონათ. ეტყვით მეგობარს სიმართლეს?**

ა) არა. შევეცდები, დავუმეგობრდე მის შეყვარებულს;

ბ) არა. მას თუ მოსწონს, რა ჩემი საქმეა?

გ) აუცილებლად. რატომ დავუმალო სიმართლე?

**4. მეგობარს თქვენს ყველა საიდუმლოს უმხელთ?**

ა) რა თქმა უნდა. აბა, რად მინდა მეგობარი?

ბ) ძირითადად ვუმხელ, თუმცა, ყველაფერს არა;

გ) არა. ჩემი საიდუმლო – ჩემი საიდუმლოა.

**5. როგორ რეაგირებთ მეგობრის კრიტიკაზე?**

ა) ძალიან ახლოს მიმაქვს გულთან და განვიცდი;

ბ) ყოველთვის ვუსმენ, თუ კრიტიკა სამართლიანია;

გ) სანაცვლოდ, მეც ხმამაღლა ვიწყებ ლაპარაკს მის ნაკლზე.

**6. მეგობარს ყველა წამოწყებაში აჰყვებით ხოლმე?**

ა) რა თქმა უნდა. აუცილებლად;

ბ) ზოგჯერ ავყვები, ზოგჯერ – არა;

გ) არა. მე ჩემი პრინციპები და მოსაზრებები მაქვს.

**7. რომანტიკულ პაემანზე ხართ. ამ დროს მეგობარი გირეკავთ და მასთან სასწრაფოდ მისვლას გთხოვთ...**

ა) ყველას და ყველაფერს მივატოვებ და მასთან გავიქცევი;

ბ) ვთხოვ, ტელეფონით მითხრას, რა უჭირს და ჩემგან რას ითხოვს;

გ) არა, არ წავალ. რა თავხედობაა?

**შეკითხვების პასუხებიდან ამოარჩიეთ სასურველი და ნახეთ შედეგები:**

*როცა პასუხების უმრავლესობა არის „ა“:*

*თქვენ შესანიშნავი და იდეალური მეგობარი ხართ. უარს არასდროს არაფერზე ეტყვით თქვენს მეგობარს. ეს ალტრუიზმია. მეგობრობის სახელით ბევრჯერ დაგითმიათ პირადული. ნამდვილი „მაშველი რგოლი“ ხართ. არ ფიქრობთ, რომ დროა, პირადი ცხოვრების მოწყობაზეც იზრუნოთ?!*

*თუ პასუხების უმრავლესობა არის „ბ“:*

*თქვენ შეგიძლიათ „დიპლომატიური მეგობრობა“. ძალიან უფრთხილდებით მეგობრებს და მეგობრობას, თუმცა დისტანციაც გაქვთ. კომპრომისს ყოველთვის პოულობთ და ეს კარგია. საშველადაც მიხვალთ, მხოლოდ მაშინ, თუ მას შველა მართლაც ძალიან სჭირდება... თუმცა, არ გაწირავთ თქვენს ინტერესებს და არ მიიტანთ მათ მეგობრობის სამსხვერპლოზე.*

*როცა პასუხების უმრავლესობა არის „გ“:*

*საკუთარი ინტერესები თქვენთვის ყოველთვის პირველ ადგილზე დგას. ცივი გონებით განსჯა ემოციებს ადგილს არ უტოვებს. შეიძლება, არ ენდობით ადამიანებს და მათ შორის თქვენი მეგობრებიც არიან. უნდობლობა გულითად მეგობრობაში ხელისშემშლელია. ზოგჯერ მაინც გამოდით თქვენი ნაჭუჭიდან! მეგობრობა ბევრი პოზიტიური ემოციის მომტანია.*

**ელენე წულუკიძე**

# ვინ შეიფარა გადასახლებიდან გაქცეული ცხვირ და ყურებმოყინული სტალინი



იოსებ სტალინი ბევრჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს. სხვადახვა წყაროში მისი დაპატიმრების, გადასახლებებისა და იქიდან გაქცევების რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია არსებობს. უფრო ზუსტია, ალბათ, ცნობა, რომ სტალინი დააპატიმრეს რვაჯერ, გადაასახლეს შვიდჯერ, ხოლო გადასახლებიდან გაიქცა ექვსჯერ. მეშვიდე გადასახლებიდან სტალინი 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ გაათავისუფლა.

იმხანად რუსეთის იმპერიაში რევოლუციონერთა მიმართ საკმაოდ ლიბერალური დამოკიდებულება იყო. ვითომდა არაადამიანური სისასტიკე, რომლითაც რევოლუციონერებს უსწორდებოდნენ, თავის დროზე საბჭოთა პროპაგანდის მიერ იყო შეთხზული პოლიტიკური მიზნით. სინამდვილეში კი რუსეთის იმპერიაში იკრძალებოდა პოლიტიკური პატიმრის ცემა და წამება; საპატიმრო ადგილიდან გადასახლების ადგილამდე გადაყვანისას კი – ბორკილების დადება. როცა პოლიტპატიმართა მატარებლიდან გაქცევებმა მასობრივი ხასიათი მიიღო, იმპერატორის ბრძანებით, აგეს სპეციალური ვაგონები პატიმართათვის, რომლებშიც თითოეული კუპეს ფანჯარა და კარი გისოსებით იყო დაცული. პოლიტპატიმრისთვის ბორკილის დადება იმპერატორმა მაინც დაუშვებლად ჩათვალა. მათ ციხეშიც განსაკუთრებულად ეპყრობოდნენ: აკრძალული იყო პოლიტპატიმართა სისხლის სამართლის დამნაშავეებთან (ქურდები, ყაჩაღები, ბანდიტები) ერთად ერთ საკანში ყოფნა; პოლიტპატიმრებს არ ეზღუდებოდათ მიმოწერა და შეუფერხებლად მარაგდებოდნენ წიგნებით, თუკი ეს წიგნი ოფიციალური ცენზურის მიერ არ იყო აკრძალული; კიდევ უფრო ლიბერალური იყო პოლიტპატიმართა ყოფის პირობები გადასახლების ადგილას. დავიწყოთ იმით, რომ პოლიტპატიმარს შეეძლო, უარი ეთქვა საპატიმრო ვაგონით მგზავრობაზე – თუ ხარჯებს პირადად გაიღებდა, შეეძლო, გადასახლების ადგილამდე პირველი კლასის კუპირებული ვაგონით ჩასულიყო, ოღონდ, ცხადია, შესაბამისი ბადრაგის თანხლებით. ციმბირში ირკუტსკსა და სხვა ქალაქებში ჩაყვანილი პოლიტპატიმრები სხვა პატიმრებთან ერთად, გადასახლების ადგილამდე მიჰყავდათ ჯერ თბომავლით და, თუ გადასახლების ადგილი მდინარის ნაპირას არ მდებარეობდა, შემდეგ – ფეხით. პოლიტპატიმარს შეეძლო, უარი ეთქვა ფეხით სიარულზე და მოეთხოვა ეტლი ან მარხილი, რომელშიც, ცხადია, ის ბადრაგის თანხლებით მოთავსდებოდა. გადასახლების ადგილზე ჩასულ პოლიტპატიმარს შეძლებული გლეხის სახლში მოათავსებდნენ ხოლმე, ქირას კი მისი ბინადრობისთვის იხდიდა ხელისუფლება. ხელისუფლება უხდიდა, ასევე, საფასურს გლეხს პოლიტპატიმრის კვებისა და მოვლისთვის. თუ ეს პირობები პოლიტპატიმარს არ მოეწონებოდა, მას შეეძლო, საკუთარი ხარჯით ექირავებინა სხვა ბინა და თვითონვე დაეფარა კვებისა და სხვა ხარჯები. სტალინის ამ შეღავათებით არასდროს უსარგებლია, ის ყოველთვის სხვა პატიმრების ბედს იზიარებდა.

სტალინი პირველად დააპატიმრეს ბათუმში, მუშათა გაფიცვებისა და დემონსტრაციის ორგანიზებისთვის. 1902 წლის 7 მარტს ჟანდარმერიამ დააპატიმრა ბათუმის მუშათა გაფიცვის მოთავეები და რამდენიმე გაფიცული მუშა. სტალინი გადარჩა. დაპატიმრებულები დროებით მოათავსეს პოლიციის ყაზარმებში. 9 მარტს სტალინის მიერ შეკრებილი რამდენიმე ასეული მუშა პოლიციის ყაზარმებისკენ დაიძრა – მათ დაპატიმრებულების გათავისუფლება განიზრახეს. პოლიციამ ცეცხლის გახსნის მუქარით მოუწოდა მუშებს დაშლისაკენ. სტალინი მუშებს არწმუნებდა, რომ პოლიცია ცეცხლის გახსნას ვერ გაბედავდა, ამიტომ, მუშებმა ყაზარმებზე მაინც მიიტანეს იერიში. მაგრამ, პოლიციამ იარაღი გამოიყენა. სროლის დროს დაიღუპა და დაიჭრა რამდენიმე მუშა. პოლიციასთან შეჯახებისას დაღუპული მუშები დაკრძალეს 12 მარტს. პროცესიაში 7 ათასი კაცი მონაწილეობდა. ამ დღეს პოლიციამ სტალინის დაპატიმრება ვერ გაბედა. დაღუპულთა დასაფლავების შემდეგ სტალინი პოლიციას ხელიდან დაუძვრა და მიიმალა. ის მხოლოდ 5 აპრილს, შუაღამისას დააპატიმრეს. სტალინის საქმის ძიება დიდხანს გაჭიანურდა, რადგან, ვერ იპოვეს მოწმე, რომელიც დაადასტურებდა, რომ პოლიციის ყაზარმებზე იერიშის დროს მუშებს სტალინი მიუძღოდა. მოწმენი იყვნენ თვით პოლიციელები, მაგრამ, რუსეთის იმპერიის კანონმდებლობით, პოლიტიკურ საქმეზე დაინტერესებული პირის (ჟანდარმის, პოლიციელის, ციხის ადმინისტრაციის) ჩვენება მტკიცებულებად არ მიიღებოდა; ჩვენება უნდა მიეცა სამოქალაქო პირს, ასეთი კი გამომძიებამ ვერ იპოვა. სტალინს ამ დროისთვის ბრალად ედებოდა თბილისში სოციალ-დემოკრატიული წრისა და თბილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ორგანიზება. ასე რომ, ის მაინც გაასამართლეს და 1902 წლის ოქტომბერში ციმბირში გადაასახლეს. სტალინის გადასახლების ადგილად განუსაზღვრეს იაკუტიის გუბერნიის დასახლება – ნოვაია უდა. გადასახლებული პოლიტპატიმრების გადაადგილება გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში არ კონტროლდებოდა. მათ იცოდნენ, სადამდე ჰქონდათ გადაადგილების უფლება და, თუ ამ საზღვარს დაარღვევდნენ, მათ დააკავებდნენ და უკანვე დააბრუნებდნენ. გაქცევის მცდელობისთვის სასჯელი არ იზრდებოდა. ასე რომ, გადასახლების ადგილიდან გაქცევა რთული არ იყო, ძნელი იყო რამდენიმე ათას კილომეტრზე მგზავრობა თბომავლითა და მატარებლით, ვინაიდან, გაქცეული სათანადო საბუთის უქონლობის გარეშე ბილეთს ვერ აიღებდა და, თუ მაინც მოხვდებოდა თბომავალზე ან მატარებელში, ის ნებისმიერ დროს შეეძლოთ, დაეკავებინათ და უკან დაებრუნებინათ. გაქცევა ძნელი იყო იმიტომ, რომ იქაური კლიმატური პირობების გამო, თბომავლამდე და მატარებლამდე მისვლა წარმოუდგენელი იყო ეტლის ან მარხილის გარეშე; გარდა ამისა, გაქცევისთვის აუცილებელი იყო თბილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, საკმაო რაოდენობით კალორიული საკვები და ფული.

**ზედამხედველთა ყურადღება რომ მოედუნებინა, სხვა გადასახლებულებთან ერთად, სტალინი ხშირად ჩნდებოდა თავშეყრის ადგილებში, შედიოდა დუქნებსა და მაღაზიებში. ამის გამო, პოლიციამ ჩათვალა, რომ სტალინი ბედს შეეგუა**

პირველი გაქცევა სტალინმა 1903 წლის ზამთარში სცადა. იგი გაქცევისათვის შესაბამისად ვერ მოემზადა. იმ ოჯახმა, რომელშიც ის ჩაასახლეს, სტალინს საგზალი მოუმზადა, რათა გზაში შიმშილით არ მომკვდარიყო; ასევე, მისცეს ტანსაცმელიც, მაგრამ, არა ისეთი თბილი, როგორიც ციმბირის ყინვაში ფეხით მგზავრობისთვის იყო საჭირო. არც საკვები ჰქონდა შესაფერისი – სტალინმა თან წაიღო მხოლოდ პური, რამდენიმე დღის განმავლობაში კი მხოლოდ პურით კვება, მით უფრო, გაუსაძლისი ყინვების პირობებში, ადამიანის ორგანიზმს ასუსტებს. აუცილებელი იყო უფრო კალორიული საკვები (ცხიმი და სხვა) და არაყი, რაც სტალინს არ გააჩნდა. ჯუღაშვილს არც ის მარშრუტი ჰქონდა ზუსტად განსაზღვრული, რომლითაც უნდა ევლო. ამიტომ იყო, რომ თავიდანვე წარუმატებლად დაწყებული გაქცევა ასევე დამთავრდა. მდინარეზე გადასვლისას სტალინს ყინული ჩაუტყდა და წყალში ჩავარდა. მთლად დასველებულმა, ერთ სოფელში სცადა თავის შეფარება. მან რამდენიმე ქოხის კარზე დააკაკუნა, მაგრამ, ხელისუფლებისგან გაფრთხილებული გლეხები თავს იკავებდნენ ხოლმე გაქცეულის შეფარებისგან. ასე მოექცნენ ისინი სტალინსაც. ამასობაში ჯუღაშვილს ცხვირი და ყურები მოეყინა. მისი სიცოცხლე იხსნა ერთ-ერთმა ოჯახმა, რომელმაც, ყველაფრის მიუხედავად, გაბედა და შეიფარა სტალინი, სადაც ის გაათბეს, დააპურეს და მშრალი ტანსაცმელიც მისცეს. სწორედ ამის წყალობით, სტალინმა გზა განაგრძო და მომდევნო სოფლამდე ჩააღწია, ბალაგანსკში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა გადასახლებაში მყოფი ერთ-ერთი რევოლუციონერი. სტალინმა მის ოჯახში დაისვენა და გზის გაგრძელებისათვის აუცილებელი საბუთის შოვნაც შეძლო, რითაც ის მოახერხებდა, ემგზავრა რუსეთის ნებისმიერ ქალაქამდე. მიუხედავად ამისა, ძლიერი ყინვის გამო, სტალინმა გაქცევა გადაიფიქრა, რადგან, მას არ მოუშუშდა მოყინული ყურები და ცხვირი. გზის გაგრძელების შემთხვევაში, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ისე გაუარესდებოდა, რომ სიცოცხლისთვის საშიში გახდებოდა, საავადმყოფოში კი ვერ იმკურნალებდა, რადგან, მის ყალბ საბუთს, შესაძლოა, სამედიცინო პერსონალში ეჭვი აღეძრა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ნოვაია უდადან გაქცევის შემდეგ საკმაო დრო იყო გასული და, შესაძლოა, მასზე უკვე ძებნაც იყო გამოცხადებული. ამიტომ, ბალაგანსკში შეჩერების შემდეგ, სტალინი კვლავ გადასახლების ადგილას – „ნოვაია უდაში" დაბრუნდა.

მიუხედავად წარუმატებელი მცდელობისა, სტალინს გაქცევაზე ფიქრი არ შეუწყვეტია. ზედამხედველთა ყურადღება რომ მოედუნებინა, სხვა გადასახლებულებთან ერთად ხშირად ჩნდებოდა თავშეყრის ადგილებში, შედიოდა დუქნებსა და მაღაზიებში, ამიტომ, პოლიციამ ჩათვალა, რომ მათი პატიმარი ბედს შეეგუა, თუმცა, სტალინი ბედთან შეგუებას არ აპირებდა.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძე**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### ბადალაშვილი

გვარის ფუძეა **ბადალი**, რომელიც არაბული სიტყვაა და ტოლფასს ნიშნავს. **ბადალი** ფეოდალურ საქართველოში სხვის ნაცვლად ბეგარის მომხდელს ნიშნავდა, კერძოდ, „ძეგლისდება” მეფეთ-მეფის გიორგის მიერ (მეთოთხმეტე საუკუნეში) ითვალისწინებდა შეუძლოდ მყოფი ხევისბერის მაგივრად ლაშქარში მისი ძმის ან სხვა ახლობლის წასვლას. ეს ინსტიტუტი ჩამოყალიბდა და განვითარდა მეთვრამეტე საუკუნეში, ცვალებადი შემადგენლობის მუდმივი მორიგი ჯარის შემოღებასთან დაკავშირებით. მორიგი ლაშქრის განაჩენი, 1774 წელს, **ბადლობის** ნებას აძლევდა სოფლის მღვდელს – „აღებ-მიცემის კაცს”; ასევე, გუთნისდედას, მეწისქვილეს და ზოგიერთი სხვა ხელობის მუშაკს.

გვარი **ბადალაშვილი** სოფელ კოდაში გაჩენილი გვარია. ამ სოფელში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გვერდით, გაჩნდა სომხურ-გრიგორიანული ეკლესია და მისი წინამძღოლი – ტერტერა. სწორედ ამ წლებიდან გაჩნდა მარჯანიშვილიდან – მარჯანოვი, მინაშვილიდან – მინაროვი, სალათაშვილიდან – სალათოვი და ასე შემდეგ. გვარი **ბადალოვი**, რომელიც **ბადალაშვილისგანაა** გაჩენილ-გადაკეთებული, გვხვდება 1886 წლიდან.

**ბადალაშვილი** ქართული გვარია, სომხები და რუსები კი დაინტერესებულები იყვნენ ქართული გვარების გადაკეთებით. ასე გაფორმდა 1863 წელს ბევრი გვარი და ეს პროცესი 1919 წლამდე გაგრძელდა.

ასე რომ, **ბადალაშვილებიც, ბადალოვებიც** და **ბადალიანებიც** ქართველები არიან.

საქართველოში 514 **ბადალაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 242, თეთრიწყაროში – 145, რუსთავში – 53. არიან სხვაგანაც.




### ქუჩულორია

**ქუჩულორია** რთულფუძიანი გვარია. **ქუჩულორი** შედგება ორი კომპონენტის, კერძოდ, საკუთარი სახელებისგან – **ქუჩუ** და **ლორი**.

**ქუჩულორია** იშვიათად გვხვდება **ქუჩულიას** ფორმითაც.

**საქუჩლორიო** უბანია ფოცხოში. **ნაქუჩოლორი** კი ტყე ბეთლემში, კერძოდ, ლებარკალაოეში. **ნაქუჩულუ** ბუჩქნარია ლეთორდეში (მუხური).

წალენჯიხასა და მის ახლომახლო სოფლებში მცხოვრები **ქუჩულორიები** მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების მიჯნაზე საუფლისწულო აზნაურები ყოფილან.

მეორე ვარიანტით, **გოქუჩულუა** მცენარის აყვავებას ნიშნავს, ზმნის მიმღეობა – **ქუჩულორი**, ანუ „აყვავებული“, „აღმოცენებული“ – მიჩნეულია მეტსახელად.

მეოცე საუკუნის დამდეგს, უშაფათსა და წალენჯიხაში მოსახლე **ქუჩულორიების** ერთი ნაწილი აზნაურის წოდების იყო.

საქართველოში 168 **ქუჩულორია** ცხოვრობს: წალენჯიხაში – 51, თბილისში – 37, ზუგდიდში – 31. ცხოვრობენ სხვაგანაც.

### ბაზიერაშვილი

გვარის ფუძეა საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვა – **ბაზიერი**, რაც ქორ-შავარდენთა სანადიროდ დამგეშავ მწვრთნელსა და ყურისმგდებელს ნიშნავს.

1721 წლის აღწერაში მოხსენიებულია ყაფლანიშვილების მემამულე – გიორგი **ბაზიერაშვილი**, რომელიც ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა სოფელ ქციაში.

საქართველოში 108 **ბაზიერაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 74, თბილისში – 29, გურჯაანში – 5.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 218-01-01; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

6 მაისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

7 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე. მონაწილეობენ: კახი კავსაძე, ზაზა ლებანიძე, ჯემალ ღაღანიძე, მანანა გამცემლიძე, მარინა ჯანაშია, მარინა კახიანი, დარეჯან ხარშილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

8 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„მარია კალასი. გაკვეთილი"** - (ბილეთის ფასი - 10, 12, 15, 20 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ლელა ალიბეგაშვილი, დავით დარჩია, ლელა ახალაია, არჩილ გოგიტიძე, ქეთი სვანიძე, დავით უფლისაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

5 მაისი, **სამშაბათი** 20.00 - **„მეფე კვდება"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), (მცირე სცენა), თბილისის მუნიციპალური თეატრი „გლობუსი". რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი. მონაწილეობენ: თორნიკე ბელთაძე, ქეთი ლუარსაბიშვილი, ნატო ფილია, სოფო მეძმარიაშვილი, ბექა ქამხაძე, მარიამ არღუთაშვილი, ელენე ქასრაძე, გუგა ბერეკაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

6, 10 მაისი, **ოთხშაბათი**, **კვირა** 20.00 - **„ათვინიერებენ მიმინოს"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: პეტრე ჩარგეიშვილი. მონაწილეობენ: ვალერი კორშია, ზაზა იაქაშვილი, გიორგი ყორღანაშვილი, ლილე ფილფანი, ნათია ნიკოლაიშვილი, გიორგი ტატიშვილი, თენგიზ პაპიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

7 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„შეშლილის წერილები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), (მცირე სცენა), თბილისის მუნიციპალური თეატრი „გლობუსი". რეჟისორი: დავით ბელთაძე. მონაწილეობს: თორნიკე ბელთაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„თეთრი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გია ბურჯანაძე, თამუნა ბუხნიკაშვილი, ქეთი ჩხეიძე, კატო კალატოზიშვილი, პაატა ინაური, თამარ სხირტლაძე, დავით დვალიშვილი, ალეკო მახარობლიშვილი, თეკო ჩუბინიძე, ლიკა ქობულაძე, ეკა მახარობლიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„კედელი"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (მცირე სცენა), თითების თეატრი - რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კვაჭაძე, ზაალ კაკაბაძე, თეონა მალალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, გრიგოლ გოგოლაძე. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

9 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ქალი ქვიშაში"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი: დავით დანელია. მონაწილეობენ: ნინო გაჩეჩილაძე, ბექა გოდერძიშვილი, ვალერი კორშია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

10 მაისი, **კვირა** 20.00 - **„კაცები"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი. მონაწილეობენ: დიმიტრი ტატიშვილი, თემო კილაძე, ზაზა გოგუაძე, ზურა ბერიკაშვილი, ონისე ონიანი, ვასიკო ოდიშვილი, ლელა მებურიშვილი, ანა სანაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966.**

6 მაისი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„თავისუფალი პეპლები"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი: ანი ხიდეშელი. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, ანუკა გრიგოლია, თაკო ბერიაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

7 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„შეცდომათა კომედია"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. მონაწილეობენ: ზურა ინგოროყვა, ონისე ონიანი, დათო ხახიძე, ზაზა იაქაშვილი, ჯაბა კილაძე, ნათია არბოლიშვილი, ანა სანაია, ქეთი კანტიძე, ეკა ნიჟარაძე, ირმა ბერიანიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„ეჭვი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, ზვიად სხირტლაძე, ნინო წულაძე, ნინო დუმბაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„საზღვრები"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი და ქორეოგრაფი: გიორგი ოსეფაშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ქიტიაშვილი, ბექა გოდერძიშვილი, გიორგი ოსეფაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

10 მაისი, **კვირა** 20.00 - **„შევხვდებით სამოთხეში"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: ზურაბ ბერიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, გურამ ჯაში, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2. ტელ.: 298-58-21.**

5 მაისი, **სამშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

6 მაისი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

7 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 მაისი, **პარასკევი** 19.00 - **„რა დროს შექსპირია"** - (ბილეთის ფასი - 6, 10, 12 ლარი), რეჟისორი: იოანე ხუციშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„მამა"** - (ბილეთის ფასი - 6, 9 ლარი), რეჟისორი: კადრი ოზჯან. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

10 მაისი, **კვირა** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

6 მაისი, **ოთხშაბათი** 15.00 - **„იმერული რექვიემი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ირაკლი გოგია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

7 მაისი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მალხაზ ასლამაზაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

8 მაისი, **პარასკევი** 20.00 - **„2+2=2"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: როდრიგო ფიშერი (ბრაზილია). ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

9 მაისი, **შაბათი** 20.00 - **„ღმერთო, რისთვის?"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ გაჩავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

10 მაისი, **კვირა** 14.00 - **„რაპუნცელი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ლაშა გოგნიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

## ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №99/1. ტელ.: 295-78-74, 295-39-27.**

5 მაისი, **სამშაბათი** 12.00, 15.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

5 მაისი, **სამშაბათი** 15.00 - **„წითელქუდა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

5, 8 მაისი, **სამშაბათი, პარასკევი** 20.00 - **„1945"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ საბაშვილი. ***ხანგრძლივობა: 45 წუთი;***

6 მაისი, **ოთხშაბათი** 12.00 - **„პრინცესა, ბაყაყი, ჰენზელი და გრეტელი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

6 მაისი, **ოთხშაბათი** 12.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

7 მაისი, **ხუთშაბათი** 12.00, 15.00 - **„ხუთკუნჭულა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

7 მაისი, **ხუთშაბათი** 12.00 - **„სამეფო ძროხა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გურამ ბრეგაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

7 მაისი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მე ვხედავ მზეს"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი.***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

8 მაისი, **პარასკევი** 12.00, 15.00 - **„წითელქუდა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

8 მაისი, **პარასკევი** 15.00 - **„ამიკო"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

9 მაისი, **შაბათი** 12.00 - **„იავნანამ რა ჰქმნა?!"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ოთარ ბაღათურია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

9 მაისი, **შაბათი** 12.00 - **„სევილიელი დალაქი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (მცირე სცენა), თოჯინების საოპერო თეატრი „პწკალა" - რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

9 მაისი, **შაბათი** 15.00, 17.00 - **„პრინცესა, ბაყაყი, ჰენზელი და გრეტელი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 მაისი, **შაბათი** 19.00 - **„კუკარაჩა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: შალვა გაწერელია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

10 მაისი, **კვირა** 12.00, 15.00 - **„პრინცესა, ბაყაყი, ჰენზელი და გრეტელი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

10 მაისი, **კვირა** 13.00 - **„ემილის თავგადასავალი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან ქობლიანიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.;***

10 მაისი, **კვირა** 19.00 - **„ჩვენ გველის დიდება"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მანანა ბერიკაშვილი. ***ხანგრძლივობა 2სთ.***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06.**

8 მაისი, **პარასკევი** 18.00 - **„ქორწინება"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

9 მაისი, **შაბათი** 18.00 - **„ხოლსტომერი. ცხენის ისტორია"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

10 მაისი, **კვირა** 12.00 - **„ალისფერი ყვავილი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი.***

**ბოლო დროს, სატელევიზიო სივრცეში გამოჩნდა ინდური ტელესერიალები და ქართველი დიასახლისებიც აქტიურად ჩაუსხდნენ. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, კინოთეატრებში, როცა ინდური ფილმის პრემიერა ცხადდებოდა, ბილეთები წინასწარ იყიდებოდა და უამრავი მაყურებელი ესწრებოდა, ეგრეთ წოდებულ ინდურ „ზღაპრებს". გავიდა, წლები, ინტერესი მინელდა, თუმცა დღეს, თავად ინდოელმა რეჟისორებმა გამოთქვეს სურვილი, თავიანთი ფერადი და მუსიკალური ფილმები სიყვარულზე, საქართველოში გადაიღონ და შემდეგ მსოფლიოს აჩვენონ. როგორც ბატონი დავით ბეჟიტაშვილი ამბობს, მას ინდური ფილმები ბავშვობიდან მოსწონს, უყურებს და ძალიან გახარებულია, რომ „ბოლივუდიდან" საკმაოდ დიდი ინტერესია ჩვენი ქვეყნის მიმართ. ინდოელები არაერთი კინოფილმის გადაღებას გეგმავენ საქართველოში.**

# რა უწინასწარმეტყველა ინდურ სერიალებს ქართულ ტელესივრცეში დავით ბეჟიტაშვილმა და რატომ ფიქრობენ ბოლივუდელი პროდიუსერები საქართველოში ბევრი ინდური ფილმის გადაღებას

**დავით ბეჟიტაშვილი**: თბილისში 30-ზე მეტი კინოთეატრი იყო და ინდურ ფილმებზე უსასრულო რიგები იდგა სალაროსთან. „დისკოს მოცეკვავეზე" ხალხი საკუთარი სკამებით მოდიოდა, რადგან ადგილები აღარ იყო და ვერ გეტყვით, რამდენჯერ ნახულობდნენ. შემდეგ, ისეთი პერიოდი დაიწყო საქართველოში, ინდური ფილმისთვის ვილას ცხელოდა, საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობდა ხალხი. ტელეკომპანია „კავკასიაზე" ყოველ შაბათ-კვირას ვუშვებდი ინდურ ფილმებს, ვსაუბრობდი კონკრეტულ ფილმზე, ინდოელ მსახიობებზე და საკმაოდ ბევრი მაყურებელი მყავდა. 2003 წლის 18 მაისს, ერთგვარი ექსპერიმენტი ჩავატარეთ და მთელი 11-წლიანი პაუზის შემდეგ, ვიფიქრეთ, დიდ ეკრანზე, კინოთეატრში გვეჩვენებინა ინდური ფილმი. ეს ერთგვარი რისკი გახლდათ, რადგან არ ვიცოდით, რამდენად დაინტერესდებოდა მაყურებელი და შეიძენდა დასასწრებ ბილეთებს ინდურ ფილმზე „სიყვარულის ანატომია". კინოთეატრ „რუსთაველში" ეტეოდა 700 კაცი და თქვენ წარმოიდგინეთ, ფილმის სანახავად მოვიდა – 1 200, შემდეგ, ტრადიციად და ვაქციეთ და კინოთეატრ „ახმეტელში" ყოველ შაბათ-კვირას ვუშვებდით ინდურ ფილმებს. უამრავი მაყურებელი ჰყავდა, ბილეთები წინაწარ იყიდებოდა. ასე რომ, ინდური ფილმების მიმართ არასდროს შემწყდარა ქართველი მაყურებლის დაინტერესება. პირადად მე, კავშირები მქონდა ინდოეთში და ვაწვდიდი ინფორმაციას. შემდეგ ჩავედი, პირადად გავიცანი ინდოელი მსახიობები, პროდიუსერები და რეჟისორები. 2009 წელს, ერთ-ერთი ასეთი ჩასვლისას, წამოვიდა ავთო ვარსიმაშვილიც. ბომბეიში ვიყავით და ერთ-ერთი კომპანიის პროდიუსერმა, რომელიც ჩვენი მასპინძელი გახლდათ, შემოგვთავაზა, გოაში გადაფრინდით, იქ აგარაკი მაქვს და დაისვენეთო. აი, მაშინ თქვა ავთომ, მოდი, პირველად ქართული კინოს ისტორიაში, ქართული ფილმი აქ, გოაში გადავიღოთო. სიმართლე გითხრათ, ვიფიქრე, ეს სურვილი, აქვე სურვილად დარჩება-მეთქი. თუმცა, თბილისში რომ ჩამოვედით, ავთომ დამიბარა და სცენარი გამაცნო. იმწუთსვე, გადაიღო ცნობილი კომედია „ყველაფერი კარგად იქნება".

**– როგორც ვიცი, „ბოლივუდის" რეჟისორები აღფრთოვანებული დარჩნენ საქართველოს ბუნებით და სწორედ აქ გადაწყვიტეს გადაეღოთ ინდური ფილმი, რომელიც სულ მალე გამოვა ეკრანებზე და საკმაოდ დიდ წარმატებებსაც უწინასწარმეტყველებენ კინოკრიტიკოსები.**

– პირველი ბოლივუდური ფილმი, რომელიც საქართველოში გადაიღეს, გახლავთ „უსაზღვრო სიყვარული". მაისში გამოვა დიდ ეკრანებზე. 2013 წელს რომ ჩამოვიდა თბილისში მიტჰუნ ჩაკრაბორტი, ანუ როგორც მას იცნობენ – ჯიმი „დისკოს მოცეკვავედან", თქვა, აუცილებლად გადავიღებ აქ ფილმსო და ეს აასრულა კიდეც. მაისის ბოლოს იგეგმება ინდური ფილმების ფესტივალი საქართველოში და ამ ფილმს აუცილებლად ნახავენ ქართველი მაყურებელი და ინდოელი სტუმრებიც.



**სოფიკო ჭიაურელი პირველი ქართველი მსახიობია, ვინც ინდურ ფილმში ითამაშა**

ფილმში მთავარ როლს თამაშობს მიტჰუნის ვაჟი და მისი პარტნიორია ცნობილი, ინდოელ-გერმანელი მოდელი გოგონა. სხვათა შორის, ეს ერთადერთი ბოლივუდური ფილმია ჩვენს ქვეყანაში გადაღებული. თუმცა, საბჭოთა კავშირის დროს, 3 სამხრეთ-ინდური ფილმი გადაიღეს ჩვენს ქვეყანაში და ქართველი მსახიობებიც თამაშობდნენ, ცნობილ ინდოელ მსახიობებთან ერთად. მაგალითად, ფილმში „ლეგენდა სიყვარულზე" ქართველი მსახიობები არ ყოფილან დაკავებული, მაგრამ, „შავ უფლისწულ აჯუბაში", რომელიც 1988 წელს გადაიღეს, მონაწილეობდნენ ზურაბ ქაფიანიძე, არიადნა შენგელაია, დავით დარჩიაშვილი და აბესალომ ლორია. 1982 წელს, ერთობლივ ინდურ-საბჭოთა ფილმში კი „ალიბაბა და 40 ყაჩაღი", მონაწილეობდნენ ინდური კინოს ცოცხალი ვარსკვლავები და მათ შორის, სპეციალური მიწვევით, ქართველი ლეგენდა – სოფიკო ჭიაურელი და სომხეთიდან – ფრუნზიკ მკრტჩიანი. სოფიკოს მთავარი როლი ჰქონდა ამ ფილმში – იყო ალიბაბას დედა და ეცვა ინდური სარი. ასე რომ, სოფიკო ჭიაურელი პირველი ქართველი მსახიობია, ვინც ინდურ ფილმში ითამაშა.

**– გასაგებია, რომ ინდოელებს ჩვენი ქვეყნის ბუნება მოეწონათ, თუმცა, მათ სამშობლოშიც არანაკლები ბუნებაა, თან ამხელა მანძილზე წამოსვლა, ფილმის გადაღებები და ასე შემდეგ, საკმაოდ ძვირი ჯდება. რა დაინტერესება აქვთ მათ?**

– როცა წელიწადში ათას ფილმს იღებ, ბუნების ყველა ადგილს ამოწურავ. ჩვენთან კი წელიწადის ნებისმიერ დროს შეგიძლია, გადაიღო მთაც, ბარიც და ზღვაც. თან, აქ გადაღება იაფიც ჯდება, გარემოც უცხოა ფილმისთვის, მათთვის მომგებიანია. იმავდროულად, ჩვენი ქვეყნის რეკლამაცაა. ერთ ამბავს გეტყვით, ერთ-ერთი ინდური ფილმისთვის, ავსტრალიაში პლაჟზე გადაიღეს მხოლოდ ერთი სიმღერის კადრი და ეს ფილმი რომ გამოვიდა, იმ პლაჟზე დამსვენებელი ტურისტების უამრავი ნაკადი ჩავიდა. მე ვნახე იმ ფილმის კადრები, რომელიც თბილისში, თელავში, სიღნაღში, ყვარელში, არმაზის ხეობაში გადაიღეს და ისეთი ფერადი, ლალი და ლამაზია ყველა ადგილი, ნამდვილად მოგინდებათ უცხოელი რომ იყოთ, ამ ქვეყნის ნახვა. ამ ფილმის რეჟისორი, სცენარის ავტორი და მსახიობები არიან ინდოელები, ტექნიკური პერსონალი კი – ქართველები. ეს ძალიან კარგი ტენდენციაა.

**– როგორც გავიგე, ამ ფილმში ერთადერთი ქართველი მსახიობი თამაშობს. როგორ მოხვდა დათო როსტომაშვილი „უსაზღვრო სიყვარულის" მორევში?**

– მართალია, დათო როსტომაშვილმა ამ ინდურ ფილმში ოფიციანტის როლი შეასრულა და საკმაოდ კარგად. დათოს ძალიან უყვარს ინდური კინო და სხვათა შორის, „დისკოს მოცეკვავე" 132-ჯერ აქვს ნანახი ***(იცინის).*** ბათუმში იყო, დავურეკე და შევთავაზე ოფიციანტის როლი. სიამოვნებით დამთანხმდა.

**– ყველაზე მეტად რით მოიხიბლნენ „ბოლივუდის" წამყვანი რეჟისორები, პროდიუსერები და მსახიობები საქართველოში?**

– ძალიან მოეწონათ ჩვენი ბუნება, სტუმართმოყვარეობა და მართალია, ინდური სამზარეულო მსოფლიოში ნომერ პირველად ითვლება, მაგრამ გადაირივნენ ხინკალსა და ხაჭაპურზე. თან, აქ ჩამოსულებს ინდური კონცერტი გავუმართეთ და სულ გაგიჟდნენ. სხვათა შორის, ქართული და ინდური ტრადიციები ძალიან განსხვავებულია, მაგრამ ხალხი ვგავართ ერთმანეთს სითბოთი და სტუმართმოყვარეობით. ამ ფილმის მერე კი, უფრო გააქტიურდება ინტერესი – ბევრი ინდოელი რეჟისორი მოინდომებს ჩვენთან ფილმის გადაღებას.

**– რამდენიმე წლის წინ, ვერავინ წარმოიდგენდა, თუ დღეს, ქართულ ტელესივრცეში გაშვებულ ინდურ სერიალებს, ამდენი მაყურებელი ეყოლებოდა. არ მეთანხმებით?**

– სხვათა შორის, შარშან, როცა თურქული სერიალების ბუმი იყო ქართულ ტელესივრცეში და ეხამუშებოდათ ინდური სერიალის ხსენებაც კი, ამის ფონზე, „კომედი არხზე" გაუშვეს პირველად ინდური სერიალი „ინდოეთის სურნელი". აღმოჩნდა, რომ მას უამრავი მაყურებელი ჰყავდა. მე ეს ვიწინასწარმეტყველე და ვთქვი: ეს რეიტინგს აწევს და პოპულარული გახდება-მეთქი. ახლა კი „რუსთავი 2-ზე" ორი ინდური სერიალი გადის, „იმედზეც", „მაესტროზეც" და ასე შემდეგ. ასე რომ, თურქული სერიალების ბუმი, ინდურმა სერიალებმა ჩაანაცვლა და საკმაოდ რეიტინგულად.

**ნონა დათეშიძე**

## ორშაბათი 4 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00** "მოამბე" **10.15, 02.00** "პირადი ექიმი" **11.00, 02.40** "სამოთხის ვაშლები" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.40**, "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ადვოკატები"** **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "არენა" **23.30** მხ/ფ **"კოტონ მერი"**.

**06.00, 15.55** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **21.00** კურიერი **22.00** X-ფაქტორი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი. **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30**, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"კუნგ-ფუს ოსტატი"** **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 18.30** "ბიზნესკონტაქტი" **13.35, 14.05** **სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **19.00** **სერიალი "დამცინავი ღიმილი"** **20.05** **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

**06.45** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30**, ქრონიკა **10.05** სერ. **"კარმა"** **11.20** სერ. **"ივნისის ღამე"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **7** სერ. **18.45, 19.03** სერ. **"შურისძიება"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **5** სერ. **22.00** მხ/ფ **"რემბო - 3"** (ს.სტალონე) **00.00** მხ/ფ **"ტერმინატორი 2"** **02.45** მხ/ფ **"სახიფათო ბანგკოკი"** (შ.იამნარმი).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ივერიის ეკლესია **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.10** მხ/ფ **"ენი მწვანე სახურავების მამულიდან "** III სერ. **07.45** თვენი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ცისფერი მთები"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.35** სპექტაკლი **17.05** დეკორატიული ფლორა **17.20** დოკ.ფილმი "ქართული კერამიკა" **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00** სიახლენი **19.20** მხ/ფ **"ნინო"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი **21.35** ღვთის სახლი **21.50** ამბიონი **22.25** დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვე.ანა,მას საქართველო ჰქვია" **22.50** მუს.პაუზა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ.ფილმი **00.25** სათავეებთან "იაკობ გოგებაშვილი" **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## სამშაბათი 5 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" **11.00, 03.00** "სამოთხის ვაშლები" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ადვოკატები"** **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. **1/2** ფინალი: შესვენებისას: ვიქტორინა **00.30** მხ/ფ **"ანჯელას ფერფლი"** (დრამა. რეჟ: ა. პაკულა).

**06.00, 15.55** სერ.**"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. "სტამბოლის ცა" **19.55** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30**, "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"კუნგ-ფუს ოსტატი"** **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 18.30** "ბიზნესკონტაქტი" **13.35, 14.05** **სერიალი "დაკარგული დრო""** **15.35** გადაცემა "NX-სპიკერი" **16.05, 17.05** **სერიალი "თანაგრძნობა"** **19.00** **სერიალი "მონანიება"** **20.05** **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.15** გადაცემა "IZOS-ანალიზი" **22.50** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

**06.45** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50**, ქრონიკა **10.05** სერ. **"კარმა"** **11.20** სერ. **"ივნისის ღამე"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **8** სერ. **18.45, 19.03** სერ. **"შურისძიება"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **6** სერ. **22.00** ერთი ერთში **00.00** სერ. **"პუაეტა"** **1** სერ. **02.00** მხ/ფ **"ტერმინატორი 2"** (ლ.ჰამილტონი).

**06.10** მუს.პაუზა **06.20** სპექტაკლი **07.55** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი **10.40** დოკ. ფილმი "არის ასეთი ქვე.ანა,მას საქართველო ჰქვია" **10.55** დოკ.ფილმი "ათცამეტი ასურელი მამის კვალდაკვალ" **11.30** ამბიონი **11.40** ღვთის სახლი **12.10** მხ/ფ **"ნინო"** **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** კონცერტი **16.15** სათავეებთან "იაკობ გოგებაშვილი" **16.55** დოკ.ფილმი "მიწის სჯული" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** დოკ.ფილმი "ქურმუხობა" **19.50** მუს.პაუზა **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დოკ. ფილმი **00.30** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

გაგრძელება 35-ე გვერდზე

## კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი“**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**4 – 10 მაისი**

*დარბაზი 1*

12.30, 15.45, 19.30, 22.30 - **„შურისმაძიებლები: ალტრონის ერა”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 2*

14.00, 16.00, 18.00, 20.00 - **„ცელქი ბავშვები 2”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.30 - **„კონკია”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

17.15 - **„ფორსაჟი 7”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

20.15, 22.30 - **„ლაზარს ეფექტი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.15, 15.45, 19.00, 22.30 - **„ფორსაჟი 7”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.15 - **„სახლი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

17.00, 19.45, 22.30 - **„სიყვარულის გზა”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი”**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.15, 15.40, 19.15, 22.30 - **„შურისმაძიებლები: ალტრონის ერა”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00 - **„სახლი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

16.45, 19.30, 22.00 - **„სიყვარულის გზა”**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.30, 15.45, 19.00 - **„ფორსაჟი 7”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

22.30 - **„შურისმაძიებლები: ალტრონის ერა”** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;*

ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი ზღაპარული თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ხორცი პიკანტურ სოუსში






**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი ღორის რბილი ხორცი, 250 მილილიტრი სოიის სოუსი, 3 სადილის კოვზი თაფლი, 80 მილილიტრი საკე, ან ბრინჯის ღვინო, ან მშრალი ხერესი. 1 ცალი მთლიანი იმბირი (2 სანტიმეტრი სიდიდის), 1 თავი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 1 ცალი დარიჩინის ნატეხი, 1 ცალი მიხაკი.

**მომზადების წესი:** იმბირი გაასუფთავეთ და წვრილად დაჭერით. ხახვი გაარჩიეთ და ოთხად გაჭერით; ნიორი – დანაყეთ. ღორის ხორცის ნაჭერი ჩაჭერით ღრმად, მთელ სიგრძეზე ბასრი დანით, რომ მარინადით კარგად გაიჟღინთოს.

ჯამში ერთმანეთს შეურიეთ მარინადის ინგრედიენტები: ჩაასხით სოიის სოუსი, დაუმატეთ იმბირი, თაფლი, ნიორი, საკე, დარიჩინი და მიხაკი. ასევე, ხახვი. ხორცი მოათავსეთ პოლიეთილენის პარკში და ჩაასხით მასში მარინადი. მჭიდროდ მოუკარით თავი, ისე, რომ მთელი ჰაერი წინასწარ გამოუშვათ. ამ მდგომარეობაში გააჩერეთ ხორცი 3 საათით.

აირღუმელი გააცხელეთ 220 გრადუსზე. ღრმა ფორმაში მოათავსეთ ხორცი და მოასხით დარჩენილი მარინადი. გამოაცხვეთ ძალიან მაღალ ტემპერატურაზე 12 წუთის განმავლობაში. გამოიღეთ. ფორმაში ჩაღვრილი ცხელი სოუსი ისევ მოასხით და კვლავ 12 წუთით მოათავსეთ აირღუმელში. მზა ხორცი დაჭერით. მორჩენილი მარინადი გადმოწურეთ. მოასხით ხორცს და მიირთვით.

# შოკოლადის დესერტი



**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ჭიქა მანანის ბურღული, 1 ჭიქა არაჟანი, 1 ჭიქა შაქარი, 3 ცალი კვერცხი, 0,5 ჩაის კოვზი სოდა ან გამაფხვიერებელი, 1 შეკვრა შოკოლადი (რძიანი), 2 სადილის კოვზი კაკაოს ფხვნილი.

**მომზადების წესი:** საკმაოდ სწრაფად მზადდება. ჯამში ერთმანეთს შეურიეთ ყველა ინგრედიენტი, შოკოლადის გარდა. მიიღებთ სქელ ცომს. გამოაცხობთ აირღუმელში, 10 წუთის განმავლობაში.

გამოიღეთ, მოასხით გამდნარი შოკოლადი და მზად არის. ჰაეროვანია და ძალიან გემრიელი.

# ქათამი სოკოთი






**საჭირო ინგრედიენტები:** ქათმის ბარკლები და ბარკლის ძირები – 6 ცალი, 300 გრამი ქამა სოკო, 80 გრამი ნაღები, ნახევარი ბულიონის კუბიკი (გახსნილი ერთ ჭიქა მდუღარეში), 100 მილილიტრი თეთრი, მშრალი ან ნახევრად მშრალი ღვინო, 2 სადილის კოვზი მდოგვი, 1 ჩაის კოვზი ქონდარი (ან ხმელი სუნელი), კარაქი ან ზეთი – შესაწვავად, მარილი და პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ტაფაზე გააცხელეთ კარაქი, ან ზეთი, ან ორივე ერთად. შებრაწეთ მასში ქათმის ნაჭრები. კარგად უნდა დაიბრაწოს. სოკო დაჭერით მსხვილად. იმავე ტაფაზე, რომელზეც დაბრაწეთ ხორცი, მოშუშეთ სოკოც – შეწითლებამდე. დასხით ღვინო, ბულიონი და შუშეთ ალკოჰოლის აქროლებამდე. შემდეგ ჩაუმატეთ ნაღები, მდოგვი და შუშეთ 10 წუთი. როცა სოუსი ცოტა შესქელდება, უყავით მარილი და პილპილი – გემოვნებით.

ქათმის ნაჭრები ჩაწყვეთ ცეცხლგამძლე ჭურჭელში. მოასხით სოუსი სოკოთი. მოაყარეთ სუნელი ან მშრალი ქონდარი. მოათავსეთ აირღუმელში 180 გრადუსზე 30 წუთის განმავლობაში. საოცრებაა.

შეგიძლიათ მოუმზადოთ ნებისმიერი გარნირი.

# ხორცი – სწრაფი რეცეპტით






**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი მჭლე ხორცი (ძროხის ან ღორის, სულერთია), 2 ცალი სტაფილო, 3 ცალი ოხრახუშის ღერო, 1 ცალი ფორთოხლის წვენი და ცედრა, 1 ჩაის კოვზი კურკუმა, 1 სადილის კოვზი სოიის სოუსი, 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, მარილი, პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ხორცი დაჭერით წვრილ და გრძელ ნაჭრებად. სტაფილო დაჭერით თხელ, გრძელ ფირფიტებად. ხორცს მოაყარეთ მარილი, პილპილი, კურკუმა, მოასხით სოიის სოუსი და აურიეთ. ძალიან ცხელ ტაფაზე დაყარეთ ხორცი მშრალად და მოხრაკეთ. მოასხით ფორთოხლის წვენი, მოაყარეთ ცედრაც და შუშეთ თავდახურულ ტაფაში. მიიყვანეთ ადუღებამდე და ჩაუმატეთ სტაფილო. კიდევ ორი წუთი შუშეთ მოასხით ზეთი, მსხვილად დაჭრილი ოხრახუში, აურიეთ და გადმოდგით ცეცხლიდან. მზად არის.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# გურმანთა მეგზური

## სპაგეტი ტკბილი წიწაკის სოუსით – კახა კუხიანიძისგან





*შეიძლება ითქვას, კუბში აყვანილი გურმანი ვარ. მიყვარს იაპონური, ჩინური, ფრანგული და იტალიური სამზარეულო და, რასაკვირველია, ქართული სამზარეულოს ფანიც ვარ. თავადაც კარგად ვამზადებ – ამბობენ, რომ გემრიელი კერძები გამომდის, განსაკუთრებით კი სპაგეტი, რომლის რეცეპტსაც ჟურნალ „თბილისელების“ მკითხველებსაც გავუზიარებ.*

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 სადილის კოვზი კედრის თესლი, 100 გრამი სპაგეტი, 100 გრამი „გრილზე” შემწვარი ბულგარული წიწაკა, 4 კბილი ნიორი, 1 სადილის კოვზი ყველი პარმეზანი, 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, ისპანახის ფოთლები მოსართავად, მარილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** კედრის თესლი მოხალეთ. სპაგეტი მოხარშეთ შეფუთვაზე მითითებული წესის მიხედვით. კედრის თესლი, წიწაკა, ყველი, ნიორი, მარილი და ზეთი დააბლენდერეთ. სოუსი შეურიეთ მაკარონს და შეათბეთ, რომ კარგად აირიოს. ბოლოს მოაყარეთ დაჭრილი ისპანახის ფოთლები.

## ჯიგრის ყაურმა



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ღორის ჯიგარი და ბადე-ქონი, 500 გრამი ხახვი, 2 კონა ქინძი, 2 სადილის კოვზი ხმელი ქონდარი, 1 ჩაის კოვზი ძირა, 1 ჭიქა მზა ტყემალი ან პომიდვრის საწებელი, მარილი და წიწაკა – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** წვრილად დაჭრილი ჯიგარი და ბადე-ქონი ჩაყარეთ ქვაბში, დაჭრილ ხახვთან ერთად, დაასხით იმდენი წყალი, რომ ოდნავ დაიფაროს, დადგით ცეცხლზე. როცა ჩაიშუშება, დაუმატეთ სანელებლები, დაჭრილი ქინძი, ტყემალი ან პომიდვრის საწებელი. სასურველი სისქის მისაღებად კიდევ შეგიძლიათ, დაუმატოთ ცხელი წყალი და ადუღეთ ხორცის სრულ მომზადებამდე.



## ხორცი ბადრიჯნით



**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი ბადრიჟანი, 1 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 200 გრამი საქონლის ფარში, 0,5 ჩაის კოვზი დარიჩინი, 0,5 ჩაის კოვზი ხმელი ქინძი, 2 ცალი მოზრდილი პომიდორი, 0,5 ჭიქა ზეთი, 50 გრამი თეთრი მშრალი ღვინო, სულგუნის რამდენიმე ცალი ფირფიტა, 2-3 სადილის კოვზი გახეხილი ყველი – პარმეჯანო, მარილი.

**მომზადების წესი:** ბადრიჟანი დაჭერით და მოაყარეთ მარილი. ტაფა კარგად გაახურეთ, დადეთ ზედ ფარში, დაამატეთ ცოტა ზეთი და მოშუშეთ; დააყარეთ დაჭრილი ხახვი, 3 წუთში კი – დაჭყლეტილი პომიდორი, დაკეპილი ნიორი, მარილი და დანარჩენი სანელებლები; ბოლოს დაასხით ღვინო და 15 წუთი შუშეთ დაბალ ცეცხლზე. ბადრიჟანი გაწურეთ და შეწვით ზეთში ცალკე ტაფაზე. ფორმაში ფენა-ფენა მოათავსეთ შემწვარი ბადრიჟანი, სულგუნის ფირფიტები და ფარში, ბოლოს კი მოაყარეთ გახეხილი ყველი. შედგით 170 გრადუსზე გახურებულ ღუმელში და აცხვეთ, სანამ ყველი მოიბრაწება.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები






## ბედნიერების ნალი

ამ ნალს ბედნიერება თუ არ მოაქვს, ძალიან ლამაზი აქსესუარი ნამდვილად არის. დაგჭირდებათ წებო, მუყაოს ნაჭერი, კანაფი, ლიმონის ან ფორთოხლის ორი ნაჭერი და ლობიო. შეგიძლიათ, ფერადი ლენტებიც დაუმატოთ.

გამოჭერით მუყაოსგან ნალი. წაუსვით წებო და მჭიდროდ დაახვიეთ კანაფი. კანაფსაც წაუსვით წებო და დააწებეთ ლობიო, ფორთოხლის ნაჭრები. ბოლოს გადაუსვით უფერო ლაკი და გაუკეთეთ ჩამოსაკიდი.



## სუფრის მოსართავი

საზეიმო სუფრა რომანტიკული ვახშმისთვის თქვენვე შეგიძლიათ, გააფორმოთ. დაგჭირდებათ სამი ცალი მაღალფეხიანი ბოკალი, სამი ცალი სანთელი ლითონის გარსში, ხმელი ყვავილის ტოტები ან ხელოვნური ყვავილები. დახედეთ სურათს. დანარჩენს თავადვე მიხვდებით.

* შემწვარი საქონლის ხორცი უფრო წვნიანი გახდება, თუ შეწვამდე, რამდენიმე წამით მდუღარე წყალში ჩადებთ.

30-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 6 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 01.30** "პირადი ექიმი" **11.00, 02.10** "სამოთხის ვაშლები" **12.40, 03.10** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.20** "საუკუნის პორტრე-ტები" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" ტ/სერ. "**ადვოკატები**" **22.00** მხ/ფ "**ქრისთი დაბრუნება ქათერ გეფში**" **23.30** მხ/ფ "**რადგან ბეისბოლი მიყვარს**".

**06.00, 15.55** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. "**ბედისწე-რა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** "ნანუკას შოუ" **22.40** ჩემპიონთა ლიგა **00.45** პოკერი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**კუნგ-ფუს ოსტატი**" **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 18.30** "ბიზნესკონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** გადაცემა "NX-სპიკერი" **16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა"** **19.00 სერიალი "მონანიება"** **20.05 სერი-ალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

**06.45** სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50,** ქრონიკა **10.05** სერ. "**კარმა**" **11.20** სერ. "**ივნისის ღამე**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიცოცხლის საფასური**" **9** სერ. **18.45, 19.03** სერ. "**შურისძიება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **7** სერ. **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.00** სტუმრად იუმორინასთან **00.00** სერ. "**პუპეტა**" **2** სერ. **02.00** MTV-ის ევროპის მუსიკალური დაჯილდოების ცერემონია – **2014**.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.20** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.25** მგზავრები წუთის-ოფლისა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ქვიშით ნაამბობი **10.40** ქრისტიანული ხელოვნება **12.10** ღია აუდიტორია **12.50** დოკ.ფილმი "ქურმუხობა" **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** კონცერტი **16.20** დოკ. ფილმი " წმ.დიდმოწამე გიორგი" **16.50** კვირიაკე **17.45** საქართველოს სამართლის ისტორია **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** მხ/ფ "**შეხვედრა მთაში**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ. ფილმი "წმინდა გიორგი" **00.30** დოკ.ფილმი "მიწის სჯული" **01.00** "შუ-ადღე"ერთსულოვნებაზე.

## ხუთშაბათი 7 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15** "პირადი ექიმი" **11.00, 03.00** "სამოთხის ვაშლები" **12.40** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ადვოკატები 16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.30** "უცნობი მუსიკა" **01.00** მხ/ფ "**კოზირის ტუზები**".

**06.00, 15.55** სერ." "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ." "**ბედის-წერა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. "**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **22.00** პროფილი **23.55** აჭარა ბეთის გათამაშება **00.15** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**კუნგ-ფუს ოსტატი**" **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 18.30** "ბიზნესკონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო""** **15.35** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა"** **19.00 სერიალი "მონანიება"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.15** გადაცემა "IZOS-ანალიზი" **22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

**06.45** სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**") **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50,** ქრონიკა **10.05** სერ. "**კარმა**" **11.20** სერ. "**ივნისის ღამე**" **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. "**ორი ბედი**" **17.35** სერ. "**სიცოცხლის საფასური**" **18.45, 19.03** სერ. "**შურისძიება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **8** სერ. **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** სერ. "**პუპეტა**" **3** სერ. **02.00** მხ/ფ "**კოდური სახელი "ჯერონიმო**" (ფ.როდრიგესი).

**06.10** მუს.პაუზა **06.15** ისტორიის გაკვეთილი **06.40** პატერიკი **07.25** დეკორატიული ფლორა **07.40** საქართველოს ქალაქები **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** "ივერიის ეკლესია" **11.00** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**შეხვედრა მთაში**" **13.15** ღვთის სახლი (აფხაზეთი) **13.30** "შუადღე"ერ-თსულოვნებაზე **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.50** მწვანე არქიტექტურა **16.30** კონცერტი "მორის რაველი საფორტეპი-ანო კონცერტი - ლექსო თორაძე" **17.10** დოკ. ფილმი "ფერეიდნელი გურჯები" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** "პორტრეტები" **20.15** მოკ/ფ "**ადგილის დედა**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დოკ. ფილმი **22.25** კარაბადინი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დოკ. ფილმი **00.30** დიდ ხარ შენ უფალო **01.00** "შუადღე"ერ-თსულოვნებაზე.

## პარასკევი 8 მაისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.15, 01.50** "პირადი ექიმი" **11.00, 02.30** "სამოთხის ვაშლები" **12.40,** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**ადვოკატები**" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** თოქ-შოუ: I სტუდია **00.00** მხ/ფ "**აეროპორტი 77**" (ჯ.ლემონი).

**06.00, 15.55** სერ." "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.15** სერ." "**ბედის-წერა**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ."**მოჯადოებულები**" **18.55** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.55** სერ. "**ქარადაი**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **31 01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია "**კუნგ-ფუს ოსტატი**" **10.05, 11.05 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 18.30** "ბიზნესკონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "და-კარგული დრო""** **15.35** გადაცემა "მონიტორი" **16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა"** **19.00 სერიალი "მონა-ნიება"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"**

21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.30 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

06.45 სერ. "**სიცოცხლის სიყვარული**" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50, ქრონიკა 10.05 სერ. "**კარმა**" 11.20 სერ. "**ივნისის ღამე**" 12.30 დღის შოუ 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ. "**სიცოცხლის საფასური**" 18.45, 19.03 სერ. "**შურისძიება**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 9 სერ. 22.00 რეაქცია 00.00 სერ. "**პუპეტა**" 4 სერ. 02.00 მხ/ფ "**გალიის მეფე**" (ს.სიგალი).

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 დოკ. ფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი 11.25 კარაბადინი 12.10 პორტრეტები 13.05 მოკ/ფ "**ადგილის დედა**" 13.30 "შუადღე"ერთსულოვნებაზე 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 კონცერტი ანსამბლი "იმერი" 17.20 მიწათმოქმედი (რ. შალიბაშვილი) 17.40 თვენი 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ღიმილის ბიჭები**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები 00.35 კონცერტი 01.00 "შუადღე"ერთსულოვნებაზე.

## შაბათი 9 მაისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" 09.00 ანიმაც/ფ. "ტატონკას თავგადასავალი" 10.00 მხ/ფ "**ნევერლენდი**" 11.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "სპექტაკლის დრო" 14.00 დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" 15.00 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 16.30 "გურმანია" 16.55 **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: "**დინამო**" (ბათუმი) – "**დინამო**" (თბილისი) 18.55 ქართ. ტ/ფ "**წკიპურტები**" 21.00 ქართ. მხ/ფ "**ჯარისკაცის მამა**" (ს.ზაქარიაძე) 22.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 23.30 "წითელი ზონა" 00.30 მხ/ფ "**კარი იატაკში**" (კ.ბესინჯერი) 02.20 დ/ფ "ალის პირისპირ".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია 10.30 კომედი შოუ 11.00 ექიმები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 მოგზაურობა გ.გაბუნიასთან 14.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 15.30 X-ფაქტორი 18.30 პკპ 19.00 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 23.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 32 23.50 რა? სად? როდის? 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 7.30 ანიმაცია "**მაგიის რაინდები**" 9.00 **სერიალი "კარმა"** 10.00 გადაცემა "NX-სპიკერი" 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 გადაცემა "ფული და სურვილები" 16.00 **სერიალი "თანაგრძნობა"** 17.00 "ოთარ ტატიშვილის შოუ" 18.30 გადაცემა "ოლიმპიური დღიურები" 19.00, 19.05 **სერიალი "მონანიება"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 მხ/ფ "**კონფორმისტი**".

07.30 სერ. "**ჰანა მონტანა**" 6 სერ. 08.00 სერ. "**ოლივერ ტვისტი**" 6 სერ. 09.00 ქ.მხ/ფ "**ღიმილის ბიჭები**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ერთხელ საქართველოში 12.00 შალვა რამიშვილის შოუ 13.00 კულინარიული დუელი 14.40, 15.55 სერ. "**ორი ბედი**" 17.35 სერ. "**სიცოცხლის საფასური**" 18.45, 19.03 სერ. "**შურისძიება**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ-2**" 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 მხ/ფ "**მონოგა**" (კ.კლაინი) 01.35 მხ/ფ "**სამი მუშკეტერი**" (კ. საზერლენდი).

06.10 მუს.პაუზა 06.15 ღვთის სახლი 06.20 თბილისის ტაძრები 06.40 ეპოქის სახელები 07.20 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "ჩვენი საგანძური" (ჩვენი ფონდი). გვანცელაძე 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.15, 19.00, 22.00, 00.35, 02.30 სიახლენი 10.40 დოკ. ფილმი 10.50 კვირიაკე 11.50 ამბიონი 12.10 მხ/ფ "**ღიმილის ბიჭები**" 13.25 მედია ოკუპირებულ ტერიტორიაზე 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 დოკ. ფილმი გოგი გეგეჭკორი "ხელოვნების ქურუმი" 16.25 კონცერტი ბეთჰოვენი დირიჟორი რევაზ ტაკიძე 16.50 დოკ. ფილმი "აღდგომა თებერვალში" წმ. გაბრიელი 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 18.10 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 18.35 საქართველოს სამართლის ისტორია 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 დეკორატიული ფლორა 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 შუადღის სტუმარი 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.20 მწვანე არქიტექტურა 00.05 დროის ჩანაწერები 01.45 მხ/ფ "**გამტაცებელთა კლუბი**".

## კვირა 10 მაისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" 09.00 ანიმაც/ფ "ტატონკას თავგადასავალი" 10.00 მხ/ფ "**ნევერლენდი**" 11.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ფერმა" 13.00 "ქართული ჯარი" 13.30 "ვაშინგტონი დღეს" 14.00 მხ/ფ "**ჯონი ინგლიში**" 16.30 "გურმანია" 17.00 "ეს საქართველოა" 17.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები" 18.00 მხ/ფ "**ჩიტი მავთულზე**" (გ.ჰოუნი) 20.30 "ტელებლოგი" 21.00 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 22.00 "მშვიდობით იარაღო" 23.00 კონცერტი: ნანი ბრეგვაძე 00.30 მხ/ფ "**ედი ტელევიზორიდან**" (ვ.ჰარელსონი) 02.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 03.30 დ/ფ "დიდებული სასახლეები".

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ქ.მხ/ფ 10.30 სახლი 11.00 ეკი ვოკი 12.00, 15.00, 18.00 კურიერი 12.30 ვანოს შოუ 14.00 იღბლიანი ბორბალი 15.30 ქერის უბანი 16.00 პროფილი 18.40 ექიმები 19.40 კომედი შოუ 21.00 P.S. 22.30 აქცენტები 23.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 33 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ."

7.00, 12.00, 15.00, 18.00, 0.30 "მაესტროს ახალი ამბები" 77.30 ანიმაცია "**მაგიის რაინდები**" 9.00 **სერიალი "კარმა"** 10.00 გადაცემა "NX-სპიკერი" 10.30 სამედიცინო გადაცემა "პულსი" 11.00 **სერიალი "რვაფეხა"** 12.30 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 15.35 **სერიალი "თანაგრძნობა"** 18.30 გადაცემა "უცნობი ისტორიები" 19.00 **სერიალი "მონანიება"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი" 21.30 "ოთარ ტატიშვილის შოუ" 22.30 გადაცემა "ფული და სურვილები" 23.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**.

08.00 სერ. "**ჰანა მონტანა**" 7 სერ. 08.30 სერ. "**ოზის ალქაჯები**" 1 სერ. 09.30 ქ.მხ/ფ "**მხიარული რომანი**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ. "შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ - 2"13.00 სტუმრად იუმორინასთან 14.30 იმედის გმირები 15.00 ქ.მხ/ფ "**ჯარისკაცის მამა**" 17.30 ერთი ერთში 20.00 იმედის კვირა 22.00 შალვა რამიშვილის შოუ 23.00 ერთხელ საქართველოში 23.30 მხ/ფ "**საბედისწერო ნიშნები**" 01.35 მხ/ფ "**ჯაშუში სამეზობლოში**" (ა.ვალეტა).

06.10 მუს.პაუზა 06.20 მედია ოკუპირებულ ტერიტორიაზე 06.50 მწვანე არქიტექტურა 07.30 მულტ.ფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 საკვირაო სახარების განმარტება 08.40 ღვთის სახლი 08.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.10 სიახლენი 10.25 ივერიის ეკლესია 10.40 შუადღის სტუმარი 11.30 ქართული ალბომი 12.15 მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.15 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.20 მულტ.ფილმი ქართული 15.40 მუს.პაუზა 15.55 ერთსულოვნების სალონი 16.45 ეპოქის სახელები 17.20 წიგნიერების გაკვეთილები 18.30 დროის ჩანაწერები 19.10 მხ/ფ "**სამანიშვილის დედინაცვალი**" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.40 კვირიაკე 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საქართველოს სამართლის ისტორია 23.20 დოკ. ფილმი 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.30 პორტრეტები 01.20 მხ/ფ "**მე დევიდი ვარ**".

# რა კავშირია ადამიანის დაბადების თარიღსა და ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს შორის



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ჩასახვისა და დაბადების თარიღი ადამიანის ცხოვრებაზე მართლაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამიტომაც არის საჭირო ასტროლოგიური პროგნოზის შედგენის დროს ადამიანის დაბადების ზუსტი საათისა და წუთის გათვლა, რადგან, ვარსკვლავებისა და პლანეტების წამიერი განლაგება განსაზღვრავს ადამიანის ბედს მისი დაბადების მომენტში და ეს ბედი მას მთელი სიცოცხლის განმავლობაში გასდევს. ჩასახვის დრო ადამიანის ჯანმრთელობაზეც აისახება. მაგალითად: ზაფხულში და შემოდგომაზე მომავალი დედის ორგანიზმი ვიტამინებით, მიკროელემენტებითა და მინერალებითაა სავსე, შედარებით სუფთა ჰაერსაც ჩაისუნთქავს და ამ დროს ჯანმრთელი ბავშვის დაბადების მეტი შანსია. ზამთარში და ადრეულ გაზაფხულზე ორსული ქალი ნაკლებ ვიტამინებს იღებს, განიცდის მზის სხივების დეფიციტს, ორგანიზმი დასუსტებულია და, ამიტომ, შესაძლებელია, ადამიანს სეზონური დეპრესია ან ვირუსული ინფექცია შეეყაროს. ამ დროს, ყოველივე ამის ფონზე, შედარებით სუსტი ჩვილები იბადებიან.

ასტროლოგიურად ბავშვის გუნება-განწყობასთან თავისებური კავშირი აქვს მამასაც. გაზაფხულზე შედარებით მხიარული ბავშვები ისახებიან, შემოდგომით კი – მოწყენილები და ნელები. ამ დროს მშობლის ასაკსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება; ასევე, მნიშვნელოვანია მომავალი დედის სწორი კვება, სიმშვიდე, ეკოლოგიურად სუფთა გარემო და ასე შემდეგ.

მართალია, ბუნებაში ყველაფერი თუ არა შემთხვევების უმეტესობა სპონტანურად ხდება, მაგრამ, კარგი იქნება, თუ ბავშვის ჩასახვას მაინც ვარსკვლავებს „დაეკითხებით."

ასტროლოგიურად ცნობილია, თუ რა კავშირია ადამიანის დაბადების თარიღსა და ყველაზე გავრცელებულ დაავადებებს შორის. აღმოჩნდა, რომ დეკემბერსა და იანვარში დაბადებულ ადამიანთა უმრავლესობას სასუნთქი ორგანოების დაავადებები აწუხებს; თებერვალსა და მარტში დაბადებულებს – ეპილეფსია, შიზოფრენია და დეპრესიები; აპრილსა და მაისში დაბადებულებს – ანორექსია და პარკინსონი; ივნისსა და ივლისში დაბადებულ ადამიანებს – ალერგია; აგვისტოში დაბადებულებს – ლეიკემია; სექტემბერსა და ოქტომბერში დაბადებულ ადამიანებს ალკოჰოლიზმი და შიშები; ნოემბერში დაბადებულებს ხშირი დეპრესიები და ვენების გაგანიერება.

ასტროლოგიური კუთხით, სანამ ახალი სიცოცხლე მოევლინება ქვეყანას, ორსული ქალი გადის განვითარების რამდენიმე ეტაპს. ორსულობის ყოველ თვეს თავისი მფარველი პლანეტა მართავს. ამის მიხედვით, ორსულმა ქალმა უნდა იცოდეს, თუ რომელი მოვლენა უნდა წამოსწიოს წინა პლანზე და რა გაითვალისწინოს ამ ეტაპებზე.

ორსულობის პირველ თვეს მართავს მზე და მისი ენერგია. ამ დროს მომავალი დედა ვალდებულია, ხელი შეუწყოს ბავშვის ჰარმონიულ განვითარებას კოსმიური ენერგიებისა და მათი ზეგავლენის მიხედვით. ამ პერიოდში ორსულმა ქალმა მეტი დრო უნდა დაუთმოს მუსიკის მოსმენას, ხატვას, სიმღერას, შემოქმედებით საქმიანობას. მზის ენერგია ამ დროს ხელს უწყობს ემბრიონში ფიზიკური შესაძლებლობების ჩამოყალიბებას, სამომავლოდ მის დაინტერესებას ხელოვნებისადმი; ასევე, მუცლადყოფნის პერიოდში ამაღლებს მის სულიერ პოტენციალს.

ორსულობის მეორე თვეს მართავს მთვარე და ხდება ემბრიონის ქვეცნობიერი სამყაროს ჩამოყალიბება. უმჯობესია, ამ დროს მომავალი დედა ხშირად განმარტოვდეს, რათა ნეგატიური ზეგავლენისგან დაიცვას ბავშვი და ხელი შეუწყოს მის ზრდასა და პოტენციალის განვითარებას.

მესამე თვე უკავშირდება პლანეტა მარსს. ორსულმა ქალმა ყველაზე მეტი ყურადღება და სიფრთხილე ამ დროს უნდა გამოიჩინოს, რომ არ გაცივდეს, არ მიიღოს ტრავმები და ამით ბავშვი არ დააზიანოს.

ორსულობის მეოთხე თვეს პლანეტა მერკური მართავს. მომავალმა დედამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას: უნდა უყუროს შემეცნებით გადაცემებს, რომანტიკულ ფილმებს, იაროს მუზეუმებში. ამით ის გააღრმავებს ბავშვის მიდრეკილებებს ცოდნისადმი.

მეხუთე თვე უკავშირდება იუპიტერის ზეგავლენას. ამ დროს ბავშვზე დიდ ზემოქმედებას ახდენს დედის მოქალაქეობრივი პოზიცია – ის ამით ბავშვის მომავალ ცნობიერებას აყალიბებს.

ორსულობის მეექვსე თვეს მართავს ხელოვნებისა და სიყვარულის პლანეტა – ვენერა. ის უზრუნველყოფს ბავშვის ემოციებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ამ პერიოდში დედა ეზიაროს სილამაზეს: შეიძინოს ლამაზი ნივთები, უსმინოს მუსიკის ჰარმონიულ ჰანგებს, იცხოვროს კომფორტულ და ლამაზი დიზაინის მქონე ბინაში. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ ამ დროს, დედის მუცელში მყოფ პატარას ყველაზე მეტად მამის ხმის ტემბრი ამახსოვრდება. ორსულობის მეექვსე თვეში ხდება მამა-შვილს შორის დამოკიდებულების განსაზღვრა.

მეშვიდე თვეს მართავს პლანეტა სატურნი. ამ დროს ბავშვი ოჯახური იდილიის შეგრძნებას იწყებს. ამიტომ, ორსულმა ქალმა მეტი დრო უნდა გაატაროს ოჯახის წევრების გვერდით, მეგობრებთან, საყვარელ ადამიანებთან. საგარეუბნო ზეგავლენას ბავშვი მუცლად ყოფნის სწორედ მეშვიდე თვეს შეიგრძნობს.

ორსულობის მერვე თვეს მართავს პლანეტა ურანი. ამ პერიოდში ქალი ხდება ცნობისმოყვარე, აინტერესებს სიახლეები, მეგობრებთან აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ურთიერთობები და ამას ბავშვიც გრძნობს.

მეცხრე თვეში პლანეტა ნეპტუნი ახდენს გავლენას ორსულ ქალსა და მის პატარაზე. ამ დროს აუცილებელია სიახლოვე ბუნებასთან. ეს არის სიბრძნის მიღების, ინტუიციის განვითარების პერიოდი. თუმცა, ქალში ჩნდება შიშის შეგრძნება, რაც ბავშვის ფსიქიკაზე ნეგატიურად აისახება. ამიტომ ქალმა ამისგან თავი უნდა დაიზღვიოს და მეტი დრო დაყოს ბუნებაში, მშვიდ გარემოში.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: ჩემი შვილი დაიბადა 1993 წლის 17 აპრილს. გთხოვთ, გვითხრათ, რა არის მისი კარმული მისია და რომელ პროფესიებში ელის წარმატება?**

**პასუხი**: რაც შეეხება კარმულ-კოსმიურ მისიას, მისთვის აუცილებელია ხასიათში ისეთი თვისებების გამოვლენა, როგორებიცაა: აქტიურობა, ინიციატივიანობა, ენერგიულობა. უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა და ორგანიზატორული ნიჭი. იმავდროულად, უნდა იყოს უშიშარი, მებრძოლი სულისკვეთების ადამიანი, ეყრდნობოდეს კეთილშობილებას, კომუნიკაბელურობას, ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს. ასევე, შეეძლოს შუამავლის როლის შესრულება ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს შორის. მისი კარმული მისია უცხოეთია. ამიტომ, იქ გამგზავრება და ცოდნის, კაპიტალისა და გამოცდილების დაგროვება დაეხმარება სამშობლოში წარმატებებს მიაღწიოს. პროფესიებიდან კი მისთვის მისაღებია და კარგი: პოლიტიკის ფართო სპექტრი, პროფესიონალური დიპლომატია საელჩოებისა და საკონსულოების დონეზე, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი ან შემოქმედება, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო-საგამომცემლო ინდუსტრია, ავიაციის ბიზნესი, ქორეოგრაფია და იურისპრუდენცია.

**ვერძი**
გაიზრდება შემოსავლები, ფულის ხარჯვა კი დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ. დაღლის შემთხვევაში გამონახეთ დრო დასვენებისთვის. კარგია იმიჯის შეცვლა და ავტორიტეტულ პირებთან დაახლოება. სასიყვარულო სფეროში ცვლილებების შეტანა მეტად გაგახალისებთ.

**კურო**
ამ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდება. გაიზრდება თქვენი ამბიციები, გაგიჩნდებათ ახალი მიზნები და იდეები. კარიერაში ცვლილებებია მოსალოდნელი. მოგზაურობისას არსებობს რომანტიკული შეხვედრის დიდი ალბათობა.

**ტყუპები**
დასახული მიზნების მისაღწევად მოერიდეთ ფარულ ქმედებებს და დამოუკიდებლად ნურაფერს დაგეგმავთ. სანამ გამოიყენებთ, კარგად გადაამოწმეთ ინფორმაცია. შეამცირეთ გადაადგილებებისა და შეხვედრების რაოდენობა. მოერიდეთ რისკს.

**კირჩხიბი**
ცხოვრებაში მომხდარი უეცარი მოვლენები მეტად მობილურსა და ქმედითუნარიანს გაგხდით. გადაადგილებები და შეხვედრები ახალი კავშირების დამყარებაში დაგეხმარებათ. საქმიან პარტნიორებთან გაურკვეველი ურთიერთობა მატერიალურ მდგომარეობაზე აისახება. აუცილებლად დაისვენეთ და აღიდგინეთ ძალები.

**ლომი**
ყურადღება მიაქციეთ წვრილმანებს და გაიაზრეთ თქვენი ყოველი ნაბიჯი. იყავით მეტად ტაქტიანი, რათა თავი აარიდოთ კამათს. ხშირად დაისვენეთ. ნუ იეჭვიანებთ საყვარელ ადამიანზე. ამ კვირაში არ გირჩევთ სამკურნალო პროცედურების ჩატარებას.

**ქალწული**
მოთმინება და შეუპოვრობა დაგეხმარებათ წინააღმდეგობების დაძლევაში. საქმიანი კავშირების მეშვეობით გაგიადვილდებათ საქმის მოგვარება. ეცადეთ, სახლში დაამყაროთ ჰარმონიული ურთიერთობები და შეინარჩუნოთ მხიარული განწყობა. საყვარელ ადამიანს კი გულისყურით მოუსმინეთ და, შეეცადეთ, გაუგოთ.

**სასწორი**
სიზარმაცე ხელს შეგიშლით აქტიურ მოქმედებებში. კარგია განმარტოება და გეგმების დასახვა. ნუ აეჭვიანებთ საყვარელ ადამიანს თქვენი ფარული მოქმედებებით. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ.

**მორიელი**
გაიზრდება თქვენი პატივმოყვარეობა და ამბიციურობა. მოგინდებათ ახალი საქმეების წამოწყება. მეტი ყურადღება მიაქციეთ კოლეგების, ახლობლებისა და მეგობრების რჩევებს. პირად ცხოვრებას მეტი დრო დაუთმეთ, თუმცა, იმოქმედეთ ფრთხილად და წინდახედულად.

**მშვილდოსანი**
ენერგიის უკმარისობა ემოციურ დისბალანსს გამოიწვევს, რაც ცუდად აისახება საქმიან ურთიერთობებზე. გაიზრდება გადაადგილებების რაოდენობა. კარგია ძველი კავშირების აღდგენა და ახალი სასიყვარულო კავშირის დაწყება. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახს.

**თხის რქა**
გაიზრდება თავდაჯერებულობა და მოქმედების სურვილი. საქმიანი პარტნიორების წყალობით გაუმჯობესდება ფინანსური მდგომარეობა, თუმცა, გაიზრდება ხარჯიც. გაგიადვილდებათ ოჯახის წევრებთან საერთო ენის გამონახვა. მეგობრული ურთიერთობა კი, შესაძლოა, დიდ სიყვარულში გადაიზარდოს.

**მერწყული**
უმჯობესია, ამ პერიოდში არ იფიქროთ სამსახურის გამოცვლაზე. უარი თქვით საიდუმლო საქმეებსა და ფარულ გარიგებებზე. დაეხმარეთ ახლობლებს. მეგობრები კი ეცდებიან, დაგეხმარონ ფინანსური მდგომარეობის გამოსწორებაში.

**თევზები**
მეტად აქტიური გახდებით. გაიზრდება გადაადგილებებისა და შეხვედრების რაოდენობა. კარგია იმიჯის შეცვლა. პირად ცხოვრებაში კი მოსალოდნელია უეცარი დადებითი მოვლენების განვითარება. ხშირად დაისვენეთ და მეტი დრო გაატარეთ სუფთა ჰაერზე, ბუნებაში.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 18 მაისი. 04:10 სთ.**

**ორშაბათი**
**გეომაგნიტური დღე**
ამ დღეს სავსემთვარეობაა – მოჭარბებული კოსმიური ენერგიის დღე, რაც მეტად განაპირობებს ტრავმების, ავარიების, აგრესიის გამოვლენის, დეპრესიის, კონფლიქტების, ცდუნებების, ჯანმრთელობის გაუარესების ალბათობას. გამოიჩინეთ მაქსიმალური ყურადღება და სიფრთხილე. ნუ იქნებით ეჭვიანი. ატარეთ ყვითელი, მწვანე, შინდისფერი, ჩალისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, გიშერი, ქრიზოპრაზი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას, სისხის აღებას. სუსტდება შარდსასქესო სისტემა, ცხვირი.
*პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;*
*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.*

**სამშაბათი**
ამ დღეს მიცემული დაპირება აუცილებლად შეასრულეთ. დაიცავით სიმშვიდე და წონასწორობა. მოერიდეთ კამათს, ადგილსამყოფლის შეცვლას, სისხის აღებას. ატარეთ შინდისფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ცისფერი, იისფერი, წითელი ან ჩალისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ფირუზი, სარდიონი ან გიშერი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია იურიდიული საქმიანობა, უცხოელებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, შარდსასქესო და რეპროდუქციული სისტემები.
*პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის;*
*ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.*

**ოთხშაბათი**
**გეომაგნიტური დღე**
მოიმატებს ოპტიმიზმი, ენთუზიაზმი, ენერგიულობა. კარგია თვითშემეცნება, სასიყვარულო კავშირები. ატარეთ წითელი, ყვითელი, იისფერი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, საფირონი, ლაზურიტი, ლალი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა, კარგია იურიდიული საკითხების მოგვარება, მოგზაურობა, უცხოელებთან კონტაქტი. სუსტდება ნაღვლის ბუშტი, საზარდული, ღვიძლი, მენჯ-ბარძაყის ძვალი.
*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;*
*ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.*

**ხუთშაბათი**
მეტი სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინეთ. არ ვარგა მშენებლობა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ცისფერი, ლურჯი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, აკვამარინი, ნეფრიტი, ამეთვისტო ან იაგუნდი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, სამეცნიერო კვლევა, პარტნიორული თანამშრომლობა, პოლიტიკური მოღვაწეობა, მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი.
*პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;*
*ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.*

**პარასკევი**
**გეომაგნიტური დღე**
გამახვილდება მგრძნობელობა, მოიმატებს ემოცია, სილამაზის აღქმის უნარი, ინტუიცია. მოერიდეთ ეჭვიანობას და აკონტროლეთ აზრები. ატარეთ ყავისფერი, ლურჯი, კრემისფერი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი ან ოპალი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს, ახალ კავშირებს. კარგია სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.
*პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის;*
*ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის.*

**შაბათი**
**გეომაგნიტურია დღის მეორე ნახევარი**
მოიმატებს ილუზიები, გულმავიწყობა, მოტყუების მცდელობა. მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. ატარეთ ყავისფერი, კრემისფერი, მწვანე, ნაცრისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ქრიზოპრაზი, ონიქსი, მარგალიტი, ყვითელი იასპი ან მალაქიტი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს. კარგია ვაჭრობა, მიწათმოქმედება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. სუსტდება კბილები, კანი, ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.
*პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის;*
*ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის.*

**კვირა**
მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს, მცენარეების დარგვას. უმჯობესია, დრო სახლში გაატაროთ. ატარეთ ვერცხლისფერი, ლურჯი, ცისფერი, ყვითელი, წითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი ან ციტრონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მოგზაურობა, ინტელექტუალური განვითარება, სახლის მშენებლობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, დიეტის დაწყება, სამღებრო-სარემონტო სამუშაოები, გართობა. სუსტდება თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები.
*პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;*
*ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.*

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემები, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# სრული ნგრევა

## გაი რალსტონი



არჩერმა დამხვდურს სავიზიტო ბარათის ნახევი გაუწოდა და ოთახი მოათვალიერა. ეს უფრო სახელოსნო იყო, ოღონდ ძალიან მდიდრულად მოწყობილი, ძვირფასი სავარძლებით და ხალიჩებით. ლამპაც მოჩუქურთმებულ მაგიდაზე იდგა... დაბალმა, პირქუში შესახედაობის მამაკაცმა ჯიბიდან მეორე ნახევი ამოიღო და არჩერის ნაგლეჯს მიადო. ბარათი გამთლიანდა.

– დაბრძანდით, მისტერ არჩერ...

– იცით, ჩემი სახელი?

– რა თქმა უნდა. მე ძალიან ფრთხილი ვარ შეკვეთის მიღებისას. ყველაფერი უნდა გავითვალისწინო. ჯაგერი დამიძახეთ. სახლის რუკა მჭირდება.

– მოგიტანეთ. მე არქიტექტორი ვარ და აქ ყველა ის წერტილია აღნიშნული, რომელიც თქვენ დაგჭირდებათ.

– სახლი მთლიანად უნდა დაინგრეს?

– რა თქმა უნდა. აუცილებელია სრულად განადგურდეს, სახლი აღარაფერში მჭირდება.

– ჰო... განადგურება ყველას შეუძლია, მაგრამ ისე რომ გაანადგურო, ყველაფერი გაზის აფეთქებას ჰგავდეს, პროფესიონალი უნდა იყო. მე კი პროფესიონალი ვარ.

– რა უნდა გავაკეთო? – საქმიანად ჰკითხა არჩერმა.

– სახლი უნდა მომიმზადოთ. კონვერტით სახლის მისამართი, ეგ რუკა და ავანსი დამიტოვეთ. კიდევ გასაღები...

– ახლოს არავინ ცხოვრობს. არც სახლში ცხოვრობს ამჟამად ვინმე... დიდ ბეტონის ფილაზე დგას, მკვიდრად ნაგები სახლია... ქვის...

– რატომ ანგრევთ? – მოულოდნელად დაინტერესდა ჯაგერი-ოსტატი, – თუ არ გინდათ იქ იცხოვროთ, გაგეყიდათ.

– საქმე ისაა, რომ სახლი ანდერძით დამიტოვა მამაჩემმა. ანდერძში არის ერთი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, მისი გაყიდვა სამი წლის განმავლობაში მეკრძალება. მე კი ფული ახლა მჭირდება.

– გასაგებია. ახლა მაჩვენეთ, სად გადის გაზის მილი...

– აი, აქ... სასტუმრო ოთახის გვერდით პატარა სათავსოა... აქედან ადის სხვენში... იქ უხვევს და სამზარეულოში ჩამოდის. სხვენის კარსაც ღიად დავტოვებ...

– მისტერ არჩერ, ჩემი მომსახურება ძვირი ღირს. მზად ხართ ამისთვის?

– დიახ. ოცდახუთი ათასი ავანსად უკვე მოგიტანეთ.

– ძალიან კარგი... – ჯაგერმა კონვერტი გახსნა, ფული სწრაფად დათვალა და თავი კმაყოფილებით დააქნია, – ორი დღის შემდეგ სამუშაო შესრულებული იქნება. თქვენ ჩვეულებრივად იცხოვრეთ. საქმეს მე მივხედავ.

***

ჯაგერმა ფანარი ჩართო და სახლი ჯერ გარედან დაათვალიერა. დარაბები მჭიდროდ იყო ჩარაზული. მოეწონა და კარი გასაღებით გააღო. მისაღები ოთახი ძველებური, მასიური ხის ავეჯით იყო გაწყობილი. იქვე იყო ქვის დიდი ბუხარი და სხვენში ასასვლელი ხის მოჩუქურთმებული კიბე. სახლს ერთი კედლის გარდა, ყველა კედელი ყრუ და უფანჯრო ჰქონდა. კიბით სხვენში ავიდა. ყუთით ტროტილი აიტანა, ჩანთიდან პატარა აკუმულატორი ამოიღო და საქმეს შეუდგა. სწრაფად და პროფესიონალურად მოქმედებდა. მისი თითები მარჯვედ მოძრაობდნენ... თაიმერის ისრები თორმეტზე დააყენა და ისევ სასტუმრო ოთახში ჩამოვიდა. მანამდე კი სხვენის კარი საიმედოდ დახურა. გაიგონა კიდეც, როგორ გაიჩხაკუნა საკეტმა. საქმე დასრულებული იყო... ხელთათმანიანი ხელი კარის სახელურს მოჰკიდა და დაბლა ჩამოსწია. კარი არ დაემორჩილა. რამდენჯერმე კიდევ სცადა. სახელურს მთელი ძალით დააწვა, მაგრამ უშედეგოდ. გასაღები ამოიღო და ახლაღა შენიშნა, რომ კარს შიგნითა მხრიდან გასაღებისთვის განკუთვნილი ხვრელი საერთოდ არ ჰქონდა. დაიგმინა, მაგრამ, როგორც პროფესიონალს შეჰფერის, პანიკაში არ ჩავარდნილა... ამოისუნთქა და იერიში ისევ სახელურზე მიიტანა. სახელურმა ვერ გაუძლო დაწოლას და გატყდა. ჯაგერმა მოისროლა სახელური და სამზარეულოსკენ გაეშურა, მძიმე, მასიური ხის კარი ჩაკეტილი დაუხვდა. დარაბებსაც ვერ გაალებდა, ფანჯრებს შიგნიდან ხელის მოსაჭიდიც კი არაფერი ჰქონდა... ოთახში არ იყო არანაირი ნივთი, რაც სახლიდან გაღწევაში დაეხმარებოდა. „არჩერ! არჩერ!“ – მტკივნეულად გაუელვა ჯაგერს აზრმა და მაშინვე შეეცადა, თავი ხელში აეყვანა. დრო ჯერ კიდევ იყო. სახლიდან უნდა გაეღწია. აფეთქებამდე ორი საათი და ათი წუთი რჩებოდა. ჯაგერი სკამზე დაჯდა და დაფიქრდა. მერე კიდევ ერთხელ შეამოწმა ყველა კარი, მათ შორის სხვენისაც. სახლი მართლაც ძალიან მყარად და მკვიდრად იყო ნაგები... ჯაგერი მაინც არ დაეცა. ყველა ნათურა აანთო და ოთახის გულდასმით შესწავლა დაიწყო. შეკითხვა – „რატომ“? ანუ, რატომ შეიძლებოდა, არჩერს ასე გაეწირა, უკუაგდო და წინა პლანზე სხვა საკითხი წამოწია – „როგორ გავიდე სახლიდან“ – ბოლო და ყველაზე მწარე იმედგაცრუება მაშინ განიცადა, როცა ბუხარში დიდი წვალებით აძვრა და ბუხრის მილში ჩაბეტონებულმა რკინის ცხაურმა გზა გადაუღობა... ოფლში გახვითქული იატაკზე დაჯდა და ბედს შეგუებული კაცივით თავი ჩაქინდრა... აფეთქებამდე ცხრა წუთი რჩებოდა...

სწორედ ამ დროს, ასაფეთქებლად განწირული სახლიდან ათი კილომეტრის დაშორებით, ერთ პატარა ბარში არჩერი შევიდა და ბარის დახლს მიუჯდა. ბარმენმა ვისკი დაუსხა და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა.

– რომელზეა დაგეგმილი აფეთქება?

– ზუსტად თორმეტზე...

ბარმენმა საათს შეხედა. თორმეტს სამი წუთი აკლდა...

– იქნება თორმეტზე. ჯაგერი შეცდომას არასოდეს უშვებს.

არჩერმა გაიღიმა.

– ჰო? და მაინც ერთი შეცდომა დაუშვა...

– როდის? სად? – მოიღუშა ბარმენი.

– ერთი წლის წინ, როცა ავეჯის მაღაზია გადაწვა. როგორ გგონიათ, საიდან ვიცი ამ მაღაზიის ამბავი? ან როგორ გამოვედი თქვენზე? დაგტერტ, თქვენ ეძებდით შემკვეთებს, ჯაგერი კი შემსრულებელი იყო...

– რატომ, იყო? – ბარმენი დაიძაბა.

– იმიტომ, რომ ზუსტად ერთ წუთში, ჩემს სახლთან ერთად ჰაერში აფრინდება... კლიენტები დაზღვევას იჯიბავდნენ, თქვენ ჰონორარს იყოფდით...

– ვინ ხარ და რა გინდა? ფული?

– არა. იმ ხანძარში, ავეჯის მაღაზიაში რომ გააჩინა შენმა პარტნიორმა, შერიფი დაიღუპა. ის მამაჩემი იყო.

– მამაშენი იყო? შენ სტიმსონი ხარ? – ბარმენი გაფითრდა.

– დიახ. არჩერ სტიმსონი. გეგონათ, დაზღვევის ფულის მითვისება მინდოდა? არანაირად. მე მაგ ფულზე უარი ვთქვი. ფული არ მაინტერესებს. ყველამ თავისი წილი უნდა მიიღოს. ბარმენი ჯერ ისევ შოკში იყო. მოულოდნელმა ამბავმა ისე გააოგნა, გონზე მოსვლა და აზრის მოკრება ველარ შეძლო. არჩერი შებრუნდა და ბარიდან გავიდა.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჟანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ზნედაცემული ანგელოზები

**● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №9-17(748)**

ვნება და იუმორი... ერთი შეხედვით, მათ საერთო არაფერი აქვთ. უფრო მეტიც – ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურადაც კი არიან განწყობილნი. ანუ, იქ, სადაც არის ერთი, მეორის ადგილი აღარ უნდა იყოს... თუმცა, მაინც ძნელია ზუსტად თქმა, რეალურად ასეა თუ არა...

ტატაშკამ განცვიფრებულ მეგობრებს ქორივით გადახედა.

– ჰა, არ მომყვებით? ჩემი სიურპრიზის ნახვა არ გინდათ?



დოდოშკამ მხრები აიჩეჩა.

– შენი სიურპრიზი ჩვენთან რა კავშირშია? ვერ ვხვდები, რატომ უნდა ალვფრთოვანდეთ და ადგილზე ვიხტუნოთ სიხარულით.

– უყურე?! არ მეგონა, ასეთი ბოღმა თუ იყავი.

– მე? ტატაშკა, კარგად დაფიქრდი, რას ლაპარაკობ... რანაირად ვარ ბოღმა? უბრალოდ, მართლა არ მაინტერესებს, – მხრები აიჩეჩა დოდოშკამ.

ტატაშკამ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ლალის, რომელიც ვერ მიხვდა, ვის მხარეს აჯობებდა დადგომა და ყოყმანით, ხან დოდოშკას შეხედავდა, ხან ტატას.

– კარგი, მაშინ მე წავალ... ოღონდ მერე არ ინანოთ.

– ჰო, გეყოფათ ახლა, – ამოიოხრა ლალიკომ, – ნუ კინკლაობთ. ვერ ვიტან ამას, ხომ იცით?! წამოდი და გვაჩვენე შენი სიურპრიზი, ოღონდ აქ რატომ არ შეიძლება ამის გაკეთება, ვერ ვხვდები...

– იმიტომ, რომ დიდი სიურპრიზია, ძალიან დიდი. მოგეწონებათ. თანაც ჩემს სიურპრიზს გაგრძელებაც აქვს. ასე რომ, არ ინანებთ.

დოდოშკამ ამოიოხრა და უხალისოდ, ფეხათრეული გაჰყვა მათ ეზოში...

– ცივა, ქურთუკი მაინც ჩამეცვა, – მხრებზე ხელები შემოიხვია აძაგძაგებულმა ლალიკომ და გარშემო მიმოიხედა, – გვაჩვენე, რა... რა უნდა გვაჩვენო ამისთანა...

– ჩემი ახალი მანქანა, – ტატაშკამ ხელები გაშალა და შორიახლოს მდგარ მანქანასთან მივიდა, – აი, შეხედეთ. სულ ცოტა, ოთხმოცი ათასი დოლარი ღირს...

– აუჰ, ცოტა დაუკელი, – გაიცინა დოდოშკამ და მანქანას ირონიული ღიმილით შემოუარა, – ისე, მართლაც მაგარია... აბა, გამოტყდი, რამდენთან იწექი ამის საყიდელი ფული რომ შეგეგროვებინა და როგორ პოზებში? ალბათ, ბოლომდე გამოავლინე შენი ხელოვნება, ასეა?!

– ნუ გშურს, დოდოშკა. დამიჯერე შენც ისარგებლებ ამით... თანაც, ახალი მანქანა ხომ უნდა მომილოცოთ?

– მე კი მართლა მაინტერესებს, რამდენ კაცთან დაწექი, – ჩააცივდა დოდო, – „სტავკა“ რამდენი გქონდა?

ტატაშკამ თვალები მოჭუტა და ენა გააწკლაპუნა...

– სულ ტყუილად...

– რა, სულ ტყუილად?! – დადარაჯებულივით ჰკითხა დოდოშკამ.

– ანუ, სულ ტყუილად მეჯიბრები. მხოლოდ ერთთან ვიწექი. მართალია, ტექნიკა და კლასი ვუჩვენე, მაგრამ ჯერ ყველაფერი მაინც არ უნახავს, – ტატაშკამ გამომწვევად შეარხია თეძოები... – ნებისმიერ ქალს უნდა კაცზე შთაბეჭდილება პირველივე სექსუალური შეხვედრისას მოახდინოს. მით უმეტეს, ჩვენი პროფესიის ქალებს.

– ჰმ, რა სისულელეა, – გაიცინა დოდოშკამ, – პირადად მე ფეხებზე მკიდია, მოვახდენ შთაბეჭდილებას კაცზე თუ არა.

– ჰოდა, მაგიტომაც ვერ მიიღებ ასეთ მანქანას საჩუქრად სექსის შემდეგ, – ნიშნი მოუგო ტატამ და ისე გაჩუმდა, თითქოს კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას.

– მიდი, მითხარი, რომ ქმარმაც ამიტომ მიღალატა.

– მე ეს არ მითქვამს..

– ჰო, მაგრამ, იფიქრე და იგულისხმე. ეს ცხადზე უცხადესია...

– დოდოშკა, რა გინდა, ვიჩხუბოთ?! მე კი შენი გახარება მინდოდა.

– ჩავთვალე, რომ უკვე გამახარე, – ჩაიბურტყუნა დოდოშკამ, – მანქანა კი მართლა ძალიან მაგარია. გილოცავ!

– მოიცადე, სად მიდიხარ? – ტატამ მკლავზე მოკიდა ხელი დოდოშკას და თითქმის ძალით შემოატრიალა, – სიურპრიზი გრძელდება-მეთქი, ხომ გითხარი. გამომართვი, ეს – შენ...

– რას მაძლევ?

– ჩემი ძველი მანქანის გასაღებს, მე აღარ მჭირდება, – ტატაშკამ თითქმის ძალად ჩაუტენა ხელში განცვიფრებულ დოდოშკას მანქანის გასაღები. ლალიკომ ხელი ხელს შემოჰკრა.

– რა საყვარელი ხარ, ტატაშკა! ჯიგრულად მოიქეცი. არა, რა... ჩვენ მაგარი სასტავი ვართ, ნაღდი!

– ტატაშკა, საჭირო არ იყო, გაყიდდი... ფული ყველას უნდა. ვერ მივიღებ ასეთ საჩუქარს.

– მიიღებ, მიიღებ, ნუ იპრანჭები, – დააძალა ტატაშკამ.

– გოგოებო, ავიდეთ ახლა ზემოთ და ალვნიშნოთ ეს ამბავი,– ხელები მოიფშვნიტა ლალიკომ, – დოდოშკა, ხომ ჩამსვამ შენს მანქანაში?

– მარტო კი არ ჩაგსვამს, გათხოვებს კიდეც... დოდოშკა კეთილი გოგოა.

– აბა, რა, კეთილი ვარ. ისეთი კეთილი, რომ ქმარიც არ დამინანებია შენთვის, – იქედნურად გაიცინა დოდოშკამ და ხელში შერჩენილ მანქანის გასაღებს დახედა, – ეს კი მართლა ზედმეტი იყო.

– უყურე ახლა ამას?! – ყასიდად გაბრაზდა ტატა, – მაინც რომ იგესლება...

– არ ვიგესლები. უბრალოდ, გახსენებ, რომ, რაც უნდა გააკეთო, მაინც არ გაპატიებ იმას, რაც ჩაიდინე. უფრო სწორად, ვერ დავივიწყებ, თორემ ჩემი საპატიებელი არაფერი გჭირს.

– ეს ქალი გამაგიჟებს. რამდენჯერ გითხარი – შენი ქმარი იყო პრობლემა და არა მე ან ჩემნაირები. სხვათა შორის, უკვე შენნაირებიც... ეს არის ჭეშმარიტება...

– ბოზური ჭეშმარიტებაა ეგ.

– შენც ბოზი ხარ, საყვარელო.

– ვიცი, – მშვიდად დაეთანხმა დოდოშკა, – მაგრამ ეს ჩემსა და შენს ურთიერთობას არანაირად არ ცვლის.

– სახლში რომ იკამათოთ, არ შეიძლება?! – აბუზღუნდა ლალი, – გავიყინე და გამეყინა ერთი ადგილი. ეს ერთი ადგილი მაჭმევს პურს და მაგიტომ ვჯავრობ. წამოდით, რა...

– კარგი, ავიდეთ! – მეც შემცივდა, – დაეთანხმა ტატა და გაშტერებულ დოდოშკას მსუბუქად უბიძგა მხარზე, – ნუ იბღვირები.

– ეჰ, ვცდილობ, ჩემს წარსულს მიწა მივაყარო, ისე, როგორც კატა მიაყრის ხოლმე თავის განავალს.

ტატამ ხმამაღლა გაიცინა.

– ეს კარგი იყო, როგორ თქვი? კატა – განავალსო... ისე, კაცები, მართლაც, განავლები არიან და მათ მართლა უნდა მიაყარო მიწა, მას მერე, რაც კარგად გამოწურავ...

– ყველა არა, – კაცებს გამოესარჩლა ლალი, – შენ მაინც როგორ ამბობ ამას, როცა ვილაცამ ასეთი საჩუქარი გაგიკეთა.

– ჯერ ერთი, შენ წარმოდგენა არ გაქვს, მანამდე მე რა გავუკეთე, – გამომწვევად აკისკისდა ტატაშკა, – მეორეც, ხომ ვთქვი, რომ ჯერ უნდა გამოწურო-მეთქი.

– ვაიმე! გავიყინე! – შეჰყვირა ლალიკომ და სადარბაზოსკენ გაიქცა...

***

კოტემ სიგარეტი საფერფლეზე დაასრისა და დამფრთხალ პაშკას ავად შეხედა...

– ხომ ხვდები, რომ ამის ჩაყლაპვას არ ვაპირებ. იმიტომ კი არა, რომ ბოზის ხამი ვარ – ფეხებზე მკიდია... შეურაცხყოფას არავის შევარჩენ. მითხარი, ვინ იყვნენ ის ბანდები...

– ფულს დაგიბრუნებ. ვინაობა რაში გაინტერესებს?! – ამოიკნავლა პაშკამ.

– ფული მიიწებე უკანალზე, იდიოტო! – აყვირდა კოტე, – მათი მობილურები მომეცი.

– დამიჯერე, გამოვასწორებ მაგ ამბავს. ძალიან მაგარ ნაშებს გამოგიგზავნი, თუ გინდა, დღესვე... დაიკიდე, რა?!

– დავიკიდო? გეუბნები, ნუ მეხუმრები! მომეცი მათი მობილურები.

პაშკამ ამოიოხრა.

– ნუ ჯიუტობ. დავივიწყოთ ეს ამბავი და შევრიგდეთ. ან ფულს გიბრუნებ ან სხვებს გიგზავნი. ერთი „გასტროლიორი“ მყავს, ისეთია, შოკში და ტრანსში ჩაგაგდებს. დამიჯერე, რა, ტატაშკასაც კი დაგავიწყებს, ისეთია... აბა, რას იტყვი?

კოტე მოიღუშა და ბრაზით გამოსცრა:

– პაშკა, ნუ მეთამაშები. ჯერ იმ ორის მობილურები მომეცი, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ. ტატაშკას კი ნუ მიხსენებ, მაგის დანახვაც არ მინდა.

პაშკამ ამოიოხრა.

– ფულს დაგიბრუნებ, რა...

– არა. მობილურებს მომცემ!

– კოტე, მომისმინე, არ შემიძლია, რა ვქნა?! მე მათთან ვთანამშრომლობ, არ მოსულა...

– ის ხომ მოსულა, სამი კაცი რომ გადაგვაგდეს, მიზეზიც რომ არ უთქვამთ, ისე.

– მიზეზი არსებობს და არ არის უსაფუძვლო... მართლა... როცა ამიხსნეს, გავუგე...

– რა თქმა უნდა, თქვენნაირები ერთმანეთს ყოველთვის უგებენ. მობილურები-მეთქი... პაშკა, ნუ ცდი ჩემს მოთმინებას, მობილური მომეცი.

პაშკამ განწირულივით ბოლოჯერ გაიბრძოლა...

– რადგან არ იშლი, გეტყვი – შენი ყოფილი ცოლი იყო ერთ-ერთი.

კოტე გაშრა.

– რა?! – ტყუი, შე ნაბიჭვარო!

– არა. სიმართლეს ვამბობ. შენი ყოფილი იყო. თვითონ მითხრა.

კოტემ გამეტებით დასცხო შუშის მაგიდას ხელი და დაიღრიალა.

– იცოდე, თუ ეს მართალი არ აღმოჩნდება, თავს წაგაგლეჯ! – ამ სიტყვებით გავარდა ოთახიდან და კარი გაიჯახუნა.

***

დოდოშკამ მანქანის გასაღებს დახედა და მაგიდაზე დადო.

– არც ვიცი, რა უნდა ვთქვა. მინდა კი, მანქანა?

– ისე ლაპარაკობ, თითქოს პირველად გეყოლება მანქანა... კომპენსაციის სახით გაძლევ. აჰა, მათქმევინე სიმართლე.

– ღადაობ? კარგი, მაგრამ მე არ აგყვები.

– ვერ ვიტან, როცა ასე იბღვირები და იღრიჯები. ამყევი რა, ხომ ხედავ, რომ კარგ გუნებაზე ვარ.

– ვხედავთ. ვინ გამოიჭირე? – ლალიკო დოდოშკას მაგივრად გამოეპასუხა.

– ოო, მგონი, ჯეკპოტი მოვიგე, ნავთობის საბადო აღმოვაჩინე. მთავარია, როგორ უნდა გამოვიყენო ისე, რომ დროზე ადრე არ ამოშრეს...

– დოდოშკა, ეს რაღაცას გვიმალავს, – პრეზიდენტთან იწექი თუ პრემიერ-მინისტრთან? – ჩაეძია ლალიკო.

დოდოშკა ყურადღებას აღარ აქცევდა მათ საუბარს. აწკრიალებულმა მობილურმა შეაშფოთა. ეკრანს დახედა, გაფითრდა. ცოტა ხანს იყოყმანა, მერე ტელეფონს ხელი სტაცა და ოთახიდან გავარდა.

– ეტყობა, თავისმა ალფონსმა დაურეკა, – უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა ლალი.

– შეეშვი. ხომ ხედავ, მე აღარაფერს ვეუბნები... ჩვენი საქმე არ არის, თავისია ფულიც და „ისიც“. ვისაც უნდა, იმას მისცემს.

– ჰო? თვითონაც ასე მითხრა. პროსტო, ტეხავს! ეგ ისეთი სულელია, მანქანაც თორნიკეს არ აჩუქოს. გული მიგრძნობს, ასე გააკეთებს და გავგიჟდები. არ უნდა მიგეცა. არ გადაუფორმო მაინც.

ტატაშკამ მხრები აიჩეჩა.

– მომინდა და ვაჩუქე. როგორ მოექცევა ჩემს საჩუქარს, მისი საქმეა. შენ რომ მე ნიფხავი მაჩუქო და მითხრა, აუცილებლად შენი ტრაკი უნდა ჩადო შიგო, ეგრევე „დაგაპაშოლებ“, – სიცილი აუტყდა ტატას, – თქვენ რა ქენით დღეს?

– კარგად გადაიხადეს. შენსას მიიღებ.

– მივიღებ, რა თქმა უნდა. მე ყოველთვის ვიღებ ჩემსას.

– არ იტყვი, ვინ გამოიჭირე?

– ჯერ არა. რატომ გაინტერესებს?

– ისე... აშკარად არ უნდა იყოს უბრალო ვინმე.

– დიახ. არ არის უბრალო ვინმე, – გამოაჯავრა ტატამ, – ძალიანაც ბრალიანია... თუმცა, რაღაც მოთხოვნები და პრეტენზიებიც აქვს, მაგრამ არა უშავს. რაც მეტს გაატრაკებს, მით უფრო შემიწყობს ხელს ჩემი გეგმის განხორციელებაში.

– რა გეგმის?

– ჯერ არ ვიტყვი, – წაუღიღინა ტატაშკამ, – მაგრამ, ეს თუ გამომივიდა, მთელი დარჩენილი ცხოვრება უზრუნველყოფილი მექნება.

– ძალიან დამაინტრიგე... გეხვეწები, არავის ვეტყვი...

– არა, არა, ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა... წარმოდგენა არ მაქვს, რა გამოვა აქედან. მე თავად უნდა გავერკვე... მერე, შეიძლება, თქვენი დახმარებაც კი დამჭირდეს.

– ცოლად ხომ არ გინდა, გაჰყვე?

ტატაშკამ გადაიხარხარა.

– ასეთი სულელი გგონივარ?! ქმარი რად მინდა?! თანაც, ცოლი ჰყავს.

– როდის აქეთ არის შენთვის ცოლი პრობლემა?

ტატამ წარბი ასწია.

– ყოველ შემთხვევაში, ცოლიანი კაცების ცოლობა ჩემი თვითმიზანი არ არის და მეორე – ახურებული კაცების მორალის წამკითხავად აშკარად არ გამოვდგები.

ოთახში გაფითრებული დოდოშკა შემოვიდა. უშვერად შეიგინა და დივანზე გაგულისებით ისროლა ტელეფონი.

– ასეც ვიცოდი, – ნიშნისმოგებით ჩაილაპარაკა ლალიკომ, – მოგიშალა, ხომ ნერვები? ადრე თუ გვიან, მიხვიდოდით აქამდე. ხომ გაფრთხილებდი?!

– რა გინდა, ქალო, შენ?! – მოულოდნელად, უხეშად მიახალა დოდოშკამ. სახეზე ხელები აიფარა და ატირდა. შემცბარმა ლალიკომ ტატას გადახედა.

– გაუშვი. იტირებს და მოეშვება.

– იტირებს, ჰო... ასეა, როცა ლაწირაკზე მზრუნველი დედიკოს როლს მოირგებ, – ჩაილაპარაკა ლალიმ და დოდოშკამაც იფეთქა:

– გააჩუმე რა, ქალო, ენა, როცა აზრზე არ ხარ, რას ლაპარაკობ! იმ ნაბიჭვარმა დამირეკა...

– ვინ? პაშკამ? – ჰკითხა ტატამ.

– არა, ჩემმა ყოფილმა. ნაგავი... ჩათლახი და ბოზი ხარო...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


## ნათელმხილველი - ნელი ბიჩიკაშვილი



თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვა. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქალბატონი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქალბატონმა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება....

*ჩაწერა ხდება წინასწარ.*

**ტ: 214-20-65 (ბინა). 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

კითხვა: **როგორი სინათლე და ტემპერატურა მოსწონს პლატიცერიუმს?**

პასუხი: ამ მცენარეს უყვარს კაშკაშა სინათლე, თუმცა, თუ მაღალ ტენიანობას ვერ უზრუნველყოფთ, მოარიდეთ მზეს. მისთვის საკმარისია ოთახის ტემპერატურა 18-24 გრადუსი. ზამთრის მინიმალური ტემპერატურაა 13 გრადუსი. მასზე ნაკლები, მცენარეს დააზიანებს.

კითხვა: **ინტენსიურად უნდა მოვრწყათ სანსევიერა?**

პასუხი: აქტიური ზრდის პერიოდში სანსევიერას მიწა ტენიანი უნდა ჰქონდეს. ზამთარში კი პირიქით: მიწას შეშრობა აცადეთ და იშვიათად მორწყეთ. მცენარის გულში წყალს ნუ ჩაასხამთ. სიცივისა და ზევრი წყლისგან სანსევიერას შეიძლება, ძირში ფოთლები დაულპეს. მას არ მოსწონს ბევრი წყალი. ფოთლები სველი ნაჭრით გაუწმინდეთ ხოლმე. იზრდება ნელა და გადარგეთ 2-3 წელიწადში ერთხელ გაზაფხულზე.

კითხვა: **როგორი ადგილი მოსწონს „ვენერას ქოშს?"**

პასუხი: ეს მცენარე მზეს მოარიდეთ და ოდნავ ჩრდილიან ადგილას დადგით. მისთვის კარგია ნაკლებად განათებული ოთახი. რაც შეეხება მის ტემპერატურას, ზამთარში იტანს 13 გრადუსს. დაყვავილების შემდეგ ტემპერატურის 3-4 გრადუსით შემცირება ხელს უწყობს ახალი ყვავილების ამოსვლას.

კითხვა: **რამდენად გამძლე მცენარეა ზამთარში ზეთისხილის ხე?**

პასუხი: ზამთარში – 2 გრადუსსაც აიტანს, წლის დანარჩენ დროს კი მოსწონს ოთახის ტემპერატურა. ყვავილობისთვის ზეთისხილს 2 თვის განმავლობაში მაინც სჭირდება 10 გრადუსზე დაბალი ტემპერატურა. თუ გსურთ, რომ ფორმაც კარგი ჰქონდეს და არც მეტისმეტად გაიზარდოს, დაყვავილების შემდეგ ან შუა ზაფხულში გაკრიჭეთ.

კითხვა: **იოლი მოსავლელია თუ არა ფილოდენდრონი?**

პასუხი: ფილოდენდრონი ნამდვილად არ შეგიქმნით პრობლემებს, მას მინიმალური მოვლაც კი აკმაყოფილებს, მხოლოდ პარაზიტებს უნდა მოარიდოთ. განსაკუთრებით ცრუფარიანა ემტერება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა 18-24, ზამთარში კი – 14-15 გრადუსი.

კითხვა: **რა სიხშირით უნდა მოვრწყა გრევილეა?**

პასუხი: აქტიური ზრდის პერიოდში რეგულარულად მორწყეთ რბილი წყლით. ამ დროს მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს. ზამთრობით კი, როცა ზრდა შენელდება, მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. ზაფხულში ნიადაგი ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ სპეციალური თხევადი სასუქით. ეს სწრაფად მზარდი მცენარე მჟავე ან ნეიტრალური რეაქციის მქონე მიწაში ჩარგეთ.

კითხვა: **რა ტემპერატურა და სინათლე სჭირდება პატარძალას?**

პასუხი: პატარძალას ანუ იმპატიენსს, კაშკაშა სინათლე არ უნდა მოაკლოთ, მხოლოდ შუადღის მზეს მოარიდეთ. მას უყვარს სიგრილე, მაგრამ ოთახის ტემპერატურაზეც ძლებს. ზამთარში მინიმუმ 13-14 გრადუსი სჭირდება. კარგი იქნება, თუ მცენარეს დაჩრდილულ სასტუმრო ოთახში დადგამთ.

კითხვა: **რა ზომის იზრდება ჟასმინი?**

პასუხი: ჟასმინი სიმაღლეში 2-3 მეტრიც იზრდება, თუმცა შეგიძლიათ გასხლათ და ღეროები კარკასს შემოახვიოთ. სასურველია, მცენარე გასხლათ დაყვავილების შემდეგ. დიდი მცენარე, საჭიროების შემთხვევაში, გადაჭრასაც იტანს. შეგიძლიათ, ის საკიდი კალათიდანაც გადმოუშვათ და დიდ ტერიტორიას აღარ დაიკავებს.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **შპს-ზე რიცხული შენობა-ნაგებობა მივყიდე ძმას (ცალკე ოჯახი აქვს), წინასწარ შევაფასებინე კერძო აუდიტორსაც. მას შემდეგ გავიდა 5 წელი. ახლა, საგადასახადო შემოწმების დროს, საგადასახადომ ურთიერთდამოკიდებულ პირზე მიყიდვის გამო, ღირებულებაზე ეჭვი შეიტანა და დანიშნა ექსპერტიზა. ექსპერტმა დიდ თანხად შეაფასა, რის გამოც დაგვერიცხა შესაბამისი გადასახადი. გთხოვთ, გვიპასუხოთ: 1) რომელი დოკუმენტია ნამდვილი – აუდიტორის შეფასება თუ ექსპერტიზის დასკვნა? 2) რა იურიდიული ძალა (მტკიცებულება) გააჩნია იმ პერიოდის აუდიტორის შეფასებას?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ორივე მტკიცებულება – აუდიტორის შეფასებაც და ექსპერტიზის დასკვნაც, ნამდვილია. თუმცა, თუ თქვენ საგადასახადო შემოწმების აქტს თუ საგადასახადო მოთხოვნას სასამართლოში გაასაჩივრებთ, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. შესაბამისად, საბოლოოდ მტკიცებულებების შეფასება მოხდება სასამართლოს მიერ და ის გადაწყვეტს, რომელი მტკიცებულება უნდა დაედოს საფუძვლად სასამართლოს შინაგან რწმენას და აისახოს გადაწყვეტილებაში.

კითხვა: **მყავს ცოლი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე; გვყავს მცირეწლოვანი შვილები, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქეები. ჩემი მეუღლე მიკრძალავს ბავშვების ნახვას და, ასევე, არ მაძლევს განქორწინებას. ვის მივმართო?**

პასუხი: მოცემულ შემთხვევაში, უნდა მიმართოთ სასამართლოს. ზოგადად, განქორწინება ხდება სასამართლო წესით, თუ მეუღლეებს შორის არსებობს რაიმე სახის დავა. ამასთან, ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში, ქმარს უფლება არ აქვს, ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე. შესაბამისად, თუ თქვენს რომელიმე შვილს არ შესრულებია ერთი წელი, თქვენ არ გაქვთ უფლება, აღძრათ საქმე განქორწინებაზე; ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, უფლება გაქვთ, მიმართოთ სასამართლოს განქორწინების და შვილების საცხოვრებელი ადგილისა და რჩენის განსაზღვრის მოთხოვნით.

კითხვა: **ვცხოვრობ თბილისის ძველ უბანში. ჩემი ბინა შესულია ისტორიულ ნაგებობათა რიცხვში. ჩემმა მეზობელმა დაიწყო ბინის გადაკეთება: შეცვალა მისი ფასადი, ძველი კარი შეცვალა რკინის კარით და ასე შემდეგ. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, აპირებს ბინის გადაკეთებას კვების ობიექტად, კერძოდ, სახინკლედ. როგორ მოვიქცე, ვის მივმართო? აქვს თუ არა ჩემს მეზობელს ამის უფლება?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ მოცემულ შემთხვევაში უნდა მიმართოთ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს ან სასამართლოს.

# რჩევები ავტომოყვარულებს

**კითხვა: სავალი ნაწილი წესრიგში არ მქონდა. ავტომობილი მივიყვანე ხელოსანთან, რომელმაც მითხრა, რომ შესაცვლელია, ეგრეთ წოდებული, „უდარნი ტიაგა“. არადა, დიდ ორმოში არასდროს ჩამირტყამს. შეიძლება, პატარა ორმოში ჩავარდნისგანაც გაფუჭდეს?**

პასუხი: თუ უზარმაზარ ორმოში არ ჩავარდით, ერთი ჩარტყმით მისი გაფუჭება, ძნელია. მაგრამ, ზამთრის შემდეგ დაბოლოებები და „უდარნი ტიაგა“, „შარავოი“ უფრო იოლად ფუჭდება, ვიდრე სხვა დროს. გაფუჭების მიზეზი შეიძლება, ისიც გახდეს, რომ ზოგჯერ წლები გადის, მას არავინ ცვლის. ამიტომ, დამცავი რეზინა ხშირად ზიანდება, იპარება ჭუჭყი. ჭუჭყი საცხებ მასალას აშრობს და მოძრაობაში საკუთარ თავს თავად აზიანებს. თუ რაღაც პერიოდულობით, განსაკუთრებით კი, წლის ამ დროს, სავალ ნაწილს გადაამოწმებინებთ – ამ რეზინებს მოხსნიან, ხელმეორედ გაპოხავენ აღნიშნულ დეტალებს და საერთოდ, რეზინებს გამოცვლით, რაც მაქსიმუმ, ერთი ლარი ღირს და არასდროს ნებაყოფლობით არავინ ცვლის, სავალი ნაწილი კიდევ დიდხანს, წლობით იმუშავებს. თან, დაიცავს იმ დეტალებს დაზიანებისგან, რომელთა შეცვლაც გაცილებით ძვირი ღირს.

*ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
**მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: ავტომობილით მივადექი აღმართს და უცებ შევატყვე, რომ გაზის პედალს ფეხს ვაჭერ, ავტომობილი ღმუის, ძრავას თითქოს ბრუნი ემატება, მაგრამ სიჩქარე არ იმატებს. ცოტა ხანში გავჩერდი, დაველოდე და დავიძარი. რა იყო ამის მიზეზი?**

პასუხი: თუ ძრავას ბრუნი იზრდება, მაგრამ სიჩქარეზე ეს არ მოქმედებს, ნიშნავს, რომ მოდების ქურო „დაბუქსავდა“. მოდების ქურო გაცვდა და მისი შეცვლაა საჭირო. დაბალ სიჩქარეზე ამას ვერ ატყობდით, მაგრამ, როდესაც უკვე მაღალ, მეხუთე ან მეექვსე სიჩქარეში გადართვისას, ქუროს დიდი ძალა დაადგა, მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება პრობლემა. მეორე მიზეზი – შესაძლოა, ძრავას უკანა ჩობალმა („სალნიკმა“) გააპარა ზეთი, მოხვდა მოდებასთან, ის ზეთით დასველდა და დაიწყო „ბუქსაობა“. მესამე – შესაძლოა, მწყობრიდან გამოვიდა რაიმე დეტალი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კარგი მოჭიდება და „დაბუქსავდა“. თუ ატყობთ, რომ ავტომობილი „ბუქსაობს“, მაგრამ გაჩერების გეშინიათ და მაინც გაზს აწვებით, ამ დროს მოდება განადგურდება. შეიძლება, ორი-სამი კილომეტრიც კი ვერ გაიაროთ – ის უბრალოდ, დაიწვება, ბოლი აუვა. აუცილებელია, მიმართოთ ხელოსანს, გაიგოთ ზუსტი მიზეზი და შეცვალოთ დაზიანებული დეტალი.



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
**მევლუდ მელაძე**

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**კითხვა: მანქანაზე დაყენებული მაქვს ნავიგაციის სისტემა და იაპონური რუკების დისკი მოჰყვა. მინდა ქართული რუკები ჩავწერო. იცით ვინმე, ვინც ამას ჩაწერს? ან თუ ვინმეს გაქვთ, გადაწერა თუ არის შესაძლებელი?**

პასუხი: ამისთვის უმჯობესია, საქართველოს ოფროუდის ფედერაციას მიმართოთ. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც იციან, თუ არის შესაძლებელი, საერთოდ, მსგავსი რამის ჩვენს ქვეყანაში გაკეთება.

# ვეტერინარის რჩევები

**კითხვა: გერმანული დოგის შესახებ რა შეგიძლიათ, მითხრათ?**

პასუხი: გერმანულ დოგზე ძალიან ბევრი რამის თქმა შეიძლება. უკეთესი იქნებოდა, კონკრეტულად მოგეწერათ, რა გსურდათ, გაგეგოთ მის შესახებ. ზოგადად, შემიძლია გითხრათ, რომ თანამედროვე გერმანული დოგი ძალიან უშიშარი, თავდაჯერებული ტემპერამენტიანი და ხალხის მოყვარული ძაღლია. უყვარს ფუფუნება და ნორმალური კლიმატი. აქვს საკმაოდ გაწონასწორებული ფსიქიკა, რისი წყალობითაც რთულია მისი წყობიდან გამოყვანა. ადვილად ეგუება როგორც სხვა შინაურ ცხოველებს, ასევე, პატარა საცხოვრებელ ტერიტორიას. ამ შემთხვევაში, გაითვალისწინეთ, რომ მას რეგულარული სეირნობა ესაჭიროება. სამწუხაროდ, ის არ გამოირჩევა ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობით. რაც შეეხება დოგის ლეკვებს, მათ ადრეული ასაკიდან განსაკუთრებული მოვლა და თანმიმდევრულად სწორი წვრთნა სჭირდებათ.

გერმანული დოგი გვხვდება სხვადასხვა ფერის, მაგალითად: შავი, ცისფერი, ჩალისფერი და ვეფხვისებრი. სიმაღლე ხვადებში არანაკლები 80 სანტიმეტრია, ხოლო ძუებში – 72. რაც შეეხება წონას, ესეც სიმაღლიდან გამომდინარეა.

**კითხვა: შევამჩნიე, რომ, როცა ჩემი ძაღლი იღლება, ფეხი უკანკალებს. მაინტერესებს, რისი ბრალია?**

პასუხი: ძალიან რთულია ძაღლის უნახავად დიაგნოზის დასმა. აუცილებლად უნდა მიიყვანოთ ვეტერინართან და ნახოთ, სახსრების ანთება ხომ არ აქვს. შეიძლება, საერთოდ სხვა რამის ბრალი იყოს. გააჩნია რა დაღლას და კანკალს გულისხმობთ. თუ ოდნავ ძაგძაგებს და ცხელია, ეს არაფერია. ადამიანის შემთხვევაშიც, როცა ბევრს ირბენს, ან ხშირად ჩაიკუზება, თავისთავად, კუნთი და მისი ქსოვილი იღლება და კანკალს იწყებს. თუ თქვენს ძაღლს ერთ კილომეტრს გაატარებთ და ფეხის კანკალი იმ შემთხვევაში ეწყება, ესე იგი, პრობლემა აქვს. ყველა შემთხვევაში, თავის დაზღვევის მიზნით, ვეტერინართან ვიზიტი აუცილებელია.

**კითხვა: როგორ უნდა გავიგო, ძაღლი სუფთა ჯიშის ნაგაზია თუ არა – თვალების მიხედვით, ფეხების საშუალებით თუ ტანით?**

პასუხი: ვერაფრით ვერ გაიგებთ სუფთა ჯიშის ნაგაზია თუ არა. გამოცდილი კინოლოგებიც კი შემცდარან. ყოფილა შემთხვევა, ძუ ძაღლი ხვადთან დაურთავთ. ატეხილობის პერიოდი საშუალოდ 27-28 დღეა. აქედან გარკვეული, რამდენიმე დღეა დაწყვილების პერიოდი. ამ პერიოდში კი შეიძლება, შემთხვევით, პატრონისგან შეუმჩნევლად, დაუპატიჟებელი სტუმარი ეწვიოს ძუ ძაღლს და კონტაქტი ჰქონდეთ. ასე რომ, დაბადებულად ლეკვები, კი ჰგვანან მშობლებს, მაგრამ სინამდვილეში არსებობს მეორე მამაც. ამიტომ, როცა ლეკვები წამოიზრდებიან და 6, 8, 9 თვის ხდებიან, შესამჩნევი ხდება, რომ მათ სიმაღლეში პრობლემა აქვთ, იცვლიან ფერს და არასასურველ შეფერილობას იღებენ, რაც სუფთა ჯიშისთვის არ არის დამახასიათებელი და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, როცა ძაღლის ჯიშიანობა გინდათ დაადგინოთ, უპირველესად, უნდა ნახოთ მისი მშობლები. თუ ამის საშუალება არ გაქვთ, მაშინ ნახეთ მათი წარმომავლობის საგვარეულო ნუსხა. თუ ეს დამტკიცებულია ფედერაციის მიერ, ანუ გაფორმებულია ნამატი, ვარაუდი იმისა, რომ თქვენი ძაღლი ნარევია, ძალიან ცოტაა.



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
**ზაქრო ბაჯიაშვილი**

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
**ჯეიმს დუგლასი**

# მაფიის შვილობილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-17(748)

ორიოდე წუთის შემდეგ ჯონ კეინის კაბინეტში წითელმა ტელეფონმა დარეკა. მასზე მხოლოდ თეთრი სახლიდან რეკავდნენ: ძალიან იშვიათად – პრეზიდენტი, ძირითადად კი, პრეზიდენტის მდივანი, ან მისი თანაშემწე ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში. „ეფბეერის“ დირექტორმა ყურმილი აიღო და უპასუხა:



– გისმენთ.

– გამარჯობა, ჯონ, – მოესმა კეინს შეერთებული შტატების პრეზიდენტის ხმა.

– გაგიმარჯოთ, ბატონო პრეზიდენტო, – მიუგო კეინმა.

– ჯონ, ახალი ხომ არაფერია ბრაუნის საქმეში?

– ინტენსიურად ვმუშაობთ, სერ და საგამოძიებო ჯგუფი თავს არ ზოგავს. რაიმე მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ არაფერი უცნობებიათ ჩემთვის.

– ჯონ, საქმის დეტალურად გაცნობა მინდა და რამდენ ხანში შეგიძლია, ასლები მომიტანო?

– ამ საქმეს მარტინ პოული კურირებს, სერ. ახლავე ვეტყვი, ასლები გაამზადოს და ვფიქრობ, ორ საათში შევძლებთ მათ მოწოდებას.

– ძალიან კარგი. ორ საათში პოულთან ერთად, თქვენი ასლებიანად ოვალურში გელოდებით, – უთხრა კეინს პრეზიდენტმა და ტელეფონის ყურმილი დაკიდა.

„გამართლდა ჩემი სიტყვები. რას გეუბნებოდი, მარტინ, ამ ხუთიოდე წუთის წინ?“ – ჩაილაპარაკა კეინმა. შემდეგ პოულს დაურეკა და უთხრა:

– მარტინ, სასწრაფოდ შემოდი ჩემთან.

გაოცებული მარტინ პოული სწრაფად ეახლა კეინს და ჰკითხა:

– მოხდა რამე, სერ?

– ჩემი სიტყვები გამართლდა, ძვირფასო მარტინ?

– რომელი სიტყვები, სერ?

– პრეზიდენტი ბრაუნის მთელი საქმის ასლებს თხოულობს და ორ საათში ოვალურ კაბინეტში გველოდება. ხვდები ახლა, რაშია საქმე?

– რას გულისხმობთ, სერ?

– იმას, ჩემო კარგო, რომ პრეზიდენტს აინტერესებს, ბრაუნმა ზედმეტი ხომ არ წამოროშა. ანუ, უოლტ-სტრიტს ხომ არ ადებს ხელს.

– დარწმუნებული ხართ, სერ?

– ისევე, როგორც ახლა შენ გელაპარაკები და არა რომის პაპს, – თქვა კეინმა და განაგრძო, – ძვირფასო მარტინ, ამაში შენ სულ მალე, რამდენიმე საათში დარწმუნდები.

– კეთილი, სერ. დროს აღარ დავკარგავ. ჯერ თქვენს განკარგულებას შევასრულებ. პარალელურად კი, ასლების გადაღების ბრძანებას გავცემ.

– მიდი, მარტინ. იმოქმედე. ერთ საათში ჩაეტევი?

– მე მგონი, კი.

– როგორც კი ყველაფერს მოათავებ, აქ მოდი და თეთრ სახლში წავიდეთ.

მარტინ პოული წავიდა. ზუსტად ერთ საათში კი წითელი საქაღალდით დაბრუნდა „ეფბეერის“ დირექტორის კაბინეტში და კეინს უთხრა:

– ყველაფერი რიგზეა, სერ. ბრაუნის უსაფრთხოების ზომები გაძლიერებულია. ამ საქაღალდეში კი საქმის ყველა მასალაა თავმოყრილი.

– ძალიან კარგი. ახლა კი პრეზიდენტთან წავიდეთ და თავად დარწმუნდები ჩემი სიტყვების სისწორეში.

„ეფბეერის“ დირექტორი და მისი მოადგილე დანიშნულ დროს მივიდნენ თეთრ სახლში. ოვალური კაბინეტის პატრონი მათ მარტო დახვდა თავის სამუშაო კაბინეტში და სტუმრებს ხაზგასმული თავაზიანობით შეეგება. ჯერ სავარძლებში დასვა, შემდეგ მოიკითხა და ბოლოს წითელი საქაღალდის შიგთავსის თვალიერებას შეუდგა. პოულმა კარგად იცოდა, თუ რომელ გვერდზე რა მასალა იდო და თვალს არ აშორებდა პრეზიდენტის მოძრაობას. მასპინძელმა მხოლოდ თვალი გადაავლო გამოძიების სხვადასხვა მასალას და იმ ფურცლებს ჩაუღრმავდა, სადაც თომას ბრაუნის ჩვენებები იყო დაბეჭდილი. მან გულდასმით წაიკითხა ბრალდებულის ჩვენებები. შემდეგ საქაღალდე დახურა და ჩაფიქრდა. მცირე პაუზის შემდეგ კი, თავი ასწია. სტუმრებს გაუღიმა და თქვა:

– სამწუხაროა, როცა ასეთი მაღალჩინოსანი მძიმე დანაშაულში იმხილება. მით უმეტეს, რომ ის ჩემი დიდი ნდობით სარგებლობდა და ძალიან ვწუხვარ ამის გამო. რა გაეწყობა, მეგობრებო, მეც დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და ვეცდები, მსგავსი შეცდომა აღარ დავუშვა. ამიერიდან კადრების შერჩევაში უფრო მეტ სიფრთხილესა და წინდახედულობას გამოვიჩენ. რასაც ახლა გავეცანი, ჩემი აზრით, საკმარისია, რომ საქმე სასამართლოს გადაეცეს და ბრაუნმა საკადრისი სასჯელი მიიღოს. თქვენ კი დიდ მადლობას გიხდით გაწეული სამუშაოსთვის.

– გმადლობთ, სერ, – ერთდროულად მიუგეს პრეზიდენტს სტუმრებმა.

– ბატონებო, თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს.

– ბრძანეთ, სერ, – უთხრა პრეზიდენტს კეინმა.

– მე, რა თქმა უნდა, ბრაუნის დანახვაც კი არ მინდა. თუმცა, არ შემიძლია, რომ ჩემი აღშფოთება დავმალო მის მიმართ და თუკი წინააღმდეგნი არ იქნებით, თანაც ასეთი საქციელი კანონს არ ეწინააღმდეგება, მინდა, ჩემი თანაშემწე შეახვედროთ მას მცირე ხნით, რათა მან ბრაუნს ჩემი ზიზღისა და გულისწყრომის სიტყვები გადასცეს. დიახ, დიახ, ბატონებო. სწორედაც რომ, ჩემი მის მიმართ ზიზღის. მსგავსი საქციელი უკიდურეს ზიზღს იმსახურებს და მეტს არაფერს.

– რა თქმა უნდა, სერ. თქვენ ამის სრული უფლება გაქვთ, – მიუგო კეინმა.

– და, ასეთი რამ გამოძიებებზე ზეწოლად არ ჩამეთვლება?

– არანაირად, სერ.

– კარგი, – გასაგებია. მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან.

– ბრძანეთ, სერ.

– ეს ყოველივე ჩვენ შორის უნდა დარჩეს. არ მინდა, ამ ამბავმა გაჟონოს. არ მინდა, პრესამ და ტელევიზიამ თქვას – პრეზიდენტმა ციხეში მჯდომ კაცზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოახდინაო. ალბათ, გესმით ჩემი. არჩევნები კარსაა მომდგარი და ჩემი ოპონენტები უკულმა გამოიყენებენ ამ მომენტს.

– რა თქმა უნდა, სერ, არსად ვიტყვით.

– ჰოდა, ძალიან კარგი. როდისაა შესაძლებელი ამის გაკეთება?

– ნებისმიერ დროს, სერ.

– მაშინ, ასე ვქნათ, დაახლოებით ერთ საათში, ჩემს თანაშემწეს გამოვუშვებ და ბრაუნს შეახვედრეთ.

– კარგი, სერ. შევთანხმდით.

– აბა, ნახვამდის, მეგობრებო. დიდ მადლობას გიხდით ოპერატიულობისთვის. ამ საქაღალდეს კი, თქვენის ნებართვით, დავიტოვებ. უთხრა პრეზიდენტმა სტუმრებს. ხელი ჩამოართვა მათ და ოვალური კაბინეტიდან გამოისტუმრა.

კეინს და პოულს მთელი გზა კრინტიც არ დაუძრავთ. „ეფბეერის“ დირექტორის კაბინეტში რომ შევიდნენ, კეინს ირონიულად გაეცინა და თავის მოადგილეს ჰკითხა:

– რას იტყვი, მარტინ, რა შთაბეჭდილება დაგრჩა ოვალურ კაბინეტში შემდგარი საუბრიდან?

– მე მგონი, თქვენ მართალს ამბობდით.

– შენ რა, კიდევ ეჭვი გეპარება?

– მე მგონი, უკვე აღარ, სერ.

– ნუთუ ვერ მიხვდი, თუ რა სპექტაკლი დაგვიდგა პირველმა? – ჩაეცინა კეინს, – პრეზიდენტს ბრაუნის ჩვენება აინტერესებდა მხოლოდ და როცა დარწმუნდა, რომ ის უოლტ-სტრიტს არ ახსენებდა, თავისი თანაშემწე შემოგვაჩეჩა.

– მართალს ბრძანებთ, სერ. პრეზიდენტი მხოლოდ ბრაუნის ჩვენებას გაეცნო გულდასმით. დანარჩენი საბუთებისთვის არც კი შეუხედავს.

– თავის თანაშემწეს კი იმიტომ ახვედრ-

ებს ბრაუნს, რომ უთხრას – ენას კბილი დააჭირე და უოლტ-სტრიტი არ ახსენოო. ამას პრეზიდენტი იმიტომ აკეთებს, რომ კიდევ ოთხი წლით იჯდეს ოვალურ კაბინეტში. ეს კი უოლტ-სტრიტის გარეშე თითქმის შეუძლებელია, – ემოციურად თქვა კენიმა და პაუზა გააკეთა, – ახლა ხომ მაინც დარწმუნდი, თუ საიდან უბერავს ქარი და რომ იმ სიმაღლეებს ჩვენ ვერ მივწვდებით?

– ისე, კარგი კი იყო, რომ მივწვდომოდით.

– გეთანხმები, მაგრამ ეს ამ ეტაპზე მაინც შეუძლებელია.

– ესე იგი, გამოძიება უნდა დავასრულოთ და როგორც პრეზიდენტმა ბრძანა, საქმე სასამართლოს გადავცეთ?

– კი. მხოლოდ მას მერე, როდესაც კარლო მოზესს დავაპატიმრებთ და ამერიკაში ჩამოვიყვანთ. ხუთი-ექვსი დღე კარგად დავამუშავებთ და მერე უკვე სასამართლომ იცის თავისი საქმე.

– ეს ყველაფერი, მაქსიმუმ ორი კვირა გაიწელება. პრაღის შეკრებას, ალბათ, სამი დღე ეყოფა. ამის შემდეგ კი მოზესს ავიყვანთ.

– ვფიქრობ, რომ ორ კვირაში ჩავეტევით, – დაეთანხმა პოულს კენი და ირონიულად ჩაეცინა, – შენ მართალი ხარ, მარტინ. ამ ქვეყანაში ნამდვილად არაა კანონის წინაშე ყველა თანასწორი. პრეზიდენტი კი უმაღლესი ხელისუფალი სულაც არ არის და მასზე ბევრად მეტი ძალაუფლება უოლტ-სტრიტის რამდენიმე ბანდას გააჩნია. რას იზამ, ასეთია ამერიკა. ჩვენ კი მისი შვილები ვართ. შვილები კი უანგაროდ უნდა ემსახურებოდნენ მშობელს და ჩვენც ვემსახურებით.

* * *

მრავალსაათიანი, მომქანცველი ფრენის შემდეგ ჯაბა და მამა-შვილი მოზესები პრაღაში ჩაფრინდნენ. დაჯავშნულმა „ლიმუზინმა“ ისინი აეროპორტიდან ჰაშეკის რეზიდენციაში მიიყვანა. მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, სასახლის კართან მათ ჯინა კროსი შეეგება. გოგონა კისერზე ჩამოეკიდა ჯაბას და მიეფერა. კარმენმა კოპები შეიკრა. კარლო მოზესი კი წამით შეცბა. შემდეგ დამხვდური შეათვალიერა და ჯაბას უთხრა:

– ეს მომხიბვლელი გოგონა ვინაა, ძვირფასო მასპინძელო?

– გაიცანით, დონ კარლო. ეს მშვენიერი არსება ჩემი მდივანი და საცოლე, ქეით როისია, – უთხრა ჯაბამ კარლო მოზესს და გაიღიმა

კარლო მოზესი კვლავ წამით შეცბა. შემდეგ ხელი გაუწოდა ჯინას და უთხრა:

– კარლო მოზესი.

– ქეით როისი, – მიუგო ჯინამ და ხელი ჩამოართვა.

– ქეით როისი, – გაიმეორა დონ კარლომ, – თუ არ ვცდები, აქაური არ უნდა იყოთ.

– ამერიკელი ვარ, – მიუგო ჯინამ.

– ამ სიშორეზე რამ წამოგიყვანათ, ძვირფასო ქეით?

– სწავლის წყურვილმა, დონ კარლო. ევროპულ ხელოვნებას ვეუფლები. აქვე შევხვდი საყვარელ ადამიანს და სულ მალე დავქორწინდებით.

– მშვენიერი წყვილი ხართ და ბედნიერებას გისურვებთ, ქორწილში თუ დამპატიჟებთ, სასიამოვნო სიურპრიზს გაგიკეთებთ.

– აუცილებლად დაგპატიჟებთ, დონ კარლო.

– სიტყვაზე გიჭერთ, მშვენიერო ქეით, – უთხრა კარლო მოზესმა გოგონას და შემდეგ კარმენისკენ გაიშვირა ხელი, – ეს კარმენია. ჩემი ქალიშვილი, გაიცანით.

კარმენმა ცივად ჩამოართვა ხელი ჯინას. თავისი სახელი უთხრა და მამას გვერდით ამოუდგა. ჯაბამ კი მოზესები სასახლეში შეიპატიჟა და მათთვის განკუთვნილ აპარტამენტებამდე მიაცილა. შემდეგ ჯინასთან ერთად თავის ოთახში გამობრუნდა და თავისი მეწყვილე მოიკითხა.

– ავლანეთში გამოიძახეს და ხვალ დილით ჩამოვა, – უთხრა ჯინამ ჯაბას, – წუხელ ცენტრიდან შემატყობინეს, რომ პრაღაში ბიუროს საგანგებო ჯგუფია გამოგზავნილი კარლო მოზესზე სათვალთვალოდ.

– რაში დასჭირდათ? – ჰკითხა ჯაბამ.

– შიშობენ, რომ შეხვედრის დასრულების შემდეგ მოზესი მიმალვას შეეცდება და ხელიდან რომ არ დაუსხლტეთ.

– ალბათ, თომას ბრაუნის გამო.

– სწორედ მაგიტომ.

– აქ რა ხდება?

– ჯერჯერობით მხოლოდ მოზესები ჩამოვიდნენ. დანარჩენებს დღეს ველოდებით.

– კეთილი, ძვირფასო. ახლა მე მოზესებს უნდა მოვუსმინო. შენ კი წადი და საქმეს მიხედე. ძალიან ნუ იაქტიურებ. მართალია, ჩემი საცოლე ხარ, მაგრამ ამათთვის – მხოლოდ მდივანი და შესაბამისად მოიქეცი.

– არის! – ირონიით მიუგო ჯინამ ჯაბას და გაბუტული გავიდა ოთახიდან.

ჯაბამ ყურსასმენები გაიკეთა და მამა-შვილის მოსმენას შეუდგა, რომლებიც ქართულად საუბრობდნენ.

– რა დაგემართა, მამა. რაღაც ვერ ხარ ხასიათზე, – უთხრა კარმენმა კარლო მოზესს.

– საეჭვოა ეს ყველაფერი, – მცირე პაუზის შემდეგ მიუგო დონ კარლომ კარმენს.

– რას გულისხმობ?

– აქაურ ვითარებას.

– მაინც, რას? გარკვევით მითხარი.

– თუნდაც ამ ქეით როისს.

– ეს ძუკნა არც მე მომეწონა. მაგრამ, მერე რა. ჩვენი მასპინძლის მდივან-ნაშაა და მეტი არაფერი.

– საქმე ისაა, შვილო, რომ ის სულაც არაა ქეით როისი და სინამდვილეში ჯინა კროსი ჰქვია.

– შენ რა იცი?

– ვიცი.

– მამა... – კარმენმა მწველი მზერა ესროლა კარლო მოზესს და უთხრა, – როდის იყო ჩემთან ქარაგმებით ლაპარაკობდი. თქვი, რა ხდება.

– გახსოვს, გითხარი, ქალიშვილი მყავს-მეთქი შტატებში.

– მახსოვს.

– ჰოდა, ეგ გოგონაა სწორედ ჩემი ქალიშვილი და შენი და.

– რას ამბობ?! – შეცბა კარმენი.

– აბსოლუტურ სიმართლეს, – მიუგო კარლომ.

– მერე და თავის ნამდვილ ვინაობას რატომ მალავს?

– მეც სწორედ ეს მაეჭვებს და ვფიქრობ, რომ შემოგზავნილია.

– შემოგზავნილი?

– კი. სავარაუდოდ, ბიურომ შეუგზავნა ჩვენს მასპინძლებს.

– თუ მასეა, მაშინ სასწრაფოდ უნდა გავაფრთხილოთ ჩვენი მასპინძლები.

– რას ამბობ. ეგ ფიქრადაც არ გაივლო. ეს რომ გავაკეთო, მას მოკლავენ.

– აბა, თხუნელა უნდა გვყავდეს?

– გაჩუმდი. მართალია, ბევრი სისხლია ჩემს კისერზე, მაგრამ ღვიძლ შვილს ნამდვილად ვერ გავწირავ.

– მაშინ რას აპირებ?

– პირისპირ დაველაპარაკები.

– და, რას ეტყვი?

– სიმართლეს.

– და, რა შეიცვლება ამით? ჯერ ერთი, არც დაიჯერებს და რომც დაარწმუნო, რომ შენი შვილია, მას ისე ექნება ტვინი გამორეცხილი, მაინც თავისას იზამს.

– რა, მშობელ მამას გამწირავს?

– დარწმუნებული ვარ, რომ გაგწირავს.

– შენ გამწირავდი?

– ნუ გვადარებ.

– რატომ? ორივე ხომ ჩემი შვილები ხართ?

– ბიოლოგიურად კი, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს ბევრს არ ნიშნავს. მე შენი გაზრდილი ვარ და მიყვარხარ. ვიცი, რომ მამაჩემი ხარ. იმას კი როდის გაუწიე მამობა, არც კი გიცნობს.

– აბა, ვინ გაუწია, თუ არა მე. დედამისი ადრევე გარდაიცვალა. მის სწავლა-განათლებას, აღზრდას და ყველაფერს მე ვაფინანსებდი და მხოლოდ იმიტომ არ გავიკარე, რომ ხიფათისთვის ამერიდებინა.

– ხიფათისთვის აგერიდებინა?

– ჰო, შვილო. შენ არ მეყოფი ჩემნაირი, რომ მეორე შვილიც ასეთ შარში ჩამეგდო?

– მაგას რა, დედოფლად ზრდიდი?

– უბრალოდ, მინდოდა, რომ ამ ყველაფრის მიღმა მდგარიყო. ყოველმხრივ ვზრუნავდი ამაზე და მის სახელზე ოფშორებში ორასი მილიონი დოლარი მაქვს შენახული.

– ორასი მილიონი?

– შენ რა, ეჭვიანობ?

– არა, მაგრამ ბევრი ხომ არაა „ეფბეერის“ თხუნელასთვის?

– მასე ნუ ამბობ, შვილო. ის შენი დაა.

– გასაგებია, მამი. შენ ის მითხარი, რას აპირებ?

– ჩემთან ერთად უნდა გაქრეს, – მტკიცედ თქვა კარლო მოზესმა და სიგარეტი გააბოლა.

– შენთან ერთად გაქრეს?

– ჰო.

– მერე და დაითანხმებ?

– არც ვეცდები. უბრალოდ, გავიტაცებ და მერე დავამუშავებ.

– რომ ვერ დაითანხმო?

– დავითანხმებ. ჩემი შვილია და დამიჯერებს. თანაც, არც ორასი მილიონი დოლარია მზესუმზირის ფული.

– ღმერთმა ქნას, მამი, რომ ეს საქმე გამოვიდეს. მაგრამ, მაინც ეჭვი მეპარება.

ამ დროს კარზე დააკაკუნეს და მოზესები სადილზე მიიწვიეს. ჯაბამ ყურსასმენები

მოიხსნა. შემდეგ მსახური იხმო და უთხრა:
– ჩვენს სტუმრებს მოუბოდიშე და უთხარი, რომ სასწრაფო საქმე გამომიჩნდა და სადილს ვერ დავესწრები. რომ დავბრუნდები, მათ განარგულებაში ვარ.
ჯაბას არანაირი საქმე არ ჰქონდა. ის, უბრალოდ, შოკირებული იყო გაგონილით. თავს ვერ თოკავდა და გაშიფვრის შეეშინდა. თანაც, უნდა დაფიქრებულიყო. ყველაფერი გაეანალიზებინა და მოქმედების გეგმა შეედგინა. უშბა ათიოდე წუთი გაუნძრევლად იჯდა სავარძელში. შემდეგ სასწრაფოდ ჩაიცვა. მსუბუქად შეინიღბა. საიდუმლო ტელეფონი ჯიბეში ჩაიდო. სათადარიგო გასასვლელით დატოვა სასახლე და ქალაქში ტრამვაით გაემგზავრა. რვა გაჩერების შემდეგ ჩამოვიდა. ლეონიდ კოზლოვს დაურეკა და დაშიფრულად ელაპარაკა.
– გისმენ, ვაცლავ, – უპასუხა კოზლოვმა.
– სად დაიკარგე, ანტონ. ორი დღეა, გირეკავ, – უთხრა ჯაბამ.
– ქალაქგარეთ ვიყავი, პიკნიკზე და ტელეფონი შეგნებულად გამოვრთე.
– შენთან თხოვნა მაქვს, ანტონ.
– ალბათ, ფული, ხომ?
– შენ ნამდვილი გულთმისანი ხარ.
– ამას გულთმისნობა რად უნდა.
– გაქვს?
– რამდენი გინდა?
– ექვსასი ევრო.
– მოდი, წაიღე.
– მადლობა.
– რომელზე მოხვალ?
– ექვსის მერე.
– კეთილი, გელოდები. ნახვამდის.
– ნახვამდის, – მიუგო ჯაბამ. ტელეფონი გათიშა და მდინარეში გადააგდო. შემდეგ ტრამვაიში ავიდა და გაემგზავრა.
ჯაბას და კოზლოვის საუბრის ნამდვილი შინაარსი კი ის იყო, რომ ოცი წუთის შემდეგ პავლე ლიადოვი, რომელიც სამიოდე საათის ჩამოსული იყო ჩეხეთის დედაქალაქში თბილისიდან, უშბას ინკოგნიტოდ უნდა შეხვედროდა გარეუბანში. მდინარის პირას მდებარე პატარა, წყნარ სკვერში.
ჯაბა ორი წუთით ადრე მივიდა შეხვედრაზე. დათქმულ დროს ლიადოვიც გამოცხადდა. სკამზე მჯდომ ჯაბას გვერდით მიუჯდა. ხელი ჩამოართვა და მიესალმა.
– გაგიმარჯოს, ძია პავლე. როგორ ხარ?
– კარგად. შენ?
– არა მიშავს. ჩვენები როგორ არიან?
– კარგად. რა მოხდა. ასე სასწრაფოდ რატომ დამიბარე?
– ძია პავლე, მოზესის მოსატაცებლად ყველაფერი მზადაა?
– კი. დარდი ნუ გაქვს.
– პრაღაში „ეფბეერის“ სპეცჯგუფია ჩამოსული. კარლო მოზესს უთვალთვალებენ და როგორც კი „სხოდკა“ დასრულდება მოტაცებასა და შტატებში ჩაყვანას უპირებენ. ცენტრი შიშობს, რომ თომას ბრაუნის საქმის გამო მოზესი მიმალვას შეეცდება. ამიტომ რალაც უნდა ვილონოთ, რომ არ დაგვასწრონ.
– დარდი ნუ გაქვს, ყველაფერი რიგზე იქნება.
– ძია პავლე, ახლა მთავარი უნდა გითხრა. ის, რისთვისაც ასე სასწრაფოდ გამოგიძახე.
– ეტყობა, ძალიან მნიშვნელოვანი რამაა.
– უმნიშვნელოვანესი.
– აბა, გისმენ. თქვი, – უთხრა ლიადოვმა ჯაბას და სმენად იქცა
ჯაბამ დაწვრილებით უამბო პავლე ლიადოვს მამა-შვილი მოზესების საუბრის შინაარსი და ბოლოს თქვა:
– წარმოგიდგენია, რა სიტუაციაა? ვინ მოელოდა ასეთ რამეს.
– ბედის ირონიაა. რას ფიქრობ, როგორ უნდა მოიქცე?
– უპირველესად, ჯინას შევეშვები. გამორიცხულია, რომ მამაჩემის მკვლელის შვილთან არამც თუ ინტიმური, საერთოდ, რაიმე სახის ურთიერთობა მქონდეს.
– მართალი ხარ. შემდეგ.
– შემდეგ ის, რომ ფანტომ-კალმარს პირადად უნდა გავუსწორდე. ამას წყალი არ გაუვა და ისე უნდა ააცალოთ ის ნაძირალა ცხვირწინ „ეფბეერს“, რომ არ გაიშიფროთ.
– შემდეგ...
– შემდეგ უკვე დრო გვიჩვენებს.
– შენ მთავარი გამოგრჩა.
– რას გულისხმობ, ძია პავლე.
– იმას, ჩემო ბიჭო, რომ მოზესის გატაცების შემდეგ შენც უნდა გაქრე.
– მოვალეობას ვერ ვულალატებ.
– არასწორად მსჯელობ. შენ შენი მოვალეობა უკვე შეასრულე და დროა, თამაშიდან გამოხვიდე. მით უმეტეს, რომ შენმა შეფებმაც დაგრთეს ამის უფლება და მე მგონი, უკვე დროა.
– ეგ ადრე იყო და ბრაუნის გამო. ახლა კი სულ სხვა სიტუაციაა. ბრაუნი მხილებულია და დაპატიმრებული. ანუ, მტერი განეიტრალდა.
– ცდები.
– ვცდები?
– რა თქმა უნდა, ცდები. ბრაუნის განეიტრალებით ბევრად უფრო ვერაგი და ძლიერი მტრები გადაიკიდე – მისი პატრონები. ის მაინც თუ გესმის, რამხელა საქმე ჩაშალე და ამას არავინ გაპატიებს. ამიტომ, ლეგალურად შენი ყოფნა უკვე აღარ შეიძლება. უნდა გაუჩინარდე. ამაში კი ჩვენ დაგეხმარებით.
– ძია პავლე, ეს საკითხი „ეფბეერის“ ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს. ასე რომ, გაქცევა არ გამოვა.
– ცდები. მერწმუნე, რომ მაგრად ცდები. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ისე გაგწირავენ, როგორც სამსხვერპლო ცხვარს. თანაც, თვალსაც კი არ დაახამხამებენ. ბიუროსთვის შენ რიგითი, ერთ-ერთი იმათგანი ხარ, ვინც მათზე მუშაობს და მეტი არაფერი. სამაგიეროდ, ჩვენთვის ხარ ძალიან ძვირფასი და შენ რომ რამე დაგემართოს, რომ არაფერი ვთქვა შენს ოჯახსა და სხვა დანარჩენებზე, ვერც მე გადავიტან ამას. მამაშენის სიკვდილი დღემდე ვერ მომინელებია, ისევე, როგორც დედაშენის და მოდი, ამაზე დასვი წერტილი.
– არ ვიცი, ძია პავლე. კარგად უნდა დავფიქრდე.
– დაფიქრდი, შვილო. კარგად დაფიქრდი. მაგრამ იცოდე, რომ ფიქრისთვის დიდი დრო არ გაქვს, მაქსიმუმ ორ დღეში უნდა მიიღო გადაწყვეტილება.
– კარგი, ძია პავლე. პასუხს ორ დღეში გაგცემ. ახლა კი კარლო მოზესის გატაცების დეტალები განვიხილოთ. ისეთი გეგმა უნდა შევადგინოთ, რომ ხელი არაფერში შეგვეშალოს.
– გისმენ.
– მოზესების აპარტამენტებში ტუალეტია, რომლის ქვეშაც საიდუმლო გვირაბი გადის და ეს გვირაბი მდინარემდე გრძელდება. იმავე ტუალეტში გამჭირვალე სარკეა. ეს სარკე იღება. გამტაცებლები სწორედ იქიდან წაიყვანენ იმ ნაძირალას და დანარჩენი კი – მისი ტრანსპორტირება და სხვა ზომები, თქვენს ხალხზეა დამოკიდებული.
– ამას უმაღლეს დონეზე შევასრულებთ. შენ ის თქვი, როდის წავიყვანოთ მოზესი. დანარჩენს კი ჩემები მიხედავენ.
– ზეგ. სავარაუდოდ შუაღამის შემდეგ. დილამდე დრო გექნებათ და სანამ მისი გაუჩინარების ამბავი გაირკვევა, სამშვიდობოზე იქნებით.
– კარმენს რას უშვრები. რომ გაეღვიძოს, ან სულაც არ ეძინოს?
– „სხოდკა“ რომ დასრულდება, ვახშამზე კარმენს სასმელში დასაძინებელ აბებს ჩავუყრი. სამი საათის შემდეგ ამოქმედდება და შუადღემდე თვალს ვერ გაახელს. იმავე ვახშამზე კარლო მოზესს კუჭის ასაშლელ აბს ჩავუგდებ სასმელში და ის აბი კარმენის დაძინებიდან ნახევარ საათში ამოქმედდება. მოზესი ტუალეტში გაიქცევა და იქ კი თქვენი ხალხი იმუშავებს.
– მშვენიერია, მაგრამ ყველაფერი რომ გაირკვევა, უფრო სწორად კი, დონ კარლოს გაუჩინარების ამბავი რომ გაცხადდება, შენ მოგადგებიან და რა პასუხს გასცემ მათ?
– ვის გულისხმობთ?
– თუნდაც კარმენს.
– ვიუარებ. ვიტყვი, რომ არაფერი ვიცი.
– „ეფბეერსაც“ იმავეს ეტყვი? დარწმუნებული იყავი, რომ „ეფბეერი“ და ადგილობრივი უშიშროება, როგორც კი დონ კარლო გაუჩინარდება, აუცილებლად შემოიჭრებიან რეზიდენციაში. იძაურობას თავდა-


## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**

ყირა დააყენებენ და გვირაბსაც ალმოაჩენ-ენ. ბიურო აუცილებლად გაგშიფრავს და პასუხს მოგთხოვენ.

– აბა, რა ვქნათ, არ გავიტაცოთ?

– გვირაბის შესახებ კიდევ ვინ იცის?

– ჰაშეკმა და ჩემმა მეწყვილემ.

– კი. უნდა გავიტაცოთ, მაგრამ შენც უნდა წამოხვიდე. ასეთ შემთხვევაში შენც გატაცებულად ჩაითვლები და ორ კურდღ-ელს ერთად დაიჭერ. უბრალოდ, გეგმის ოდ-ნავ შეცვლა მოგვიწევს. შენი გატაცების ინ-სცენირებას ქალაქში მოვაწყობთ და იმ ღა-მეს ჯინასთან ერთად გასეირნება მოგიწე-ვს მდინარის პირას.

– ამაზე ხომ უკვე ვილაპარაკეთ, ძია პავლე. თუ გადავწყვიტე კი, მაგრამ ჯერ არ ვიცი და ორი დღე უნდა მაცალო.

– გასაგებია. მაგრამ შენც თუ არ წამო-ხვალ, მაშინ დონ კარლოს გატაცების მეო-რე ვარიანტიც უნდა გვქონდეს, რომ შენზე არ მიიტანონ ეჭვი და ჩემებმა ის ქალაქიდ-ან უნდა ასწიონ. არა და, გვირაბის ვარია-ნტი იდეალურია.

– ქალაქიდან მის წაყვანას „ეფბეერი“ გეგმავს.

– ვიცი. მაგრამ, რა გაეწყობა. „ეფბეე-რს“ უნდა ვაჯობოთ.

– როგორ აპირებთ. თქვით თქვენი გე-გმა.

– ბადალოვი რომ ააფეთქეს, ის ადგი-ლი ხომ გახსოვს?

– დიახ.

– ჰოდა, დონ კარლოს იქ ბლოკირებას მოვუწყობთ. ცრემლმდენ გაზს გავუშვებთ. იქვე საკანალიზაციო ლუქია. ჩემი აირწინ-ალიანი ბიჭები მას ლუქში ჩაათრევენ და კვამლი რომ გაიფანტება, მოზესი უკვე გა-ტაცებული ეყოლებათ.

– სარისკოა.

– რა თქმა უნდა, გვირაბი ჯობია, მაგ-რამ შენ თუ არ წამოხვალ, მაშინ რისკზე წასვლა მოგვიწევს. საამისოდ, ჩვენ ყველ-აფერი მზად გვაქვს და შენს პასუხს დავ-ელოდებით.

– კარგი, ძია პავლე. როგორც შევთანხ-მდით, პასუხს ზეგ გეტყვით. ახლა კი წავ-ალ.

– ნახვამდის. იმედია, რომ სწორ გადა-წყვეტილებას მიიღებ. სწორი კი შენი წამ-ოსვლაა.

ჯაბას პასუხი აღარ გაუცია ლიადოვის-თვის და შეხვედრის ადგილი დატოვა. თა-დარიგის გენერალს კი გულში ეცინებოდა, რადგან ჯაბას გატაცება უკვე გადაწყვეტ-ილი იყო და თუკი ის ნებით არ წაჰყვებო-და მათ, მაშინ ლიადოვი, გამრეკელი და ზვიადაური ძალით გამოიყვანდნენ თამაშ-იდან.

რეზიდენციაში ჯაბა იმავე გზით დაბრ-უნდა და თავის ოთახში შეიკეტა.

ჯაბა ნახევარიოდე საათი გაუნძრევლ-ად იჯდა სავარძელში და ფიქრობდა. შემ-დეგ თავი მოიწესრიგა და ოთახიდან გავი-და.

– სად იყავი, საყვარელო, კარს რატომ არ მიღებდი? – ჰკითხა ჯაბას ჯინამ, რომ-ელიც დერეფანში შეხვდა.

– მოზესები სად არიან? – კითხვითვე მიუგო ჯაბამ.

– ისვენებენ, – თქვა ჯინამ და დაამა-ტა, – კითხვაზე რატომ არ მპასუხობ?

– ვისვენებდი, ქეით, – მოკლედ მოუჭ-რა უშბამ.

– მე კი მითხრეს, სასწრაფო საქმე გამოუჩნდაო.

– ეს მოზესებისთვის გადასაცემად ვთქვი.

– ძვირფასო, რა გჭირს?

– არაფერი.

– დილით კარგ ხასიათზე იყავი. თქვი, რა მოხდა.

– გადავიღალე... რა, არ შეიძლება?

– შეიძლება, მაგრამ, მე მგონი, მატყ-უებ და რაღაც მოხდა.

– გეჩვენება, ქეით. მოგვიანებით ვი-ლაპარაკოთ. ახლა კი მოზესები უნდა ვნა-ხო. ბოდიში, – მიუგო ჯაბამ გოგონას და მამა-შვილის აპარტამენტებისკენ გაემა-რთა.

***

ჯაბასთან შეხვედრის შემდეგ ლიადო-ვი კონსპირაციული ბინისკენ გაემართა და ოთახში რომ შევიდა, მომხიბვლელ, ქერათმიან გოგონას უთხრა:

– როგორ ხარ, ლიდოჩკა.

– კარგად. თქვენ?

– არა მიჭირს. ჯგუფი სადაა?

– ადგილებზე. თქვენს მითითებებს ელ-ოდებიან.

– მოკლედ ასე, ჩემო გოგონა, შეიძლე-ბა, ოპერაციის გეგმა შეიცვალოს და სამ-უშაო გაგიადვილდეთ.

– ამას რა ჯობია. თქვით, შეფ.

– ზეგ, შუაღამის შემდეგ, თუ, რა თქმა უნდა, გეგმა შეიცვლება, სამი კაცი მდინ-არის აი, ამ ადგილზე – ლიადოვმა გოგო-ნას გაშლილ რუკაზე თითით უჩვენა, – უნდა მივიდეს და აგურებით შენიღბულ გვირაბში შეძვრეს. ეს გვირაბი ჰაშეკის სა-სახლეში ადის და აპარტამენტების ტუალ-ეტს უერთდება. იქ კი გამჭირვალე სარკე-ეა. ილება და იქიდან ასწევთ დონ კარლ-ოს.

– გასაგებია.

– თუ არ შეიცვალა, მაშინ, რას შვრებ-ით, ყველაფერი რიგზე გაქვთ? – ჰკითხა ლიადოვმა ქერათმიან გოგონას.

– აბსოლუტურად ყველაფერი.

– მოდი, დაწვრილებით გავიაროთ გეგ-მა.

– გავიაროთ, – მიუგო გოგონამ და პრა-ღის გაშლილ რუკას თითი დაადო, – აი, ამ მიწისქვეშ საკომუნიკაციო მაგისტრალზე იქნება ჩასაფრებული ჩვენი ორი კაცი, რა თქმა უნდა, აირწინაღებიანად. ერთი მოტ-ოციკლისტი ჰაშეკის რეზიდენციასთან იდ-გება და მოზესები რომ გამოვლენ, გამოჰ-ყვება. შემდეგ, ოპერაციის მთავარ წერტ-ილამდე ხუთასი მეტრი რომ დარჩება, ის რაციით გადასცემს ჩვენს „ბლოკიროვშჩი-კებს“ და სამი მანქანით დავბლოკავთ, გზას ჩავუკეტავთ. ამის მერე საქმეში ერთვება მოტოციკლისტი. ის ცრემლმდენ გაზს გა-უშვებს ირგვლივ, მოზესების მანქანის კარს კი მცირემუხტიანი ნაღმით ააფეთქებს. გა-თიშულ დონ კარლოს გადმოათრევენ. შემ-დეგ ლუქი გაიღება და ორი ჩვენიანი გატ-აცებულს წაიყვანეს. „ბლოკიროვშჩიკები“ თავიანთი მანქანებით იქაურობას გაეცლ-ებიან ად წავა მოტოციკლიც.

– რა დრო დასჭირდება ამ ყველაფერს?

– მაქსიმუმ, ოცდახუთი წამი.

– მონაწილეთა რაოდენობა?

– რვა ადამიანი.



– ძალიან კარგი.

– დარდი ნუ გაქვთ, შეფ. გოგონები ყვე-ლაფერს ხუთიანზე შეასრულებენ. როდის-მე დაგვილალატებიხართ?

– არასდროს. მაგრამ, მაინც ვნერვიულ-ობ. მოზესს შეიარაღებული დაცვა ჰყავს და არ გესროლონ.

– გამორიცხულია, შეფ. გაზი მათ მომ-ენტალურ პარალიზებას მოახდენს და გან-ძრევასაც ვერ მოასწრებენ.

– თქვენი იმედი მაქვს. ძირითადად, ამ-ისთვის იყავით მზად. თუ სასწაული მოხდა და გეგმა შეიცვალა, რაც მე ძალიან მინ-და, ზეგ შეგატყობინებთ.

– გასაგებია, შეფ. ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ.

– ნახვამდის, ლიდოჩკა. წავედი და ყუ-რადღებით იყავი.

– ნახვამდის. ნურაფრის დარდი გექნებ-ათ.

ლიადოვი ერთი საათის მერე უკვე ლე-ონიდ კოზლოვთან იყო და რუსული მაფი-ის შეფს ელაპარაკებოდა.

– როგორ განწყობაზე ხარ, ლიონია? – ჰკითხა ლიადოვმა კოზლოვს.

– მშვენიერზე. ხვალინდელი დღისთვის ვემზადები, – მიუგო კოზლოვმა.

– ხომ ყველაფერი გახსოვს?

– რა თქმა უნდა. დარდი ნუ გაქვთ. ყვე-ლაფერს ნოტებზე შევასრულებ, – გაეცინა კოზლოვს და ლიადოვს ჰკითხა, – დონ კა-რლო უკვე ჩამოვიდა?

– კი. ამ დილით ჩამობრძანდა.

– ნაშაც თან ახლავს?

– ვინ ნაშა? – ვერ მიხვდა ლიადოვი.

– კარმენი. მისი ქალიშვილი.

– კი.

რუსული მაფიის შეფს გაეცინა და თქვა:

– დიდი ხანია, მასზე თვალი მაქვს დად-გმული და ოდესმე გავჟიმავ. კოლუმბიელი ჯერ არ მყოლია.

ლიადოვმა ღიმილითვე მიუგო:

– ლიონიჩკა, ეგ ქალი კერკეტი კაკალია და კბილები არ მოიტეხო.

– ეგეთები გაგვიტეხავს?

– კარგი, კარგი. ჯერ ხვალ შეასრულე შენი როლი და კარმენის გაჟიმვაზე მერე ვილაპარაკოთ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# 61 წლის ქართველ მძარცველს მსოფლიოს სამი ქვეყნის სამართალდამცველები დღემდე ეძებენ



**მოუხელთებელი**

1986 წლის 4 ივნისს, რუსეთის ქალაქ სვერდლოვსკის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების №9 კოლონიიდან 32 წლის ალექსანდრე კაპანაძე გაიქცა. მან ნაგვის გასატანად განკუთვნილ მანქანაში შეაღწია, ტყავის ნარჩენებში დაიმალა და ამგვარად მოახერხა საპყრობილიდან თავის დაღწევა. გაქცეულ პატიმარს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. ის 1984 წელს იყო დაპატიმრებული და კოლონიაში 2 წელი გაატარა.

სვერდლოვსკის №9 საპყრობილე ყოფილი მილიციელებისთვის იყო განკუთვნილი. ალექსანდრე კაპანაძე მილიციის ყოფილი კაპიტანი და „მურის“ (მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებრო) ოპერმუშაკი იყო, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო თანამშრომლად ითვლებოდა, ციხეში კი პატიმრის დაინვალიდების გამო მოხვდა. კაპიტანმა კაპანაძემ 1982 წლის მარტში ვინმე იური ლოპატოვი დააპატიმრა, რომელიც მცირეწლოვანი გოგონას სასტიკ გაუპატიურებაში იმხილებოდა. 27 წლის დაკავებული დაკითხვისას ცინიკურად იქცეოდა. ქართველ ოპერმუშაკს „შავტრაკა ქართველ მაიმუნს“ უწოდებდა და სახეშიც კი შეაფურთხა. ამის გამო კაპანაძემ ლოპატოვი სცემა, ხერხემალი დაუზიანა და დააინვალიდა. პატიმარი „ცეკას“ ერთ-ერთი მაღალჩინოსნის დისშვილი იყო, ამიტომ ქართველი კაპიტანი მეორე დღესვე დააპატიმრეს, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. გაასამართლეს და 8 წელი მიუსაჯეს, დაინვალიდებული ლოპატოვის საქმე კი მიჩქმალეს და პასუხისმგებლობიდან გაათავისუფლეს.

– თქვენ უნამუსო ნაძირლები ხართ და მიმიფურთხებია თქვენი მართლმსაჯულებისთვის! – პირში მიახალა კაპანაძემ პროკურორს და მოსამართლეს თავის ბოლო სიტყვაში, დახურულ პროცესზე, რომელზეც მსჯავრდებულის მშობლებიც კი არ დაუშვეს.

პატიმარი რომ სასამართლო დარბაზიდან გაიყვანეს, ბადრაგმა ის სასტიკად სცემა. ციხეში კი ერთადგილიან საკანში გამოამწყვდიეს და სამი დღის განმავლობაში აშიმშილებდნენ, თან ფიზიკურად უსწორდებოდნენ...

კოლონიიდან გაქცეულ პატიმარზე საკავშირო ძებნა გამოაცხადეს. ფეხზე დადგა მთელი მილიცია, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს. გაქცევიდან ორი თვის შემდეგ, 1986 წლის 7 აგვისტოს, ალექსანდრე კაპანაძემ და ორმა დაუდგენელმა პირმა, მოსკოვის №68 შემნახველი სალარო გაძარცვეს – მათ 57 ათასი მანეთი გაიტაცეს და მიიმალნენ. მილიციამ ძებნა გააძლიერა, მაგრამ მილიციის ყოფილი კაპიტანი მათთვის მოუხელთებელი იყო.

**საგანგებო ბრძანება**

კაპანაძის მძარცველთა ბანდა მოსკოვსა და მის შემოგარენში შეუდგა მოქმედებას. 1986 წლის აგვისტოდან მოყოლებული, 1987 წლის იანვრამდე მათ 17 ძარცვა განახორციელეს და 880 ათასი მანეთი და 260 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასი ნივთები გაიტაცეს. ბოროტმოქმედები ყოველთვის ერთი ნაბიჯით ასწრებდნენ სამართალდამცველებს და მათ მოსვლამდე ტოვებდნენ ხოლმე დანაშაულის ადგილს. ისინი კარგად შემუშავებული სქემით მოქმედებდნენ და ყოველთვის ჰქონდათ გაქცევის რამდენიმე მარშრუტი. მძარცველები მეხივით ატყდებოდნენ თავს შემნახველ სალაროებს ან ინკასატორებს, თვალის დახამხამებაში ართმევდნენ მათ ფულსა და ძვირფას ნივთებს, შემდეგ მანქანაში სხდებოდნენ და უჩინარდებოდნენ. 1986 წლის 2 დეკემბერს მძარცველებმა მოსკოვის მაღაზია „სამოცვეტი“ გაძარცვეს და იქიდან 191 ათასი მანეთის ღირებულების სამკაულები წაიღეს. ეს უნიკალური დანაშაული მხოლოდ და მხოლოდ 45 წამი გაგრძელდა და მილიცია შოკირებული იყო. მეორე დღეს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური თათბირი ჩატარდა. მინისტრმა თავისი ხელქვეითი სასტიკად დატუქსა და კაპანაძისა და მისი ბანდის წევრების ადგილზე ლიკვიდაცია დაავალა, რაც საგანგებო ბრძანებითაც გააფორმა...

საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროში კაპანაძესა და მის ბანდაზე შეიქმნა მონადირე საგანგებო ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც გამოცდილი, ავღანეთში ნაომარი მილიციელები გააერთიანეს. თუმცა, არც ამ ზომებმა გამოიღო შედეგი – მომდევნო ერთი თვის განმავლობაში მოუხელთებელმა ბოროტმოქმედებმა კიდევ სამი დანაშაული ჩაიდინეს და 200 ათასი მანეთით აზარალეს სახელმწიფო.

**ყოფილი ქართველი კაპიტნის ბანდამ 17 ძარცვა განახორციელა და 18 მილიონი დოლარის ღირებულების 200 ცალი ალმასი გაიტაცა**

1987 წლის თებერვალში კაპანაძის ბანდა მილიციელთა თვალთახედვის არიდან მოულოდნელად გაქრა და ძალოვნებმა მათი კვალი დაკარგეს. თუმცა, მილიცია წესიერად არც არასდროს დამდგარა ამ მოუხელთებელ ბოროტმოქმედთა კვალზე და კაპანაძის გარდა ბანდის სხვა წევრებზე არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდათ. იმავე წლის მაისში საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტომ ოპერატიული ინფორმაცია მიიღო იმის შესახებ, რომ ალექსანდრე კაპანაძემ საბჭოთა კავშირი დატოვა. ბოლოს ის პოლონეთის ქალაქ პოზნანში ნახეს. თუმცა, პოლონელი სამართალდამცველები უარყოფდნენ ქართველ ძებნილი დამნაშავის მათ ტერიტორიაზე ყოფნას და, სინამდვილეში სად იმყოფებოდა მილიციის ყოფილი კაპიტანი, არავინ უწყოდა.

**თავხედური ძარცვა**

რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ალექსანდრე კაპანაძის კვალი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამოჩნდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1993 წლის მაისში, ქალაქ იოჰანესბურგის უშიშროებამ პოლონეთის მოქალაქე ევა ბრავანსკა დააპატიმრა. ამ 29 წლის მომხიბვლელ ქალს მსხვილი ძარცვის თანამონაწილეობაში ედებოდა ბრალი და საზღვრის გადაკვეთის მცდელობისას დააკავეს აეროპორტში. ბრავანსკამ დაკითხვაზე თქვა, რომ მისი პარტნიორი და დანაშაულის ორგანიზატორი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქე, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში თომას ვუდსონის სახელით ცხოვრობდა და ერთ-ერთ საბროკერო ფირმაში მუშაობდა. აფრიკელი სამართალდამცველები ერთ მსხვილ ძარცვას იძიებდნენ, ბრავანსკას კვალზე გავიდნენ და სწორედ ამ უკანასკნელმა გაიყვანა ისინი კაპანაძეზე. საქმე 200 ცალი მსხვილი ალმასის ძარცვას ეხებოდა, რომელიც 1993 წლის 6 თებერვალს განხორციელდა. ექვსმა ნიღბიანმა შეიარაღებულმა მძარცველმა, დღისით-მზისით, ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკის სათადარიგო შესასვლელთან დაჯავშნილი საინკასაციო, მანქანა გაძარცვეს. მათ რვა კაცისგან შემდგარი, კბილებამდე შეიარაღებული დაცვა სულ რაღაც ოთხ წამში გაანეიტრალეს, შემდეგ ალმასებით სავსე ყუთი გაიტაცეს და მიიმალნენ. დანაშაული ყოველგვარი მსხვერპლის გარეშე განხორციელდა და ბოროტმოქმედებს არანაირი კვალი არ დაუტოვებიათ. ბრავანსკა კი მხოლოდ იმიტომ დააკავეს, რომ მას საბაჟო შემოწმების დროს ერთი ცალი გატაცებული ალმასი აღმოაჩნდა ხელჩანთაში დამალული. ქალმა თქვა, რომ ალმასი მას თავისმა საყვარელმა, თომას ვუდსონმა, იგივე ალექსანდრე კაპანაძემ აჩუქა და უშიშროებას მისი მისამართი აუწყა. თუმცა, ეჭვმიტანილის სახლში მისულმა სპეცრაზმმა კაპანაძე იქ ვერ აღმოაჩინა და მასზე ძებნა გამოცხადდა. ყოფილი ქართველი კაპიტნის სურათები მთელ ქვეყანაში იყო გაკრული, მაგრამ 18 მილიონის ღირებულების ალმასების გამტაცებელი არსად ჩანდა – მის კვალს ვერსად პოულობდნენ. სამხრეთაფრიკელი ძალოვნები, ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა მილიციელები, მხოლოდ ბანდის უფროსს იცნობდნენ და დანარჩენ ბოროტმოქმედებზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ.

კაპანაძემ და მისი ბანდის უცნობმა წევრებმა 1994 წელს ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში კიდევ ერთი თავხედური ძარცვა ჩაიდინეს – ადგილობრივი ბანკის სეიფიდან 2 მილიონი დოლარი და 26 კილოგრამი ოქროს ზოდები გაიტაცეს. მას მერე კაპანაძის კვალი სამუდამოდ გაქრა და მოუხელთებელ ქართველს დღემდე ეძებს რუსეთის, სამხრეთ აფრიკისა და ბრაზილიის პოლიცია... ალექსანდრე კაპანაძე 1954 წლის 11 იანვარსაა დაბადებული თბილისში და თუ ცოცხალია, 61 წლის უნდა იყოს.

**ნიკა ლაშაური**

# რატომ გამოჭრა მამამ შვილს ყელი და რა როლი შეასრულა სასტიკ მკვლელობაში მოღალატე რძალმა



ოპერატიული ინფორმაცია დანაშაულის შესახებ, რომელიც სოფელში უცბად გახმაურდა, სამართალდამცველებისთვის გარდაცვლილი მამაკაცის, მალხაზ ჭ-შვილის მეზობლებისგან გახდა ცნობილი. სწორედ მათ აღმოაჩინეს ყელის არეში დაჭრილი მამაკაცი, რომელიც შემთხვევის ადგილზევე გარდაცვლილიყო. მათ ბინაში საზარელი სურათი დახვდათ – მალხაზ ჭ-შვილი სამზარეულოში იწვა ყელგამოჭრილი, იატაკი სისხლით იყო სავსე. იქვე ეგდო დანაშაულის იარაღი – სამზარეულოს პატარა დაჟანგული დანა, რომელსაც სავარაუდოდ, არც კი ხმარობდნენ. ბავშვები გარდაცვლილი მამის ცხედრის ირგვლივ ტრიალებდნენ. იქვე იყვნენ ოჯახის სხვა წევრები – გარდაცვლილის მამა და მეუღლე, თამარ კ-ძე, რომელიც მეუღლეს დასტიროდა და ამბობდა, რომ მალხაზმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულაო.

დანაშაულის იარაღი, სამზარეულოს პატარა ჟამგიანი დანა თავიდანვე გახდა საეჭვო თემა. სამართალდამცველების განცხადებით, ადამიანი ამ ტიპის დანით საკუთარ თავზე სასიკვდილო დაზიანებას ვერ მიიყენებდა. სამართალდამცველებმა დაკითხეს ინციდენტის თვითმხილველნი. საქმის მასალებით ცნობილი გახდა, რომ ჩხუბი და ხმაური ამ ოჯახში, სადაც ცოლ-ქმარი, მათი ორი შვილი და გარდაცვლილის მამა, 66 წლის გოგი ჭ-შვილი ცხოვრობდნენ, ჩვეულებრივი რამ იყო. თუმცა, დანაშაულის ჩადენამდე ცოტა ხნით, ადრე მათი ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა.

ამონაწერი მოწმის, ლეილა ტულუშის ჩვენებიდან: „ჩემი სახლი ჭ-შვილების ბინასთან ყველაზე ახლოსაა. როცა ქალის კივილი შემომესმა, მეუღლე გავაღვიძე და ვუთხარი: თამრიკოს ხმაა, ალბათ, რამე ხდება და გადავალ-მეთქი. ჩემმა ქმარმა სასტიკად იუარა, რომ გამომყოლოდა. მე მაგათი თავი არ მაქვს და შენ რაც გინდა, ის ქენიო. ამ ოჯახზე ყველას აცრუებული ჰქონდა გული, მაგრამ ქალებს გვეცოდებოდა ბავშვები, რომლებიც სიღარიბეში იზრდებოდნენ. რითიც შეგვეძლო, ვეხმარებოდით ხოლმე მათ. გოგი სოფელში ცუდი კაცის სახელით სარგებლობდა, ახალგაზრდობაში ოთხჯერ იყო ნასამართლევი, ორჯერ ნათესავის გაქურდვისთვის, ორჯერ კიდევ მეზობლის დაყაჩაღებისთვის. მთელი ცხოვრება უსაქმოდ, ჩხუბსა და აყალმაყალში ჰქონდა გატარებული. მას შემდეგ, რაც დაქვრივდა, მოიყვანა ცოლი, მაგრამ იმ ქალმა ვერ გაძლო ამ ოჯახში რამდენიმე თვეზე მეტი. ბოლო დროს მამა და შვილი ხშირად ჩხუბობდნენ. ორივე სასმელს ეტანებოდა და როგორც კი რომელიმე დალევდა, ჩხუბი გარდაუვალი იყო. ბოლო ორი თვე მამა-შვილს შორის ურთიერთობა უფრო მეტად დაიძაბა. ისე, რომ შვილმა არაფერი იცოდა, რძალმა და მამამთილმა საკუთარი სახლი ჩუმად მიჰყიდეს ერთ-ერთ შეძლებულ მეზობელს, რომელსაც იქვე, ახლოს ფერმისთვის მიწები ჰქონდა ნაყიდი. როცა მალხაზმა ეს გაიგო, ცოლი სასტიკად სცემა, მამასთან კი დიდი დაპირისპირება მოუხდა."

გამოძიებამ დაიკითხა გარდაცვლილის მამა და მეუღლე. გოგი ჭ-შვილმა განაცხადა, რომ შვილის თვითმკვლელობის შესახებ რძლისგან მაშინ შეიტყო, როდესაც თამარმა ის სამზარეულოში, გარდაცვლილი აღმოაჩინა. გარდაცვლილის მეუღლემ პირველივე დაკითხვისას დეტალურად მოუთხრო გამოძიებას ინციდენტის შესახებ, ამონაწერი მისი ჩვენებიდან: „იმ საღამოს ყველა ადრე დავწექით დასაძინებლად, მალხაზი ნასვამი იყო და შემეშინდა, მამასთან კიდევ არ მოსვლოდა კონფლიქტი. ამიტომაც, საწოლამდე მივიტყუე. როგორც კი დაწვა, მაშინვე დაეძინა. მე იმავე ოთახში, მეორე საწოლში ვიწექი, ბავშვთან ერთად. ჩემი მამამთილი გვერდით საძინებელში იწვა. გვიან ღამით, უცნაური ხმა შემომესმა, ხროტინს ჰგავდა. თვალი გავახილე, მივიხედ-მოვიხედე. სიბნელეში ვერაფერი დავინახე, მაგრამ გავიგე დავარდნის ხმა. საწოლიდან წამოვდექი, შუქი ავანთე ჩვენს საძინებელს და სამზარეულოს კარის ნაცვლად ფარდა აშორებს. ფარდა გადაწეული იყო და სისხლით მოსვრილი მალხაზი დავინახე, იქვე ძირს ეგდო პატარა დანა, რომლითაც მას ყელი გამოეჭრა. მაშინვე ჩემი მამამთილის ოთახში შევვარდი. გოგის ეძინა, გავაღვიძე და ვუთხარი, რომ მალხაზმა თავი მოიკლა".

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და დაიწყო გამოძიება. თვითმხილველთა ჩვენების მიუხედავად, თვითმკვლელობა საკმაოდ ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა – როგორ გამოიჭრა ყელი მამაკაცმა საკუთარი ხელით ისე, რომ ამის შესახებ ვერავინ ვერაფერი გაიგო სამზარეულოში, რომელიც თითქმის საძინებლის ნაწილი იყო, სადაც ორ ბავშვს და მეუღლეს ეძინათ, ძნელი წარმოსადგენი იყო. ბევრ საეჭვო გარემოებას შეიცავდა გარდაცვლილის მამისა და მეუღლის ჩვენებებიც, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. ყველაზე მეტი ინფორმაცია გამოძიებას გარდაცვლილის უმცროსმა შვილმა, 10 წლის გოგონამ მიაწოდა. მან მასწავლებლის თანხლებით დაკითხვის დროს განაცხადა, რომ დაინახა სამზარეულოში, როგორ ეჭიდავებოდა პაპა მამას და როგორ ეხმარებოდა მას თამარ კ-ძე. რის შედეგადაც შეშინებული ბავშვი მთელი ღამე შიშით ცახცახებდა. საბოლოოდ, გამოძიების მიერ ჩიხში მოქცეულმა რძალ-მამამთილმა აღიარა, რომ მალხაზ ჭ-შვილი თავად მოკლეს და ეს სახლის გაყიდვისას დაგეგმეს. გოგი ჭ-შვილმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, დანაშაულის მოტივი იყო ეჭვიანობა, რომელიც გარდაცვლილ მამაკაცს მამისა და ცოლის ურთიერთობაზე ჰქონდა. ეს მათ ინტიმურ კავშირს ეხებოდა. ამაზე ეჭვი ჰქონდათ მეზობლებსაც. მამა-შვილის დაპირისპირების მიზეზი, ჩუმად გაყიდული ბინა კი არა, მამამთილისა და რძლის ინტიმური ურთიერთობა იყო, რასაც გარდაცვლილიც ხვდებოდა. როგორც საქმის მასალებით დადგინდა, მკვლელობის ღამეს, ნასვამმა მალხაზ ჭ-შვილმა ალერსის დროს შეუსწრო მამას და მეუღლეს. მათ კი ის საძინებელში მოკლეს, შემდეგ კი სამზარეულოში გაათრიეს და თვითმკვლელობის სცენა გაითამაშეს.

ჩადენილი დანაშაულის დეტალები აღიარა გოგი ჭ-შვილმაც. მან განაცხადა, რომ შვილის თავიდან მოშორება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საკუთარი რძალი შეუყვარდა. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის, გოგი ჭ-შვილს სასამართლომ 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკვლელობის თანამონაწილე თამარ კ-ძეს კი 8 წლით პატიმრობა შეეფარდა.

**შვილის თავიდან მოშორება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საკუთარი რძალი შეუყვარდა**

**ეკა ბარაბაძე**

## ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. გეომეტრიული ფიგურებით დაიწყეთ მანქანის ხატვა



2. მიახატეთ მანქანის ზედა ნაწილი



3. შემდეგ — „ცხვირი" და ფარები



4. დაასრულეთ წინა ნაწილი



5. მიახატეთ უკანა მხარეც



6. საბურავებიც არ დაგავიწყდეთ



7. დაასრულეთ ნახატი



ზაალ სულაკაურის სახატავი სტუდია
ტელ.: 272 9191
თამარაშვილის №36

# იპოვეთ 10 განსხვავება





# დაეხმარე გზის გაკვლევაში



# გააკეთე თვითონ!







ბავშვები ძალიან ხალისობენ ასეთი გასართობით. აიღეთ პატარა ვედრო და შეღებეთ ნებისმიერ ფერად. ამოავსეთ ბურბუშელით ან ხმელი ბალახით. ჩაარჭვ-ეთ შუაში ფანერის ბრტყელი ჩხირი (ყელს რომ უსინ-ჯავენ ექიმები ბავშვებს – ის, ან ნაყინის ჯოხი) დაა-წებეთ ფერადი ქაღალდისგან გამოჭრილი ყვავილის ფოთლები, შუაგულში ლამაზი ღილი ან სტიკერი და-აკარით. ვედროს შემოახვიეთ ფერადი ლენტი და გაბ-ანტეთ... ბავშვის ოთახს ძალიან გაალამაზებთ.

## რიცხვრებუსი

,,5, 2,, 5,,, ,,,5

## არწივი და მელა

### (იგავ-არაკი)

არწივი და მელა დაძმობილდნენ. გადაწყვიტეს, მეზობლურად და მეგობრულად ვიცხოვროთო. არწივმა ერთ მაღალ ხეზე აიშენა ბუდე, მელამ კი იქვე, ბუჩქნარში დაყარა ლეკვები. ერთხელ, როცა მელა სარჩოს საძებნელად წავიდა, მშიერი არწივი ბუჩქებს დააცხრა, ლეკვები მოიტაცა და თავის მართვეებს მიჰგვარა შესაჭმელად. შინ დაბრუნებულმა მელამ ეს ამბავი რომ შეიტყო, ძლიერ დაღონდა, მაგრამ რას იზამდა. გამოხდა ხანი. ერთხელ არწივმა ზვარაკად შეწირული თხის ხორცი მოიტაცა. ხორცს ნაკვერჩხალი აჰკვროდა. ქარმა დაუბერა, ნაკვერჩხლიდან ალი ავარდა, ბუდეს ცეცხლი წაეკიდა და მართვეები ძირს გადმოცვივდნენ. მელამ დრო იხელთა, ეცა და არწივის თვალწინ შესანსლა უსუსური მართვეები.

ფიცის გამტეხი მოძმის განაჩენს რომ გაექცეს, ღვთის განაჩენს ვერსად დაემალებაო.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| დიდკუდიანი ცხოველი | | | წითელი მინდვრის ყვავილი / რიცხვი / ნოტი | |
| ყიყინა | | | | |
| | | | | |





ერთ-ერთი მოციქული

ზაზა ფანასკერტ-ელ-...

საფრანგე-თის პორტი (დეფისის გარეშე)

გენერატო-რის უძრავი ნაწილი

იგივეა, რაც გოდება

ნავთობის პროდუქტი

ქართველი „ელადიმე-რი"

მცენარის ორგანო

„ყაჩაღი" გურულად

სახელმ-წიფო აფრიკაში

კაკუს როლის შემსრულე-ბელი

მათრ-ობელა სითხე

16,3 კგ

მსუნაგი, ანუ ...

„მარილნაკ-ლული" ქერძი

დამჟავებუ-ლი ღვინო

ნიადაგის „ორგანუ-ლი" ნაწილი

საფრანგეთ-ის რევოლუ-ციური კალენდრის მე-11 თვე

ზანგების ჩაგვრის პოლიტიკა

დროის ერთეული

სასვენი ნიშანი

მკვდარი ცხოველის სხეული

ჰამლეტის გვარი

შინაური ცხოველი

ქართველი მოჭადრაკე ქალი

ნრეხაზის ფორმის საგანი

მათემა-ტიკის ნაწილი

კაზინო

მონაცრის-ფრო-თეთ-რი მინერალი

დაბალი მაგიდა

ზღვის დიდი ფრინველი

გამომძალვ-ელი, ანუ ...

შედედებუ-ლი სისხლი

ზღვის დიდი ცხოველი

ქართველი მოჭრივე

ფიზიკური სიდიდე

„მთების ფიქრი"

მოკლე ზედა ტანსაცმე-ლი

ფრინველის ნაშიერი

„ამაოების ბაზრის" ავტორი

პირის ნიშანი

კეკელას „დაქალი"

კლავიატუ-რიანი საკრავი

ტომას მაინ ...

ნოტი

ქიაჩელი

დისნეის მულტფილ-მი

გამარ-ჯვების ქალღმერთი

უშაქრო სალეჭი რეზინი

ლიდიის მითიური მეფე

„ფორსაიტ-ების ..."

ასეთი დათვიც არსებობს

მალვინას ძაღლი

მერილინ ...

სამკურ-ნალო დანესებუ-ლების ტიპი

შემოკლ-ებით წერა

საჩოგბურ-თო „ტაიმი"

დანაშაულ-ებრივი ორგანიზა-ცია

გეომეტრი-ის ნაწილი

მე-ფე

Column clues:

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 11 | 16 | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 3 | 3 | 17 | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 1 | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 1 | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 7 | 10 | 1 | 1 | 1 | | | |
| | | | 3 | 3 | 2 | 3 | 2 | 4 | | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 17 | 14 | 8 |
| 6 | 8 | 10 | 6 | 9 | 10 | 12 | 13 | 13 | 20 | 18 | 18 | 18 | 16 | 16 | 14 | 14 | 12 | 10 | 8 | 4 | 11 | 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 15 | 13 |

Row clues:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 3 |
| | | | | 3 |
| | | | | 5 |
| | | | | 6 |
| | | | 4 | 8 |
| | | 3 | 2 | 8 |
| | | 1 | 3 | 9 |
| | | | 5 | 12 |
| | | | 5 | 8 |
| | | | 9 | 8 |
| | | | 13 | 8 |
| | | 4 | 9 | 7 |
| | | 3 | 12 | 6 |
| | | 3 | 14 | 4 |
| | | 3 | 15 | 4 |
| | | 3 | 17 | 4 |
| | | 3 | 17 | 2 |
| | | | 25 | 1 |
| | | 21 | 3 | 2 |
| | | 20 | 4 | 2 |
| | | 19 | 1 | 2 |
| 17 | 1 | 1 | 1 | 2 |
| | 15 | 1 | 1 | 2 |
| 13 | 1 | 1 | 1 | 2 |
| | 9 | 1 | 1 | 2 |
| | 1 | 1 | 1 | 2 |
| | | 1 | 1 | 2 |
| | 1 | 1 | 1 | 2 |
| | | 1 | 1 | 2 |
| | | | 1 | 2 |
| | | | | 7 |
| | | | | 5 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 6 | | 5 | | 3 | 4 | 8 |
| | 5 | | 4 | 1 | 6 | 2 | | |
| | 9 | | 3 | | 2 | | 1 | 5 |
| 5 | | 2 | 9 | | 8 | 4 | | |
| | | 7 | | 4 | | 8 | 2 | 9 |
| 9 | 4 | | 2 | | 1 | | | 6 |
| | 3 | | 8 | | 7 | | 6 | 2 |
| 6 | | 9 | | 2 | 4 | | 5 | |
| | 7 | 1 | | 6 | | 9 | | 4 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | 2 | | | 3 | | 6 |
| 1 | | 4 | | 6 | | | 9 | |
| | 3 | | 7 | | 9 | | 5 | |
| 8 | | | 6 | | 3 | | 4 | |
| | 7 | 3 | | | | 6 | | |
| | | | | 8 | | 1 | | 3 |
| | 9 | 6 | | 3 | | | 7 | |
| | 4 | | 1 | 7 | | 9 | | 2 |
| 3 | | 7 | | | | | | |

**გიორგი ხაჭაპურიძე საზოგადოებამ მას შემდეგ გაიცნო, რაც დიმა ბილანს საკუთარი ესკიზები მოარგო. ახალგაზრდა დიზაინერი არაერთხელ გახვეულა სკანდალში. საზოგადოება მისით განსაკუთრებით მაშინ დაინტერესდა, როდესაც „ფეისბუქის“ გვერდზე თავისი ნახევრად შიშველი ფოტოები გამოაქვეყნა. როგორც გიორგი ამბობს, ადამიანმა თავი ყველა სფეროში უნდა მოსინჯოს, რათა მიხვდეს, რა შესაძლებლობები აქვს. ყოფილი ჯარისკაცი და აწ უკვე დიზაინერი, ახალ ამპლუაში წარდგება თქვენს წინაშე – ის თურქეთში ერთ-ერთ ეროტიკულ ფილმში გადაიღეს, რომელიც მალე პორნოსაიტებზე განთავსდება.**

# ვინ ეხმარებოდა გიორგი ხაჭაპურიძეს ეროტიკული სცენების თამაშის დროს და რის გამო დაატოვებინეს მას საქართველო

**– გიორგი, დიზაინერი ხარ, ეროტიკულ ფილმში მონაწილეობის მიღებას რატომ დათანხმდი?**

– ფილმის რეჟისორია სეზგინ სერიგიული, რომელსაც წლებია, ვიცნობ და ვმეგობრობ. მან, რამდენიმე თვის წინ შემომთავაზა ეროტიკულ ფილმში მონაწილეობის მიღება. ვიდრე საბოლოო პასუხს ვეტყოდი შემოთავაზებაზე, დიდი დრო მქონდა მოსაფიქრებლად და საკმაოდ კარგად ავწონ-დავწონე ჩემი გადაწყვეტილება. როგორც უკვე აღვნიშნე, ეს არის ეროტიკული ჟანრის ფილმი, რომელიც განთავსდება პორნოსაიტებზე. ფილმში მონაწილეობისთვის შვიდი ათას დოლარს ავიღებ ჰონორარის სახით, რომელსაც მთლიანად გადავურიცხავ სამ სოციალურად დაუცველ ოჯახს.

**– შენი აზრით, ქართველები როგორ მიიღებენ შენს გადაწყვეტილებას? როდესაც მამაკაცების ქუსლიან ფეხსაცმელზე შეყენება გადაწყვიტე, ყველა აგიმხედრდა...**

– საქართველოს არ ჰყავს პორნოვარსკვლავი მამაკაცი და, ალბათ, პირველობა დამმშვენდება ***(იცინის).*** შეიძლება, უამრავი უსაქმური ადამიანის ენის მსხვერპლი გავხდე, მაგრამ, მიღირს იმად, რასაც ვაკეთებ. ყველგან უნდა მოსინჯოს ადამიანმა თავი, რათა მიხვდეს, რა შეუძლია, შესაბამისად, მეც გამოვცადე ჩემი თავი ეროტიკული ჟანრის ფილმში. დავეხმარები გაჭირვეულ ოჯახებს – ამაზე რომ ვფიქრობ, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ მეგულება.



**მშობლებმა არ იციან ჩემი საქმიანობის შესახებ. როდესაც საქართველოში ჩამოვალ, თავად ვეტყვი**

**– არ გიჭირს გადაღებების პროცესი?**

– რთული აღმოჩნდა კამერებთან კონტაქტი, მაგრამ, დავძლიე რეჟისორებისა და კონსულტანტების დახმარებით; თან, საკმაოდ გამოცდილი პარტნიორები მყავს და ბევრ რამესაც მასწავლიან გადაღებების დროს. ჩემი პარტნიორი ორი ულამაზესი თურქი ქალბატონია. დუბლები იმდენად სწორად არის გათვლილი, ეროტიკული სცენების თამაში არ მიჭირს.

**– როგორ ფიქრობ, პორნოვარსკვლავის იმიჯის ტარება რთული არ იქნება?**

– რთული იქნებოდა, თუკი საქართველოში ვიცხოვრებდი, მაგრამ, ამჟამად ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვიმყოფები და, შესაბამისად, ჩემდა საბედნიეროდ, როდესაც ამას ქართველები გაიგებენ, მათ რეაქციას ვერ ვნახავ. დაახლოებით ვიცი, რა განწყობაც შეიქმნება ჩემ მიმართ, ეს იქნება შური, ბოლმა, ლანძღვა-გინება და სულში ჩაფურთხება არაფრისმთქმელი სახეებისგან. რაც უნდათ, ის თქვან, მე ამაყი ვარ იმით, რომ ამ ჰონორარით ცოტათი მაინც შევუმსუბუქებ ყოფას ხელმოკლე ოჯახებს; აგრეთვე, შემიძლია, ვიყო პირველი ქართველი მამაკაცი, რომელიც ჩაერთო პორნოინდუსტრიაში. რატომაც არ უნდა მიმეღო გადაღებაში მონაწილეობა, როცა კარგ ანაზღაურებას მთავაზობდნენ?! სიმართლე გითხრათ, უფრო ჰონორარის გამო დავთანხმდი შემოთავაზებას, ვინაიდან, კეთილი საქმის კეთების შესაძლებლობა მომეცა. ამ ყოველივესთვის, ვფიქრობ, ნამდვილად ღირდა, ერთ ფილმში რომ გამეხადა. ისე, ქართველებს არ მიუწვდებათ ამ ფილმზე ხელი.

**– რატომ?**

– დაახლოებით ვიცი, რომელი პორნოსაიტებიც არის ქართველებისთვის მოთხოვნადი და ამიტომ გითხარით. ისე, არაა გამორიცხული, საქართველომაც ნახოს. მისი ნახვის შესაძლებლობა ექნება ისეთ პიროვნებას, რომელიც კარგი მომხმარებელია პორნო და ეროტიკული ფილმების.

**– ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ შენს გადაწყვეტილებას?**

– არ ვარ მშობლებზე დამოკიდებული ახალგაზრდა; აქედან გამომდინარე, ისინი ჩემს ნაბიჯს მიესალმებიან, ვინაიდან, იციან, რომ ცუდს არაფერს გავაკეთებ. დარწმუნებული ვარ, ჩემს გაშიშვლებასაც იუმორით შეხვდებიან, რადგან, იუმორით სავსე ოჯახი მაქვს. ამ ეტაპისთვის არ იციან ჩემი საქმიანობის შესახებ, როდესაც საქართველოში ჩამოვალ, თავად ვეტყვი.

**– საქართველო პატარა ქვეყანაა და, მეეჭვება, შენს ჩამოსვლამდე ვერ გაიგონ, რატომ უმალავ მშობლებს შენს საქმიანობას?**

– ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც მსურს და ჩემი ქმედებებით არასდროს ვაზიანებ გარშემო მყოფებს. ევროპის არაერთ ქვეყანაში ვარ ნამყოფი საქმიანი თუ ტურისტული მიზნით და არასდროს მითქვამს მშობლებისთვის სად, რისთვის და რატომ მივემგზავრებოდი. ამჯერად სტამბულში ვარ. როდესაც საქართველოში ჩამოვალ, მოვუყვები მათ ჩემი სიგიჟეების შესახებ, რასაც მიჩვეულები არიან ჩემგან.

**– როგორც ვიცი, საქართველოდან წასვლა მხოლოდ შენი გადაწყვეტილება არ ყოფილა... საფრანგეთში ვიზიტი გადაიდო?**

– საფრანგეთის მოქალაქეობა მოვითხოვე, საქმე განხილვის პროცესშია და, ამიტომ, ჩემი ვიზიტი დროებით გადაიდო. საქართველო დავტოვე იმიტომ, რომ ჩემ მიმართ იყო დევნა, პოლიტიკური კუთხითაც კი. ვარ დიზაინერი და ამ სფეროთი გამიცნო ხალხმა. ცოტა ხნის წინ ვაპირებდი კოლექციის ჩვენებას, სადაც მამაკაცი მოდელები იდგებოდნენ მაღალ ქუსლებზე და წარმოაჩენდნენ ქალის სამოსს. ეს ვთქვი ერთ-ერთ ჟურნალში, რის შემდეგაც, ჩემს ნომერზე არ წყდებოდა ზარები, მუქარის წერილები და ასე შემდეგ. ამიტომ, გადავწყვიტე, დამეტოვებინა სამშობლო.

**– საქართველოს მოქალაქეობა რუსეთში ვერ დათმე... რატომ საფრანგეთი?**

– საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ჩემი უსაფრთხოებიდან გამომდინარე ვთქვი, ვინაიდან, საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირებისგან იყო მუქარა. ჩემი პროფესიით საქართველოში ადგილს ვერ დავიმკვიდრებ, საფრანგეთი კი მოდის სფეროსთვის ყველაზე კარგი ადგილია, ჩემს ქვეყანაში მდევნიდნენ, ამიტომ, იძულებული ვიყავი, ეს ნაბიჯი გადამედგა. საპატრიარქოს გამოხმაურების შემდეგ, ჩავშალე ჩვენება, რომელიც უკვე დაგეგმილი მქონდა. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ, როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ღრმად მორწმუნე ვარ.

**– ცოტა ხნის წინ საბერძნეთში იყავი, იქ რა ხდებოდა?**

– ათენში ვიყავი მიწვეული, ჩემი ესკიზები „ევროვიზია 2015-ის” საბერძნეთის წარმომადგენელს, მარია-ელენა კურიაკაოს ვაჩვენე. ორი ულამაზესი კაბა იკერება, რომლებითაც წარდგება მარია-ელენა საზოგადოების წინაშე.

**– გიორგი, „ფეისბუქზე“ შენი ნახევრად შიშველი ფოტოები გამოაქვეყნე, რასაც საზოგადოების მხრიდან კრიტიკა მოჰყვა. რატომ ცდილობ, სულ სკანდალებში გაეხვიო?**

– მიყვარს სიშიშვლე და დახვეწილი ტანის გამოჩენა. ვცდილობ, არ ვიყო სკანდალური, მაგრამ, ბოლოს მაინც სკანდალებში ვეხვევი. „ფეისბუქის“ გვერდზე ისეთი დიდი ამბები ხდებოდა ამ ფოტოებთან დაკავშირებით, ზოგჯერ ფრონტის ხაზი გეგონებოდათ ***(იცინის).*** ჩემ ირგვლივ მყოფებისგან გამუდმებით პოზიტივს ვიღებ, ამიტომ, მათ იქით რა ხდება, არ მაინტერესებს. ფოტოებს თავი რომ დავანებოთ, უცხო ხალხი მწერს საინტერესო შინაარსის წერილებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შეტყობინებებს არ ვპასუხობ, მაგალითად: „პასუხის მოწერა ისწავლე, უზრდელო“, „ისე მენახე, საერთოდ ველარ დაგეწეროს სმს“. ლანძღვა აღარ ჰყოფნით და ახლა წყევლაზე გადავიდნენ ***(იცინის).*** კრიტიკა ხშირად ყოფილა ფოტოებიდან გამომდინარე და ამის გამო შიშველი ფოტოები წამიშლია კიდეც, მაგრამ, უკვე მივეჩვიე ყურადღების ცენტრში ყოფნას.

**– კარგია პოპულარობა?**

– საკმაოდ ტკბილი ყოფილა, მთავარია იუმორის თვალით შევხედოთ ყველაფერს ***(იცინის).*** იმედი მაქვს, ამ ფილმით კიდევ არ მოვყვები კრიტიკის ქარცეცხლში. პირველი ვარ და შემიცოდეთ ***(იცინის).***

**ეთო ხურციძე**

**ლევან სუხიტაშვილი ცოტა ხნის წინ მეოთხე შვილის მამა გახდა: მას უკვე ორი ბიჭი და ორი გოგონა ჰყავს. მიუხედავად იმისა, რომ ლევანი საკმაოდ ნიჭიერი მსახიობია, საქართველოში თავისი პროფესიით იშვიათად მუშაობს. შესაბამისად, სამომავლოდ, შეიძლება სხვა ქვეყანაში მოსინჯოს ძალები.**

# როგორ შემოატარა რესტორნები ლევან სუხიტაშვილმა გასაბერ ქალს და რატომ ხდება მისი ჩაცმულობა მის ორიენტაციაზე საუბრის მიზეზი

**ლევან სუხიტაშვილი**: უკვე მრავალშვილიანი მამა ვარ. მე ვამრავლებ ერს და აწი იზრუნოს სახელმწიფომ, თან როგორი კარგები გამოდიან. რა იცი, რაში გამოადგნენ ქვეყანას. ხარისხი იმაზე უკეთესია, რაც სახელმწიფომ უნდა გადამიხადოს. უმუშევარი, მრავალშვილიანი მამა ვარ, ველოდები რაღაცეებს. მოსკოვის კინოსტუდიებიდან მოწვევები მაქვს, უბრალოდ, არ მინდა წასვლა. თუ აქ რამე გამოჩნდება, დავრჩები და თუ არადა, ალბათ მომიწევს წასვლა.



**– წლების წინ, ალბათ, ბევრი ვერ წარმოიდგენდა, რომ 4 შვილის მამა იქნებოდი.**

– დღესაც არ სჯერათ. არასტაბილური ადამიანი ვარ, მაგრამ როცა საქმე ოჯახს ეხება, მაშინ სხვანაირად არის საქმე. შვილები სულ სხვა პასუხისმგებლობაა, თუმცა ვერ გავიგე ეს პასუხისმგებლობა რას ნიშნავს... მაგრამ ამას სადღაც მაინც გრძნობ. არის რაღაცეები, რაშიც თავად შევიზღუდე თავი, რადგან სხვა ვერ შემზღუდავს. ვინმემ რომ შემზღუდოს, მიმითითოს: ეს, ასე გააკეთეო. პირიქით, შეიძლება, რაღაც ნაზლო გავაკეთო.

**– მაკას დიდი დამსახურებაა, ამდენი წელი ერთად რომ ხართ და უკვე სამი შვილი გყავთ.**

– მაკა გავიცანი პატარა სამყაროში, სადაც ყველაფერი ჩანდა: როგორი ადამიანი იყო. თუმცა, სირთულეები როგორც ყველგან, ჩვენთანაც არის. განსაკუთრებით უჯრაა ყველაფრის მიზეზი. დამილაგებს და ერთ ამოღებაზე არეულია. ვეუბნები: დაანებე თავი, მირჩევნია არეული იყოს, ასე უფრო კარგად ვპოულობ-მეთქი. ეს უჯრა მკლავს და კიდევ ღამე სახლში გვიან მისვლა. რამდენიმე დღეს თუ გადავაბამ ასე, მერე შეიძლება, საყვედური მითხრას და ერთი-ორი დღე გაიბუტოს. შერიგება უკვე მამაკაცის მარიფათზეა, მთავარია – მიყვარს. მაკა კარგად მიცნობს და წლების განმავლობაში დავიმსახურე მისი ნდობა. ერთადერთი, თუ გადავაბი დალევა, მერე შეიძლება მეგობრებთან ერთად შარდენზე ვიყო დილამდე და „ზეამაღლებულ თემებზე ვსაუბრობდეთ”. ერთხელ ერთ კლუბში იოანეც ჩავიყვანე, ვაჩვენე, რა ხდებოდა და წამოვიყვანე მერე.

**– იოანე ჭკვიანი ბიჭია, კარგი – სუხიტაშვილების საფირმო იუმორის გრძნობით.**

– ისეთ რაღაცეებზე კაიფობდა, მეც რომ ვკაიფობდი. ნოე – ცხოველია, ყველაფერი აქვს გაფუჭებული, ყველაფრიდან არის გადმოვარდნილი. მესამე ბავშვს ჯერჯერობით არ ვაპირებდით, მაგრამ პატარამ გარემოვაჭრესავით დაიკავა ადგილი. საშინელი ორსულობა აქვს მაკას. ახლაც 5 თვემდე იწვა, სულ გადასხმებზე იყო. მე არ უნდა მივეკარო ამ დროს, გული ერევა ჩემზე. პირველ ორსულობაზე ამის გამო ვჭედავდი და მერე მივეჩვიე. ლოთებს რომ უდგამენ ხოლმე ამპულებს, ასევე ვუდგამ მეც მაკას ამპულებს, მაგრამ ეტყობა, დაძველდა, გამოსაცვლელია.

**– ნანოს დაბადების ამბავი მომიყევი. მშობიარობასაც ხომ არ დაესწარი?**

– არა, ასეთები არ შემიძლია, თან საკეისრო გაიკეთა. სამედიცინოზე რომ ვსწავლობდი, აპენდიციტის ოპერაციას მაყურებინეს, დავტრიალდი და მივხვდი, იქიდან უნდა გავქცეულიყავი.

**– რატომ ჩააბარე მაშინ სამედიცინოზე?**

– სკოლაში აღარ მინდოდა სწავლა. დიდი მეგობრები მყავდა და ყველანი უნივერსიტეტებში სწავლობდნენ. ისე მინდოდა ჩაბარება, თავს ვაკლავდი სწავლას, 24 საათში ვისწავლე მთელი პროგრამა. პირველ სემესტრში ქიმიაში 2-იანი, რომ გამომყვა, მეორე სემესტრში ისე ვისწავლე, მასწავლებელი გაოცებული მიყურებდა. ერთჯერადად ვისწავლე და ჩავაბარე გამოცდები. სამედიცინო კოლეჯი დავამთავრე, მერე უნივერსიტეტში ჩავაბარე, მეორე კურსიდან გამოვედი. მაგრამ ისე არ დამტოვეს: მედძმის დიპლომი მომცეს – ყველა ღადაობდა, ვინც ნახავდა.



მეც არ უნდა მივეკარო ამ დროს, გული ერევა. პირველ ორსულობაზე ამის გამო ვჭედავდი და მერე მივეჩვიე

**– ბავშვის თემას დავუბრუნდეთ – ნანო დაბადებისთანავე შენ დაგაწვინეს მკერდზე.**

– კი, ნოე და ნანო დამაწვინეს – ბავშვს სითბო უნდა და სანამ ოპერაცია ბოლომდე დამთავრდება, მამას აწვენენ მკერდზე. ნანო ჩემი ერთი ძმაკაცის დაბადების დღეზე დაიბადა – არადა, არ მინდოდა ამ დღეს დაბადებულიყო. მაწანწალაა და ლოთი და მინდა, ახლა ჩემი შვილი ბოზი გამოვიდეს? 7 აპრილს დაგვიბარა ექიმმა, ბარემ აღდგომამ გადაიაროს და ერთი დღე დავნიშნოთო. ვიფიქრე: ამხელა კალენდარზე რაღა 14-ს იტყვის, გააქანა და არ ტყვლიპა 14. დაიბადა მაწანწალას დაბადების დღეზე. სახლში როგორც კი გამოვიყვანეთ, ნოეს ევაკუირება გავუკეთეთ დედაჩემთან. აპასნი ბავშვია. ვიფიქრე: მეშახტეების კამერა ხომ არ დავუმაგრომეთქი, მაგრამ ისეთია, ზადნით მივა ბავშვთან. გიო იყო ასეთი მავნებელი. სხვათა შორის, მე ვიყავი ძალიან მოწესრიგებული, გიო მავნებელი და ფეთხუმი. მაგრამ, რადიკალურად შევიცვალეთ – ის ძალიან პედანტია, მოწესრიგებული, მე – პირიქით.

**– შენი ფოტოები სოციალურ ქსელში ხშირად ხდება სალაპარაკო თემა.**

– მიყვარს სტრანნი პოსტების დადება, ჩაცმაც. მაქვს კიდეც ისეთი რაღაცეები, გია ჯაჯანიძეს არ ჩამოვუვარდები. ამ ხალხსაც მეტი რა უნდა – ეგრევე, ორიანტაციაზე მიდის ბაზარი. მე მევასება, რომ ღიზიანდებიან. ნანო რომ დაიბადა, სასტავი ჯერ საქეიფოდ წავედით, მერე შარდენზე. ჩავიცვი ლურჯი ვარსკვლავებიანი შარვალი – ასეთ ფორმაში ვიყავი 4 შვილის მამა. ეს გავაკეთე გამიზნულად, ვიღადავე. ტყავის შარვალი მაქვს კიდევ, რაზეც მეც მაგრად ვკაიფობ და ჩემი ძმაკაცებიც. ქუსლიანი ფეხსაცმელები არ მაქვს.

**– მინახავს შენი ფოტო ქუსლიანი ფეხსაცმლით.**

– მე და ზალიკო სულაკაურსაც გვაქვს ფოტოები გადაღებული. ერთ-ერთმა სტუდიამ გვთხოვა გადაღება. ეგონათ, ჩოხებში მივიდოდით. ჩვენ ძველებური კაბები ჩავიცვით, ქუსლიანი ფეხსაცმელი და გადავიღეთ ფოტო.

**– მეგობრებსაც, ალბათ, შენი ხასიათის შესაფერისი საჩუქრები მოაქვთ.**

– გასაბერი ქალი მაჩუქეს დაბადების დღეზე, მაგრამ მერე მომპარა ვიღაცამ. უფრო სწორად, კვალზე გავდივარ. ვხვდები, სადაც არის. მაგარი ქალია, ერთი 4 დღე ვიმოგზაურე ძმაკაცებთან მისი თანხლებით, ყველგან დაგვყავდა – პაბში, რესტორნებში. მერე ჩემმა ძმაკაცმა ფეხბურთელებმა კლუბში წაიყვანეს, თავისი ფორმაც კი ჩააცვეს. მოიარა ყველაფერი, ახლაც სადღაც არის. ერთხელ მე ვაჩუქე მანქანის ზეთი გოგოს, მიყვარდა წარსულში და პატარა სუნამო. ხუმრობდა, ჟიდკოსტი ხომ არ მაჩუქეო. რომ მეუბნებიან, როდის უნდა დასერიოზულდეო. ვერ ვხვდები, რატომ უნდა დავსერიოზულდე? ასე უფრო კარგად ვაზროვნებ, უფრო კარგად ვუდგები ყველაფერს. ზოგადად, გულთან ვიცი რაღაცეების მიტანა და ხუმრობით, იუმორით რომ არ მივუდგე, ამან შეიძლება, გადამიყვანოს ჭკუიდან. სადაც საჭიროა, იქ ვარ სერიოზული. ბევრი ახალგაზრდა ვიცი, ბებრებივით რომ არიან. მე არ დავბერდები. ისე ნაბოზვარი ბებერი ვიქნები – ფორმას შევინარჩუნებ, ზმანზე სულ ვიქნები.

**ნათია უტიაშვილი**

# რატომ აფასებდნენ მონღოლები ქართველებს და რატომ ენდობოდნენ მათ

ჩინგიზ ყაენის გარდაცვალების შემდეგ მონღოლთა უზარმაზარ იმპერიაში რამდენიმე მმართველი გამოიცვალა. 1246 წელს დიდი ყაენი გახდა გიუკი (ქუქი). მან გადაწყვიტა, გაელაშქრა თავისი ძველი მტრის, ჩინგიზ ყაენის უფროსი ვაჟის, ჯუჩის ძის – ბათოს წინააღმდეგ, რომელიც მხარს არ უჭერდა მის არჩევას მონღოლთა წინამძღოლად. ბათო ამ დროს დასავლეთში იყო, ვოლგისპირეთში. 1248 წელს, როდესაც გიუკი ყარაყორუმიდან დასავლეთისკენ დაიძრა ბათოს დასალაშქრავად, მოულოდნელად გზაში გარდაიცვალა.

1251 წელს უფლისწულებმა დიდ ყაენად დაამტკიცეს უფლისწული მანგუ. მართალია, უკვე დაწყებული იყო დაპირისპირება ჩინგიზიდ უფლისწულებს შორის, მაგრამ, დიდი იმპერიის დაშლა-დასუსტებამდე კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი.



მონღოლები კარგი მეომრები იყვნენ, ბავშვობიდან ცხენზე იზრდებოდნენ, მშვილდოსნობასა და ხმლის ხმარებას სიყრმიდან ეუფლებოდნენ, ომში კი სარდლობისა და თანამებრძოლების ერთგულები იყვნენ და მკაცრი დისციპლინა ჰქონდათ. ომში ისინი იყენებდნენ იმ დროისთვის უცნობ მეთოდებს, მაგალითად: ბრძოლის შემჭიდროვების დროს, უცებ მიტრიალდებოდნენ უკან და გააჭენებდნენ ცხენებს. მოწინააღმდეგეებს ეგონათ, რომ გარბოდნენ და უკან დაედევნებოდნენ ხოლმე და, ამგვარად, მტრის რიგები გაიშლებოდა და აირეოდა. სწორედ ამ დროს, მოულოდნელად, გვერდითა საფრებიდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან, მოწინააღმდეგის გაფანტულ რიგებს შეუტევდნენ გადამალული ნაწილები, ამ დროს „გაქცეულებიც“ მობრუნდებოდნენ და ისრების წვიმას დააყრიდნენ დაბნეულ მტერს, რომელიც სამი მხრიდან ალყაში ხვდებოდა, მეოთხე მხარეს კი არ უკეტავდნენ, რათა გასაქცევი დაეტოვებინათ, რადგან იცოდნენ, რომ მთლიანად ალყაში მოქცეულ მოწინააღმდეგეს, გარდა თავგანწირული შეტევისა, აღარაფერი რჩებოდა თავის გადასარჩენად, ეს კი მონღოლებს არ აწყობდათ – მათ მტრის უკანდახევა, გაქცევა სჭირდებოდათ. დაბნეულ და დემორალიზებულ მტრის არმიას გამოეკიდებოდა ხოლმე მსუბუქად შეიარაღებული მონღოლური კავალერია...

იყენებდნენ სხვა სიახლეებსაც...

ამან განაპირობა მათი არნახულად სწრაფი წარმატებები სხვადასხვა სახელმწიფოსთან ბრძოლაში (შემდეგში, ასეთივე ტაქტიკა იხმარეს მამლუქებმა, დაამარცხეს მონღოლები და არ გადაუშვეს აფრიკაში).

მონღოლები ახერხებდნენ, დამარცხებული ქვეყნები თავიანთ ლაშქრობებში ჩაერთოთ უკვე სხვა ხალხების წინააღმდეგ და ხშირად სხვისი დახმარებით იადვილებდნენ გამარჯვებას.

ქალაქების აღების დროს, ალყაშემორტყმული ქალაქების ზღუდებიდან ნასროლი ისრები, უპირველეს ყოვლისა, ხოცავდა მონღოლთა ტყვეებს, რომლებიც მონღოლთა მეისრეების შიშით ცდილობდნენ ხოლმე, ამოევსოთ თხრილები ციხე-ქალაქების გარშემო ან ასულიყვნენ ზღუდეებზე მიდგმულ კიბეებზე. ხშირად ქალაქის დამცველებს თავისივე თანამემამულეების ხოცვა უხდებოდათ პირველ ეტაპზე...

სხვები, უფრო კარგი მეომრები და მეტად სანდო რაზმები, მონღოლებს მოკავშირედ მიჰყავდათ სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლაში. ომში მონღოლების პარტნიორობა პატივად ითვლებოდა და ყველას არ ჰქონდა ამგვარი პატივი.

მას შემდეგ, რაც მონღოლებმა დაიმორჩილეს კავკასიის, წინა აზიისა და მცირე აზიის ხალხები, ნოინებმა მანგუ ყაენთან გაგზავნეს მაცნე და აუწყეს მას სპარსეთის, საქართველოსა და რუმის სასულთნოს, ასევე სხვა წვრილი სამთავროების დამორჩილების შესახებ. ყოველი დამორჩილებული ხალხისა და ეროვნების ქუდი, ტანსაცმელი და აბჯარი გაუგზავნეს ყაენს და, ასევე, მისწერეს ყოველი ხალხის დახასიათება, აღწერა თვისებებისა, რაც შეამჩნიეს მონღოლებმა ბრძოლებში და ურთიერთობაში დაკვირვების შედეგად.

სანამ მანგუ ყაენთან გაემგზავრებოდნენ მონღოლი ნოინების მიერ გაგზავნილი მაცნეები ადგილობრივი ხალხების ეთნოგრაფიულ-ფსიქოლოგიური დახასიათებით, მანამდე უნდა გაევლოთ დარუბანდის გზა და გადასულიყვნენ ვოლგისპირეთში, სადაც იმ დროს დაბანაკებული იყო ჩინგიზიდთა საგვარეულოს უხუცესი, დასავლეთის მიმართულების ბრძოლების სარდალი, ჩინგიზ ყაენის უფროსი ვაჟის ძე – ბათო ყაენი. ჯერ მისთვის უნდა შეეტყობინებინათ ყველაფერი, რადგან მას ძალიან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა.

> **და, წყდებოდნენ ქართველი მეომრები მონღოლების ინტერესებისთვის სხვა ხალხებთან ბრძოლებში, თუმცა ვაჟკაცების სახელი კი დაიმკვიდრეს მონღოლთა შორის**

ბათო ყაენის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მონღოლებისთვის. მართალია, მან დათმო და დიდი ყაენის ტახტზე პრეტენზია არ გამოთქვა, სამაგიეროდ, მისმა ავტორიტეტმა დიდად განსაზღვრა მანგუს გაყაენება, როცა ჩინგიზიდი უფლისწულები დიდ ყაენს ირჩევდნენ ჩინგიზ ყაენის მიერ დადგენილი წესით.

ბათო ყაენის საუფლისწულო ულუსი, რომელიც მას მამისგან ერგო და ბრძოლებში გამოჩენილი სიმამაცისთვის დაუმტკიცდა, შემდეგ თვითონ გააფართოვა – ის უკვე დიდ ტერიტორიებს მოიცავდა შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთი სანაპიროებიდან და აზოვის ზღვიდან დაწყებული, ყაზახეთის ჩათვლით. მას ემორჩილებოდნენ ყივჩაღების დამარცხებული ტომები, ალან-ოსების სამშობლოს – ჩრდილოეთ კავკასიის ველების მომთაბარეები, რუსული სამთავროები, ბულგარელები და სხვა.

თავისი ულუსი ბათო ყაენმა მოქნილი სტრუქტურებით განამტკიცა, საყაენოდ გამოაცხადა და სატახტოც აიშენა მდინარე ვოლგაზე, თუმცა ცენტრალურ საყაენო ტახტს არ დაპირისპირებია – მის წინააღმდეგ გამოლაშქრება აღარავის უცდია. მანგუს დიდ ყაენად არჩევაში ბათომ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა.

ბათოსა და დიდ ყაენს ქართველების შესახებ მონღოლი ნოინები სწერდნენ:

„ქართველები ყველანი დაგვემორჩილნენ, მეფეც და მთავრებიც. მათ აქვთ კეთილი სარწმუნოება; ტყუილს არ ამბობენ. საწამლავით მწამვლელი მათ შორის პატივით ვერ ისარგებლებს“.

სპარსელების შესახებ ეწერა: „სპარსები არიან ცრუ, მოღალატე, ფიცს არ ინახავენ. მათ შორის მრავალია მწამვლელი და უსირცხვილო მამათმავალი“. ეს გადმოცემა მთლად ზუსტი არ უნდა იყოს, თუმცა, წყაროს მიხედვით, ასეთი დამოკიდებულება ჩანს.

როცა ნოინების წარმომადგენლებმა მიაღწიეს ბათო ყაენის საბრძანებელს, მონღოლთა დასავლეთის სამფლობელოების ბატონ-პატრონი გაეცნო ამ დახასიათებებს და შემდეგ ნოინების მაცნეები ყაროყორუმში გაგზავნა მანგუ ყაენთან.

მანგუ ყაენს გაუხარდა საქართველოს დამორჩილების ამბის შეტყობა და ესიამოვნა სხვადასხვა ხალხების ჩასაცმელების ხილვა, განსაკუთრებით კი ჩაბალახებით მოიხიბლა. მან შეისწავლა ნოინების მიერ დაწერილი სხვადასხვა ხალხების დახასიათება და თავის ქვეშევრდომებს უბრძანა:

„ვინაიდან ქართველები ბრძოლაში მხნე არიან, ტყუილი არ უყვართ და ერთგულება ახასიათებთ, ისინი თქვენს ბრძოლებში გვერდით იყოლიეთ, როგორც მოკავშირეები; სპარსები კი გაწყვიტეთ და მათი ქვეყნის თავადები აქ გამომიგზავნეთ“.

განსაკუთრებით მოსწონდა ქართველები ჩარმაღან ნოინს, მონღოლთა ერთ-ერთ უდიდეს სარდალს. თავის დროზე ჩარმაღანი იყო ჩინგიზ ყაენის აბჯრისმტვირთველი, მეგობარი და თანამებრძოლი, უნიჭიერესი სარდალი. საბოლოოდ მან გაანადგურა ჯალალედინის ბრბო. იგი აღფრთოვანებული იყო თანამოძმეებისთვის ცოტნეს თავგანწირვით. როდესაც ალამუთის ალყის დროს ვიღაცამ კარავში მიპარვით მოკლა ჩაღატა ნოინი, მონღოლებს ეს ქართველების ჩადენილი ეგონათ, ჩარმაღანი კი ამტკიცებდა:

„დაწყნარდით, ხალხო, ქართველები არ არიან კაცის მკვლელები, არც ასეთი სარწმუნოება აქვთო“...

და, წყდებოდნენ ქართველი მეომრები მონღოლების ინტერესებისთვის სხვა ხალხებთან ბრძოლებში, თუმცა, ვაჟკაცების სახელი კი დაიმკვიდრეს მონღოლთა შორის და ეს პატივისცემა ბევრ რამეში გამოვლინდა.

**გიორგი მახოზეშვილი**

# რატომ ეგონათ, რომ მიცვალებულები ცოცხალთა ცხოვრებაში ერეოდნენ და როგორ აუვნებელყოფდნენ მათ

დაახლოებით 11 ათასი წლის წინათ, მორიგი, ვიურმული გამყინვარების ხანის დასასრულისას, კაცობრიობამ ახალ ეპოქაში შეაბიჯა – დგება მეზოლითის ხანა, გარდამავალი პერიოდი ნეოლითისკენ. დედამიწის მოსახლეობა ამ დროისთვის დაახლოებით სამ-ოთხ მილიონს შეადგენდა. პლანეტაზე დამყარდა მეტ-ნაკლებად მუდმივი, უცვლელი კლიმატი (როგორიც ამჟამადაა), ჩამოყალიბდა მცენარეული და ცხოველური სამყარო. ადამიანმა კი დაიწყო ამ სამყაროს თანდათან გადახალისება, ხელი მიჰყო მიწათმოქმედებას და ცხოველთა მოშინაურებას. ადამიანები იწყებენ ევროპის ჩრდილოეთის ათვისებას, აშენებენ სახლებს და ნავებს, აქტიურად იწყებენ საზღვაო რეწვას. ჩნდება ახალი იარაღები, გამოგონებულია მშვილდ-ისარი. დღესდღეობით ჩვენამდე მოღწეული ხელოვნების ნაწარმოებთა განსჯის მიხედვით, ადამიანთა შინაგანი სამყარო და რელიგიური წარმოდგენები რთულდება... მაგრამ, ვაი, რომ, რაც არ უნდა ეფიქრათ ჩვენს მეზოლით წინაპრებს სამყაროს საკრალურ საიდუმლოებებზე, იმაზე, რაც ადამიანთა მსხვერპლშეწირვებს ეხება, ისინი იყვნენ პირდაპირი და ერთგული გამგრძელებლები იმ ტრადიციებისა, რომლებიც ჯერ კიდევ ნეანდერტალელთა დროებიდან მომდინარეობდა. მათ შეინარჩუნეს თავის ქალის კულტი. ამასთან ერთად, თავის ქალა ხშირად ძალადობრივი სიკვდილის საკმაოდ არაორაზროვან ნიშნებს ატარებდა.

ეინანში, მდინარე იორდანის ველზე არქეოლოგებმა მიაგნეს მრგვალ, ხუთი მეტრი დიამეტრის აკლდამას (შესაძლოა, ოდესღაც ის საცხოვრებელს წარმოადგენდა), რომელშიც ქალი და კაცი ესვენა. აკლდამაზე წამომართული ქვის ფილა, რომელზეც მოთავსებული იყო ტრადიციული თავის ქალა, ამასთანავე შემორჩენილი ორი მალა, იმაზე მეტყველებდა, რომ თავი იყო მოკვეთილი. თუმცა ის შეიძლება ისეთი ადამიანისთვისაც მოეკვეთათ, რომელიც ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

მაგრამ ბავარიაში, გროს-ოფნეტის გამოქვაბულში, ნაპოვნი ოცდაცამეტი თავის ქალა სრულიად გამორიცხავს ყოველგვარ აზრს ბუნებრივ სიკვდილზე – მათზე შემორჩენილია ნაჯახისმაგვარი იარაღის დარტყმის კვალი მარცხენა საფეთქელთან. თავები განცალკევებული იყო სხეულისგან, ჩაწყობილი ორ ორმოში, დაფარული ოხრის სქელი ფენით და შემკული ირმის კბილებითა და გახვრეტილი ნიჟარებით. მსხვერპლთა უმეტესობას წარმოადგენენ ახალგაზრდა ქალები და ბავშვები, სულ მცირეს კი – კაცები.



თავის ქალის კულტი დიდ მნიშვნელობას იძენს ნეოლითის ეპოქაში ახლო აღმოსავლეთში. იერიქონში გათხრებისას ნაპოვნი თავის ქალების რამდენიმე ჯგუფი ქმნიდა წრედს ან ჩამწკრივებული იყო ერთ ხაზზე. აქვე თიხის აბაზანის ქვეშ აღმოჩნდა რამდენიმე ბავშვის მოკვეთილი თავი.

## ბავშვთა ნეშტები იატაკქვეშ – „სამშენებლო“ მსხვერპლს წარმოადგენდა, ან ამ ადგილებში არსებულ ტრადიციას

ამავე ეპოქას ეკუთნვის ადამიანის დამტვრეული და დამწვარი ძვლები, რომლებიც არქეოლოგებმა ახლო აღმოსავლეთში აღმოაჩინეს. ცნობილია, რომ „თავისიანებს“ ისინი ასე არ მარხავდნენ. ძვლებს ასე იმიტომ ანადგურებდნენ, რომ ადამიანებისთვის (მიცვალებულთათვის) მოესპოთ მკვდრეთით აღდგომის შესაძლებლობა – ასე შეიძლებოდა მოქცეოდნენ მტერს ან ბოროტმოქმედს (მსგავსი ანგარიშსწორების აღწერა, მაგალითად, შემოგვინახა უგარიტულმა მითებმა), მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი ამაში სამსხვერპლო წეს-ჩვეულებების კვალს ხედავს.

პალესტინასა და სირიაში ნეოლითის ეპოქაში ვითარდება სახლთმშენებლობა და ძალზე ხშირად საცხოვრებელი სახლების იატაკის ქვეშ არქეოლოგები აწყდებიან ადამიანთა ნეშტებს, ძირითადად, ბავშვებისას. მეცნიერები სხვადასხვანაირად ხსნიან ამ ფაქტს – პატარა ბავშვის დაკრძალვა უმეტეს კულტურაში ძალზე განსხვავდებოდა მოზრდილი ადამიანის დაკრძალვისგან. ხშირად ცდილობდნენ, რომ მოზრდილი მიცვალებულები გაეუვნებლებინათ, სახლიდან მოშორებით დაეკრძალათ, რათა ისინი არ ჩარეულიყვნენ ცოცხალთა ცხოვრებაში. ბავშვებს კი, პირიქით, პირდაპირ სახლებში მარხავდნენ. მიუხედავად ამისა, ბევრი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ბავშვთა ნეშტები იატაკქვეშ – „სამშენებლო“ მსხვერპლს წარმოადგენდა, ან ამ ადგილებში არსებულ ტრადიციას: მსხვერპლად შეეწირათ სიყრმის შვილი. საინტერესოა, რომ შედარებით ცოტა ხნის წინ (ნეოლითამდე) ახლო აღმოსავლეთის მცხოვრებნი, რომლებსაც დიდი ხანია, უარი ჰქონდათ ნათქვამი ადამიანთა მსხვერპლშეწირვაზე, მაინც მიიჩნევდნენ, რომ ბუნებრივი სიკვდილით გარდაცვალებულ ბავშვთა სახლის შიგნით დაკრძალვა, აღკვეთდა სხვა ბავშვების სიკვდილს.

საინტერესოა, რომ ადამიანთა მსხვერპლშეწირვის ფორმები, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ნეოლითში (თავის მოკვეთა, ძვლების დამტვრევა და დაწვა) აშკარად გვახსენებს ნეანდერტალელთა დროებას. ნეანდერტალელთა ტვინი კი, რომელიც ჩვენსას მოცულობით აღემატებოდა, რამდენამდე უარესად იყო ორგანიზებული. ყოველ შემთხვევაში, ნეანდერტალელთა კულტურა, შესაძლოა კარგიც კი იყო იმ დროისთვის, ნეოლითის ხანაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ზნეობის მისაბაძი ნიმუში. სამიწათმოქმედო მსხვერპლშეწირვა, პირიქით, „ახალი სიოს ქროლვას“ წარმოადგენდა. მაგრამ ისიც, მთელი თავისი „პროგრესულობის“ მიუხედავად, „მიწიერისკენ“ იყო მიდრეკილი.

მაგრამ, სწორედ ამ დროს დედამიწაზე უკვე ცივილიზაციის კერები ჩნდებოდა, რომლებმაც თავისი გულისთქმები ზეცისკენ მიმართეს, უარი თქვეს ადამიანთა მსხვერპლშეწირვაზე. სისხლით მორწყული ორმოები და სამსხვერპლოები ქვის გიგანტური ნაგებობებით შეცვალეს, რომელთა საკრალურ მნიშვნელობაზე დღემდე კამათობენ არქეოლოგები და ისტორიკოსები. მეგალითურ (მეგალითი – უზარმაზარი ქვებისგან აღმართული ნაგებობა – აკლდამა, სამლოცველო...) კულტურებს, რომლებიც თითქმის ერთდროულად და ხშირად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ჩნდებოდა ევრაზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის სხვადასხვა კუთხეებში, თავისებურებები ახასიათებდა. მაგრამ, მათთვის საერთო იყო ცაში ატყორცნილი გრანდიოზული საკულტო ნაგებობანი ბრეტანსა და იბერიის ნახევარკუნძულზე, ირლანდიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში... ისინი მოწმობდნენ ენეოლითის ეპოქას, კაცობრიობის ქვის ხანის დასასრულს და ბრინჯაოს ხანის დასაწყისს.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ი | ლ | ხ | ჩ | ნ | ა | ■ | ■ | გ | ■ | ა | ■ | | | | |
| | | | | | | ნ | ■ | პ | რ | ■ | ნ | ე | ნ | ო | ხ | ო | ჭ | | | | |
| | | | | | | ე | ფ | ■ | ი | ნ | ო | ლ | ო | ტ | ა | რ | ო | | | | |
| | | | | | | გ | ■ | კ | ზ | ■ | პ | ი | კ | ი | ■ | ტ | ■ | | | | |
| ■ | ი | ლ | ე | ვ | ა | ი | კ | ა | მ | ■ | ■ | ძ | ე | კ | ■ | ■ | ■ | ნ | ■ | ფ | ■ |
| მ | ო | გ | ზ | ა | უ | რ | ო | ბ | ა | ■ | დ | ე | დ | ა | მ | ი | ნ | ი | ს | ქ | ვ |
| ■ | კ | ე | ა | რ | კ | ■ | ■ | ე | ■ | ■ | უ | თ | ო | ■ | ო | დ | ი | ნ | ■ | ■ | ი |
| ა | ■ | ■ | ბ | ■ | ■ | ■ | პ | ლ | ა | ზ | მ | ა | ■ | ი | რ | ე | ფ | ი | ც | უ | ლ |
| ი | ზ | ი | ე | ჩ | ლ | პ | ი | ტ | ს | ■ | ■ | ■ | პ | რ | ო | პ | ე | ლ | ე | რ | ი |
| ნ | ე | რ | ფ | ო | გ | ი | ლ | ო | ■ | ■ | ბ | ტ | ■ | ი | ზ | ი | ლ | ა | ნ | ა | ■ |
| ი | ტ | ე | რ | გ | ე | ნ | ი | ვ | ■ | ფ | ა | რ | ი | ნ | ო | ს | ი | ■ | ტ | ფ | ■ |
| პ | ა | ბ | უ | ბ | ჯ | ა | გ | ი | ■ | ■ | ტ | ი | ტ | ო | ვ | ო | ■ | ა | რ | ■ | ი |
| ი | ჯ | ი | რ | ბ | ნ | ■ | რ | ■ | გ | ■ | კ | ო | პ | ■ | ი | ლ | ა | რ | ი | ო | ნ |
| პ | ო | ■ | თ | ■ | ა | კ | ი | გ | ო | გ | ა | დ | ე | პ | ■ | ე | ლ | უ | ს | ა | ს |
| ე | ნ | ■ | ი | რ | ტ | ე | მ | ო | მ | ა | ნ | ი | დ | ■ | ■ | ვ | ო | ■ | კ | ■ | ი |
| მ | ს | ი | ■ | პ | ო | მ | ი | დ | ო | რ | ი | ■ | ა | ი | გ | რ | ე | ნ | ე | ■ | ■ |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 3 | 4 | 2 | 6 | 5 | 8 | 9 | 1 |
| 9 | 5 | 6 | 1 | 8 | 4 | 3 | 2 | 7 |
| 8 | 1 | 2 | 7 | 9 | 3 | 5 | 4 | 6 |
| 5 | 2 | 3 | 8 | 7 | 6 | 9 | 1 | 4 |
| 4 | 9 | 7 | 5 | 3 | 1 | 2 | 6 | 8 |
| 1 | 6 | 8 | 9 | 4 | 2 | 7 | 3 | 5 |
| 2 | 4 | 5 | 3 | 1 | 8 | 6 | 7 | 9 |
| 6 | 8 | 9 | 4 | 2 | 7 | 1 | 5 | 3 |
| 3 | 7 | 1 | 6 | 5 | 9 | 4 | 8 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 8 | 7 | 5 | 6 | 2 | 4 | 9 | 3 |
| 6 | 3 | 4 | 1 | 9 | 7 | 2 | 8 | 5 |
| 5 | 2 | 9 | 4 | 8 | 3 | 1 | 6 | 7 |
| 4 | 5 | 3 | 7 | 2 | 9 | 6 | 1 | 8 |
| 9 | 7 | 6 | 8 | 4 | 1 | 3 | 5 | 2 |
| 8 | 1 | 2 | 3 | 5 | 6 | 9 | 7 | 4 |
| 2 | 4 | 1 | 6 | 7 | 5 | 8 | 3 | 9 |
| 3 | 9 | 5 | 2 | 1 | 8 | 7 | 4 | 6 |
| 7 | 6 | 8 | 9 | 3 | 4 | 5 | 2 | 1 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. შავი. 2. ფოტოგრაფიას. მოგვიანებით ფოტოებიდან ხატავდა პორტრეტებს. 3. პანამის. 4. სიმართლის თქმა – დიპლომატების ნათქვამს სიმართლედ ნაკლებად აღიქვამენ. 5. ელდორადო – ოქროთი სავსე მიწა. 6. მთვარეზე – ამსტრონგმა, ოლდრინმა და კოლინზმა. 7. ივ სენ ლორანის, რომელსაც კაბები შეუკვეთეს და მისმა სამოდელო სააგენტომ ორივეს ზუსტად ერთნაირი დაუმზადა. 8. უოლტ დისნეი. 9. ქამელეონი. 10. სამკუთხედები. მიიღება ჰექსაგრამა, დავითის ვარსკვლავი – მასონთა ერთ-ერთი ნიშანი.**

**სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებს” ყველა სეზონსა თუ სერიაში ჰყავს გამორჩეული პერსონაჟი, რომელიც მაყურებლის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს და ყველა მასზე იწყებს ლაპარაკს. ბოლო სერიებში ასეთია დუდუ, რომელიც ნინო კასრაძის გმირის, მაკას ყველა პრობლემას აგვარებს. მისთვის არანაირი წინააღმდეგობა არ არსებობს. „ყოვლისშემძლე დუდუ” უცებ აიტაცა მაყურებელმა და ხშირად ნახავთ სხვადასხვა თხოვნას: დუდუ, აფხაზეთი დაგვიბრუნე... დუდუ, გამოცდა ჩამაბარებინე... დუდუ, შეყვარებულთან შემარიგე და ასე შემდეგ. ვინ დგას რეალურად საიდუმლოებით მოცული გმირის უკან და ჰგავს თუ არა რამით ის საკუთარ პერსონაჟს, ამაზე სასაუბროდ მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობ, დუდუს როლის შემსრულებელ ალეკო ბეგალიშვილს ვეწვიეთ.**

# არის თუ არა ალეკო ბეგალიშვილი დუდუსავით „მაგარი ტიპი“ და როგორი ბიძიების ეშინოდა მას

**ალეკო ბეგალიშვილი**: დუდუს გმირმა თავიდან ცოტა დამაბნია. რადგან არ ვიცოდი, როგორი ტიპი იყო. მერე, როცა გამოჩნდა, ვინ არის და როგორია, მეც გავერკვიე. რაღაც ძალებთან შეკრული ტიპია, უშიშროების თანამშრომელი. ეგეთი ბიძიების ბავშვობაში მეშინოდა. ახლა კი მე მომიწია მისი განსახიერება. როგორ გამომდის, „ნაღდად” არ ვიცი. საერთოდ, როცა საკუთარ თავს ეკრანზე ვუყურებ, არ მომწონს. მარტო ამ სერიალში კი არა, ზოგადად – ასეა. საკუთარი თავისადმი კრიტიკულად ვარ განწყობილი. არც ხმა მომწონს, არც მეტყველება. რაღაცნაირად ვლაპარაკობ. რაც შეეხება დუდუს, ის გაწონასწორებული ტიპია, რომელიც, რაღაც მიზეზის გამო, მაკასკენ მიისწრაფის და ყველაფერს აკეთებს მის გამო. მართლა უყვარს ეს ქალი თუ სხვა მიზეზით იქცევა ასე, ეს, ალბათ, მოგვიანებით გამოჩნდება.

**– რეალურ ცხოვრებაში თუ ჰგავხართ დუდუს, მასავით თუ შეგიძლიათ პრობლემების მოგვარება?**

– არანაირად. საერთოდ არ ვგავარ. რა დუდუ, რის დუდუ – ხომ გეუბნები, ეგეთი ტიპების ყოველთვის მეშინოდა.

**– შეიძლება, უშიშროების თანამშრომელი არ იყოთ, მაგრამ ჰგავდეთ იმით, რომ ქალს, რომელიც მოგწონთ, ყველა პრობლემას უგვარებდეთ?!**

– მე ეგეთი მაგარი ვერ ვარ. ვის რა უნდა მოვუგვარო, როცა საკუთარი თავისთვის ვერ მომიგვარებია. სულ სხვანაირი ტიპი ვარ. ბოჰემური ცხოვრება მიყვარს – ბოდიალი და ძმაკაცებთან ერთად ქეიფი. მიყვარს გიტარა და მუსიკა. მუსიკისა და დრამის თეატრში ვარ და მუსიკა, ასე თუ ისე, წესით, უნდა მესმოდეს. ადრე გატაცებული ვიყავი კიდეც. ბავშვობაში ბიჭებს ჯგუფიც გვქონდა და ვუკრავდით. მერე ჯარში წავედით და დავიშალეთ. ახლა 47 წლის ვარ და მაინც ვერ ვანებებ თავს. სახლში გიტარები გვაქვს მეც და ჩემს მეგობრებსაც და ერთად რომ ვიკრიბებით, ჩვენთვის ვუკრავთ. გუშინ საღამოსაც შევიკრიბეთ და ჩვენთვის გავაჯაზეთ. ერთი გიტარაზე უკრავს, ერთი ტამტამზე და ასე. დავსხდებით, ლუდს ვსვამთ. ლუდი გაგვიხსნის, არაყს დავაყოლებთ და მეორე დილით პახმელია დგება. ეგ არის რა – ჩვეულებრივი თბილისური გართობა. განსაკუთრებული არაფერი. დუდუ ახლოსაც კი არაა ჩემთან.

**– ნინო კასრაძეს უწევთ პარტნიორობას. მანამდე თუ იცნობდით მას?**

– ნინოს მეორე კურსიდან ვიცნობ. ერთად ვსწავლობდით. მეტყველებაზე, ისტორიასა და მსგავს საგნებზე მათ ჯგუფთან ერთად დავდიოდი. იმ დროს, მუსკომედიის ფაკულტეტზე ოთხ წელიწადში ერთხელ იყო მიღება. პირველი კურსის შემდეგ ჯარში წამიყვანეს და რომ ჩამოვედი, მეორე კურსი არ არსებობდა. ვინმესთან ერთად უნდა მევლო საგნებზე და მოვხვდი ჯგუფში, რომელშიც სწავლობდნენ: ნინო კასრაძე, ნიკუშა თავაძე, ნატო მურვანიძე, გიო ქვლივიშვილი, ნიკო თოფურიძე, გია ჭანტურია და სხვები. ნინოც იქ გავიცანი. დიდი მეგობრობი არ ვყოფილვართ, თუმცა თანაკურსელები ვიყავით და კარგი ურთიერთობა გვქონდა. დავამთავრეთ ინსტიტუტი. ახლა ის რუსთაველის თეატრშია, მე – მუსიკისა და დრამის თეატრში. ბავშვი მოჰყავდა ხოლმე ხშირად ჩვენთან, საბავშვო სპექტაკლებზე და კულისებში გვნახულობდა. ცოტა ხნის წინ, ერთად ვითამაშეთ ნუცა ალექსი-მესხიშვილის ფილმში „კრედიტის ლიმიტი”. იქ მე ეპიზოდურ როლში ვარ. შესაბამისად, იქ შევხვდით ერთმანეთს – ერთად ვსხედვართ სუფრასთან, ვითომ ძველი მეგობარები ვართ და ძველ დროს ვიხსენებთ. მე გიტარაზე ვმღერი. მოკლედ, რაღაც პატარა საყვარელი სცენაა. ეგ იყო და ახლა „ჩემი ცოლის დაქალებში” ვართ პარტნიორები. ცხოვრებაში მეგობრულად, „ჯიგრულად” ვართ ერთმანეთთან. სერიალს რაც შეეხება, სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით რაც გადავიღეთ, არ გამჭირვებია. ერთი რეპეტიციის შემდეგ, ლიფონავა ეგრევე იღებს. ნინო ისეთი პროფესიონალია, ზედმეტი მომზადება არც სჭირდება და მასთან ერთად, მეც არ გამჭირვებია. როცა ეგეთ მსახიობთან ერთად ხარ,



**მითხრეს, შიშველი ქალის ფოტოა, მკერდზე შენი თავები აქვს და „დუდუები“ აწერიაო**

იმდენად კარგ პასს გაძლევს, რომ აღარ გიჭირს და ეგრევე მიჰყვები.

**– თქვენი პერსონაჟი ჯერჯერობით ეპიზოდურ როლში ჩანს. თუმცა, ამის მიუხედავად, ძალიან უცებ გახდა პოპულარული. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?**

– ამის მიზეზი თვითონ პერსონაჟია. მე არაფერ შუაში ვარ. საქართველოა და პრობლემების მომგვარებელი დუდუ უნდა ზუსტად „გრუზინებს”. თუ რაღაცა „ავოიიეე”, და მეტი რა უნდა ხალხს. ძალიან კარგად აქვს მოფიქრებული ეს პერსონაჟი სცენარისტს. ზუსტად ქართველების ფსიქოლოგიაზეა მორგებული. მაგრად აქვს გათვლილი და გამოუვიდა კიდეც, რაც უნდოდა. ტაშს ვუკრავ მას. პოპულარობას რაც შეეხება, ოცი წლის რომ ვიყო, ალბათ, გამიხარდებოდა. აი, 47 წლის ასაკში, რა ვიცი. ისეთ ასაკში ვარ, ასეთი რამეები, ნაკლებად მაღელვებს. სიმართლე გითხრათ, ყურადღების ცენტრში ყოფნა არ მიყვარს. როცა საქმე პროფესიას ეხება, არანაირი პრობლემა არ მაქვს, მაგრამ, როცა ჩემს პიროვნებაზეა საუბარი, უკვე ვითიშები. ყურადღება ცოტა მბოჭავს. ამიტომ, ვერ ვიტყვი: არიქა, აღფრთოვანებული ვარ-მეთქი. პოპულარობა ნაკლებად მანაღვლებს. შეიძლება, მსახიობისგან ეს უცნაურად ჟღერს, მაგრამ მე მირჩევნია, ჩემთვის, ჩრდილში ვიყო და დრო მეგობრებთან ერთად გავატარო, ვიდრე გავიარო და იძახდნენ – „აი, ეს ის არის!”

**– მაყურებელს, მგონი, უკვე ყველა პრობლემაზე დუდუ ახსენდება. განსაკუთრებით სოციალურ ქსელებში აქტიურობენ. თქვენ არ მოგმართავენ ხოლმე სხვადასხვა თხოვნით?**

– ჰო, ვნახე. რაღაც კომიქსებს და სუპერმენის გამოსახულებებს აკეთებენ ჩემი ფოტოებით. ახლობლები მეკაიფებიან ხოლმე, ამის გამო. ინტერნეტში წავიკითხე, ერთს ეწერა: დუდუ, ბუასილს არ მოარჩენო? მე მივწერე: კი, დაჟინებული მზერით-მეთქი. მეტი რა მეთქვა?! *(იცინის)* მე არ მინახავს, მაგრამ მითხრეს, შიშველი ქალის ფოტოა, მკერდზე შენი თავები აქვს და აწერია: „დუდუები”.

**– მსახიობ ბადრი ბეგალიშვილის შვილი ხართ და თქვენი ძმებიც მსახიობები არიან. მოგვიყევით ოჯახის შესახებ.**

– ერთმა ჩემმა ახლობელმა თქვა: რავარც ქუთაისლები იტყვიან, ნახერხის მოყრა გინდათ სახლში და ეგ არისო. სახლში ყველა მსახიობია: მამა, დედა და ძმები. პირველი რძალიც მსახიობი იყო. მეც მაგიტომ მომიწია მსახიობობა, თორემ ისე, საერთოდ, არ ვაპირებდი. მუსიკა მიყვარს და მინდოდა მას გავყოლოდი. იმ წელს, როცა მე ჩავაბარე, მუსკომეიდიის თეატრში საესტრადო განყოფილება გაიხსნა. თუმცა, მე გიტარით ვიყავი გატაცებული და საერთოდ არაფრისკენ გახედვა არ მინდოდა. მოვიკიდებდი ზურგზე გიტარას და ქუჩა-ქუჩა დავდიოდი. მამაჩემმა მითხრა: ბიჭო, მიდი, ჩააბარეო. არ მინდა თქვენი მსახიობობა-მეთქი. მიდი, საესტრადო ფაკულტეტი იხსნება და შენს გემოზე იქნები, საბუთი მაინც გექნება, რომ გიტარიანი გიჟი ხარო, მითხრა. ასე მოვხვდი მუსკომედიის ფაკულტეტის საესტრადო განყოფილებაზე. მერე ისე წავიდა ცხოვრება, რომ მსახიობი აღმოვჩნდი. ახლა ჩემს საქმეს ვაკეთებ და საკმაოდ აქტიურად. მუსკომედიის თეატრის რეპერტუარის თითქმის ყველა სპექტაკლში ვარ დაკავებული. თუმცა, როგორ გამომდის, არ ვიცი. ჩემი უმცროსი ძმა – ბადრიც მუსკომედიის თეატრშია. ის ჩემს მოსვლამდე იყო იქ. შეიძლება ითქვას, ბავშვობიდან იქაა. ამ თეატრის კულისებში გაიზარდა. უფროსი, ზურა კი მარჯანიშვილის თეატრშია და უფრო კინოში მოღვაწეობს. ეტყობა, გენი ისეთი რამეა, რასაც ვერ გაექცევი და ამ ბოლოს, ჩემს თავს ვიჭერ, რომ რაღაცეებში ზურას და ჩემ შორის, მსგავსებაა. მამასაც გვამსგავსებენ, თუმცა, მას უფრო ბადრი ჰგავს.

**– როგორც ვიცი, მეუღლე და ორი შვილი გყავთ, არა?**

– კი. თუმცა პირად თემებზე ლაპარაკი დიდად არ მიყვარს. მყავს მეუღლე და ორი შვილი – 12 წლის გოგონა და ათი წლის ბიჭი. ორივე მუსიკით არის გატაცებული. გოგო ცოტა პანკროკისკენ იხრება, ბიჭი კი – ჯეკსონთან ძმაკაცობს.

**ქეთი კაპანაძე**

**როგორც ხატია შამუგია ამბობს, სულ ახლახან დაბრუნდა ქვეყნიდან, სადაც ნამდვილ ზღაპარში მოხვდა. ალბათ, ყველა მანდილოსანი ოცნებობს, ჟან პოლ გოტიეს ჩვენებაზე მოხვდეს და მასთან ერთად ივახშმოს რომანტიკულ გარემოში. ეს ოცნება ხატია შამუგიამ აიხდინა.**

# შეძლო თუ არა ხატია შამუგიამ „ცდუნების მეფის“ – ანტონიო ბანდერასის მოხიბვლა და როგორ მოხვდა ის ჟან პოლ გოტიესთან ერთად სუფრასთან

**ხატია შამუგია**: ახლახანს გახლდით ესპანეთში, ცნობილი პარფიუმერული კომპანიის ღონისძიებაზე, რომელიც წელიწადში ერთხელ იმართება ბარსელონაში, რადგან ბრენდის დამფუძნებელი, ანტონიო პუიჯი, არის კატალონიელი. ეს კომპანია – „პუიჯ კომპანი“, მოიცავს უამრავ ცნობილ პარფიუმერულ ბრენდს, მაგალითად- „პრადა“, „ვალენტინო“, „პაკო რაბანი“, „შაკირა“, „კაროლინა ერერა“ და ასე შემდეგ. კომპანია




სემინარის ბოლოს გვამცნეს, ჟან პოლ გოტიეს პარფიუმერიას თავად დიზაინერი წარადგენსო. რომ გაიღო თეატრის კარი და გოტიე შემოვიდა, კინაღამ გადავირიე

უკვე 101 წლისაა და მან, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე იზეიმა წელს. კერძოდ, ამ კომპანიას შეუერთდა, კიდევ ერთი პარფიუმერული ბრენდი, როგორიცაა, „ჟან პოლ გოტიე“.

**– როგორც ვიცი, ყოველ წელს, ესპანეთში „პუიჯ კომპანის“ ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს, დიდი სიურპრიზი ხვდებათ.**

– დიახ, ჩასულ სტუმრებს, ნამდვილი სიურპრიზი მოგვიწყვეს – დაპატიჟებული ჰყავდათ, თავად ჟან პოლ გოტიე. სხვათა შორის, შარშანაც გახლდით ამ კომპანიის ღონისძიებაზე მიწვეული და მაშინ დაპატიჟებული ჰყავდათ, ანტონიო ბანდერასი, წელსაც ინტუიციურად მივხვდი, ქვეცნობიერი მოლოდინი მქონდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი სიურპრიზი მელოდა, საოცარ შოუს დავესწრებოდი, მაგრამ დიზაინერ ჟან პოლ გოტიეს თუ ვნახავდი, ასეთ შოუს დავესწრებოდი, მასთან ერთ სუფრასთან დავჯდებოდი და სასურათედ ვიპოზიერებდი, ამას ვერ წარმოვიდგენდი. *(იცინის)* პირველ დღეს, ოფიციალური სემინარი გაიმართა, 600 კაცზე, კოლიზეუმის თეატრში იყო შეხვედრა, მსოფლიო გაყიდვების განხილვა. სემინარის ბოლოს კი გვამცნეს, ჟან პოლ გოტიეს პარფიუმერიას თავად დიზაინერი წარადგენსო, და რომ გაიღო თეატრის კარი და გოტიე შემოვიდა, კინაღამ გადავირიე. ბევრი ისაუბრა, გაიხსენა ბავშვობა, თავისი შემოქმედების დეტალები. რომ დამთავრდა ღონისძიება, საღამოს, გაიმართა არაოფიციალური შეხვედრა, ბარსელონას პორტში, უზარმაზარ რესტორანში. საოცრად გაწყობილ სუფრაზე შემოქონდათ, მაღალი დონის ვახშამი. ჟან პოლ გოტიეც, იქვე, ჩემთან ყველაზე ახლოს იჯდა, სუფრის თავში და ამიტომაც, გადავიღე უამრავი სელფი მასთან. კი გავიფიქრე, ახლა ამ ლამაზად გაფორმებულ სუფრაზე თუ მოდელებიც გამოჩნდნენ, ნამდვილ სამოთხეში მოვხვდები-მეთქი და თქვენ წარმოიდგინეთ, ამიხდა *(იცინის)*. ვახშამი რომ დამთავრდა, უცბათ ჩაქრა შუქი და გამოჩნდნენ ჟან პოლ გოტიეს ტანსაცმლით შემოსილი მოდელები. ჩვენებაზე ოცნებაც ამიხდა და მოდელები რომ დავინახე, ნამდვილ სასწაულ სამყაროშიც ავღმოვჩნდი. თავი დედოფალი მეგონა. გოტიეს ემოციებს ყველაზე კარგად მე ვხედავდი. ეს სასწაული იყო. სხვათა შორის, ერთ-ერთი ჟან პოლ გოტიეს ცნობილი, ბრჭყვიალა კაბა, რომელსაც მოდელი წამოადგენდა, კიმ კარდაშიანს წითელ ხალიჩაზე ეცვა. დამიჯერეთ, მოვხვდი სასწაულში, რომელზეც ყველა ქალი ოცნებობს და მე ნამდვილად გამიმართლა.

**– ხატია, ყველა ქალი ოცნებობს ჩაიცვას ქორწილში ჟან პოლ გოტიეს შექმნილი საქორწილო კაბა, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირს. ახლა რომ ქორწილს გეგმავდე, თავად თუ მოირგებდი მას? თუ, მაინც, ელი სააბის ქმნილებას ამჯობინებდი?**

– დაგეთანხმებით, ელი სააბის საქორწინო კაბები, ნამდვილად გამორჩეულია, ძვირფასი და ყველა ქალის საოცნებო. თუმცა, ჩემს ქორწილში დიდი სიამოვნებით მოვირგებდი, იმ საქორწინო კაბას, რომელიც ჟან პოლ გოტიეს მოდელმა წარმოგვიდგინა. როგორც კი დავინახე, მაშინვე ვთქვი, მე რომ ქორწილი მქონდეს და პატარძალი ვიყო, აი ამას, დიდი სიამოვნებით ჩავიცვამდი-მეთქი. ასე რომ, ჩემს ქორწილში სწორი, დავარდნილი, ვარდისფერი, გიპიურით გაწყობილი საქორწინო კაბა, ძალიან მომიხდება და საპატიო სტუმრად აუცილებლად დავპატიჟებ მის დიზაინერს, ბატონ ჟან პოლ გოტიეს *(იცინის)*. ის, მსოფლიო მოდის სამყაროში, რევოლუციონერი და ლეგენდაა, მთელი გულით მინდოდა მასთან შეხვედრა. ბევრი კითხვაც მინდოდა დამესვა მისთვის, მაგრამ ამის საშუალება არ მომეცა.

**– სოციალურ ქსელში გაოაქვეყნე ფოტოები, სადაც შენი ოცნების მამაკაცთან, ანტონიო ბანდერასთან ერთად, შუა ზღვაში, კატერით სეირნობ და ძალიან ბედნიერი ხარ. თუმცა, წელს, ბარსელონაში ანტონიო ბანდერასი არ ყოფილა ჩამოსული. ამ ოცნების ახდენა როგორ მოახერხე, ოცნების მამაკაცის იქ არყოფნის დროს?**

– წელს ვერა, მაგრამ, შარშან ვნახე ანტონიო ბანდერასი ბარსელონაში და ამ ჩემი ოცნების მამაკაცის დანახვისას, ნამდვილად არაამქვეყნიური შეგრძნება დამეუფლა *(იცინის)*. წელს კი, სპეციალური სტენდი იყო გაკეთებული, სადაც ანტონიო ბანდერასის სუნამო იყო გამოსახული და თავად ანტონიო კატერში, საჭესთან. ჩანაფიქრი ასეთი იყო, თავად, სუნამო „ანტონიო ბანდერასი“ არის სიახლე პარფიუმერიაში, რომელიც „ცდუნების მეფედ“ მოაზრება და თუ ამ სტენდთან გადაიღებდი სურათს, შენ იქნებოდი მისი დედოფალი, ანუ ქალი, რომელიც მას აცდუნებდი. ხოდა, მეც არ დავკარგე მომენტი, გამოვიყენე შანსი და სელებრითულ მოგზაურობაში, ბევრი ფოტოც გადავიღე.

**ნონა დათეშიძე**

# ექიმი გირჩევთ

## *კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო ეროვნული ცენტრი*



**რუსუდან ლაცაბიძე**

**კანისა და ვენსნეულებათა ს/კ ეროვნული ცენტრის ექიმი დერმატო-კოსმეტოლოგი**

**– რატომ ჩნდება პაპილომები და უსაფრთხოა თუ არა მათი მოშორება?**

– არსებობს ადამიანის პაპილომავირუსის მრავალი ტიპი, შესაბამისად, მათ მიერ გამოწვეული დაავადებაც მრავალგვარია. განვიხილოთ უფრო ხშირად განსხვავებული ფორმები:

1. ჩვეულებრივი მეჭეჭები მორუხო-მოყავისფრო, ან ნორმალური კანის ფერის, უხეშზედაპირიანი წარმონაქმნებია, შიგადაშიგ შავი ფერის წერტილებით, და ეს გახლავთ დათრომბილი კაპილარები. გვხვდება ძირითადად მტევნებზე.
2. ბრტყელი მეჭეჭები – არის კანის დონიდან ოდნავ წამოწეული ელემენტები, მოვარდისფრო, რძიანი კაკაოს ფერი ან ნორმალური კანის ფერის გვხვდება ბავშვებსა და ახალგაზრდებში. ლოკალიზდება სახეზე, ხელის ზურგსა და თითებზე.
3. ტერფის მეჭეჭები – ძალიან მკვრივი, ძლიერ გარქოვანებული და მტკივნეული კვანძები, რომლებიც შრომის უნარის დაქვეითებასაც კი იწვევს.
4. პაპილომები – გახლავთ ნორმალური კანის ფერის ძაფისებური ან თითისმაგვარი წანაზარდები ვიწრო საფუძველზე. ხშირად გვხვდება სახეზე, ქუთუთოებზე, ტუჩის ირგვლივ, ცხვირზე, კისრის არეში, იღლიის ფოსოში, სარძევე ჯირკვლების ქვეშ. ზომაში და რაოდენობრივად სწრაფად იზრდება. გართულების შემთხვევაში, ახასიათებს: ტკივილი, სისხლდენა (წვერის გაპარსვის დროს), დაინფიცირება (ხშირი ხახუნის შედეგად). ასევე, გახლავთ კოსმეტიკური ნაკლიც და, რაც ყველაზე მთავარია, დროთა განმავლობაში უმკურნალოდ დატოვებული, შეიძლება ტრანსფორმირდეს კანის ავთვისებიან სიმსივნედ.

პაპილომავირუსის გადადება ხდება უბრალო კონტაქტით, ხშირად იმ ადგილებში, სადაც არის ნაჩხვლეტები, ნაკაწრები, მცირე ტრავმები. ინკუბაციური პერიოდი შეადგენს 1-დან 6 თვემდე.

ყველა ამ გართულებისა და უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია მათი დროულად მოშორება ექიმ-დერმატოლოგთან, რომელიც ზუსტად დაადგენს ვირუსული წარმონაქმნის სახეობას და შეარჩევს ყველაზე უსაფრთხო და ოპტიმალურ მეთოდს.

*შეკითხვებისთვის დარეკეთ:*

*295 46 43; 295 77 44: ლუბლიანას №5 (ყოფილი რკინიგზის საავადმყოფოს ტერიტორია).*

# ბრძნული აზრები

**ლაბრიუერი**: მამაც გმირს მარტო ომის უნარი აქვს, დიდბუნებიანს – ყველაფრისა. ერთიცა და მეორეც იმოდენას ვერ აიწონიან ერთად, რასაც ერთი პატიოსანი კაცი იწონის.

**შექსპირი**: ბუნებაც უნდა შეურიგდეს აუცილებლობას.

**აკაკი**: უსწავლელი გონიერი ჯაჭვით დაბმული ლომია, ნასწავლი უგუნური კი – თავისუფლად მფრინავი თუთიყუში.

**ილია**: ავი კაცი რამდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმდენად უფრო ძლიერ საშიშია, უფრო დიდად მავნებელი.

**ბოშანი**: ღირსება თითქოს ძვირფასი ქვაა – უმნიშვნელო ლაქას შეუძლია მისი სიკაშკაშის გამუქება და მთელი მისი ფასის დაკარგვა.

**ტოლსტოი**: ყოველთვის იყო და იქნება მნიშვნელოვანი მხოლოდ ის, რაც სასიკეთოა არა ერთი ადამიანისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვის.

**თეკერეი**: ომი თანაბრად ადებს ხარკს მამაკაცებსაც და ქალებსაც, ოღონდ პირველებისგან მოითხოვს სისხლს, მეორეთაგან კი – ცრემლს.

**ეჟი ლეცი**: ვინც ზრდაში ეპოქას გაუსწრო, ხშირად თავჩაქინდრული დადის.

**მოპასანი**: რატომღაც მგონია, რომ ზოგიერთი მბრძანებელნი თავიანთ ქვეშევრდომთ ხელებს დააჭრიდნენ, უკეთუ ტაშიასკვრა არ ეჭირვებოდეთ.

**ჰამადანი**: შეიძლება ნაძვის თითოეული შტო შეიქმნას იმ ცულის ტარად, რომელიც მას მოჭრის.

**ადისონი**: ნაკლებად ხმაურიანი თავმდაბალი მეგობრობა ხშირად უფრო მარგებელია. ამიტომ, მე ზედმეტად გულმოდგინეს ყოველთვის მირჩევნია, თავშეკავებული მეგობარი.

**პუშკინი**: შეიძლო ხალხის განაჩენი, არ არის ძნელი, აბუჩად აიგდო საკუთარი დასკვნა – შეუძლებელია.

**ბიუფონი**: ყოველგვარი საგნიდან ყველაზე ნაკლებად გვეკუთვნის დრო და ყველაზე მეტად სწორედ ის გვაკლია.

**ბუნზენი**: ცუდი მაგალითი კეთილს ათახსირებს.

**ბუასტი**: სინდისის ერთი ხმა უფრო საამურია, ვიდრე ასი ხმა დიდებისა.

**ლაროშფუკო**: შეყვარებულებს ერთმანეთთან საუბარი არასოდეს მოსწყინდებათ, რადგან საკუთარ თავზე ლაპარაკობენ.

**აუერბახი**: სამყარო თავისთავად ცარიელია და საშინელი: ხალხი ქმნის მას ქვეყნად და სამშობლოდ.

**გორკი**: კულტურის დონე ყოველთვის პირდაპირ დამოკიდებულებაშია შრომის სიყვარულთან.

**დოსტოევსკი**: ბავშვთა აღზრდა არის შრომა და ვალდებულება.

**როდა**: წინააღმდეგობა, რომელსაც ქალი მამაკაცს უწევს, ადვილი გამოსათვლელია. ეს უდრის ქალის სურვილისა და ცუდი რეპუტაციის შიშის კოეფიციენტს, გამრავლებულს შანსზე, ყველაფერი საიდუმლოდ დარჩეს.

# თუ გაგიცნოთ

1. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ცნობილი სურათი – „შავი კვადრატი" შესრულებულია ყველა ფერის საღებავის შერევით, გარდა ერთისა. **დაასახელეთ, რომელი საღებავი არ გამოიყენა მხატვარმა მისი შექმნისას?**

2. მეცხრამეტე საუკუნის ფრანგი მხატვარი ონორე დომიე კატეგორიულად არ მიიჩნევდა მას ხელოვნებად. ამბობდა, რომ ეს „ხელოვნების პაროდიაა – აჩვენებს ყველაფერს, მაგრამ არაფერს არ გამოხატავს". თუმცა, მოგვიანებით, მას ფართოდ იყენებდა თავისი შემოქმედებისთვის. **რას არ მიიჩნევდა დომიე ხელოვნებად?**

3. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა, მისი გამოცხადებიდან 56 წუთის შემდეგ აღიარა. ამ ფაქტის გამო, პროვოკაციულ შეკითხვაზე: რატომ აჭიანურებდა იაპონია მანჩჟოუ-გოს დამოუკიდებლობის აღიარებას, იაპონელმა დიპლომატმა ტოსიო სირატორმა უპასუხა: „ჩვენ არ გვეჩქარება, რადგან არ ვაშენებთ არხს". **რომელი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა აღიარა ამერიკამ?**

4. მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი დიპლომატი მარკიზ დე ტორსი, აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის დიპლომატები – ლორდი პალმერსტონი და კანცლერი ბისმარკი მიიჩნევდნენ, რომ მათი თანამედროვეობის რეპუტაციის გამო, ეს საუკეთესო საშუალებაა, მოატყუო უცხო ქვეყნის მთავრობა. **რა?**

5. მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს ხშირად ხდებოდა, რომ ზოგიერთი ესპანელი ჩინოვნიკი გუბერნატორის თანამდებობას იღებდა „ახალი მიწის" ოქროთი მდიდარ პროვინციაში. თუმცა, ამერიკაში ჩასულები აღმოაჩენდნენ, რომ ეს პროვინცია საერთოდ არ არსებობს. **რომელი პროვინცია?**

6. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ანტონინ დვორჟაკმა შექმნა სიმფონია, რომელსაც „ახალი სამყაროს სიმფონიად" იცნობენ. 76 წლის შემდეგ ამ სიმფონიის ჩანაწერი ცნობილმა ამერიკელმა და მისმა თანამგზავრებმა, როგორც ამბობდნენ: „ერთი ახალი სამყაროდან მეორე ახალ სამყაროში წაიღეს". **სად?**

7. მოსკოვის კინოფესტივალზე მსოფლიო კინემატოგრაფიის ლეგენდები – ჯინა ლოლობრიჯიდა და ელიზაბეტ ტეილორი, თითქოს ეს ასე იყო გათვალისწინებული, მთელი საღამოს განმავლობაში ერთმანეთს არ მოშორებიან, სახეზეც ღიმილი ეფინათ. მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ ორივემ საჩივარი დაწერა ერთი პიროვნების წინააღმდეგ. **ვის უჩივლეს მსახიობებმა?**

8. ალფრედ ჰიჩკოკი ერთ ცნობილ რეჟისორზე წერდა: „მას საერთოდ არ აქვს პრობლემა მსახიობების ქასთინგთან: თუ მსახიობი არ მოსწონს, ნაკუწებად ჭრის". **დაასახელეთ ეს რეჟისორი.**

9. სერვისს, რომელიც საშუალებას იძლევა დამალოს ან შენიღბოს ესა თუ ის საიტი „ანონიმაიზერი" ეწოდება. **რა არის გამოსახული ერთ-ერთი ასეთი სერვისის ლოგოტიპზე?**

10. არსებობს მასონური გამოთქმა: „თუ შეგიძლია, შეაერთო ეს ორი ელემენტი, მაშინ თქვენი ცოდნა სრულია". ალბათ, ამის გამო წარმოიშვა მოსაზრება, რომ მასონური მიმდინარეობა ებრაულია. **რომელი ელემენტები?**

***პასუხები იხილეთ 57-ე გვერდზე***

# რა მოხდა ამ დღეს

**4 მაისი**

1932 – ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციამ დააპატიმრა ცნობილი განგსტერი ალ კაპონე.

2000 – მთელ მსოფლიოში კომპიუტერებმა მიიღეს დარტყმა ვირუსისაგან I love your.

**5 მაისი**

1865 – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოჰაიოს შტატში, მსოფლიოში პირველად მოხდა მატარებლის ძარცვა.

1912 – გამოვიდა გაზეთ „პრავდის" პირველი ნომერი.

2000 – პლანეტების აღლუმი. ამ დღეს ერთ რიგში „ჩადგნენ" მზე, იუპიტერი, სატურნი, ვენერა, მარსი, მერკური და მთვარე.

**6 მაისი**

1682 – ლუი მეთოთხმეტის ბრძანებით, საფრანგეთის მეფეთა რეზიდენცია პარიზიდან ვერსალში გადავიდა.

1953 – ფილადელფიელმა ქირურგმა ჯონ გიბონმა პირველად გამოიყენა წარმატებით ხელოვნური გულ-ფილტვის დანადგარი

1994 – საზეიმოდ გაიხსნა გვირაბი ლა მანშის სრუტის ქვეშ.

**7 მაისი**

1298 – დაიწყო ბარსელონის საკათედრო ტაძრის მშენებლობა. მისი საბოლოო სახით დასრულება მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში მოხერხდა.

1673 – ლონდონში გაიხსნა სამეფო თეატრი – დღეს უძველესი მოქმედი თეატრი მსოფლიოში.

**8 მაისი**

1429 – ფრანგებმა, ჟანა დარკის წინამძღოლობით ინგლისელები ორლეანიდან გააძევეს.

1945 – ბერლინში ადგილობრივი დროით 22 საათსა და 43 წუთზე ხელი მოეწერა გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

**9 მაისი**

1960 – ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად გამოვიდა გასაყიდად ჩასახვის საწინააღმდეგო აბები.

1998 – ბირმინჰემში ევროვიზიის ვოკალურ კონკურსზე გამარჯვება მოიპოვა ისრაელელმა დანა ინტერნეიშენმა. ეს ფაქტი იმით არის აღსანიშნავი, რომ დანა ადრე მამაკაცი იყო.

**10 მაისი**

1869 – დასრულდა ტრანსამერიკული რკინიგზის მშენებლობა, რომელმაც ერთმანეთს დააკავშირა ატლანტისა და წყნარი ოკეანეები.

1872 – ვიქტორია ვუდჰალი იყო პირველი ქალი, რომელმაც თავი წარადგინა ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატად.

1933 – ბერლინში, ოპერის მოედანზე, ფაშისტებმა მოაწყვეს დიდი აუტოდაფე – დაწვეს 20 000-ზე მეტი წიგნი.

1994 – ნელსონ მანდელა გახდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტი.

# შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. g6-g7!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




### გია ნიკოლაძის ანეკდოტები

გურიაში ავტოავარია მოხდა. მანქანა შეასკდა „სტოლბას". მოკლედ, შეიკრიბა ხალხი და დიდი ამბავია. ჟურნალისტები ეძებენ თვითმხილველს, რომ მისგან ინტერვიუ აიღონ. იქვე შენიშნეს კაცი, რომელიც ზის მშვიდად, თვალს ადევნებს სიტუაციას და სიგარეტს აბოლებს. ჟურნალისტები მისცვივდნენ:

– ბატონო, ორი სიტყვით, ხომ ვერ გვეტყვით, რა მოხდა?

– ეგერ, ბიძია, სტოლბას ხედავთ? – დაუბრუნა დინჯად გურულმა კითხვა.

– დიახ, ვხედავთ.

– მაგენმა ვერ დეინახეს!

***

სვანები ქორწილში არიან. კაცები დაიწყებენ სიმღერას:

– ვისია, ვისია, ქალი ლამაზი...

სვანები ადგებიან და ტოვებენ სუფრას. ეკითხებიან, რა გეწყინათ ასეთი, შუა სუფრიდან რომ მიდიხართო.

– რა ვიცი, კაცო, ახლა არკვევთ ვისია ქალი და სანამ შარში გავეხვევით, წავალთ, ჩვენ არაფერი დაგვაბრალოთო.

***

ზურიკო ამერიკიდან ურეკავს დედას:

– დედა, ნატრომ იმშობიარა. ბიჭი დაიბადა, მაგრამ რძე არ აქვს, ზანგის ქალი აჭმევს ძუძუს. ალბათ, ამიტომაა, რომ ბავშვი მთლად თეთრი არ არის. სხვა მხრივ ჯანმრთელია.

– შვილო, ხუთი შვილი გავაჩინე და არცერთზე არ მქონდა რძე. ჩვენი ძროხის რძით გზრდიდით ხუთივეს, მაგრამ რქები, მარტო შენ ამოგივიდა?!

***

– დედა, ეგ ქურქი მამამ გიყიდა?

– მამამ, მამამ... მამაშენის იმედზე რომ ვყოფილიყავი, ახლა შენც არ იქნებოდი!

***

85 წლის კაცი მივიდა ექიმთან და შესჩივის:

– ექიმო, სექსის დროს ყურში შუილები მაქვს და რას ნიშნავს?

– ეე, ბაბულიკ, აპლოდისმენტები რომ არ გესმის, არ გიკვირს?

### გიგა კვენეტაძის ანეკდოტები

კაცი ზის ტაქსიში. მძღოლი ტყვიასავით მიქრის. მგზავრი ეუბნება ტაქსის მძღოლს:

– თუ კაცი ხარ, ნელა იარე, დახეული ტრუსიკი მაცვია და არ მინდა, მორგში შევრცხვე!

***

ტიპი ღამით შევიდა ბარში და ლუდი მოითხოვა. ბარმენმა მიუტანა და უთხრა:

– თქვენზე ერთი თეთრია.

– ასე იაფია? მაშინ ხიზილალა, ასატრინა, ანანასი, კონიაკი და ბუტერბროდიც მომიტანე. და, ეს რა დამიჯდება?

– ეს ყველაფერი, თორმეტი თეთრი დაგიჯდებათ.

– მე კი მომწონს ეს ყველაფერი, მაგრამ ბარის მფლობელი ვინ არის?

– ახლა ვერ გაიცნობთ, რადგან ჩემს ცოლთან ერთად კაბინეტშია ჩაკეტილი.

– და, ჩაკეტილ ოთახში, თქვენს ცოლთან ერთად რას აკეთებს?

– რასაც მე, მის ბიზნესთან!

***

ძალიან მსუქანი ქალი მივა ექიმთან და შესჩივის:

– ექიმო, არანაირი დიეტა არ მშველის, ვერ ვიკლებ წონაში. იქნებ მირჩიოთ რამე?

– სამწუხაროდ, თქვენ დიეტა არ გჭირდებათ, სამ თვეში მოკვდებით.

გავიდა ოთხი თვე და გაცეცხლებული ქალი შევარდა ექიმის კაბინეტში:

– ეს რა მიქენით, ექიმო? როგორ მომატყუეთ, მოკვდებიო? გავთავდი ქალი ნერვიულობით.



– სამაგიეროდ, როგორ გახდით...

***

ორი გურული სადილობს. ერთმა აიღო ყველაზე გრძელი პრასი, დაკეცა, დაკეცა, ჩააწო მარილში და ძლივს ჩაიკეცა პირში.

წამოხტა მეორე ფეხზე:

– თუ ძმა ხარ, დროზე დალეჭე, თვარა თუ გეიშალა პირში, ხომ აგხადა თავის ქალა!

***

ორი „სვეტსკი" გოგო საუბრობს ვაკეში:

– აუუუ, მანქანა კოროზიამ შემიჭამა თურმე, ასე მითხრა ხელოსანმა.

– უიმეეეე, ხომ შეგვჭამეს, გოგო, ამ მეგრელებმა!

## მოპარული ლარიანი

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებია – ის პერიოდი, როცა ჯიბგირები ჭიანჭველებივით მომრავლდნენ და ყოველ ფეხის ნაბიჯზე იპარავდნენ. ერთ დღეს სახლში ჩემი ცოლი გულგახეთქილი მოვარდა. სულს ძლივს იბრუნებდა და ვკითხე:



– რა გჭირს, გოგო, ასე რამ ამოგიგდო გული?

– მოვრბოდი, ჯიბგირს ძლივს ამოვასწარი სახლში, – მითხრა მეუღლემ და აწითლებული სახიდან სიმწრის ოფლი მოიწმინდა.

– ჯიბგირიო?! აბა, მოყევი რა მოხდა და იმ ნაძირლების გარეგნობა ამიწერე. ახლავე დავურეკავ ბიჭებს, დაიჭერენ და დედას ვუტირებთ! – გავცეცხლდი მე.

– მოკლედ, ექვსი ნომერი მარშრუტკით მივდივარ, – დაიწყო მოყოლა ჩემმა მეუღლემ, – უკან ვიჯექი. ჩემ გვერდით ერთი გაუპარსავი, საზიზღარი ახალგაზრდა იჯდა. „სუმკა" მუხლებზე მედო. „დინამოს" სტადიონს რომ მივუახლოვდით, მძღოლს მანქანა გავაჩერებინე და „სუმკიდან" საფულე ამოვიღე, რომელშიც ერთადერთი ლარიანი მქონდა. წამოდგა ის ჯიბგირიც და მძღოლს ფული გაუწოდა. ჩავიხედე საფულეში, ლარიანი არ დევს. შევხედე იმ ჯიბგირს და ჩემს ლარიანს არ უხდის მძღოლს? გავმწარდი. გავექანე, იმ ჯიბგირს ჩემი ლარიანი წავართვი. ფული მძღოლს დავუგდე და ვუთხარი, – ამ ქურდსაც მე ვუხდი-მეთქი და სახლისკენ გამოვიქეცი. „მოიცა, მოიცა"!" – მომაძახა იმ ჯიბგირმა, მაგრამ ხომ არ გავუჩერდებოდი?! რაც ძალი და ღონე მქონდა, სახლისკენ მოვკურცხლე.

თხრობა რომ დაასრულა, გიჟივით ავხარხარდი და ვერ ვჩერდებოდი. ცოლი მიყურებდა და ალბათ, ფიქრობდა – შეიშალაო. ცოტა სული რომ მოვითქვი, მითხრა:

– რა ვთქვი სასაცილო? მე კინაღამ შიშისგან გამისკდა გული, შენ კი ხარხარებ.

– ძვირფასო, ის ლარიანი მე ამოგიღე ჩანთიდან ამ დილით და ბავშვს სკოლაში გავატანე, – მივუგე ცოლს და კვლავ ავხარხარდი.

ასე დააყაჩაღა ჩემმა მეუღლემ ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი სამარშრუტო ტაქსიში.

**კაპიტან ნოდარ ჩიტაძის მონათხრობის მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**

## აკულა

მოსკოვში კომპოზიტორთა საკავშირო ყრილობაზე ერთმანეთს შეხვდნენ რუსი და ქართველი დელეგატები: შოსტაკოვიჩი, კაბალევსკი, ხაჩატურიანი, ხრენნიკოვი, ნასიძე, კვერნაძე და სოხუმიდან მოსკოვში საცხოვრებლად გადასული კომპოზიტორი – კულა ნარიმანიძე.

ცოცხალ კლასიკოსებს შორის მოხვედრილი კულა გატრუნულა. ბიძინა კვერნაძეს უთქვამს: რა გინდოდა, კულა, მოსკოვში, დატეულიყავი აფხაზეთში და იქ ა-კულა მაინც იქნებოდიო.

**18 წლის ნინი ბრეგვაძე „X ფაქტორის" ერთ-ერთი განსხვავებული, საინტერესო მონაწილეა. ნინი თავადაც წერს მუსიკას, თავისი ტექსტებით. სამომავლოდ, ალბათ, მათ მაყურებლის წინაშეც შეასრულებს.**

# როდის იღებს არაორდინარულ და სპონტანურ გადაწყვეტილებებს „X ფაქტორის" მონაწილე ნინი ბრეგვაძე და ვისთან გასამკლავებლად გადაწყვიტა მან კრივზე სიარული

**ნინი ბრეგვაძე**: როგორც იქნა, დავამთავრე სკოლა და ახლა სტუდენტი ვარ. ბოლოს უკვე ველარ ვიტანდი სკოლას, რადგან მუსიკაზე ვიყავი მაქსიმალურად გადართული. დილით ადრე ადგომა, შოკი იყო ჩემთვის. სხვათა შორის, სკოლას პირველი კლასიდან, პირველი დღიდან ვერ ვიტანდი. დილით გაღვიძებასთან დაკავშირებით პრობლემა მაქვს – ვერ ვიღვიძებ ადრე და მიჩვეული ვარ გვიან დაძინებას. ილიას უნივერსიტეტში ჩავაბარე მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე. ხანდახან მინდა და ვფიქრობ: ხომ არ წამოვიდე უნივერსიტეტიდან, რადგან ჩემთან არანაირ კავშირში არ არის. არ მინდოდა, უსაქმური ვყოფილიყავი – თუ სიმღერაში ვერ გავამართლებდი, მაშინ მეორე პროფესია მექნებოდა. მაგრამ, ვხვდები, ვერ შევძლებ. კონსერვატორიაში საუნდ-ინჟინერიის ფაკულტეტი გაიხსნა. ვფიქრობდი, იქ ჩამებარებინა, მაგრამ ვერ მოვახერხე, რატომ? – არ მახსოვს. მერე სამსახიობოზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ უარი ვთქვი – დიდ დროს მოითხოვს და მუსიკისთვის აღარ დამრჩებოდა დრო. ამიტომ, ვფიქრობ, მუსიკის მხრივ გავაგრძელო სწავლა უცხოეთში ან საქართველოში.



ჩემ გამო ძალიან მაგარმა მუსიკოსმა, ლიკა შუბითიძემ დატოვა შოუ და ისე მომერიდა, თვალებში ვერ შევხედე. ძალიან ვწუხვარ ამაზე, მაგრამ მე ვერაფერს გავაკეთებდი

**– გახასიათებს არაორდინარული, სპონტანური გადაწყვეტილებების მიღება?**

– ასეთი იყო „X ფაქტორში" გამოსვლაც. არ ვაპირებდი და ბოლო მომენტში გადავწყვიტე: უნდა ვცადო-მეთქი. საბედნიეროდ, გამიმართლა. ოჯახი უკვე მიეჩვია, რომ არ ვარ ისეთი, როგორიც მათ უნდათ, რომ ვიყო. თუმცა, ჩემს გადაწყვეტილებებს ეთანხმებიან, პატივს მცემენ. რაღაც საოცრებებს არ ჩავდივარ, საკუთარ თავზე ვფიქრობ, რადგან ყველაზე მეტად მიყვარს. ძალიან მიყვარს თავგადასავლები. ზაფხულიც ამიტომაა ჩემთვის საყვარელი სეზონი – ყველანაირ სიგიჟეს ვაკეთებ.

**– როგორი თავგადასავლები გიყვარს?**

– უფრო საშიში. მიყვარს მოგზაურობა, თან მთაში, კარვებით. საშიში რაღაცეებიც ყოფილა: შუაღამეს დავრჩენილვართ სადღაც კარვებაკიდებული, მანქანებიც რომ არ დადიან, გააჩერო და ჩაუჯდე. მეგობრები მყავს, რომლებსაც უყვართ ასეთი რაღაცეები და დავდივართ ერთად. ზაფხულში ვგეგმავ წავიდე საქართველოს ტურში და მთელი საქართველო მოვიარო. ოღონდ, ბევრ ხალხთან ერთად, რომ მაქსიმალურად უსაფრთხო იყოს. შარშან კარგად ვიმოგზაურეთ, მწვანე კონცხზე გავშალეთ კარავი. ხამანწკებს ვეძებდით შუა ზღვაში, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. საბოლოოდ, ბუბლიკები ვიყიდეთ, ერთი-ორი კარტოფილი გვქონდა, ის შევწვით ნაკვერჩხალზე – მოკლედ, კარგად გავერთეთ.

**– რამე ხიფათში გახვეულხარ?**

– ერთხელ ფული აღარ გვქონდა დარჩენილი, მწვანე კონცხიდან ბათუმში უნდა დავბრუნებულიყავით. ფეხით მოგვიწია წამოსვლა. იქ სხვებიც იყვნენ და კიდევ კარგი ბიჭებიც გვახლდნენ, თორემ მხოლოდ გოგონებისთვის საშიში იქნებოდა. ახლა კი დავიწყე „ბოქსზე" ვარჯიში, მაგრამ ასე მალე ვერ გავუმკლავდები მამაკაცის ძალას.

**– ფორმაში ჩასადგომად დადიხარ კრივზე თუ მამაკაცებს რომ გაუმკლავდე?**

– მინდა, ძლიერი ვიყო. ერთხელ მეგობარ ბიჭს ვეჭიდავებოდი ხუმრობით და მივხვდი: არანაირი შანსი არ მაქვს, მანიაკი რომ შემომხვდეს, გავუმკლავდე. ამიტომ დავდივარ „ბოქსზე", რომ რაღაც ილეთები ვისწავლო. ჯერ „ჩაინიკი" ვარ, ძირითადად, „გრუშას" ვურტყამ მუშტებს.

**– რაც შეეხება მუსიკას, ბავშვობიდან გქონდა მონაცემები? ნანი ბრეგვაძის ახლობელი ხომ არ ხარ?**

– სოფო ტოროშელიძე და სოფო ნიჟარაძე მეხუმრებიან ხოლმე: ნანი ბრეგვაძე, იმღერეო. ქალბატონ ნანის დიდ პატივს ვცემ და იმედია, არ მიაჩნია, რომ ვარცხვენ, უბრალოდ, სხვადასხვა ჟანრში ვმღერით. ბავშვობიდან ვმღერი, თუმცა არ მყოლია პედაგოგი. 15 წლის ასაკში ძალიან დამაინტერესა და ჩემით დავიწყე რაღაცეების სწავლა. ახლა არ ვიცი მუსიკაზე მეტად რა უნდა მიყვარდეს და ჩემთვის მთავარი მიღწევა იქნება, თუ ამ სფეროში გავხდები წარმატებული.

**– შენთვის მუსიკა არის უკვე შემოსავლის წყაროც?**

– სხვადასხვა ბარში ვმღერი და ამით ვირჩენ თავს. ფინანსურად უკვე 2 წელია, ცოტა მეტი, დამოუკიდებელი ვარ.

**– რაში ხარჯავ ფულს?**

– ვაგროვებ და მერე ვმოგზაურობ. ცოტა დიდი თანხა სტუდიის გამოწერაში დავხარჯე, ჩემით ვეუფლები უკვე. ალბომების, სიმღერების ჩაწერა ძვირია საქართველოში, ჩემით ვერ გავწვდები, მშობლებისთვისაც უარი მაქვს ნათქვამი. ამიტომ, მირჩევნია, ვისწავლო და თვითონ ჩავწერო სიმღერები სახლში.

**– თავიდანვე რეპი და ჰიპ-ჰოპი მოგწონდა?**

– ბავშვობაში ჩემი ბიძაშვილი უსმენდა ემინემს და ემინემით დავიწყე ჰიპ-ჰოპის მოსმენა. სხვა ჟანრსაც ვუსმენ, უბრალოდ, ჰიპ-ჰოპი ის ჟანრია, სადაც კომფორტულად ვგრძნობ თავს. ბარებში რეპიც მაქვს, მაგრამ უმრავლესობა ვოკალურია. ჩემს ალბომს რომ გამოვუშვებ, აუცილებლად იქნება რეჩიტატივებიც და მელოდიაც, ჩემი დაწერილი სიმღერებიც.

**– რა არის შენი მუსიკის თემა?**

– პროტესტი. მე მაქვს ქართულ მენტალობაზე პროტესტი. ბევრი რამ არის მიუღებელი, თუმცა ჩემი ქვეყანა ძალიან მიყვარს. მე რაზეც ვწერ, ეს, ძირითადად, ქართულ შოუ-ბიზნესს ეხება. შოუ-ბიზნესი რომ არ არის დღეს, ეს არ მომწონს სწორედ და ამაში ჩვენც მიგვიძღვის ბრალი – მომღერლებსაც და მსმენელსაც. რატომღაც ჩავიციკლეთ, რომ დღეს მუსიკა არ კეთდება, მაგრამ რეალურად კეთდება.

**– რატომ გადაწყვიტე „X ფაქტორში" მონაწილეობა?**

– 3 წლის წინ დავიწყე სერიოზულად საზოგადოების წინაშე გამოჩენა. მაშინ, ალბათ, პატარა ვიყავი და ახლა ვფიქრობ, შემიძლია, მსმენელის წინაშე მაქსიმალურად კარგად წარვსდგე. ძალიან მჭირდება დახვეწა და ამაში ეს პროექტი დამეხმარება. გარდა ამისა, მინდა, ხალხის სიყვარული დავიმსახურო.

**– ალბათ, ძალიან ნერვიულობდი სკამების ტურზე.**

– ძალიან, თან ბოლო მონაწილე ვიყავი და თავიდანვე ვიფიქრე: გემშვიდობებით-მეთქი. კულისებში ბოლოს მარტო დავრჩი. ასე ეულად არასდროს მიგრძნია თავი. მერე ჩემი მეგობრები დავინახე და მოვეშვი. ჩემ გამო ძალიან მაგარმა მუსიკოსმა, ლიკა შუბითიძემ დატოვა შოუ და ისე მომერიდა, თვალებში ვერ შევხედე. ძალიან ვწუხვარ ამაზე, მაგრამ მე ვერაფერს გავაკეთებდი.

**– პირად ცხოვრებაში ხდება რამე?**

– არაფერი. ობი აქვს მოკიდებული ჩემს პირად ცხოვრებას, ხავსი მოედო. შეყვარებული არასდროს ვყოფილვარ. ხან ვფიქრობ – ქვის გული მაქვს, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის. დღეს ვფიქრობდი ზუსტად: ცხოვრებაში პაემანზე არ ვყოფილვარ, სანთლებით და ამბებით.

**– დარწმუნებული ვარ, გპატიჟებენ, მაგრამ შენ არ მიდიხარ.**

– ასეც არ არის, რომ ყველასთან წავიდე. ჩემნაირი უნდა იყოს – ძალიან ცანცარა არა, სერიოზული. მიყვარს, ბიჭს რომ კარგად აცვია: როცა საჭიროა – ელეგანტურად, როცა საჭიროა – სპორტულად.

**– როგორ უნდა დაგითანხმოს მან პაემანზე?**

– პრინცესა გამოგყავარ. არ ვარ პრინცესა და არც დიდი „სთარი". თუ ვინმე არ მომწონს, პირდაპირ ვეუბნები: ბოდიში, არაფერი გამოგვივა და არც მდიო-მეთქი. არ მიყვარს ბიჭები გოგონებს რომ დასდევენ, რატომ უნდა სდიოს ვიღაცამ ვიღაცას. ასე არ შეიძლება. ახლა ჯერ კარიერაზე ვარ გადართული, ეს არის ჩემი დევიზი: მუსიკა და მერე სხვა დანარჩენი.

**ნათია უტიაშვილი**

**5 მაისიდან, ყოველ სამშაბათს, 22:00 საათზე ტელეკომპანია „იმედის" ეთერში, მაყურებელი იხილავს პროექტს – „ერთი ერთში". ორთვენახევრის განმავლობაში, უამრავი არაჩვეულებრივი და შოკისმომგვრელი გარდასახვა, შოუს ბევრი და საინტერესო ელემენტი და შესაბამისად, ხალისიანი საღამოები გელით. პროექტი მაყურებლის წინაშე არაერთი სიახლით წარდგება. გარდა ახალი კონკურსანტებისა, განსხვავებულია ჟიურის შემადგენლობა და წამყვანებად, ამჯერად ილო ბეროშვილი და დუტა სხირტლაძე მოგვევლინებიან. დეტალებზე „ერთი ერთშის" პროდიუსერს, გვანცა კილასონიას ვესაუბრეთ.**

# იყო თუ არა გვანცა კილასონიასა და თეიმურაზ გოგოლაძის სიყვარული სამსახურებრივი რომანი და როგორ დაითანხმეს „ერთი ერთშის" წამყვანობაზე დუტა სხირტლაძე, რომელსაც ეკრანიდან წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი

**გვანცა კილასონია**: პროექტის – „ერთი ერთში" სამი სეზონი, როგორც იცით, GDS-ზე გაკეთდა. შემდეგ, არხის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, აღარ გაეგრძელებინა ლიცენზია „ენდემოლთან", რომელიც ქმნის და ყიდის ამ პროექტს. პროექტი გათავისუფლდა და „იმედმა" იმწამსვე იყიდა მისი წარმოების უფლებები. მე, როგორც პროდიუსერს, მუშაობა „იმედშიც" შემომთავაზეს, რასაც სიამოვნებით დავთანხმდი.

**– რატომ აღარ სურდათ ასეთი რეიტინგული პროექტის გაგრძელება?**

– ეს შეკითხვა მეც მაშინვე დამებადა. ეს ის პროექტია, რომლითაც GDS საკმაოდ რეიტინგული გახდა. თუმცა, გადაწყვიტეს, რომ მუსიკალურ-გასართობი სახის პროექტები აღარ ეწარმოებინათ.

**– არხის ცვლილების გარდა, სხვა, მნიშვნელოვანი სიახლე იგეგმება ამ სეზონზე?**

– პროექტი ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ არხზე გადმოვიდა და მაყურებლის რაოდენობამაც იმატა. ამიტომ, შოუს ელემენტები მოიმატებს, თუმცა ძირეული ცვლილება, არ იქნება. ეს არის „ენდემოლის" დაწერილი პროექტი, რომლის სტრუქტურის შეცვლის უფლება არ გვაქვს. თუმცა, ნიუანსებში არის სიახლეები. გვეყოლება ახალი ჟიური, ახალი წამყვანები და რა თქმა უნდა, ახალი კონკურსანტები. გრიმიორები ისევ ისინი იქნებიან, ვინც წინა სეზონებზე: ანა, იანა და კრეტა. გაგიმხელთ, რომ ჟიურის ერთ-ერთი წევრი – სისი სამი უცვლელი დავტოვეთ. ის ვოკალის პედაგოგიც არის და ჟიურის წევრიც. „ერთი ერთშის" პარალელურად, ბრიტანეთში, ერთ-ერთი ძალიან რეიტინგული შოუს ჟიურიშიც არის და ახლა ვარკვევთ, ათიდან რამდენ ლაივზე შეძლებს დასწრებას. როცა ის არ იქნება, რუსა მორჩილაძე გვეყოლება ჟიურიში. მეორე წევრია ტელეწამყვანი ვასიკო ოდიშვილი და მესამე – რეჟისორი ქეთი დოლიძე. რაც შეეხება მეოთხე წევრს, ის ახლაც მოწვეული იქნება.

**– დუტამ ცოტა ხნის წინ, ეკრანიდან წასვლის შესახებ განაცხადა და თქვენ როგორ მოახერხეთ მისი დათანხმება?**

– მოვახერხეთ. დუტა ერთ-ერთ სეზონზე იყო მონაწილე, შემდეგ მსახიობის ოსტატობის პედაგოგი, თუმცა წამყვანი არ ყოფილა. შესაბამისად, ეს მისთვის სხვაგვარი აზარტი და სტიმულია. ვფიქრობ, მისი განცხადების შემდეგ, რომელშიც ეკრანიდან წასვლაზე საუბრობდა, უფრო საინტერესოა, კვლავ წამყვანად რომ მოგვევლინება ***(იცინის).*** ყველას ეგონა, რომ დუტა „იმედს" დატოვებდა, თუმცა ის „ერთი ერთშის" აუცილებლად წაიყვანს, თავის კოლეგასა და მეგობარ, ილო ბეროშვილთან ერთად.

**– აღმოჩნდა, რომ „ერთი ერთში" დუტასთვის ამხელა აუდიტორიის წინაშე წარდგენის, კიდევ ერთი და თუ მის განცხადებას გავითვალისწინებთ, სავარაუდოდ, ბოლო პროექტია.**

– ასე აღმოჩნდა. არ ვიცი, მერე რას აპირებს, მაგრამ ფაქტია, მისგან თანხმობა მივიღეთ. მიხარია, რომ მისი გადაწყვეტილება შევცვალეთ. თუმცა, პედაგოგი აღარ იქნება. წელს, ამ ფუნქციას მსახიობი, მომღერალი და კომპოზიტორი – ეკა კახიანი შეითავსებს. ამ სეზონზე სხვადასხვა კონკურსგამოვლილი მომღერლები გვყავს. ესენი არიან: სოფო ბედია, თაკო გაჩეჩილაძე, ლევან ჩიჩუა, მარიტა როხვაძე, ივანა მელაი, რომელიც საქართველოში არ იყო, მაგრამ მოვახერხეთ და დავითანხმეთ მონაწილეობაზე. გიორგი მახარაშვილი, ოთო ნემსაძე და ზურა მანჯავიძე.



**მაია ასათიანს დავუჯექი და ძალიან გულწრფელად ვუთხარი, რომ ეს ის პროექტია, რომლის გამოც მე უნდა წავიდე „რუსთავი 2-იდან"-მეთქი**

**– ვინ იყო ყველაზე რთული დასათანხმებელი?**

– ყველაზე რთული დუტას წამყვანობაზე დათანხმება იყო. რით დავითანხმეთ, მაგას ვერ გეტყვით. თუმცა, რადგან იმედელია, არ მეგონა, თუ რთული დასათანხმებელი იქნებოდა. მაგრამ, იმ განცხადების შემდეგ, მეც შევშინდი. მაგრამ, მოვახერხეთ და გვყავს ***(იცინის).*** კონკურსანტების დათანხმება, პრინციპში, არ გამჭირვებია. თუმცა, იყო რამდენიმე მომღერალი, რომლებმაც უარი განაცხადეს. მაგალითად, ზურა ხაჩიძეს ყოველი სეზონის წინ ვურეკავ და ვთავაზობ მონაწილეობას, მაგრამ ვერაფრით დავითანხმე. „ორი ვარსკვლავის" ნახევარფინალზე, ხათუნა ჟორდანია იჯდა აქ და: აიყვანე უკვე მონაწილეები, ვინ არიანო? მკითხა. ვუთხარი: ზურა ხაჩიძე-მეთქი და პირი დააღო. არ არსებობს, როგორ დაითანხმეო ***(იცინის).*** კარგა ხანს ეგონა, რომ ზურა იღებდა მონაწილეობას.

**– გვანცა, „ერთი ერთშის" გარდა, შენს სახელს ძალიან რეიტინგული პროექტები უკავშირდება. მათ შორისაა „პროფილიც". მეყურებელი კი არ გიცნობს. შენს შესახებ მოგვიყევი.**

– როცა, „რუსთავი 2-ზე" ვმუშაობდი, ვიყავი, ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული შოუს, „პროფილის" საპროდიუსერო გუნდში. ვიყავი GDS-ზე „ერთი ერთშის" პროდიუსერი. ახლა „იმედზე" გადმოვედით და იმედი მაქვს, აქაც ძალიან რეიტინგულები ვიქნებით. წლევანდელი ახალი წელი ჩემთვის იყო პირველი, როცა მერიამ მომცა საშუალება, დიდ პროექტზე მუშაობის. ღია ცის ქვეშ, გრანდიოზული კონცერტის ორგანიზება გავაკეთეთ, რომელიც პირდაპირ ეთერში გადიოდა. ეს, რაც შეეხება ღია ცის ქვეშ მოწყობილ კონცერტს, თორემ, ისე, ძალიან ბევრი ახალი წელი გამიტარებია კლუბებსა და რესტორნებში როგორც წამყვანს. მე ვარ ერთი პატარა გოგო, თუმცა, არც ისე პატარა ***(იცინის).*** ამ სფეროში მოღვაწეობა ჩვიდმეტი წლის წინ, „რადიო ფორტუნადან" დავიწყე. ვმუშაობდი, როგორც მუსიკალური წამყვანი. შემდეგ გავხდი არხის მენეჯერი, პროდიუსერი, დირექტორი და ამის შემდეგ, მაია ასათიანმა გადამიყვანა „რუსთავი 2-ზე". ტელეწამყვანის ამპლუაშიც მოვსინჯე თავი. ცოტა ხანს, დილის „უსმინე ცოცხალს" მიმყავდა. მერე იყო „ვარსკვლავების აკადემია," როცა ჟიურიში ვიჯექი. მერე „პროფილი" და ასე შემდეგ. ბევრი საინტერესო პროექტი იყო, რის გამოც ბედნიერი ვარ. ეს მაძლევს საშუალებას, ვაკეთო ის, რაც მიყვარს და ამაში ძალიან გამიმართლა.

**– რამდენადაც ვიცი, მეუღლეც ამ სფეროში ტრიალებს.**

– მეუღლე, თეიმურაზ გოგოლაძე, იგივე „ობობა", ტელერეჟისორია და ჩემზე ბევრად უფრო გამოცდილია სატელევიზიო ბიზნესში. ის „რუსთავი 2-ის" დაარსების პირველივე დღიდან იქ იყო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქალაქ რუსთავში იყვნენ. უკვე ექვსი წელია, ერთად ვართ. ჩვენი ურთიერთობა „ვარსკვლავების აკადემიის" დროს დაიწყო.

**– ეს სამსახურებრივი რომანი იყო?**

– სამსახურებრივი რომანი, პრინციპში, არ ერქვა. ჩვენი გაცნობა სხვაგან მოხდა. „შერატონ მეტეხი პალასში" იყო ივენთი, რომელზეც „ჯეოსელმა" მე, როგორც რადიოს მენეჯერი, დამპატიჟა და „ობობა" იქ შემხვდა. ერთმანეთი უბრალოდ გადავკოცნეთ, რადგან ნაცნობი სახე იყო. იქიდან დავმეგობრდით და დაქორწინება ძალიან მალე გადავწყვიტეთ. „რუსთავი 2-ზე" თხუთმეტწლიანი მუშაობის შემდეგ, ის GDS-ზე გადავიდა. მაშინ მე „პროფილში" ვმუშაობდი. როცა GDS-ზე „ერთი ერთში" იწყებოდა, მე პროდიუსერობა შემომთავაზეს. მაიას დავუჯექი და ძალიან გულწრფელად ვუთხარი, რომ ეს ის პროექტია, რომლის გამოც, მე უნდა წავიდე „რუსთავი 2-იდან"-მეთქი. რადგან, ძალიან მიყვარს ეს პროქტი და ეს მაიამაც იცოდა, ამიტომ არ გაკვირვებია. თუმცა, რა თქმა უნდა, გული დაწყდა. „პროფილის" დატოვების გამო, მეც გული დამწყდა, რადგან მათთან განსაკუთრებული ემოციები მაკავშირებს. ახლა, როცა GDS-დან „იმედზე" გადმოვედი და ჩემი მეუღლე იქ დარჩა, ჩვენი გზები, როგორც იქნა გაიყო ***(იცინის).*** მართლა ჯობია, რომ ცოლ-ქმარი სხვადასხვა სამსახურში მუშაობდეს. როცა რაიმე რჩევა ან დახმარება მჭირდებოდა, მეხმარებოდა, რის გამოც ახლა დისკომფორტს ვგრძნობ, მაგრამ ვეჩვევი ***(იცინის).***

**ქეთი კაკანაძე**



გვ. 54

## ვინ ეხმარებოდა გიორგი ხაჭაპურიძეს ეროტიკული სცენების თამაშის დროს და რის გამო დაატოვებინეს მას საქართველო

გვ. 62

## როდის იღებს არაორდინარულ და სპონტანურ გადაწყვეტილებებს „X ფაქტორის“ მონაწილე ნინი ბრეგვაძე და ვისთან გასამკლავებლად გადაწყვიტა მან კრივზე სიარული

რთველო ... ისი – შიგ ჩასმული ბ...
თ... იღ... (masthead)
ყოველკ... ოდის ორშაბათობით * №18(749) * 4 – 10 მაისი * ფასი 1,50 ლარი
ISSN 1987-569X